

სვეტიცხოველი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2012





**საქართველოს საპატრიარქოს,
 საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
 სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი**

**ექვნება უწმიდესა და უნეტარესს,
 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
 ილია მეორეს**

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის
 მოადგილეები: ვლადიმერ დოლიძე
 მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: ზურაბ გასიტაშვილი
 ივანე გორგოძე
 ვახტანგ გურული
 შალვა ნაცყეზია
 გივი ღამბაშიძე
 არჩილ ფრანგიშვილი
 ტარიელ ფუტყარაძე
 გურამ ჯავახაძე

კომპიუტერული
 უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი
 ქეთევან მახაშვილი
 ლელა ბოქოლიშვილი

ჟურნალის ინტერნეტ მისამართი: <http://sveticxovelijournal.ge>

© სვეტიცხოველი
 სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
 მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
 ISSN 1987-6874
 გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012.



ჟურნალ
„სვეტიცხოველის“,
1917 წლის
1 დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმებისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებათ – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია



ჟურნალი ედგნება უწმიდესა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II

ფოტოს ინტერნეტმისამართი: <http://forum.archangels.ge/lofiversion/index.php/t14.html>



პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

"მოწყალების საქმე გადაარჩინს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მართოდენ საკუთარი თავით, ეგონისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებაღოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აბაღმობისა** და კომპანია **"მედიკონერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა**. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

*უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე*

*ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი*



სარკვევი:

სააღდგომო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II 11

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სახელმწიფო ენის განვითარება – მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი

სახელმწიფო ენა – საქართველოში მოსახლეობის ინტეგრაციის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევისა და კონფლიქტების დარეგულირების საშუალება 16

საქართველო საკუთარი ეროვნული იდენტობით ევროპულ სივრცეში 20

საქართველოს საპატრიარქოს „ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ მასალები 25

საქართველოს საპატრიარქოს „ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ მიზანი და ამოცანები 28

საქართველოს საპატრიარქოს „ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) მიერ განსაზღვრული აქტუალური სამეცნიერო პრობლემები 31

საქართველოს საპატრიარქოს „ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ 35

მანანა ტაბიძე

თანამედროვე ქართული მასმედიის ენობრივი თავისებურებები („ტექსტის აჩქარების“ ფენომენისათვის) 39

რამდენიმე ტერმინის განმარტება (მასალა აღებულია ლინგვისტური ლექსიკონებიდან) 45

მ. ტაბიძე, მ. ნაჭყაია

ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი კანონმდებლობის კომპლექსური დახასიათება 47



მანანა ჭაბიკა

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების არეალი 52

მანანა ჭაბიკა

ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე 56

მანანა ჭაბიკა

სამეცნიერო ენის განვითარების პრობლემატიკისათვის 65

მანანა ჭაბიკა

ენის სტატუსის საკითხი საქართველოს სახელმწიფოში 69

მანანა ჭაბიკა

ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების საქართველოში 72

ტარიელ ფუჭკარაძე

ენობრივი უფლებები რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის კონტექსტში 82

ვახტანგ იმნაიშვილი

მართლაც 1928 წელს შეიტყვეს პირველად საქართველოში გრაცის უნივერსიტეტის ქართული ხელნაწერების შესახებ? 98

თეიმურაზ გვანცულაძე

აფხაზური ენა და ქართული გრაფიკა 104

მერაბ ნაჭყაბია

ქართული ტოპონიმები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წლები) 112

ოთარ გოგოლიშვილი

ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში (1921 წელი) 117

ლავა ცაიშვილი

ქმნილებათა ენა (ლოგოსები) 125



უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 76-ე ბრძანებით
საქართველოს საკატრიარქოსთან შექმნილი,
საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი
მუღმივმოქმედი კომისიის უმნიშვნელოვანეს
გამოკვლევათა მაცნე

№1



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq. , Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სააღდგომო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარისის,
 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
 მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და
 ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთიკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო! ქრისტე აღდგა! მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნულა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1). ქრისტე აღდგა! სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?! ქრისტე აღდგა! სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?! დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოზთა დასნი; „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერთა მით სარწმუნობისათა“ (წმ. იოანე ოქროპირი). მაინც რა არის ჩვენი ასეთი სინარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?! მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემომქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უძრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ. ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. „როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ – სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ“ (რომ. 5.12) ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასთვის დაიხშო სასუფევლის კარი. უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა; ხოლო რადგან კაცთა შორის და, ზოგადად, ქმნილებათა შორის, ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა. და აი, აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, – კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, – ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა. „სიტყვა განკაცდა, რათა ჩვენ განვღმერთობილიყავით“ (წმ. ათანასე დიდი). ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა; ამიტომაც სრულად არავინ იცოდა ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და ღვთის რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია. მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებსა და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრძმებს, ალადგენს მკვდრებს... ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას. ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს თავისი მიზნის განსახორციელებლად. და აი, იუდა..., სინედრიონი..., პილატეს სამსჯავრო, ჯვარცმა და ძე კაცისას ადამიანური ტკივილით სავსე უკანასკნელი აღმონათქვამი: „ელი, ელი, ლამა საბაქთან“, „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე ძე“. თითქოს აღსრულდა ფარისევლთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, – მოკვდა იესო; მისი სული და



სხეული ერთმანეთს განემორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, – ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემომქმედი! ეშმაკი ჰკონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფი მართალთა სულნი ცათა სასუფეველში აიყვანა. ქრისტემ „ძლევაი საკვირველი“ მოიმოქმედა. ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს. გავისხენოთ უფლის სიტყვები: „მამაო, განადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. რაკი მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე... მისცეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 17,1,2). ამიტომაცაა ეს დღე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული ჩვენთვის და საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსათვის. მკვდრებით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას – თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხოვნებაში მყოფ მართალთა სულებისაგან შედგება და მას მოზიემე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამ ქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე. „სასუფეველი ცათა იიძულების“ – ბრძანებს სახარება. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან გვმართებს, – ჩვენს ეგოიზმთან და ამპარტავნებასთან, რაც არის ყველაზე დიდი და საშიში ნესტარი ჩვენი სულისა. ჩვენი გული, რომელიც საკვება ცოდვით და ცოდვითი მიდრეკილებებით, ჭუჭყისგან უნდა გავათავისუფლოთ და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, – ჩვენს ნამდვილ „მეს“. ამას კი, როგორც გვასწავლის უფალი, მივალწევთ, თუ შევიყვარებთ მოყვასს, ვითარცა საკუთარ თავს. მამ, შეიყვარე მოყვასი და ამით შეიყვარებ შემომქმედს. შენი სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემომქმედთან, – წმ. მამების ეს რჩევა ჩვენი ცხოვრების კანონად უნდა ვაქციოთ. ამ გზაზე შეურაცხყოფაც შეგვხვდება და ცილისწამებაც, დაცინვაც და დამდაბლებაც, დაცემაც და აღდგომაც. არ უნდა შეგვეშინდეს, ეს ყველაფერი ჩვენი ამპარტავნების წამალია, მწარე, მაგრამ განმაკურნებელი წამალი. მაგრამ კაცობრიობის ნაწილი ასე სულაც არ ფიქრობს, რადგან არ სჯერათ ღმერთის და მარადიული ცხოვრების. უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი – შეილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს? ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს. ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად“ მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთარი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნად არაფერი არ არსებობს. ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა. მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება. საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა“ ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ



არის... და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ. თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითაა ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულბელებოება იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას. სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვებია და მისაღებია! ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია! ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს. საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები“. მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული. თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევას ემსახურება. ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოღვაძეს! ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც. როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის“ გამოვლინება და გამონატყულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, – კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიტატორის... გახსნა, სოლომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების“ პოპულარიზაცია. ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოველად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულეთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ. ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით აკრძალულია, ხოლო სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ – მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშეწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო ამ საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა. ჩვენი ვალაია, ხელი შევუწყობთ მტკიცე ოჯახისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც გვსურს, რომ გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება: მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია. საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შექმნა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია. თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი. ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო. ექიმობა ღვთიკურთხეული



და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა. ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს. ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისათვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა. დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორცაა თუნდაც ტუბერკულოზი. აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ინტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადების, ისე “ C ” ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე დაავადებულებში - დროული მკურნალობა. ჩვენი ტკივილია, რომ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ. კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას საბუთო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია. აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში ახლობლების მზრუნველობის ქვეშ. პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა. ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისაკენ ისე მიემართა, რომ ისინი ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც აღარ გადაეტანათ? ღმერთი სულია, – წერს პავლე მოციქული, – და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.” (II კორ.3,17). ადამიანის სიღიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის. თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა,



ანუ მაღლისმიერი განდმრთობა. რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უძნადებს?! „საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია” – წერს II-III-საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე. ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდებარება ცოდვას. ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისათვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება. სულის, გულისა და გონების განწმენა, წმინდა წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტურატურის კითხვა და დახმარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა. ძველი ნათქვამია: მსგავსი მსგავსს შეჰზარის და შეიცნობსო. ბუნებრივია, სადაც სიბნელეა, იქ სინათლე ვერ იქნება, სადაც ჭუჭყი ბუდობს, იქ სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც ჭეშმარიტი რწმენა ვერ იარსებებს უზნეობისა და ცოდვის გარეშე. ხოლო ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს, ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფეველის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, – სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს – მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8); მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც ჰსწამს ჩემი, კიდევ, რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11,25). ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდინნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე! ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ილია II სრულთაღ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
 ალბომა ქრისტესი
 თბილისი, 2012 წელი

ეპისტოლეს ინტერნეტ მისამართი: http://www.patriarchate.ge/?action=news_show&mode=news&id=710



მიზროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სახელმწიფო ენის განვრცობა – მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძველი

სახელმწიფო ენა – საქართველოში მოსახლეობის ინტეგრაციის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევისა და კონფლიქტების დაკმაყოფილების საშუალება

საქართველოს წმიდა ეკლესია ათასწლეულთა მანძილზე იყო და არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებელი მნიშვნელოვანი ძალა. ყოველი დამპყრობელი იმპერია ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ უპირველეს ყოვლისა ქართულ საეკლესიო სისტემას ანადგურებდა. ასე მოიქცა რუსეთის იმპერია XIX ს-ში, როცა ავტოკეფალიაც გააუქმა.

XX ს-ის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის დიადი საქმის უპირველესი ინიციატორი და ფუძემდებელი იყო საქართველოს ეკლესია, როცა XX ს-ის დასაწყისში მოსახლეობის ყველა ფენა მიემხრო სოციალისტურ მიმართულებას, რომელთაც პარტიების ჩაგონებით არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე მსჯელობაც კი, ერთი-ორი ინტელიგენტის გარდა, ერთადერთი რეალური მძლავრი ძალა, რომელიც უწყვეტად ითხოვდა იმჟამინდელი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გაერთიანებით ჯერ საფუძველი დადებოდა საქართველოს ავტონომიას, შემდეგ კი მის დამოუკიდებლობას – იყო საქართველოს ეკლესია, მისი საეკლესიო კრებები. ამ ფაქტმა ჩვენი სამღვდელთა მიმართ მტრულად განაწყო რუსეთის საიმპერიო წრეები, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია ევროპულ სახელმწიფოთა წინაშე მწვავედ გააპროტესტა წმიდა ამბროსი ხელაიამ, ახლა უკვე წითელი რუსეთის იმპერიამ დაიწყო ეკლესიის უკიდურესი დევნა. მაგრამ ცხადია, ქრისტეს სარწმუნოების მტკიცე კლდეზე მდგარ ეკლესიას ბრჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოეროდნენ.

ამ ბოლო წლებშიც კი, ჩვენმა წმიდა ეკლესიამ და მისმა სახელოვანმა მეთაურმა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რამდენჯერმე იხსნა ჩვენი ქვეყანა დესტაბილიზაციის მძლავრი რყევებისაგან, რამაც განამტკიცა ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

ათეიზმის ეპოქაში საზოგადოების ყველა ფენა, მუშები, გლეხები და ე.წ. ფენა ინტელიგენცია სრულიად დაიმორჩილა საბჭოთა სისტემამ, ერთადერთი საქართველოს ეკლესია ემიჯნებოდა 'ბოროტების იმპერიას' – ამის დავიწყება არ შეიძლება.

ევროპული ღირებულებები ეფუძნება ქრისტეს წმიდა მცნებებს, ქრისტიანობას, მასზეა აგებული ევროპული ცივილიზაცია. წმიდა ნინოსა და მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობა იქცა სახელმწიფო სარწმუნოებად, ამით საქართველო გადაიქცა ევროპული სივრცის ბუნებრივ ნაწილად, აღმოსავლეთში მის ფორპოსტად, რადგანაც კავკასიაში მხოლოდ საქართველო იყო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო ბოლო ათასწლეულში.

XV ს-დან ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს დამხობისა და მის ადგილას მაჰმადიანური ქვეყნების ჩამოყალიბების შემდეგ ერთმანეთს მოწყდა ევროპა და საქართველო. ჩვენი ხალხი მუდამ ცდილობდა კვლავ დაბრუნებოდა თავის ბუნებრივ მოკავშირეებს, თავის ევროპულ სახლს. მხოლოდ ამჟამად, XXI ს-ის დასაწყისში მოგვეცა ამის საშუალება – რაც გვაიმედებს, გვანარებს და გვჯერა თავის ევროპულ სახლში კიდევ უფრო გაძლიერდება ქართველთა კულტურა და მისი სახელმწიფო და ერი, ისე, როგორც მართლმადიდებელი ბერძენებისა, რუმინეთისა, ბულგარეთისა და სხვათა.



ჩვენმა ქვეყანამ ბევრი რამ უნდა ისწავლოს ევროპის ისტორიული გამოცდილებიდან. ეს ითქმის იმ დამოკიდებულების შესახებაც, რომელიც არსებობს ევროპაში სახელმწიფო ენების მიმართ.

ევროპულ ქვეყნებში სახელმწიფო ენა გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, ქვეყნის შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის, სახელმწიფო ენის გათავისებით ისინი გადაიქცევიან ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი კულტურის თანამონაწილეებად.

მთელი ქვეყნის მომცველი ერთიანი კულტურის ჩამოყალიბებას ევროპულ ქვეყნებში თავისი ისტორია გააჩნდა.

შუა საუკუნეთა ასწლოვანმა და სხვა მრავალმა ომმა ევროპა დათრგუნა. განათლებულ XIX საუკუნეში პოლიტიკოსები ეძებდნენ გზებს, რათა შეწყვეტილიყო ომები და მშვიდობას დაესადგურებინა. ამ მიზნით XX ს-ში შეიქმნა “ერთა ლიგა“ და “გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო ერთაშორისი მშვიდობა.

მშვიდობის მისაღწევი საშუალებების ძიებისას მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ ომების ძირითადი მიზეზი იყო თვითგამორკვეულ ერთა მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს დასაფუძნებლად. საერთაშორისო საზოგადოება თანდათან დარწმუნდა, რომ მშვიდობის მისაღწევად საჭირო იყო, რათა ყოველ ერს ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო.

“ყოველ ერს - საკუთარი სახელმწიფო“ - ეს დევიზი თანდათან იქცა რეალობად. დიდმა იმპერიებმა გაათავისუფლეს ყოფილი კოლონიები და იქ მცხოვრებ ერებს საკუთარი სახელმწიფოები ჩამოუყალიბეს. ევროპაშიც მრავალი ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა იქ მცხოვრები ყოველი ერისათვის. ეს პროცესი მსოფლიო მშვიდობის კარგი საშუალება აღმოჩნდა.

მაშასადამე, ერთა მიმართ თანამედროვე ევროპული დევიზი ასეთია - “თითოეულ ერს საკუთარი სახელმწიფო“ - საყოველთაო სტაბილურობისა და მშვიდობისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა, თუკი ყოველ ერს მიეცემა საკუთარი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს შიგნით მცხოვრებ ეთნოსებს ხომ არ მიენიჭებათ ასეთივე უფლება საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა? სახელმწიფოს შიგნით ხომ არ წარმოშობა დესტაბილიზაციის ახალ კერები?

ამასთან დაკავშირებით დიდი ხანია ჩამოყალიბდა წესი - როცა რომელიმე ერს მიეცემა საკუთარი სახელმწიფო აღიარებული საზღვრებით, მან, როგორც დომინანტმა ერმა უნდა შეძლოს თავისი სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ინტეგრაცია, მათი კულტურული გაერთიანება და სახელმწიფოს ერთგულ მოქალაქეებად გარდაქმნა საკუთარი ენისა და კულტურის განვრცობით.

მაგალითად, ვთქვათ საფრანგეთში ფრანგმა დომინანტმა კულტურულმა ძალამ უნდა შეძლოს საფრანგეთში მცხოვრები ვთქვათ არაბების ან სხვა ეთნოსების შეყვანა ფრანგული კულტურის წიაღში, ფრანგული ენის შეთვისებით, მისი გათავისებით.

ამიტომაცაა, რომ ვთქვათ საბერძნეთში - ბერძნული ენა მისი ყოველი მოქალაქის ინტეგრაციისა და კონსოლიდაციის საშუალებაა, ბერძნული ენა - საბერძნეთის ყოველი მოქალაქის ენაა, ამიტომაც სახელმწიფო ენა იქ არის ეთნიკური კონფლიქტებისაგან გათავისუფლებისა და სამოქალაქო ერთიანობის მიღწევის საშუალება.

ყველა ქვეყანაში - სახელმწიფო ენა არის სამოქალაქო საზოგადოების, კონფლიქტების დარეგულირების, მისი თავიდან არიდების საშუალება. სამოქალაქო ერთიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენის გავრცელების შედეგად მიიღწევა.

მაგალითად, ამჟამინდელ საქართველოში, როგორც ცნობილია, მთელი რეგიონები არსებობს, სადაც სახელმწიფო ენა არ არის ამ რეგიონების მოსახლეობის ენა. ქართული ენა ამ რეგიონებში, როგორც ცნობილია, არ იცინა. ევროპული ტიპის სახელმწიფოში ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება არსებობდეს,



როგორც ვთქვით, ევროპულ ქვეყნებში ქვეყნის დომინანტ ერებს ავალდებულებენ თავიანთი ენითა და კულტურით გაამთლიანონ ქვეყნის მოსახლეობა აქციონ ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად. გამონაკლისია კონფედერაციული სახელმწიფოები, რომელნიც სხვადასხვა ერების ურთიერთშეთანხმებითაა გაერთიანებული.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემდე, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა იცოდა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა, თბილისელი სომხები და ასევე საერთოდ საქართველოში მცხოვრები სომხები შესანიშნავად ფლობდნენ ქართულს, ასევე ოსების, მუსულმანების და აფხაზების განათლებული ფენები და საზოგადოდ ხალხი. უფრო მეტიც, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა მთელი კავკასიისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა იყო. მაგრამ საქართველოში ორ საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, XXI საუკუნეში, როგორც ითქვა ქართული ენა - არ იციან, ანდა ძალზე ცუდად იციან საქართველოში მცხოვრებმა ეთნოსებმა. ევროპული მიდგომა ამ საკითხისადმი გვაავალდებულებს – სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით ქვეყნის ერთგულ და შემოქმედ მოქალაქეებად გავაერთიანოთ ყველა ეთნოსი, სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევა, მოსახლეობის ინტეგრაცია, ეთნოგაუცხოების დაძლევა.

კონფლიქტების ერთ-ერთი წყარო არის გაუცხოება, როცა ეთნიკურმა ჯგუფმა, იმის გამო, რომ არ ფლობს სახელმწიფო ენას, არ იცის დომინანტი ერის მიზნები, მისწრაფებები, ის გაუცხოებულია, და უცოდინარობის გამო უნდობლობითაა გამსჭვალული, ამ დროს შეუძლებელია სამოქალაქო მთლიანობის მიღწევა.

ამასთან დაკავშირებით, მისასაღებელია ჩვენი სახელმწიფოს მეცადინეობა, რათა სახელმწიფო ენა გავრცელდეს რეგიონებში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა მეტი მუშაობა.

როგორც მოგეხსენებათ, მე ვარ მანგლის-წალკის ეპარქიის მმართველი, ვიცნობ ამ რეგიონს. წალკის რაიონში ცხოვრობდა 80 000-მდე ბერძენი, ქართული ენის უცოდინარობის გამო 90-იან წლებში ისინი უნდობლობით განეწყვენენ საქართველოს მიმართ, საბოლოოდ კი დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს. ერთი წალკელი ბერძენი ქალბატონი ამბობდა, რომ ამ გაუცხოებისა და ხალხის ტრაგედიის მიზეზი იყო სახელმწიფო, რომელმაც მათ სკოლებში არ ასწავლა ქართული ენა, არ გააცნო ქართული კულტურა. ამჟამადაც რეგიონები ითხოვენ და სურთ შეისწავლონ ქართული ენა. რუსეთის იმპერია ჩვენს ეთნოსებს მიზანმიმართულად არ ასწავლიდა ქართულ ენას, რასაც მოჰყვა გაუცხოება და კონფლიქტები. ამის თავიდან აცილება შეიძლება ქართული სახელმწიფო ენის განვრცობით. საჭიროა გამოყენებული იქნას მასმედიის საშუალებები. კომუნიკაციების მმართველობის დროს რადიო და ტელევიზიის დირიჟორი ნაწილი ეჭირა რუსულენოვან გადაცემებს. ახლა საჭიროა ეს სივრცე შეივსოს არა ინგლისური ენით არამედ ქართული ენით, ქართულენოვანი გადაცემებით, ქართულენოვანი ფილმებით, ქართული სიმღერებით თუ მუსიკით.

ყოველ დომინანტ ერს - როგორც ითქვა ევალემა საკუთარი ენის განვრცობა საკუთარ სახელმწიფოში – ეს მოვალეობა ჩვენც უნდა შევასრულოთ. ამას გვაავალდებს ევროპის სახელმწიფოებრივი გამოცდილება. ეს ჩვენი ვალდებულებაა საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად. ევროპა არ ითხოვს ჩვენს ბილინგვიზმს, ევროპა ითხოვს საქართველოში მშვიდობას, მის სტაბილურობას, აქ კი ასპარეზი ეხსნება ქართულ ენასა და კულტურას.

საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია ერთიანი კულტურით - ეს ჩვენი ვალდებულებაა. ეს ჩვენ უნდა შევძლოთ.

რუსეთის იმპერიამ საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელ ქართული ენას ჩამოართვა ეს ფუნქცია და მის ნაცვლად ერთა შორის ურთიერთობის საშუალებად დანერგა რუსული ენა. ქართულ ენას აღარ ასწავლიდნენ საქართველოს რეგიონებში, ის მხოლოდ ქართველთა ჯგუფის ენად იქცა.



ენის მსგავსად საერთო ქართული კულტურა აერთიანებდა მთელ საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ყოველ კუთხეში ათასწლეულთა მანძილზე მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა თუ ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ქართული კულტურა ყოველ კუთხეს აერთიანებდა, ის იყო საერთო კულტურა.

ძველ საქართველოში არასოდეს შექმნილა კუთხური, ლოკალური კულტურა.

მაგალითად, აფხაზეთში გავრცელებული იყო არა აფხაზური კულტურა, არამედ ქართული. ასევე სხვა კუთხეებში არასოდეს შექმნილა არათუ რაიმე თხზულება, არამედ რაიმე წარწერაც კი ვთქვათ სვანურ, მეგრულ, კახურ ანდა მესხურ კილოზე. ქართული ენა და კულტურა ყოველ კუთხეში მიიჩნეოდა საერთო, ამავე დროს საკუთარ ენად, ხოლო ქართული კულტურა საერთო კულტურად. ასეთი სურათი დახვდათ რუსებს საქართველოში, მაგრამ მათთვის ეს მოუთმენელი იყო. “დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის შესაბამისად საიმპერიო-სამეცნიერო წრეებს დაევალიათ ბრძოლა საერთო ქართული კულტურის წინააღმდეგ. პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა პატკანოვმა და მისმა მოწაფეებმა, მათ შორის ნ. მარმა, მათმა მიმდევრებმა, მათ შორის დეკანოზმა ვოსტორგოვმა მთელი მიმართულება შექმნეს მეცნიერებისა – ე.წ. “ქართიზაციის“ თეორია, რომლის მიხედვით საქართველოს ყოველ კუთხეს უძველეს ხანაში თითქოსდა გააჩნდა საკუთარი კულტურა, რომელიც შემდეგ, თითქოს, შთანთქა “ქართის ტომის“ კულტურამ – ანუ ქართულმა კულტურამ, რომ თითქოსდა სულ სხვადასხვა წარმოშობის ხალხები არიან ქართლები და კახელები, სულ სხვა ხალხია სვანები და მეგრელები, რომ თითქოსდა ქართიზაციის შედეგად მათ თავს მოახვეს ქართული ეკლესია და ქართული კულტურა. ამიტომაც მოითხოვდნენ ისინი, რომ ბიბლია თარგმნილიყო მეგრულად და სვანურად. ასეთივე მდგომარეობა გავრძელდა წითელი რუსეთის იმპერიაშიც. თავდაპირველად გამოაცხადეს და უდიდეს სამეცნიერო წარმატებად ჩათვალეს თეორია თითქოსდა დასავლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო ადიღურ-აფხაზური ტომებით, თითქოსდა “ფს“ და “ყვა“ ტოპონიმების სიჭარბე ამ ფაქტს ადასტურებდა. რომ ქუთაისიც კი აფხაზთა ეთნიკური ჯგუფის ქალაქი იყო და შემდეგ თითქოსდა IX-X საუკუნეებში ქართული ეკლესიის მძლავრობის შედეგად აფხაზეთში დაინერგა და გავრცელდა ქართული ენა და კულტურა. ეკლესიურადაც თითქოსდა დასავლეთ საქართველოში არ ვრცელდებოდა მცხეთის ე.ი. ქართული ეკლესიის იურისდიქცია, თითქოსდა მთელი დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებამდე იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციაში, იქ თითქოსდა ეკლესიებში წირვა-ლოცვა არა ქართულ ენაზე, არამედ ბერძნულ ენასა და ადგილობრივ დიალექტებზე აღესრულებოდა და შემდგომ IX-X საუკუნეებიდან, თითქოსდა პროზელიტური ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოში და იქიდან გააძევა ბერძნული საეკლესიო იერარქია. გააუქმა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და დაწერა ქართული. ეს ცრუ საეკლესიო თეორია უფრო მეტად გავრცელდა საბჭოთა ეპოქაში, და ეს ყალბი თეორია ნაციონალური წარმატებების შარავანდედით შეამკეს.

მის შემდეგ რაც უკვე 60-70-იანი წლებიდან გამოიკვეთა აფხაზური სეპარატიზმი, ჩვენს სამეცნიერო წრეებში მიხვდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს თავდაპირველადვე ადიღე-აფხაზების ცხოვრების შესახებ - აქვებდა აფხაზთა სეპარატიზმს, ახლა უკვე ახალი თეორია შემუშავდა, თავისი არსით იგივე, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო - კოლხური კულტურის არეალი იყო, აღმოსავლეთ საქართველო - იბერიული კულტურის, ხოლო კახეთის დიდი ნაწილი ბოდბისა და დავით-გარეჯის ჩათვლით, თითქოსდა, ალბანური კულტურის არეალს წარმოადგენდა. ეს თეორია იმდენად გამყარდა, რომ ამჟამადაც კოლხების მემკვიდრეებად ერთ-ერთი ქართული კუთხე მოიაზრება, იბერიულისა კი მეორე. მაშინ როცა, როგორც ვთქვით იმთავითვე, ისტორიაში გამოჩენისთანავე ყველა ქართულ ტომსა და კუთხეს ერთი ენა და კულტურა აერთიანებდა. ამ საკითხს რომ ქართული ენა და კულტურა საქართველოს ყველა კუთხის გამაერთიანებელი იყო წარმართობის დროსაც კი - თავისი ნაშრომები მიუძღვნა დიდმა



ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენ ვაცხადებთ - კოლხეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს ცალკე აღებულს, არამედ სრულიად საქართველოს ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე. იმჟამად სრულიად საქართველოს მოსახლეობას ერთი კულტურა – კოლხური კულტურა გააჩნდა, ამიტომაც აღმოჩნდა კიდევ კოლხური არქეოლოგიური საგანძურები აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის სამაჩაბლოში და სევანის ტბის ჩრდილოეთით, ასევე ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ლაზეთში ქართველთა უძველეს საცხოვრისში - ორდუდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით. ასე, რომ თავის დროზე კოლხეთი მთელ საქართველოს ერქვა, ხოლო შემდეგ ეპოქაში ასევე იბერია ერქვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ სრულიად საქართველოს, ამ ეპოქაში გავრცელდა ქრისტიანობა და ამიტომაც ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ მოიცვა სრულიად საქართველო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის საკუთარი კულტურის ძიება და ამ მოსაზრების განმტკიცება მიიჩნევა ამჟამად პატრიოტიზმად, მაგრამ ძველ საქართველოში არავის უთარგმნია წმიდა წერილი კუთხურ დიალექტებზე - რადგანაც მთელ ერს ერთი კულტურა და ერთიანი ეროვნული შემეცნება გააჩნდა.

აი, ეს მოსპეს რუსეთის იმპერიის მსახურებმა, ამჟამად კი - ქვემო ქართლსა თუ ჯავახეთში არა ქართული კულტურით მთლიანდება საზოგადოება, არამედ რეალურად ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის რუსული ენა. აი, აქ არის საჭირო ქართული კულტურის გაძლიერება. მუშაობა, რათა ქართული ენა კვლავაც გადაიტყვეს საქართველოში ყველა კუთხის მოსახლეობის ენად და რათა ქართულმა კულტურამ კვლავაც გააერთიანოს საქართველო, ამინ.

საქართველო საკუთარი ეროვნული იდენტობით ევროპულ სივრცეში

XIX საუკუნემდე, კავკასიაში რუსების გამოჩენამდე, ქართველ ერს მუდამ გააჩნდა თავისი სახელმწიფო და ცხოვრობდა კიდევ ათასწლეულთა მანძილზე სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. იბერიის ანუ საქართველოს სახელმწიფოს შესახებ ჩვენ მრავალ ცნობას გვაწვდიან ანტიკური ეპოქის ავტორები. მაგალითად, I ს-ის ცნობილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი აღწერს იბერიის სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემას, გვაწვდის ცნობებს მისი ჯარის, ქალაქების, სოფლებისა და ხალხის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ სტრაბონი საქართველოს მიიჩნევს ევროპული სივრცის ნაწილად გეოგრაფიული თვალსაზრისით.

კერძოდ, ის ძველ ავტორებზე დაყრდნობით წერს, რომ საზღვარი ევროპასა და აზიას შორის გადის მდინარე ფაზისზე.

ბიზანტიური განათლებით სახელგანთქმული ექვთიმე მთაწმინდელი, სხვა წმიდა მამები ათონურ-ბიზანტიური სკოლისა (რომელთაც საქართველოში განამტკიცეს ევროპულ-ბიზანტიური განათლების საფუძვლები X-XI სს-ში) მიიჩნევდნენ, რომ მდინარე ფაზისი ერქვა მდინარე ჭოროხს. როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობით მდინარე ფაზისის მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა ევროპა, ხოლო მის მარცხენა სანაპიროზე აზია იყო განლაგებული, ვინაიდან, ისტორიული საქართველოს უმეტესი ნაწილი ამ მდინარის მარჯვნივ მდებარეობდა, ანტიკურ ეპოქაშიც საქართველო ევროპის ნაწილად მოიაზრებოდა.

ალბათ გეოგრაფიულზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, სულიერი და კულტურული თვალსაზრისით, საქართველოს მუდამ თავისი თავი მიაჩნდა ნაწილად ევროპული ცივილიზაციისა. ამის შესახებ ჩვენ ცნობებს გვაწვდიან ეროვნული მატრიანები. კერძოდ I-IV სს-ში ქართველთა მიერ ქრისტიანული



სარწმუნოების მიღება, განიხილებოდა, როგორც უმთავრესი მომენტი, რომელმაც სულიერ-კულტურული თვალსაზრისით საქართველო გამიჯნა აზიიდან და შეუერთა იმჟამინდელ ევროპულ სივრცეს. მაგალითად, როგორც კი IV ს-ში იბერიის მეფე მირიანმა და მთელმა ქართველმა ერმა, წმ. ნინოს მოღვაწეობით, მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მაშინვე, იბერიის დედაქალაქ მცხეთიდან ცნობა გაიგზავნა რომის იმპერატორთან ამ მოვლენის შესახებ. მემატინანის ცნობით იმპერატორმა მაღლი შესწირა უფალს, რომელმაც იბერიის ხალხი გაქრისტიანების გზით დაუკავშირა დასავლეთს. იმჟამად, ქრისტიანობა წარმოადგენდა სარწმუნოებას რომაულ-ბიზანტიური იმპერიისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა შუა საუკუნეთა ევროპული ცივილიზაცია. ქართველი ერი ამ სარწმუნოების მეშვეობით, არა მხოლოდ სულიერად გადაიქცა ერთ-ერთ ნაწილად ევროპული სივრცისა, არამედ, მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთის მიმართულებით მისი დაცვისა. საბოლოოდ, ქართველი ხალხი კავკასიაში იყო ერთადერთი ერი, რომელსაც XI ს-ის შემდეგ ერთდროულად გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო და ქრისტიანული სარწმუნოება, რის გამოც საქართველო ფაქტობრივად იყო ევროპულ-ქრისტიანული სივრცის დამცველი, მისი აღმოსავლეთის ბასტიონი, რომელსაც მუდამ უტევდნენ არაქრისტიანული აღმოსავლეთის იმპერიები. საქართველოს დაცვა – ევროპული ცივილიზაციის დაცვასაც ნიშნავდა, რადგანაც ის, მისი ერთ-ერთი ფორპოსტი, მისი სასაზღვრო ჯებირი იყო.

ქრისტიანული მსოფლიოს დამცველად რომ წარმოედგინათ ქართველ მეფეებს თავიანთი თავი, კარგად ჩანს V ს-ის დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, სადაც ის აცხადებს, რომ მისი ბრძოლები მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას იერუსალიმისა და ყველა ქრისტიანი ერის უსაფრთხოება. მემატინანის ცნობით, მისი არმია ებრძოდა უზარმაზარ, ასიათასობით ჯარისკაცისგან შედგენილ არმიებს, ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრის შემდეგ სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა დატოვა ანდერძი, რომლის აღსრულება საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდა ქართველთა ლტოლვას ევროპული სივრცისაკენ. კერძოდ, მისი ანდერძი იყო “ნუ მიატოვებთ ბერძენთა სიყვარულს“, ბერძენების ქვეშ აქ იგულისხმება ბიზანტიურ-ევროპული ქრისტიანული სივრცე. ასე, რომ ქართველობა არა მარტო მიიჩნევდა თავის თავს ევროპული სივრცის ნაწილად, არამედ საკუთარი სისხლით და თავდადებული ბრძოლით საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას. საქართველო შუა და დასავლეთ ევროპას არაქრისტიანული მებრძოლი ტომების მოზღვავენას არიდებდა.

თავის მხრივ, ევროპასთან კავშირმა გააძლიერა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. როგორც ითქვა, ათასწლეულთა მანძილზე ქართველ ერს უწყვეტად გააჩნდა თავისი სახელმწიფო, ზოგჯერ ძლიერი, ზოგჯერ კი სუსტი. მაგრამ ყოველი გაძლიერება ქართული სახელმწიფოებრიობისა დაკავშირებული იყო ევროპასთან. ცნობილია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განსაკუთრებული გაძლიერება I-II სს-სა და XII-XIII სს-ში. ეს იბერიის (საქართველოს) სახელმწიფოებრიობის და კულტურის გაფურჩქვნის განსაკუთრებული საუკუნეები იყო.

მცხეთის მიდამოებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვის სტელა ბერძნული და ლათინური წარწერებით. მასში ნათქვამია, რომ სტელა არმაზის ციხის გალავანთან აღიმართა რომის იმპერატორების ვესპასიანეს და დომიციანეს სახელით, ნიშნად იბერიასა და რომის იმპერიას შორის მეგობრული ურთიერთობისა. წარწერაში, რომელიც შედგენილია I ს-ის 70-იან წლებში, იბერიის მეფე მითრიდატეს ეწოდება “კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობარი“. ფაქტი, რომ რომის იმპერია, იმჟამინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფო, თავის მეგობრად მიიჩნევდა იბერიას, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ამას უკვალოდ არ ჩაუღია, არა თუ უკვალოდ, არამედ ამ მეგობრობამ განადიდა და განაბრწყინა იმჟამინდელი საქართველო. გაიზარდა მისი საზღვრები, იბერთა მეფემ თავისი გავლენა განავრცო, გაძლიერებულმა მისმა არმიამ, მემატინანეთა ცნობით, რამდენჯერმე დაამრცხა პართიის ჯარი. საქართველოში I-II სს-ში გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, არქეოლოგიურ მონაპოვარი აჩვენებს იმპორტული მასალის სიუხვეს. ისტორიკოსთა დასკვნით რომის იმპერიასთან მეგობრობის



დროს I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, ამიტომაც რომელიც ისტორიკოსები ტაციტიუსი, დიონ კასიუსი და სხვები თავიანთ თხზულებებში ხალხისით უთმობდნენ ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას. შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი ეპოქის საქართველოს. რომის იმპერია-სთან მეგობრობის ნიშნად რომში სტუმრად მიიწვიეს იბერთა მეფე ფარსმან ქველი, იგივე ფარსმან II (134 წელს იმპერატორ ანტონიუს პიუსის დროს), სადაც ის დიდი პატივით მიიღეს, რომში დაიდგა იბერთა მეფის ფარსმან II-ის ცხენოსანი ქანდაკება, ამასთანავე ისტორიკოსის ცნობით იმპერატორს გაუფართოვებია იბერიის საზღვრებიც. ქართველმა ხალხმა მაღლიერების ნიშნად ფარსმან მეფეს “ქველი” უწოდა თავისი გულმოწყალების გამო, ის იყო წინაპარი საქართველოს მეფე რეგ მართლისა, რომელსაც III ს-ის დასაწყისში წყაროს ცნობით – უკვე მოსმენილი ჰქონდა წმიდა სახარება – “სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აქვნდა რამე სიყვარული ქრისტესი” (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 58).

არანაკლები სიდიადე მოიპოვა საქართველომ ათასი წლის შემდეგ, XII ს-ის დასაწყისში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს. იმაჟამად, თურქ-სელჯუკებისა და ეგვიპტელების გავლენის ქვეშ მოექცა პალესტინის წმიდა ადგილები. ამასთანავე, ბიზანტიის იმპერია თურქ-სელჯუკებმა ძლიერ დაამარცხეს და შეუტიეს საქართველოს. თურქ-სელჯუკები, რომელთაც ბიზანტია დაამარცხეს უთუოდ საქართველოს საბოლოო დამარცხებასაც შეძლებდნენ. ამ დროს საქართველოს ესაჭიროებოდა ისეთი დამხმარე ძალა, რომელიც შეძლებდა თურქ-სელჯუკების ყურადღების გადატანას საქართველოდან სხვა მიმართულებით. მართლაც, ქართველთა მემკვიდრის თქმით ეს შეძლეს ევროპელმა მეფეებმა, როცა ჯვაროსნულმა მოლაშქრეებმა თურქ-სელჯუკებს შეუტიეს მცირე აზიასა და წმიდა მიწაზე. შეიქმნა ერთიანი ფრონტი ქრისტიანობის დასაცავად. ჩვენი მემკვიდრე დავით აღმაშენებლის წარმატებებსა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების დაწყებას უკავშირებს ამ პროცესებს. ის წერს – “ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღვთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიხამთრებდეს ქართლს” (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 325-326). მაშასადამე, დაახლოებით 1099 წელს საქართველოს აღორძინების დასაწყისად მიიჩნევა იმ ერთიანი ქართულ-ევროპული სამხედრო კოალიციის შექმნა, რომელმაც შეძლო თურქ-სელჯუკების საბრძოლო მიმართულების გადატანა საქართველოდან უფრო სამხრეთით პალესტინისა და მცირე აზიისაკენ, მემკვიდრის სიტყვით. მუსულმანთაგან გათავისუფლდა იერუსალიმი, წარმოიქმნა ქრისტიანული სამეფო იერუსალიმისა, რომლის მეფეც თვითონ ჩამოსულა საქართველოში დავით აღმაშენებელთან მოსალაპარაკებლად. დიდგორის სახელოვან ომშიც ჯვაროსანთა 500 რაინდის მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რაინდთა სამხედრო აღჭურვილობა და ბრძოლისუნარიანობა ამხნევებდა სხვა მებრძოლებს. დიდ დავით აღმაშენებელს მემკვიდრე “შეორე ალექსანდრე მაკედონელს” უწოდებს, რომელმაც შეძლო ქართველი ერის კონსოლიდაცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მეგობრული კავშირების შეკვრა ევროპის სამხედრო ძალებთან. მართლაც, XII ს-ის საქართველო ისევე ბრწყინავდა, როგორც ათასი წლის წინ ფარსმან II-ის დროს.

ზემოთ მოყვანილიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერების ვრცელი ეპოქები ეფუძნებოდა მეგობრობასა და მჭიდრო ურთიერთობას ევროპულ ქვეყნებთან.

საქართველოს ერის თავისთავადობის საყრდენი ათასწლეულთა მანძილზე იყო და ამჟამადაც არის მართლმადიდებელი სარწმუნოება. სიყვარული ამ ეროვნული სარწმუნოების მიმართ ვერ დაჩრდილა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამ XIX ს-ის დასაწყისში. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში “დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში” კარგად აღწერს, ნაბიჯ-ნაბიჯ, კეთილმეგობრობის ნიღბით, თუ როგორ აუქმებდა რუსეთის იმპერია საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ძირს უთხრიდა მისი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას. ბოლო



200 წლის მანძილზე რუსეთის მიერ ქართველთა შორის დაინერგა მრავალი ცრუ იდეოლოგიური წარმოდგენა. მაგალითად, ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოსდა ევროპული ცივილიზაცია მიუღებელია მართლმადიდებლობისათვის. ეს რა თქმა უნდა ასე არაა. სინამდვილეში მართლმადიდებელ ერთა და ქვეყანათა უმეტესი ნაწილი ევროპული სივრცის სრულფასოვანი წევრია. მაგალითად, მართლმადიდებლური ქვეყნები საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან, შესაბამისად ისინი თავიანთ თავს გრძნობენ უფრო დაცულად. მაგალითად, მე ბენდიერება მქონდა 80-იან წლებში მემოგზაურა საბერძნეთში და მომელოცა ათონის მონასტრები. იმჟამად, საბერძნეთი თითქმის ისეთივე განვითარების ქვეყანა იყო, როგორც საქართველო. მეორეჯერ, თითქმის 20 წლის შემდეგ, კვლავ ვეწვიე საბერძნეთს სხვაობა ძალზე დიდი იყო. საბერძნეთი 20 წლის მანძილზე გაძლიერდა და განვითარდა. როცა ვიკითხე თუ რა იყო ამის მიზეზი განაცხადეს, რომ შევედით ევროკავშირში და მისგან მიღებული უდიდესი ეკონომიკური მხარდაჭერის შედეგად სახეზეაო. ასე, რომ მართლმადიდებლური ქვეყნების უდიდესი ნაწილი ევროპული სივრცის წევრია, ისინი ამჟამად ვითარდებიან და იფურჩქნებიან. ამავე სივრცის ნაწილი იყო ძველთაგანვე საქართველო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყანა მსგავსად ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერძნეთისა, კვლავ დაუბრუნდება მის მშობლიურ ევროპულ სივრცეს, რომლის ნაწილად მიაჩნდა მას თავისი თავი ათასწლეულთა მანძილზე.

მართალია, საქართველო ძველთაგანვე იყო ბუნებრივი ნაწილი ევროპული სივრცისა, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მას გააჩნდა თავისი საკუთარი ეროვნული იდენტობა – საკუთარი კულტურა, რომელიც ეფუძნებოდა ქართულ ენასა და დამწერლობას. ქრისტიანობა ქართველმა ერმა მიიღო საკუთარ, მშობლიურ ქართულ ენაზე და არა უცხო, იმჟამად საერთაშორისო ბერძნულ ანდა ლათინურ ენებზე. ქრისტიანული კულტურის განვრცობა ევროპაში გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი ეტაპი იყო. ეს კულტურა მთლიანად მიიღო ქართველმა ერმა, მაგრამ გარდაქმნა ის საკუთარი ეროვნული კულტურის ქურაში და შედეგად აღმოცენდა ეროვნულ-ქართული ქრისტიანული კულტურა, რაც ქართველი ერის თავისთავადობის, მისი იდენტობის საფუძველი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდნენ თაობები ქართველი სასულიერო მამებისა, მათ შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ათონის ივერთა მონასტრის სასულიერო კერა, რომელმაც შეძლო უვრცელესი ბერძნული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გადმოღება თავისი ერისათვის.

ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ამჟამადაც გლობალიზაციის ახალი ტალღის ეპოქაში, ქართველმა ერმა თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები უნდა მიიღოს და გაითავისოს არა რომელიმე საერთაშორისო ენის, არამედ ეროვნული ქართული ენისა და დამწერლობის საშუალებით. თანამედროვე ტექნიკური მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები ქართულენოვანი უნდა იყოს. ჩვენი მეზობელი ხალხები უფრო მომზადებულნი შეხვდნენ გლობალიზაციის თანამედროვე ტალღას. მაგალითად, ავიღოთ თითქოსდა უმარტივესი მობილური ტელეფონი – საქართველოში ამ ტექნიკური საშუალებისათვის ვიყენებთ ლათინურ შრიფტს, მაშინ, როცა ამისათვის აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყველა მეზობელ ქვეყანაში ეროვნული საანბანო შრიფტები გამოიყენება. ამის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოზარდი თაობის ერთ ნაწილს ლათინური ასოებით უფრო ემარჯვება აზრების ჩაწერა, ვიდრე ათასწლეოვანი ქართული შრიფტით. ეს თავზარდამცემი მომენტია.

ახლა არის მოწოდება საყოველთაოდ შევისწავლოთ საერთაშორისო ენები ინგლისური და რუსული და მათი საშუალებით ვეზიაროთ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას, ეს არის მცდარი გზა. ჩვენ გვაქვს წინაპრების კარგი მაგალითი, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ათონელი მამების დროს X-XI სს-ში საერთაშორისო ცივილიზაციის და გლობალიზაციის ენა ბიზანტიურ სამყაროში იყო ბერძნული, დასავლეთ ევროპაში კი ლათინური. მათი ცოდნის გარეშე თითქოსდა ვერავინ ეზიარებოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ათონელმა ქართველმა მამებმა სხვა გზა აირჩიეს, მათ ის კი არ



მოუწოდეს ქართველებს, რომ ყველას შეესწავლა ბერძნული ენა, არამედ თვითონ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ბერძნულენოვანი ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეობით გაათავისებინეს ქართველთა თაობებს. ამჟამად, საჭიროა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აღიჭურვოს ქართული შრიფტით, დაინერგოს საყოველთაო საკომპიუტერო თუ სატელევიზიო ქართულენოვნება და გლობალიზაციის ტალღა მივიღოთ ეროვნული იდენტობის სრული შენარჩუნებით. ასე უკვე იქცევიან აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, თუ არას ვიტყვით თურქეთსა და რუსეთზე, ბულგარეთსა და რუმინეთზე.

საბოლოოდ, უნდა ვთქვათ, საქართველო იყო და უნდა იყოს ნაწილი ევროპისა თავისი საკუთარი სახით, საკუთარი იდენტობით.



საქართველოს საპატრიარქოს „ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ მასალები

1. საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” მიზანი და ამოცანები
2. საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” მიერ განსაზღვრული აქტუალური სამეცნიერო პრობლემები
3. საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ
4. ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი კანონმდებლობის კომპლექსური დახასიათება
5. ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების არეალი
6. ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე
7. სამეცნიერო ენის განვითარების პრობლემატიკისათვის
8. ენის სტატუსის საკითხი საქართველოს სახელმწიფოში
9. „ვეროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოს ენობრივი პოლიტიკის საკითხები
10. თანამედროვე ქართული მასმედიის ენობრივი თავისებურებები (“ტექსტის აჩქარების” ფენომენისათვის)
11. რამდენიმე ტერმინის განმარტება



**უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია
მეორის 76-ე ბრძანებით (10.07.2009)
საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი
ქართული ენათმეცნიერების პრობლემური
საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი
კომისიის
მაცნე I
2009**



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



**CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA**

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq. , Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის”

(საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის)

მიზანი და ამოცანები

1. ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) მიზანია, ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შეისწავლოს:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების მდგომარეობა და ამ მხრივ არსებული სიძნელებები;

ბ) ქართული ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის საკითხები; ტერმინოლოგიური, თარგმნითი, მედიანის მწვავე საკითხები; თანამედროვე ტერმინოლოგიური, თარგმნითი თუ განმარტებითი ხასიათის ლექსიკონების ნორმატიული გამართულობის ექსპერტისასთან დაკავშირებული პრინციპები;

გ) იმპერიის მიერ განხორციელებული ეთნოწმენდის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის ზოგ რაიონში (დაღის ხეობა, გაღის რაიონი, ახალგორის რაიონი) დარჩენილი ქართველების ქართულენოვანი სკოლების მდგომარეობა, ზოგადად, ამ რაიონებში ქართული ენის დაცვისა და გავრცელების პრობლემები;

დ) მეზობელი იმპერიების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დროს (1555-1990) საქართველოში ჩამოსახლებული და კომპაქტურად დასახლებული არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ამ მოსახლეობის ენობრივ-კულტურული ინტეგრაციის პირობები;

ე) საგანმანათლებლო სფეროებში ქართულის სწავლების პრობლემები;

ე) არაქართულენოვანი დიასპორების ქართულ სახელმწიფოში ენობრივი ინტეგრაციის საკითხები და სხვ. მუდმივმოქმედი კომისია წარმოდგენილ საკითხებს განიხილავს თავის სხდომებზე და კომისიის მუდმივ და მოწვეულ (თემატურ) წევრთა მონაწილეობით:

- შეიქმნავენ მეცნიერულად დასაბუთებული სათანადო რეკომენდაციებს; შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან იმუშავებს ამ რეკომენდაციების შეთანხმებისა და რეალიზაციისათვის;

- საქართველოს ხელისუფლებისათვის ჩამოაყალიბებს რეკომენდაციებს “რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის” შესახებ;

- დაგეგმავს საქართველოსა და საზღვარგარეთ ქართული ენის პოპულარიზაციის გზებს.

2. კომისია მოწოდებულია, უხელმძღვანელოს ქართული (ქართველური) ენათმეცნიერების იმ პრობლემურ საკითხთა კვლევას, რომლებიც XIX-XX საუკუნეებში მუშავდებოდა და დღეს რუსეთის იმპერიისა და საბჭოური იდეოლოგიური გავლენებისაგან გათავისუფლებასა და, თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით, ახლებურ შეფასებას საჭიროებს; კერძოდ, ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა ენობრივი სიტუაცია საქართველოში (შეიცვალა მოკონტაქტე ენები, სწავლების ენები, საკანცელარიო და საერთაშორისო ენების როლი და გავრცელებულობა, საქართველოს ენობრივი სიტუაციის განმაპირობებელი დემოგრაფიული და ადმინისტრაციული რეგულირების პრინციპები და მიმართულებები, სხვადასხვა ეთნიკური თუ ასაკობრივი ჯგუფების ენობრივი კომპეტენცია, საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური გაერთიანებების დამოკიდებულება სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემათა მიმართ და სხვ.), რასაც უეჭველად ესაჭიროება საქართველოს სახელმ-



წივოს საშინაო ინტერესების, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება, საერთაშორისო პოლიტიკურ ატმოსფეროსთან შევჯერება და ამ კონტექსტში სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმარება.

3. ქართული საენათმეცნიერო სკოლების დიდი ღვაწლისა და დამსახურებების მიუხედავად, ჯერაც არის შეუსწავლელი (ან ნაკლებად შესწავლილი) საენათმეცნიერო საკითხები, რომელთა აღწერა და, შეძლებისდაგვარად, კვლევაც კომისიის მიზანს წარმოადგენს; მაგ., ამ რიგისაა ქართული სალიტერატურო ენის, როგორც ყოველთა ქართველთა საერთო ინტელექტუალური მონაპოვრის, როლისა და ადგილის განსაზღვრა ყველა კუთხის ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში და ქართული სამწიგნობრო (სალიტერატურო) ენის შექმნა-განვითარების საქმეში სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენა.

კომისია მოწოდებულია კოორდინაცია გაუწიოს სამეცნიერო მუშაობას ამ მიმართულებით.

4. მუდმივმოქმედი კომისიის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდა კადრების მოზიდვა; კერძოდ:

თანამედროვე პოლიტიკური ატმოსფერო დიდად განსხვავდება XIX-XX საუკუნეების ქართული (რუსეთის იმპერიის მიერ კონტროლირებული) “ჩაკეტილი” საენათმეცნიერო კვლევებისაგან. დღეს სამეცნიერო სივრცე გაფართოებულია, საზღვარგარეთის ქვეყნების მხრიდან სხვადასხვა მიზნითა და მიზეზით ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესება გაცილებით დიდია. სულ უფრო ძნელი ხდება მთელი სამეცნიერო ინფორმაციისათვის (ხშირად პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ინფორმაციისთვისაც) თვალყურის დევნება, შეფასება, მნიშვნელოვანი განცხადებებისა თუ დასკვნების გათვალისწინება და მათ თაობაზე დროული და სათანადო კომენტარების გაკეთება; გაჩნდა ახალი დარგები, თანამედროვე მეთოდები და მეთოდოლოგიები, მიმდინარეობს ინტერდისციპლინარული კვლევები; კომისია შეეცდება, მისთვის მისაღები საგანმანათლებლო პროგრამებზე მოიზიდოს სტუდენტები; კერძოდ, კომისია საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს დახმარებას გაუწევს შესაბამისი სტუდენტების მოძიების თვალსაზრისით. კომისიის წევრები დახმარებას გაუწევენ ახალგაზრდა სპეციალისტებს აქტუალურ პრობლემებზე სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების შექმნის პროცესში.

5. მუდმივმოქმედი კომისიის ერთ-ერთი მიზანია ქართველოლოგიური კვლევების გატანა საზღვარგარეთ. ამ მიზნით მუდმივმოქმედი კომისია მოიზიდავს უცხოელ თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველ სპეციალისტებს ქართული ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხებზე საშუაოდ და კოორდინაციას გაუწევს მათ სამეცნიერო საქმიანობას ინდივიდუალური პროგრამების ფორმატში. კომისია შეეცდება, საზღვარგარეთიდან მოიწვიოს და შესაბამისი განათლების მიღებაში დაეხმაროს უცხოელ ახალგაზრდებს; გარდა ამისა, ხელს შეუწყობს ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს კარგად დაეუფლონ უცხო ენებს, რათა შეძლონ უცხოეთში გაიტანონ აკადემიური ქართველოლოგიური კვლევები.

6. მუდმივმოქმედი კომისიის სტრუქტურა

კომისიაში გაერთიანებულია 10-მდე მუდმივი წევრი (წევრთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს) და თემატური საკითხების ანალიზთან დაკავშირებით კონკრეტულ პროექტში მოწვეული წევრები, რომელთა რაოდენობა განსაზღვრული საკითხის მიხედვით განისაზღვრება კომისიის მუდმივი წევრების მიერ.

კომისიის მუდმივი წევრები არიან სამეცნიერო გამოცდილებისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომელნიც შეიმუშავენ კომისიის სამეცნიერო მიმართულებებს, განსაზღვრავენ თემატურ პრიორიტეტებს, ამზადებენ კომისიის სხდომაზე გამოსატან მასალას, ამზადებენ და შეიმუშავენ დადგენილებას მიღებული დასკვნების გამოცემის, მსვლელობის მიცემის, ამა თუ იმ სახით რეალიზაციისათვის, ორგანიზებას უწევენ გამოსაცემი ნაშრომების რეცენზირებას, გეგმავენ და ატარებენ კონფერენციებს, გამოცემენ კომისიის მუშაობის ამსახველ პერიოდულ ბიულეტენებსა და კრებულებს.

კომისიასთან იმუშავენ მთარგმნელთა ჯგუფი (სპეციალური მოწვევით) და საორგანიზაციო-ტექნიკური პერსონალი (მუდმივად).

7. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პატრიარქის წინაშე.



**უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია
მეორის 76-ე ბრძანებით (10.07.2009)
საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი
ქართული ენათმეცნიერების პრობლემური
საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი
კომისიის
მაცნე II
2010**



საქართველოს საპატრიარქოს ანგარიშით “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია”

I. საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) მიერ განისაზღვრა შემდეგი აქტუალური სამეცნიერო პრობლემები:

- თანამედროვე მეთოდებით აღწეროს საქართველოში ენობრივი სიტუაცია;
- ისტორიულ დინამიკაში წარმოადგინოს საქართველოს მოსახლეობის ენობრივ-ენიკური სახე;
- ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ მომზადდეს კრებული, სადაც შევა დიდი სასულიერო და საერო მოღვაწეების მოსაზრებები.
- გაანალიზოს ენობრივი პოლიტიკა საქართველოში წარსულში და დღეს;
- წარმოაჩინოს ქართული სამწერლობო ენის ფუნქციონირების თავისებურებანი ქართველური იდიომების (ენა-კავების) მრავალფეროვნების ფონზე;
 - განსაზღვროს და სათანადო რეკომენდაციებით წარმოადგინოს არავტოქტონ მოსახლეობასთან დაკავშირებული ბილინგვური პრობლემატიკა;
 - საგანგებოდ შეისწავლოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საფრთხის წინაშე აღმოჩენილი ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები (ამ რეგიონებში გარედან ინსპირირებული სამხედრო კონფლიქტების ვითარებაში);
 - სისრულით წარმოაჩინოს საეკლესიო ენის როლი ქართველი ერის ისტორიული, ტერიტორიული და კულტურული მთლიანობის საქმეში;
 - შეისწავლოს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი თვითობის (იდენტობის) განმსაზღვრელი ფაქტორები; გარდა ამისა, რამდენადაც ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა არსებითად ენობრივ-კულტურული პოლიტიკის შედეგია და საქართველოში თავისი შედეგები მოიტანა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე უცხო სახელმწიფოს (რუსეთის სამეფო და საბჭოთა იმპერიების) დიქტატმა, შესასწავლია იმპერიული პოლიტიკის შედეგები; ამ მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია, სამომავლო საფრთხეების განჭვრეტაც.
 - აღწეროს საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა (ლაზების, ლივანელების, მაჭახლელების, იმერხეველების, ტაოელების, ფერეიდნელების, ფაცა-ამასიასა და ბურსა-ინეგოლში მცხოვრებ ქართველთა) ენობრივი კომპეტენცია, ენობრივი ორიენტაცია და ბილინგვური პრობლემები;
 - შესწავლილ იქნას საქართველოს ამჟამინდელ სახელმწიფოებრივ საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა (ლაზების, იმერხეველების, ტაოელების, პლასტუნკელების, ინგილოების...) ყოფი-სათვის ნიშანდობლივი ენობრივი სიტუაციები (ეს საკითხები თანამედროვე სოციოლინგვისტური მეთოდებით არასოდეს ყოფილა შესწავლილი);
 - აღწეროს მესხეთიდან დეპორტირებულთა და რეპატრიირებულთა ენობრივი კომპეტენცია და ენობრივი ორიენტაცია;
 - საელჩოების მონაცემთა მიხედვით აღწეროს XX საუკუნის 1992-2005 წლებში საქართველოდან მიგრირებულ ქართველთა რაოდენობა და, შეძლებისდაგვარად, ენობრივი თვითობის საკითხი;



- საერთაშორისო კვლევების შედეგების გათვალისწინებით და თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვროს თანამედროვე ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსი და სხვ.

საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) მიერ წარმოდგენილი ამოცანების განსახორციელებლად აუცილებელია:

- მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციონირებისათვის გამოიყოს ყოველთვიური მუდმივი დაფინანსება;
- სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად დაარსდეს სპეციალური საგრანტო ფონდი.

II. რეკომენდაციები, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის” (საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის) დასკვნების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქომ შეიძლება მისცეს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს მასმედის მესვეურთ:

1. საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის განუხრელად დასაცავად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელია, მაღალ დონეზე ისწავლებოდეს უცხო ენები (ევროპული ენები თუ მეზობელ სახელმწიფოთა სახელმწიფო ენები), მაგრამ პირველი რიგის ამოცანად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლება;
- სახელმწიფომ განუხრელად უნდა იზრუნოს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის დასაცავად;
- საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის მინიჭებისას წინა პლანზე უნდა დადგეს სახელმწიფო ენის ცოდნა;
- ოფიციალურად უნდა განისაზღვროს ქართული ენის ფლობის დონეები და მარალი თანამდებობების პირებსა და სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებს უნდა მოეტხოვოს შესაბამისი სერთიფიკატების ფლობა.

2. საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის ვისთვისაც დედაენა არ არის ქართული, შეიქმნას სათანადო პირობები, რათა მათ ქართული ენა ისწავლონ როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა (და არა, როგორც მეორე ან მესამე ენა);

3. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის გამო ბევრ უმაღლეს სასწავლებელში საერთოდ არ ისწავლება საქართველოს სახელმწიფო ენა, ბევრგან კი მინიმუმამდე შემცირდა ქართული ენის სწავლება და ინფორმაციის მიღება ქართულ ენაზე; საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისია რეკომენდაციას აძლევს განათლების სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის გათვალისწინებით მოხდეს მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება (პროფილის მიხედვით განისაზღვროს შესასწავლი საკითხების მოცულობა);

4. საშუალო სკოლებში, განსაკუთრებით არაქართულენოვან სკოლებში გაიზარდოს ქართული ენის საათები;

5. საქართველოს დიდი ქალაქების აბრები და სარეკლამო წარწერები ან ქართული არ არის, ან დარღვეულია საჭირო პარამეტრები; გარდა ამისა, მოუწესრიგებელია ქუჩების სახელწოდებების დაწერილობანი. აუვილებელია საგანგებო ღონისძიებების გატარება;

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ საგანგებო ყურადღება უნდა დაუწესდეს ტელევიზიის, ინტერნეტისა და პრესის ენას;

7. საბანკო მომსახურება გადადის ელექტრონულ ფორმატში; შესაბამისად, აუცილებელია ელექტრონუ-



ლი ქსელში დროულად მოგვარდეს დარგობრივი ტერმინოლოგიისა და ინტერნეტის ქართულის პრობლემები;

8. ხელი შეეწყოს საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირვეწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან არსებულ ქართველოლოგიის ცენტრს, მეტი ინტელექტუალური რესურსები მოიზიდოს ქართველური ენათმეცნიერების, ზოგადად, ქართველოლოგიის პრობლემური საკითხების კვლევის, ანალიზისა და სწავლებისათვის.

9. თანამედროვე, არასაბჭოური (დეპოლიტიზებული) სპეციალური სადოქტორო პროგრამების მომზადებით შეიქმნას აკადემიური ველი ქართველოლოგიით დაინტერესებული უცხოელობისათვის;

10. საპატრიარქოს ტელევიზიაში მომზადდეს სატელევიზიო გადაცემები ქართული ენის ისტორიისა და მისი ადგილობრივი სახესხვაობების, ასევე, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმების შესახებ; საპატრიარქოს რადიოში აღდგეს გადაცემა “ქართველური ენა და კულტურა”; შესაბამისად, ეთხოვოს კომისიის ყველა წევრს, თვეში ერთხელ მოამზადოს გადაცემა რადიო “ივერიაში”; საზოგადოებრივ არხზე მომზადდეს სატელევიზიო სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა: “ქართველთა ენა და კულტურა”;

11. საქართველოს ტელევიზიებს მიეცეთ რეკომენდაცია, მომზადდეს რადიო და სატელევიზიო გადაცემების ციკლი “მიტოვებული საქართველო”, სადაც საუბარი იქნება აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ტაოკლარჯეთის, ლაზეთის... შესახებ.

12. მომზადდეს სატელევიზიო პროგრამა და ვებგვერდები საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრები ავტოქთონი ქართველებისა და ემიგრანტი ქართველების შესახებ;

13. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით კომისიის წევრების მიერ მომზადდეს და ფონდის მიერ გამოიცეს პოპულარული ხასიათის ბროშურები; სასურველია საბჭოს ეგიდით ჩატარდეს მნიშვნელოვანი წიგნების განხილვები;

14. სასულიერო აკადემიისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თუ სკოლების პროგრამებში გადაიხედოს ე.წ. ქართიზაციისა და ე.წ. ქართველური ენების შესახებ არსებული დაუსაბუთებელი თეორიები; შესაბამისად, საპატრიარქოს სახელით ეთხოვოს განათლების სამინისტროს, საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სახელმძღვანელოებიდან ამოღებული იქნას მცდარი თეორიები ქართიზაციისა და ქართველური ენების შესახებ;

15. დაიგეგმოს საგანგებო ღონისძიებები ქართული სამწიგნობრო კულტურის პროპაგანდისათვის.



**უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია
მეორის 76-ე ბრძანებით (10.07.2009)
საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი
ქართული ენათმეცნიერების პრობლემური
საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი
კომისიის
მაცნე III
2011**



საქართველოს საპატრიარქოს “ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შესწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის”

(საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენის მუდმივმოქმედი კომისიის)

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ

1. XIX-XX საუკუნეში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ქართველური ენობრივი სამყაროს თაობაზე დღეს მოქმედი და გავრცელებული თეორიების ძირითად ნაწილს, საქართველოს დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა და რუსეთის იმპერიის მიერ სამეზის ანექსირებული და ოკუპირებული ტერიტორიის სახით არსებობდა (XIX საუკუნეში რუსეთის მფლობელობაში მოქცეული ნაწილი ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით იყო ადმინისტრირებული რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ); 1922 წლის გასაბჭოებამ საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აქცია (თუმცა ტერიტორიათა ნაწილი კვლავ ჩამოაკვეცა, ხოლო 1991 წლის ოკუპაცია-ანექსიის შედეგად დაიკარგა აფხაზეთი და 2008 წელს – ცხინვალის რეგიონი და კოდორის ხეობა).

2. ცხადია, მეცნიერება, კერძოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ენის პრობლემურ საკითხებს სწავლობდა, თავიდან ვერ აირიდებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა იდეოლოგიზებულობას, წარსულის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომლის საფუძველზეც რუსული თვითმპყრობელობა თავის ასიმილაციურ და კოლონიზაციურ პოლიტიკას უფრო ადვილად გაატარებდა. რუსეთის სამეფო მმართველობას ჯერ კიდევ ივანე მრისხანისა და პეტრე პირველის მეფობიდან მოყოლებული მოსდგამდა შორსმხმავალი გეგმების შედგენა ანექსირებულ ხალხებთან დაკავშირებით და ოდესმე მთელი ძალით ასამუშავებელი მექანიზმის ყოველი დეტალის თანამიმდევრული აწყობა-გარანდვა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს (და, ცხადია, არა მარტო საქართველოს) “ასათვისებლად” რუსეთს ერთი ეთნიკური წარმომავლობითა და იდენტობით, ენით, კულტურითა და ისტორიით შეკრული ქვეყნის დაქუცმაცება-დაშლის ღონისძიებათა თეორიული სარჩულის მომზადება და შემდეგ თანამიმდევრული დახასიათება ესაჭიროებოდა. ამ გზაზე ერთ-ერთი საშუალება მეცნიერების სფეროც იყო. რუსეთის უნივერსიტეტებსა თუ სამხელეო სამსახურებში თანდათან ჩნდებოდა აქამდე ქართული რეალობისათვის უცხო ცნებები და იდეოლოგიზებული ღირებულებები (ტერმინები: “ქართველური ენები”, “სხვადასხვა წარმოშობის ტომები”, “აღმოსავლეთი საქართველოს მიერ დასავლეთი საქართველოს ქართიზაცია”, “მეგრული მეცნიერი”, “ქართული ნაციონალიზმი”, ქართული დიალექტების თარგმნითი ლექსიკონები (მაგ., “მეგრულ-ქართული, მეგრულ-რუსული და სხვ.)).

3. ქართველოლოგიური დარგების თვალსაჩინო წარმომადგენლები, შეიძლება ითქვას, გმირულად იბრძოდნენ ქართველი ერისა და საქართველოს ერთიანობის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი გამაერთიანებელი ქართული ეკლესია XIX საუკუნის პირველივე წლიდან უდიდეს დევნას განიცდიდა, იგი მაინც რჩებოდა და რჩება მკვიდრად ნაგებ სიმაგრედ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების გზაზე. სწორედ ეკლესია ტვირთულობდა ეროვნული ფასეულობების,



მწიგნობრობის, მეცნიერების დამცველ კერად და ქართველ მეცნიერთათვის ისტორიული სამართლიანობის დაცვის ფუნქციას. დროს ქართული ენისათვის სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის განსაცდელი მოჰქონდა, რომელთა დაძლევა კარგად გააზრებული და ორგანიზებული მოღვაწეობა ესაჭიროებოდა და ესაჭიროება დღესაც:

4. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის არსებითი პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად ენობრივი სიტუაციის ღრმა გააზრება და სწორი ენობრივი დაგეგმვა დაჩნდება. მსოფლიოში დღეს არსებულ ენათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ სტატუსს ატარებს და მეტნაკლებად ემორჩილება სტატუსით განსაზღვრულ განვითარების კურსს. თუმცა პირიქითაც ხდება, სტატუსის მიუხედავად, ენათა გარკვეულ ნაწილს ვერ უხერხდება საკუთარი განვითარების გზის დასახვა.

5. ქართულ ენას საქართველოში სახელმწიფო და კულტურული ფუნქციონირების მუდმივი, უწყვეტი გზა აქვს გავლილი და დიდი იმუნიტეტიც აქვს გამომუშავებული (ეთნიკურ-ენობრივი კონსოლიდაციის დაშლა-დაქუცმაცების საფრთხის ვითარებაშიც კი) თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ვითარებაში წარმოქმნილი ისტორიული გამოცდილებისაგან თვისობრივად განსხვავებული სიძნელებები ძველს არა ჰგავს და ამიტომაც ქვეყნისაგან ახალი ტიპის სიფხიზლეს მოითხოვს. თუ წარსულში სახელმწიფოს მოწყობა საკუთარ, საშინაო საქმეს წარმოადგენდა (არაანექსირებული ქვეყნისთვის მაინც), დღეს ამ პროცესს უამრავი საერთაშორისო მეთვალყურე ამოწმებს და არცთუ იშვიათად, გეგმავს კიდევ. ცხადია, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამშვიდობო, დემოკრატიულ პროცესებში ძალიანაც კარგია, მაგრამ სახელმწიფომ თავს გაზარმაცების უფლება არ უნდა მისცეს და სხვების იმედად არ უნდა დატოვოს საკუთარი “საოჯახო საქმეები”.

6. საქართველოში ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დაცვა, მისი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირების (რეალური ფუნქციონირების) უზრუნველყოფა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთათვის საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური ინტეგრაციის პირობების შექმნა სწორედ საშინაო საქმეა და ის დიდი მეცადინეობით უნდა განხორციელდეს.

7. დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ვხვდებით, ტერმინთა უმართებულოდ ხმარებას, დეფინიციათა სიჭრელეს, ვისიმე დაჩაგვრის ბრალდებისადმი პანიკური შიშის გამო მიღებულ საზიანო გადაწყვეტილებებს. უნდა ითქვას, რომ სწორედ ახლა, როდესაც კონფლიქტურ რეგიონებსა თუ შესაძლო კონფლიქტების ზონებში ენობრივი პოლიტიკის საკითხები მწვავედ დგას და მუდმივად ისმის ისეთი გამოთქმები, როგორცაა “ფართო ავტონომია”, განსაკუთრებული სტატუსი”, “ენობრივი უმცირესობა”, “ენის კანონი” და სხვ., საჭიროა კარგად ვიცოდეთ ამ ტერმინთა შინაარსიც და მათი “მორგების” შემთხვევაში ის ღონისძიებები, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს თან მოჰყვება.

8. ენის სტატუსი თანამედროვე ჰუმანიტარულ დარგებში (იმის მიუხედავად, ეს ლინგვისტიკას აინტერესებს თუ პოლიტიკას), განიხილება ორ პლასტში: ენის იურიდიული სტატუსი (როდესაც საკანონმდებლო წესით, კანონმდებლობითაა განმტკიცებული ენის გამოყენება მოცემულ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემაში, მაგ., სახელმწიფო ენის სტატუსის დაკანონები ენისათვის) და ენის ფაქტობრივი სტატუსი (ენის რეალური გამოყენება, მისი ფუნქციური დატვირთვა. რაც შესაძლოა არც იყოს გაფორმებული კანონმდებლურად (მაგ., სსრკ-ში რუსულს არ ჰქონდა სახელმწიფო სტატუსი).

9. სახელმწიფო ენის სიძლიერისა და დაცულობის ხარისხი ქვეყნის მდგომარეობის განსასაზღვრად მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

10. კიდევ ერთი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტიც უნდა ვახსენოთ – ესაა თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ამ მომენტისათვის მოქმედი ტენდენცია, რომელიც უდავოდ



შესაფასებელია (თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რაოდენ მყიფეა ტენდენციათა ხანგრძლივობა): ნაციონალურ სახელმწიფოთა უმრავლესობის (მეტადრე სუსტი სახელმწიფოების) შინაგანი რღვევისა და საგუბერნიო-ფედერალური ორგანიზაციის გვერდით იქმნება ე.წ. რეგიონალური სტრუქტურები, რომლებშიც ნაციონალური სახელმწიფოს ყოფილი საგუბერნიო თუ ფედერალური სუბიექტები, შესაძლოა, დამოუკიდებლად ინტეგრირების მაღალ ხარისხს ფლობდნენ. ამ ვითარებაში რეგიონული ერთობისათვის შეთავაზებული ინტერნაციონალური ენები შესაძლებელია, საფრთხედ ექცეს ნაციონალურ სახელმწიფოთა შიგნით სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას.¹

11. ენის სამართლებრივი სტატუსი (ენის იურიდიული სტატუსი) განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს დამოკიდებულება ენის ან ენებისადმი. ზრუნველყოფილია კანონმდებლობით, თუმცა პრაქტიკულად ყოველთვის ვერ იძლევა ენის პრაქტიკული დაცულობის გარანტიას.

12. სპეციალისტები გამოყოფენ ენისადმი სახელმწიფო დამოკიდებულების ექვს საფეხურს: 1) ერთადერთი ოფიციალური ენა (მაგ., ფრანგული საფრანგეთში); 2) ერთობლივი ოფიციალური ენა (მაგ., ინგლისური და ფრანგული კამერუნში); 3) რეგიონული ოფიციალური ენა შტატის ან რეგიონისა ფედერალურ სახელმწიფოში; წახალისებადი ენა, რომელსაც არა აქვს ოფიციალური სტატუსი, მაგრამ რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ (მაგ., პიჯინი კამერუნში); 5) მოთმენილი ენა (მაგ., იმიგრანტების ენა); 6) შეკავებული ენა (ენა, რომლის განვითარება არაა წახალისებული მხარდაჭერილი). ქართულ ენას თვით კომუნისტური რუსული იმპერიის ფარგლებშიც კი სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნდა (ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლისა და ღვაწლის წყალობით (თუნდაც 1978 წლის 14 აპრილი) და დღეს ამ სტატუსისათვის ნებისმიერი ენის პრესტიჟისა და გავლენის დაპირისპირება არა მარტო დაუშვებელია, არამედ სახიფათოცაა და საზოგადოებრივი მღელვარების მაპროვოცირებელ ფაქტორადაც შეიძლება გადაიქცეს.

13. თანამედროვე საქართველოში ხანგრძლივი კომუნისტური მმართველობის კვალი დღესაც იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენის სტატუსს ფლობდა, მას კომპაქტურად მოსახლე არაქართველებზე არავითარი გავლენა არ ჰქონია. საბჭოთა რუსეთი, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფუნქციონირებას უზღუდავდა ქართულს, მეორე მხრივ კი, ქართული ენის მთლიანობის დაშლას ცდილობდა. ამ პოლიტიკის მიხედვით, რუსულს შეეძლო ყველა რუსისა და არაქართველის მეორე (ზოგჯერ – პირველიც) “დედაენა” ყოფილიყო, ხოლო ქართულს ყველა ქართველის საერთო ენად ყოფნა არ უნდა შესძლებოდა. ქართული ენის მნიშვნელობას ყველა კუთხის ქართველისათვის აკნინებდნენ და კუთხური მეტყველებებისათვის სტატუსის მინიჭებას ცდილობდნენ, ამგვარ ენობრივ პოლიტიკას სახელმწიფო ენობრივი ექსტრემიზმი (ლინგვისტური ექსტრემიზმი) ეწოდება; ესაა მისწრაფება, ერთი სალიტერატურო ენის ადგილზე შექმნან რამდენიმე სალიტერატურო ენა ცალკეული დიალექტისათვის ენის სტატუსის მინიჭების გზით. ჩვეულებრივ, ეს პროცესი ეროვნული სეპარატიზმის ფარგლებში მიმდინარეობს. დიალექტური დანაწევრების ხარისხი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა, ისევე როგორც ამ ენაში შემავალ იდიომებს შორისი მეტყველებების ხარისხი. კომისია მიიჩნევს, რომ ენობრივი ექსტრემიზმი გარედან თავს მოხვეული საფრთხეებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებულად საშიშია და შესაბამისი დარგების სამეცნიერო წრეების დიდ ყურადღებას იმსახურებს.

14. დღეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების არეალი შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზით:

- ა) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მიერ ამ ტერიტორიათა ოკუპაციის გამო;
- ბ) სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარკვეულ რაიონებში რუსეთის იმპერიის მიერ სხვადასხვა დროს არაქართულენოვანი ეთნოსების (სომხები, აზერბაიჯანელები) კომპაქტური დასახლებების შექმნისა და საგანგებო ენობრივი პოლიტიკის გატარების გამო;



15. კომისიის მიზანია დასახელებული რეგიონების ენობრივი სიტუაციისა და ამ სიტუაციის ამსახველი სამეცნიერო და ფსევდოსამეცნიერო მასალების შესწავლა და ქართული ენის ინტერესების დასაცავად მოღვაწეობა (რაც გულისხმობს ქართული ენის ფუნქციონირების მასტიმულირებელი და საკვლევე სამუშაოების გააქტიურებას).

16. ბოლო წლებში გლობალიზაციის პროცესის თანამდევმა მოვლენებმა – განათლებისა და მეცნიერების უკიდურესმა ინტერნაციონალიზაციამ, საერთაშორისო ენის სტატუსში ინგლისური ენის უალტერნატივო როლმა მთელ მსოფლიოში, და მოსახლეობის დიდმა მიგრაციებმა ქართული ენის პრესტიჟს გარკვეული საფრთხე შეუქმნა, რაც უმაღლეს ანაზღაურებად კონტინენტსა და მოსახლეობის გარკვეულ წრეებზე; ამის გათვალისწინებით, კომისია აუცილებლად მიიჩნევს ქართული ენის პოპულარიზაციასა და პრესტიჟზე ზრუნვას. საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა კუთხის ქართველთა ენობრივი გამოცდილებისა და შემოქმედებითი უნარის გათვალისწინებას ქართველოლოგიურ კვლევებში, ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში, სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში და სხვ.

17. ქართულმა ენამ უნდა მოიცვას ყველა ის სივრცე, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს შემოჰყვა ჩვენში (კომპიუტერის ენა, დარგობრივი ენები (ბიზნესის, სამართლის, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების, მედიცინის და სხვ.), რეკლამის, მედიისა და ა.შ.



მანანა ზაბიძე

**თანამედროვე ქართული მასმედიის ენობრივი
 თავისებურებები
 (“ტექსტის აჩქარების” ფენომენისათვის)**

ბოლო ხანებში ქართული ტელევიზორე დაიპყრო სწრაფმა მეტყველებამ. სარეკლამო დროის მოთხოვნებით არგუმენტირებული სიჩქარე ჩვენს სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საინფორმაციო და შემეცნებით გადაცემებს შეეხო და არა თავად რეკლამას, რომელიც ხანგრძლივი, დეტალიზებული ახსნა-განმარტებებითა და ვიზუალური ეფექტებით გაჯერებული, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ერთი მხრივ, რეკლამის ენაზე, რომელიც სრულიად სპეციფიკურ ფუნქციონალურ სტილად ყალიბდება, ხოლო მეორე მხრივ, ტელეგადაცემათა ენაზე, რომელიც კარგა ხანია ბეჭდვითი მედიის ფუნქციურ სტილს გამოეყო და დამოუკიდებელი ფუნქციური სტილის, თუ ქვესტილის სახე მიიღო. “ტექსტის აჩქარების” ტენდენციამაც სწორედ აქ პოვა თავისი განვითარება.

შეიძლება თუ არა “ტექსტის აჩქარება” განხილული იქნას არა მხოლოდ სარეალიზაციო დროით შემოსაზღვრულ მოვლენად, არამედ დროით განპირობებული სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების ერთობლიობად და შესაბამისად, ამ ფუნქციური სტილის (ქვესტილის) მთავარ თავისებურებად? რა სიმპტომები იკვეთება ქართულ ტელევიზორეში ჟურნალისტური ტექსტის “აჩქარების” თვალსაზრისით?

1. ზეპირი ტექსტი საინფორმაციო გადაცემებში იკითხება შემჭიდროებულად, სწრაფად და უწყვეტად. ტექსტის შემჭიდროება ძირითადად ხდება პაუზის ხარჯზე. პაუზა, რომელიც, ჩვეულებრივ, პუნქტუაციისა და ლოგიკური მახვილის მიხედვით კეთდება, “ტექსტის აჩქარებისას” აღარ მუშაობს, შესაბამისად, იკარგება ლოგიკური მახვილი, აღარ აღიქმება პუნქტუაცია, ხოლო ტექსტის გამომსახველობა იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს ეყო ერთი ჩასუნთქვა ჟურნალისტს, და არა იმაზე, სად უნდა დასრულებულიყო ინფორმაციის ერთი ნაწილი და დაწყებულიყო მეორე. სუნთქვითი დილემა იწვევს მარცვალთა შემჭიდროებასაც, რაც ხმოვნების გაგრძელებისა და თანხმოვნების ჩაყლაპვის (მეტადრე, აბრუპტივების “დაბლაგვების”) ხარჯზე ხდება (საინფორმაციო გადაცემათა აუდიოჩანაწერების მიხედვით).

2. სამეტყველო გამომსახველობითობის “ჩაქრობა” გავლენას ახდენს თავად საინფორმაციო ტექსტის აგებულებაზეც (კლებულობს ე.წ. დამხმარე სიტყვების რაოდენობა; სულ უფრო იშვიათად გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორცაა: ცხადია, რასაკვირველია, თუმცა, საყურადღებოა, სავარაუდოა, როგორც ჩანს...). საინფორმაციო გადაცემათა პრეტენზია ობიექტურობაზე საგანგებოდ ამ მიზნით მოხმობილ ლექსიკაშიც იკითხება (განაცხადა, შეკრიბა, მოითხოვა, დაადგინა, მიიღო და სხვ.); უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტურობის ილუზიას აძლიერებს ვნებითი მოქმედებითან შედარებით, ან აღწერილობითი ვნებითის ფორმები ორგანულ წარმოებასთან შედარებით (გაცხადდა, შეიკრიბა, მოთხოვნილ იქნა, დადგინდა/დადგენილ იქნა, გაკეთებულ იქნა და სხვ.);

3. საინფორმაციო ტექსტის “აჩქარების” ეფექტს ნასესხობათა სიმრავლაც აძლიერებს. ჟურნალისტი თითქოს ვერ ასწრებს სათანადო ეკვივალენტის მოძებნას “სამეტყველო გარბენისას” და დაუთუშავებელ ლექსემას ან ფრაზას გვაწვდის, როგორც სასწრაფოდ წარმოსათქმელს; ამით რამდენიმე შედეგის მიღწევას ღამობს: ა) იმდენად სასწრაფოა, რომ ვერ მოიცალა ტექსტის გამართვისათვის; ბ) იმდენად ობიექტურია, რომ არამცთუ გაყალბება, გასწორებაც კი ვერ მოესწრო; დ) იმდენად მნიშვნელოვანი და უტყუარია, რომ სპეციალური ტერმინების გარეშე ვერ გამოითქმის.

4. ტექსტის აჩქარებას კლიშეც უზრუნველყოფს; ერთსა და იმავე ყალიბში იცვლება მხოლოდ რამდენიმე ინფორმაციული დეტალი, შესაბამისად, სტანდარტული ტექსტობრივი ყალიბი (ან რამდენიმე პარალელური ყალიბი) მუდმივად მეორდება და მისი წაკითხვის ტემპს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.



5. აჩქარებულ ტექსტს დაქვეითებული აქვს მოდალურობა; ნეიტრალურია კითხვითი, ბრძანებითი, კითხვა-მახილის წინადადებების ულერადობა, რამდენადაც მომღვენო წინადადება წინა წინადადების დასასრულშივე იწყება.

როგორც ცნობილია, ტექსტსმიღობური კომუნიკაცია პარალინგვისტიკის შესწავლის სფეროს განეკუთვნება. ჟესტ-მიმიკა, ინტონაცია, მახვილი, პაუზა, აქცენტი, ფილერები და მათი წერილობითი ფიქსატორები (წერტილი, მძიმე, მოდალური ნიშნები, მრავალწერტილი, ფრჩხილები, ბრჭყალები და სხვ.) უაღრესად მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის. “სამეტყველო აჩქარება” ზეპირი მეტყველების პარალინგვისტიკური იმპროვიზირების საშუალებას არ იძლევა და კომუნიკაციის დისკურსული მთლიანობაც ვერ წარმოიქმნება, რაც ნიშნავს, რომ კონტაქტი ვერ განხორციელდა. რამდენადაც სამეტყველო ტემპის “გაუგონარი აჩქარება” საეთერო დროის შეზღუდულობას ბრალდება, პრაქტიკაში დაინერგა ე.წ. პირდაპირი ეთერის ფორმატი, როდესაც კომუნიკაციისთვის შედარებით ბუნებრივი გარემო იქმნება და ხშირად სტუდიაში მოწვეული აუდიტორიის ფონზე ჟურნალისტები კომუნიკაციური დისკურსის იმიტირებას ცდილობენ. მაგრამ ამგვარ გადაცემათა რაოდენობა განსაზღვრულია და ამასთან, პირდაპირი ეთერის ფორმატს ენობრივი (და არა მხოლოდ ენობრივი) შეცდომები ახლავს, რისი კორექტირება ვერ ხერხდება და, შესაბამისად, მეტყველებაში დაშვებული შეცდომები უამრავ ტელემეფურებელს ესმის.

“აჩქარდა” წერილობითი ტექსტიც. პროფესიონალი ჟურნალისტები, რომელთა რაოდენობაც კატასტროფულად შემცირდა, აღარ წერენ ანალიტიკურ სტატიებს, ხოლო საინფორმაციო სტატიებმა სარეკლამო განცხადებების სახე მიიღო (სათაური დაემსგავსა დევიზს ან სარეკლამო დაძახილს), რამაც შეცვალა საგაზეთო სტატიის სტრუქტურაც და სემანტიკურ-სტილური ორიენტირებიც.

ჟურნალისტისა და აუდიტორიის (მსმენელისა და მკითხველის) ერთიანობა გამარტივდა. წარსულისაგან განსხვავებით, მასმედის პუბლიცისტიკაში ჟურნალისტი და აუდიტორია ერთმანეთთან საერთო ენას აღარ ეძებენ, არც ერთმანეთის “აღზრდას” ესწრაფვიან, მათ იპოვეს საფეხური, რომელზედაც ყველას შეუძლია დადგომა – მარტივი ლექსიკა, ფამილარული (და ზოგჯერ სკაბრეზულიც) ტონი, ნათქვამზე პასუხისმგებლობის მოხსნის ნიშნად ირონია (პუნქტუაციურად: სიტყვისა თუ შესიტყვებების ბრჭყალებში ჩასმა, მრავალწერტილების სიუხვე), დასკვნისაგან თავის შეკავება; სამაგიეროდ ტენდენციური გახდა ინფორმაციული მასალა, ფაქტების მოწოდებისას სულ უფრო მატულობს ჟურნალისტის (ან რედაქციის) სიმპათია-ანტიპათიის მამხილებელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია. უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის პრობლემებს ევროპისა და ამერიკის მოწინავე სახელმწიფოებმა უკვე დიდი ხანია, რაც თავი გაართვეს და მედიის ენობრივი ვარიანტების მეტ-ნაკლებად მკვიდრი ყალიბები შეიმუშავეს, რაც ტრადიციულობისა და კულტურულობის პეწს სძენს ისეთ ულტრათანამედროვე და დინამიკურ საქმიანობას, როგორსაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ეწევიან.

თანამედროვე ქართული მედიის ენა, ისევე როგორც თავად ჟურნალისტიკა, წარსულთან შედარებით სრულიად განსხვავებული პრობლემებისა და ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. და თუმცა ქართულ პერიოდიკას ორ საუკუნეზე მეტი გამოცდილება აქვს, სამწუხაროდ, თანამედროვე მედიაენა ამ გამოცდილებას დღეს ნაკლებად ითვალისწინებს. დროითი, ეპოქალური ცვალებადობა, ცხადია, ბევრ სიანხლეს გვთავაზობს, მაგრამ გაუმართლებელია ყოველი ცვლილებისას ყველაფრის თავიდან დაწყება. ქართულმა პერიოდიკამ განვითარების დიდი გზა განვლო და არა ერთი ძნელად გადასაჭრელი საკითხი გადაჭრა. ქართულმა ენამაც მოახერხა პრესისათვის (მოგვიანებით, ელექტრონული მედიისათვისაც) თავისი ფუნქციური სტილის ჩამოყალიბება (ფუნქციურ სტილში დღეს ხშირად დარგობრივ ენასაც გულისხმობენ, ანუ გაზეთის ენას, ან ზოგადად მედიის ენას). ქართულ მედიაენას ენობრივი კონტაქტების ვითარებაში მოქმედების გამოცდილებაც აქვს (ჩვენში გამოდიოდა ორენოვანი (ზოგჯერ სამენოვანი გაზეთებიც), ინტენსიურად ითარგმნებოდა საინფორმაციო მასალა სხვადასხვა ენებიდან. ჩვენში პრესის ენამ გაიარა ისტორიული კატაკლიზმებიც: მასში სხვადასხვა დროს მოწოდებული იყო სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლის, მსოფლიო ომების,



ტექნიკური პროგრესის კულტურული მიმდინარეობების მრავალფეროვნების ამსახველი მასალები, ამას კი ენის მხრივ ახალი ამოცანებისთვის მზადყოფნა და მოქნილობა ესაჭიროებოდა.

დღეს ჩვენში მედია უფრო მრავალფეროვანი და ინტენსიურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა; თვისობრივად შეიცვალა ინფორმაციათა ხასიათიც. უაღრესად გაიზარდა ე.წ. გარე ინფორმაციები, დაიტვირთა ახალი ამბები, გამძაფრდა საპოლემიკო სტატიები; გამოიკვეთა საზოგადოების პოლარიზებულიობა, იმატა დარგობრივმა მასალებმა (სულ უფრო ხშირად შეუქდება ფინანსური ცნობები), არნახულ მასშტაბებს მიაღწია რეკლამამ, გაფართოვდა პოლიტიკური საკითხების თემატიკა. საგრძნობია მედიის გენდერისაცა, მკითხველის ასაკის გათვალისწინებით მომზადებული მასალის თემატური (და ცხადია, ენობრივი) სპეციფიკურობა, თვისობრივად შეიცვალა იუმორი; გამწვავდა პოლიტიკური ოპონირების ფორმები. ენა აივსო ნასესხობებით.

ქართული ენის წინაშე დასმული ამ უდიდესი ამოცანების გადასაჭრელად კი ხშირად პროფესიონალიზმი და გამოცდილება არ ჰყოფნით ჟურნალისტებს. ამ მხრივ, ერთ-ერთი რთული საკითხი ჟურნალისტთა ენობრივი კომპეტენციაა.

ენა ღირებულებრივი სისტემაა. მას უხდება შეფასება ყველაფრისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება; შეფასებითი ლექსიკა-ფრაზეოლოგია ძალიან სწრაფად ძველდება და ცვთება. ყოველი გაკრიტიკებული და დაწუნებული მოვლენა თავისთავად “დაწუნებულთა” შორის აღმოაჩენს იმ ლექსიკასაც, რომელიც თავის დროზე ამ მოვლენის სახობოდ იყო გამოყენებული. ძალევე ცვთება სოციალური პოზიციების ამსახველი მარკერები; ამიტომაცაა, რომ ქართულში თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც შეიზღუდა, ან სულაც დასამარდა, ისეთი სიტყვები, როგორცაა: დამკვრელი/დამკვრელურად, მდივანი, პარიკმახერი, მაღაზია, გამგე, განყოფილება, გამყიდველი, ავტობიოგრაფია, მშრომელები, პარტაქტივი და სხვ.

მედია უპირველესი ილუსტრატორია იმ ტენდენციებისა, რომლებიც თავს იჩენს თანამედროვე ქართულში, კერძოდ:

1. მასმედია ასახავს საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას; მის წიაღში წარმოიშობა ახალი ენობრივი სტრატეგები: ქალაქის უბნებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით, პრესტიჟული ვარიანტების (თაობათა შორის), გენდერული, დარგობრივი ჟარგონები და ა.შ. (ტაბიძე, 2001 წელი: 93-95);

2. პრიმიტიულდება მასობრივი, სახალხო ენა; მედიასივრცეში თანდათან მკვიდრდება არასტანდარტიზებული ენა, სასაუბრო, არალიტერატურული ენა (ცოლლოქიყიად) ანუ ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც სალაპარაკო ენაში დაიშვება, მაგრამ, ჩვეულებრივ, აქამდე მიუღებელი იყო წერისათვის; გაღარიბებული ლექსიკის ფონზე უცნაურად ჩანს ე.წ. პრეტენზიული ენის გამოყენება (მაგ., ჩემი მშობელი (ჩემი მამა) მიიჩნევს, რომ ახალი ცნობების ყოველდღიურ დონას ახალი ამბების სააგენტოების საინფორმაციო წყარობიდან მიიღებს);

3. ჩვენი მედიისათვის დამახასიათებელია ორაზროვანი, ორჭოფული, არაპირდაპირი მეტყველება; ეს მოვლენა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები არასტაბილურობის ვითარებაში ჟურნალისტი უკანდასახვე გზას იტოვებს (მაგ., “[სამხედრო პირმა] განაცხადა, რომ რამდენიმე მშვიდობისმყოფელი კვლავ გაიგივდა მტერთან”, რაც დაახლოებით ასე უნდა გავიგოთ: სამხედრო წარმომადგენლის განცხადებით, მშვიდობისმყოფელებმა (ან მათი ხელშეწყობით, მტრებმა) რამდენიმე ბომბი დაუშინეს მოსახლეობას);

4. მედიის ენა აღარ ეძებს ევფემისტურ სიტყვებსა და ფრაზებს, სკაბრეზი მოდაშიც კი შემოვიდა;

5. მედიაენა არ არიდებს თავს (პირიქით, ამკვიდრებს კიდევ) პროფესიულ სტერეოტიპებს. (მაგალითად, “კარგი მდივანი ფლობს არა ერთ კომპიუტერულ სისტემას”);

6. წყდება თაობათა ენობრივი კავშირი, რამდენადაც ერთი მხრივ, მკვეთრად მცირდება წიგნის როლი, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ-პოლიტიკური და საგანმანათლებლო გარდაქმნების ფონზე მკაფიოდ გაიძიჯნა ერთმანეთისაგან თაობათა მიერ დეკლარირებული ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებები, გემოვნება და პრიორიტეტები, ანუ ყოველივე ის, რაც სწორედ ენობრივად ავლებს ზღვარს ამ თაობებს შორის;



7. აქტიურდება სემიოტიკური ნიშნების ფუნქცია;
8. ტექსტი სულ უფრო ლაკონიური ხდება;
9. მატულობს შემოკლებებისა და სიმბოლური ნიშნების გამოყენების ტენდენცია;

10. იგრძნობა უცხოური (ევროამერიკული) სამყაროთი გადაჭარბებული გატაცება (ქართული ტექსტის ნაბეჭდ ვერსიებში ლათინური ანბანის ჩართვა, უცხოური სახელებისა და სახელწოდებების ჩაწერა ინგლისურად, ნასესხები სიტყვების სიჭარბე, ლექსიკურ დუბლეტებში უცხო ტერმინებისათვის უპირატესობის მინიჭება, ინფორმაციული მასალის გადატვირთვა უცხოეთის საყოფაცხოვრებო წვრილ-მანებით, კალკების მოძალება და სხვ.).

ბურღიე მიუთითებს, რომ სოციალური ღირებულებები თანდაყოლილ ალღოს არ უკავშირდება, ისინი ისწავლება. ზოგი დაკვირვებით, მედია დღეს უფრო დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე, ვიდრე სკოლა და ოჯახი. მედიის მიერ კონოტაციური ცდომილებით გამოყენებული სიტყვა შესაძლოა სამუდამოდ მიეწეროს ადამიანს და საბედისწეროდაც კი განსაზღვროს მისი ცხოვრება (ამ რიგისაა მეტსახელები ან კნინობითი ეპითეტები).

ჩვენი მედიასამსახურები ცუდად იცნობენ მკითხველის (მაყურებლის) ენობრივი კომპეტენციას, ცუდადაა შესწავლილი მკითხველ-მაყურებლის სოციალური კუთვნილება და, შესაბამისად, მოთხოვნილებები და გემოვნება. ამიტომაცაა, რომ საგაზეთო ბიზნესის დაგეგმვას მხოლოდ მცირედნი თუ ახერხებენ; ხშირ შემთხვევაში გამოდის ახალი გაზეთის ერთი-ორი ნომერი და გაზეთი კვდება. არ არსებობს არც ერთი ორგანიზაცია, რომელსაც დაბეჯითებით შეუძლია გვითხრას დღეს გამოძავალი გაზეთების ზუსტი რაოდენობა, არავინ სწავლობს ენობრივი თვალსაზრისით ელექტრონულ მედიას.

პუბლიცისტური სტილი დამოუკიდებელ სტილად გამოიკვეთა მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან; შემდეგ იგი დაიყო სამ ვარიანტად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თავისი დისტინქტური ნიშანი, რომელიც მათ მიჯნავს და აერთიანებს კიდევ.

პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთ ვარიანტად მიიჩნევა რადიოსა და ტელევიზიის განვითარებასთან ერთად შემოსული სტილი, დანარჩენი ორი კი არის: ესე (მორალური, ფილოსოფიური, ლიტერატურული) და სტატია (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური) გაზეთებსა და ჟურნალებში (რ.სურგულაძე, 2001).

უმთავრესი ნიშანი პუბლიცისტური სტილისა, რომელიც მას სხვა სტილთაგან ცალკე აყენებს, არის მასაზე ზემოქმედების უნარი და “საქმიანობის” თავისებური ასპარეზი, გავრცელების სფერო; პუბლიცისტური სტილი არის კომუნიკაციის სპეციფიკური ფორმა, როდესაც მოლაპარაკე (ავტორი) თავის მიერ ინტერპრეტირებულ ინფორმაციას აწვდის მსმენელს, მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მკითხველის პოზიციას ამ საკითხზე. ამასთან პუბლიცისტური პროზა ჩვეულებრივი ინფორმაციისაგან განსხვავდება იმით, რომ უფრო ემოციურია.

მიუხედავად იმისა, რომ საგაზეთო პუბლიცისტიკის ენა სულ უფრო მეტ გამოცდილებას იძენს, დარგობრივი ენა (მედიაენა) სულ უფრო ღარიბდება. ჩვენს დროში გაზეთის ენას დაეტყო არაორგანიზებული ინფორმაციის ობიექტურობა, ადრესატის ინტერესები, კომპეტენცია, საზოგადოების ესთეტიკური გემოვნება სულ უფრო ნაკლებადაა გათვალისწინებული. ადრე უფრო ადვილად შეიძლებოდა გამოცნობა იმისა, თუ რა იცოდა მკითხველმა ან მსმენელმა, რა გემოვნება ჰქონდა მას, რას არ წაიკითხავდა და არ მოისმენდა... დღეს ეს კონტაქტი ადრესატსა და ადრესანტს შორის გაწყვეტილია (ანგუაგე ანდ 1999).

ამკარაა, რომ ამგვარი კონტაქტი დაირღვა ფართო აუდიტორიასა და პოლიტიკურ ლიდერთა შორისაც. ამიტომაცაა, რომ ორატორთა პოლიტიკური სიტყვები ვერ აღწევს ხალხის გულამდე. ამ რიგისაა: პარლამენტური დებატები, კონგრესები, შეკრებები, სადაც ყველაზე წარმატებულ “მოუდ” ის მიიჩნევა, რომელშიც “მხარეები” ერთმანეთს უყვირიან და ლანძღავენ, რადგან, საყოველთაოდ ცნობილია, კომუნიკაციის ეს ფორმა ყველაზე მეტ მაყურებელსა და მკითხველს მიიზიდავს. სხვა ყველა ცდა საზოგადოებასთან საერთო ენის გამონახვისა ნაკლებშედეგიანია. ერთადერთი ადგილი, სადაც აუდიტო-



რია ისმენს, ხოლო ორატორი მას მიმართავს დინჯად, გონივრულად და “კომუნიკაციური ეფექტების გარეშე”, არის ეკლესია.

ლიტერატურა

რ.სურგულაძე, პრაქტიკული პუბლიცისტიკა, თბილისი, იჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

მ. ტაბიძე, მასმედიის ენის სოციალური ბუნებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური კონფერენცია. მასალები, თბილისი, 2001 წელი.

Language and Society in Post Communist Europe. Edited By J. A. Dunn. Printed in Great Britain, 1999.

Kingsley Amis, The King’s English, A Guide to modern Usage, Harper Collins Publishers (77-85, Fulham Palace Road Hammersmith, London, W68JB), 1997.

MANANA TABIDZE

Tbilisi

Language Peculiarities of Contemporary Georgian Mass Media

(on the Phenomenon of Text “Speeding-up”)

The media are the first to illustrate the tendencies which are observable in the modern Georgian language, namely:

1. Mass media reflect the social differentiation of the public; new linguistic strata emerge in it: according to the city areas and social groups, the difference of prestigiousness of linguistic variants (between generations), gender, branch jargons, etc.;

2. The linguistic relation of generations is breaking, as on the one hand, the role of books is diminishing sharply, and on the other one, against the background of the social-political and educational transformations, moral-ethical values, declared by generations, taste and priorities, have been demarcated clearly, i.e. everything which exactly linguistically draws a boundary between these generations;

3. The mass, popular language becomes primitive; non-standardized, colloquial, non-literary language becomes gradually established in the media space; these are words and phrases which are admissible in speech, but so far have been usually unacceptable for the written language; against the background of the impoverished vocabulary the use of the so-called pretentious language seems strange (e.g. my father thinks that he will receive the daily dose of news from the information sources of news agencies);

4. Our media is characterized by the ambiguous, equivocal, indirect speech; this phenomenon must be explained by the fact that in the situation of instability of social-political views a journalist leaves a way to step back;

5. The language of the media no longer looks for euphemistic words and phrases; scabrous language has even come into fashion;

6. The media language does not evade (and even introduces) professional stereotypes;

7. The function of semiotic signs becomes active;

8. Text becomes more and more laconic;

9. The tendency towards the use of contractions and symbols increases;

10. The excessive passion for the foreign (Euro-American) world is observable (insertion of the Latin alphabet in the printed versions of a Georgian text, writing down foreign names and titles in English, abundance of loan-words, in lexical doublets giving preference to foreign terms, overburdening of information material with everyday life details of foreign countries, increased number of calques, etc.).



მანანა ტაბიძე

Национальный Центр Интеллектуальной Собственности

Языковые особенности современной грузинской массмедии

(феномен «ускорения текста»)

В последние годы в грузинском телепространстве появилась тенденция ускорения устного речевого потока. Это явление, аргументированное требованиями времени, в нашей действительности, особенно проявилось не в рекламных роликах, а в информационных передачах. В данной статье анализируется именно «ускорение текста» в своём фонетическом, морфологическом и синтаксическом проявлениях, и высказывается предположение, что ускорение речи оставляет свой след не только в устном, но и в письменном тексте.

Медиа является иллюстратором всех тенденций, которые имеют место в современном грузинском языке: 1) Появляются новые языковые страты, отражающие социальную структуру общества; 2) упрощается и вульгаризируется публичная речь; 3) усиливается двусмысленность высказывания; 4) язык массмедии редко ищет эвфемистические альтернативы для резких высказываний; 5) язык массмедии поощряет использование профессионализмов; 6) активизируется функция семиотических знаков; 7) текст становится все лаконичнее; 8) чувствуется увлечение Западом, появляются заимствования, не только лексические, но и оценочные и т.д.

Оценочная лексика-фразеология в такой мобильной среде, как газетный текст, постоянно подвергается изменениям. Характер этих изменений, обычно, в основном не лексическая (семантическая), а коннотационная. Эти коннотационные изменения настолько интенсивны, что журналистика едва поспевает за этим процессом в деле замены быстро устаревавшие слова-дефинициаторы новыми словами, со свежей коннотацией. Поскольку ускорилось изменение самого общества, социально-политического порядка, этических ценностей, то в новостях (и вообще в газете, в массмедии) всё чаще возникает необходимость замены буквально на днях установленных клише, замены текстовых акцентов прессы; но вскоре эти слова и словосочетания утрачивают свою позитивную сущность из-за переменчивости политической и социальной повседневности. Обычно, слова-маркеры, слова-символы и слова-оценочные, прикрепляясь к тем или иным объектам, явлениям или лицам, приобретают определённую, «узко ограниченную» коннотацию, которая в зависимости от переменчивости отношения общества к тому же объекту, явлению или личности, становится негативной или ироничной и уже не может служить позитивным маркером для новых объектов. Пресса вынуждена искать новые лексико-фразеологические средства для новых оценок, или реанимировать «хорошо забытые старые».



რამდენიმე ტერმინის განმარტება (მასალა აღებულია ლინგვისტური ლექსიკონებიდან):

ენობრივი რეგულირების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა ენისათვის სახელმწიფო, ოფიციალური, წახალისებული ენის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება. მაგ., დღეს რუსეთში სამართლებრივი სტატუსის მიხედვით ენები შემდეგი რუბრიკების მიხედვითაა დაყოფილი: სახელმწიფო, ოფიციალური, რუსეთის ფედერაციის ავტოქთონი მცირერიცხოვანი ხალხების ენები, განუსაზღვრელი გაურკვეველი სტატუსის ენები.

ენის სამართლებრივი სტატუსი (ენის იურიდიული სტატუსი) განისაზღვრება სახელმწიფოს დამოკიდებულება ენის ან ენებისადმი. უზრუნველყოფილია კანონმდებლობით, თუმცა პრაქტიკულად ყოველთვის ვერ იძლევა ენის პრაქტიკული მდგომარეობის გარანტიას.

ჰ. კლოსი (აშშ) გამოყოფს ენის მიმართ სახელმწიფო დამოკიდებულების ექვს საფეხურს: 1) ერთადერთი ოფიციალური ენა (მაგ., ფრანგული საფრანგეთში); 2) ერთობლივი ოფიციალური ენა (მაგ., ინგლისური და ფრანგული კამერუნში); 3) რეგიონული ოფიციალური ენა შტატის ან რეგიონისა ფედერალურ სახელმწიფოში; 4) წახალისებადი ენა, რომელსაც არა აქვს ოფიციალური სტატუსი, მაგრამ რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ (მაგ., პიჯინი კამერუნში); 5) მოთმენილი ენა (მაგ., იმიგრანტების ენა); 6) შეკავებული ენა (ენა, რომლის განვითარება არაა წახალისებული, მხარდაჭერილი).

იდიომი – ტერმინი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვაგვარ ენობრივ წარმონაქმნთა ნათესაობის გაგებას – ენა, დიალექტი, სალიტერატურო ენის ვარიანტები და სხვ. იდიომი არის საერთო, იერარქიულად უფრო მაღალი და ხარისხობრივად ნეიტრალური აღმნიშვნელი, რომელიც გამოიყენება როგორც ენის ნებისმიერი ტერიტორიულ-სოციალური სახესხვაობის, ისე ნებისმიერი ეროვნული ენის მიმართ, ეს ტერმინი მოხერხებულია ისეთი ენობრივი წარმონაქმნების მიმართაც, რომელთა სტატუსიც გაურკვეველია (მაგ., ყუბაჩური იდიომი). სოციოლინგვისტურ კონტექსტში ეს ტერმინი გამოიყენა დ. ბროზოვიჩმა (1967 წელს).

ენობრივი ანარქია ენობრივი საზოგადოების მდგომარეობა პოლიეთნიკურსა და მრავალენოვან საზოგადოებაში, როდესაც პრაქტიკულად აღარ არსებობს ენობრივი ურთიერთობის ცენტრალიზებული რეგულირება ამ სახელმწიფოს ფარგლებში. წარმოიშობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში ინტეგრაციული ტენდენციების დასუსტების პირობებში, ახლავს მაჟორიტარული ენის პრესტიჟის დაქვეითება და ენობრივი ნორმის წაშლა, ეთნიკური და ენობრივი კონფლიქტების გამწვავება ენის მტარებელთა შორის, რომელთაც სხვადასხვა სოციალური სტატუსი აქვთ, და რასაც მოსდევს ენობრივი საზოგადოების დეზინტეგრაცია.

ენობრივი ექსტრემიზმი (ლინგვისტური ექსტრემიზმი) – მისწრაფება შექმნან ერთი სალიტერატურო ენის ადგილზე რამდენიმე სალიტერატურო ენა ცალკეული დიალექტისათვის ენის სტატუსის მინიჭების გზით. ჩვეულებრივ ეს პროცესი ეროვნული სეპარატიზმის ფარგლებში მიმდინარეობს. მაგ., ზოგიერთი პოლიტიკოსი და ლინგვისტი ესწრაფვის კატალანური ენის ვალენსიური დიალექტის დამოუკიდებელ ენად აღიარებას.

ენის დიალექტური დაყოფა ტერიტორიულ ენობრივ წარმონაქმნებად. ტერიტორიულ სახესხვაობებს შორის მოცემული ეროვნული ენის შიგნით არსებობს იერარქიული მიმართებები: მაგ., რუსული ეროვნული ენა წარმოდგენილია ორი კილოთი (ჩრდ. და სამხრ.), ყოველი მათგანი იყოფა სხვადასხვა ტერიტორიულ დიალექტად, რომლებშიც შეიძლება გამოიყოს სამეტყველო ჯგუფები (მინიმალური ერთეულები). დიალექტური დაყოფა, უპ. ყოვლისა, მოსახლეობის ჯგუფების ტერიტორიული განყენების შედეგია, მას შესაძლოა ახლდეს (განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე) სოციალური დივერგენციაც.



დიალექტური დანაწევრების ხარისხი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა ისევე, როგორც ამ ენაში შემავალი იდიომების დაცილების ხარისხი.

ენის ვარიანტი

ენის ტერიტორიული დიფერენციაცია – ენის ტერიტორიული სახესხვაობების წარმოქმნა დიფერენციული პროცესების მოქმედების გავლენით და ენის დაშლა რამდენიმე იდიომად (როდესაც ენობრივი ინტეგრაციას ჭარბობს დივერგენცია). ტერიტორიული დიფერენციაციის პირველი საფეხური გულისხმობს ენის იმ ცალკეული ვარიანტული ელემენტების გაჩენას, რომლებიც განპირობებულია ენის მტარებელთა ტერიტორიული განყენებულობით. ვარიანტული ერთეულები სპეციფიკურნი არიან სხვადასხვა ტერიტორიული წარმონაქმნისათვის, რაც განასხვავებს მათ სალიტერატურო ენისა და ერთმანეთისაგან, წარმოდგენილია ლექსიკური ერთეულებით (ლექსიკური, ლექსიკურ-სემანტიკური დიალექტიზმები, ეთნოგრაფიზმები, ფონეტიკური თავისებურებები, გრამატიკული ვარიანტები. ენის ტერიტორიული ვარიანტები არ წარმოადგენს ჩაკეტილ სისტემებს მკვეთრი საზღვრებით, ამიტომ არსებობს ცალკეული დიალექტური მოვლენის გავრცელების (იზოგლოსების) ზონები, რის საფუძველზეც განისაზღვრება სხვადასხვა დონის ტერიტორიული სახესხვაობები. რამდენადაც ენის ტერიტორიული დიფერენციაცია ხანგრძლივი პროცესია, არსებობს ე.წ. შუალედური საფეხურები ამ ენის ტერიტორიულ სხვაობებსა და დამოუკიდებელ ენებს შორის, რაც ართულებს ამგვარი იდიომის სტატუსის განსაზღვრას.

ლინგვისტური კრიტერიუმი (ურთიერთგაგებინება) ასეთ შემთხვევებში არა არის საკმარისი, და ამ დროს პირველ ადგილზე გადმოიწევს სოციოლინგვისტური კრიტერიუმი – მოცემული ენობრივი კოლექტივის იდენტობა, კულტურულ-ისტორიული ტრადიციები და სხვ. იდიომის სტატუსის განსაზღვრის განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის “დიალექტური ჯაჭვები”(მაგ., რომანულ ენებში, ავსტრალიის ენებში), წარმოქმნილი როგორც უწყვეტი ტერიტორიულ-ენობრივი წარმონაქმნები, ამასთან, თუ მეზობელ “რგოლებში” განსხვავება მინიმალურია და ურთიერთობის დროს პრობლემები არ ჩნდება, სამაგიეროდ, ამ ჯაჭვის უკიდურესი პუნქტებისათვის ურთიერთგაგება გამორიცხულია.

ტერიტორიული დიალექტი – ენის არსებობის ფორმა, რომელსაც ახასიათებს ტერიტორიული მოზღაუდულობა, გამოყენების სფეროთა შემოსაზღვრულობა, და სხვა დიალექტებთან და სალიტერატურო ენასთან დაპირისპირება. ყოველი ტერიტორიული დიალექტი წარმოადგენს სისტემურ ენობრივ წარმონაქმნს, რომელსაც აქვს სიტყვაწარმოებითი ხასიათის დიდი და მცირე განსხვავებები ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური. ასე მაგ., კლასიკური გაგებით ასახავენ უპ. ყოველისა, ენის დაყოფას ტერიტორიული (გეოგრაფიული) პრინციპით, თუმცა, თანამედროვე პირობებში ამგვარი საზღვრები სუფთა სახით არც არსებობენ – სულ უფრო მეტად ხდება შერევა დიალექტის, სალიტერატურო მეტყველებისა და მდებიური მეტყველების ნიშნებისა. ამგვარი “ნახევარდიალექტები” ერთდროულად არიან ტერიტორიულიც და სოციალური ნაირსახეობებიც ენისა; ამ ენობრივ წარმონაქმნებზე მოსაუბრეთა მეტყველებას ახასიათებს სოციალური შრეობრიობაც და სიტუაციური განპირობებულობაც...

დიალექტთა დივერგენციის ხარისხი შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი. იდიომის სტატუსის, როგორც დამოუკიდებელი ენის, დადგენა ან მოცემული ეროვნული ენის ერთ-ერთი დიალექტისა წარმოადგენს რთულ ლინგვისტურ პრობლემას; მისი გადაწყვეტისას ითვალისწინებენ ისეთ საკუთრივენობრივ ფაქტორებს, როგორიცაა ურთიერთგაგებინება იდიომის მტარებლებს შორის, საერთო სალიტერატურო ენის მქონებლობა, სტრუქტურული განვითარების მიმართულებაში ერთიანობა და, აგრეთვე, იდიომის მტარებელთა ეთნიკური თვითშეგნების ფაქტორი.



მ. ჭაბიძე, მ. ნაჭყაბია

ომისუბეგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი კანონმდებლობის კომპლექსური დახასიათება

1993 წლის ომის შედეგად საქართველომ დაკარგა კონტროლი თავის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე - აფხაზეთზე, რამაც ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვი გადაჭიმა მთელ საქართველოზე.

აფხაზეთში განვითარებული სამხედრო კონფლიქტის სათანადო შეფასება ძალიან დიდი ხნით, თითქმის ორი ათეული წლით გაჭიანურდა, და დღემდე საყოველთაოდ აღიარებული და სამართლებრივად შეფასებული არც არის ამ ხანგრძლივი ომის დაწყების ჭეშმარიტი მიზეზები, საბაბი, მონაწილე მხარეების ვინაობა, იდეოლოგიური საფუძვლები, ეთნიკურ-პოლიტიკური და სამხედრო გარემოებები. საქართველოსთვის აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) წართმევის იდეოლოგიური საფუძვლების მზადების უაღრესად ხანგრძლივი და თანამიმდევრული პროცესი რუსეთმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჩაიფიქრა და დიდი მოთმინებითა და პროფესიონალიზმით დაამუშავა მეოცე საუკუნის განმავლობაში. ამ სამზადისის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ენობრივი კონფლიქტიც გახდა, რომელიც ჯერ უნდა მოაზრებულყო, დაგეგმილიყო, სათანადო კონტექსტით შემოსილიყო და მერე - ეტაპობრივად განხორციელებულიყო; ამ საქმეში რუსეთის ყველა რეჟიმმა შეიტანა წვლილი და საქართველოში ქართველებთან მცხოვრებ აფხაზთა ძმობა თანდათან მტრობად გადააქცია, მოხერხდა აფხაზთა იდენტობის ნაწილობრივი მოშლა, აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის გამოდევნა საკუთარი მიწა-წყლიდან, აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა, ენობრივ-კულტურული სიტუაციის შეცვლა, ეკონომიკური განვითარების შეფერხება და ა.შ.

ამჯერად ჩვენს სოციოლნგვისტურ კვლევას არ ვიწყებთ მეტ-ნაკლებად შორეული წარსულიდან, ჩვენი მოხსენების ფარგლებში შევჩერდებით მხოლოდ ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და აფხაზური ენის განვითარებისათვის „ახალ გარემოში“ შექმნილი პირობების ანალიზზე.

ამ ანალიზისთვის კი რამდენიმე საკითხი უნდა განვმარტოთ:

1) რუსეთისა და რუსული ორიენტაციის აფხაზთა მტკიცებით, ქართველები ავიწროებდნენ აფხაზურ ენას, აფხაზებს თავს ახვევდნენ ქართულ ენას;

მოგეხსენებათ, ყოველი ბრალდება ფაქტებით უნდა შემოწმდეს... ფაქტი პირველი: ომამდე აფხაზეთში (1970, 1979 და 1989 წლის აღწერების მონაცემებით) დედაენა იცოდა ყველა ეთნოსმა, მათ შორის აფხაზთა 97,8 %-მა, მეორე ენად კი, 1989 წლის აღწერის დროს, რუსული იცოდა აფხაზთა 81, 5 %-მა, ხოლო ქართული - 1,6 %-მა; ისიც საინტერესოა, რომ 1970 წელს რუსული მეორე ენა იყო აფხაზთა 59,8 %-ისათვის, 1979 წელს - 74, 7%-ისათვის, ანუ მაჩვენებელი იზრდებოდა რუსულის, და არა ქართულის სასარგებლოდ; მაშ, სად ჩანს აქ ქართულით აფხაზური შეზღუდვა?

2) ამავე იდეოლოგთა მტკიცებით ქართველები ზღუდავდნენ აფხაზური ენის ფუნქციონირებას სახელმწიფოებრივი ფორმატით გათვალისწინებულ ყველა სფეროში;

რა იგულისხმება სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების სფეროებში?

ენის სახელმწიფო ფუნქციონირება გულისხმობს მოცემული ენის სრულფასოვან მონაწილეობას სახელმწიფოს ოფიციალურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. ენის რეგულირებადი ფუნქციები: სახელმწიფოს მართვის, განათლების, მასობრივი კომუნიკაციების, საკანონმდებლო და სამართლებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. ენობრივი კანონმდებლობა არის ნაციონალურ-ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი მშენებლობის კონცენტრირებული გამოხატვის იურიდიული ფორმა. აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ მიიღო კანონი ენის შესახებ. საინტერესოა, რომ ეს კანონი მიიღეს



მხოლოდ 2007 წელს და არა მაშინვე, როდესაც ქართველთაგან დაცლილ ტერიტორიებზე აფხაზები იქ მოსახლე ან მოახალშენე სხვა ეთნოსებთან ერთად პირისპირ დარჩნენ.¹

ფუნქციონირებს თუ არა დღეს აფხაზური ენა სახელმწიფო ენის სტატუსის შესაბამისი სრულფასოვნებით? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ეძღვნება წარმოდგენილი მოხსენება.

2007 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებმა საბოლოო წაკითხვით მიიღეს „რესპუბლიკა აფხაზეთის ენის კანონი“, რომელიც ძალაში შევიდა გახეთ „რესპუბლიკა აფხაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნების მომენტიდან.

ჩვეულებრივ, ენობრივ პრაქტიკაში „ენის კანონის“ მიღებას ენობრივი სიტუაციის კრიზისულ მომენტებს უკავშირებენ; ანუ იქ, სადაც არ არის პრობლემები, ენის კანონიც არ არის საჭირო; მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: ენის კანონი დღის წესრიგში აყენებს პოლილინგვური საზოგადოების (არადა დღეს მსოფლიოში აღარ არსებობენ მონოლინგვური სახელმწიფოები) ენობრივი მოწყობის, ენობრივი წონასწორობის, სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის იდენტობის დაცულობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მხრივ გარანტიების საკითხებს. ანუ, ენის კანონის მიღება კი არ აწესრიგებს ლინგვოკულტურულ ატმოსფეროს, არამედ პირიქით, ისეთ პრობლემებსაც ააქტიურებს, რომელზეც საზოგადოებას აქამდე არც კი უფიქრია. ენის კანონს სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად აყალიბებს, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაშიც ამ კანონში ჩაიღო აფხაზთა ყველა ენობრივი ამბიცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის „ტერიტორიაზე“ აფხაზური არის ერთადერთი სახელმწიფო ენა, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ როლსა და ფუნქციონირების კონტექსტს შემდეგნაირად განსაზღვრავს: აფხაზური ენა არის აღზრდისა და სწავლების ენა; აფხაზეთის უმაღლესი სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების სამუშაო ენა, სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების გამოსაქვეყნებელი ენა, არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარების ენა, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამუშაო ენა, ოფიციალური საქმისწარმოების ენა, ოფიციალური მიმოწერის ენა, სამართალწარმოების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო უწყების ენა, სახელმწიფო ნოტარიალურ საქმისწარმოებაში, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მომსახურებისა და კომერციული საქმიანობის სფეროში, გეოგრაფიული სახელების, ტოპოგრაფიული აღნიშვნების, წარწერებისა და საგზაო მაჩვენებლების, დასახლებული პუნქტების სახელდებისა და სახელთა გადარქმევის სფეროში გამოსაყენებელი ენა.

ცხადია, ეს კანონი, ორიოდე სიტყვით მათაც იხსენიებს, ვინც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის - აფხაზეთის - მოქალაქეა და არ იცის აფხაზური, კანონის მიხედვით, მათ „ეძლევათ უფლებების დაცვის გარანტია“.

ვფიქრობთ, აფხაზური ენის განსაკუთრებული სტატუსი ორი თვალსაზრისით უნდა შეფასდეს:

- 1) რამდენად შეესაბამება ეს სტატუსი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორიას;
- 2) რამდენად ლოგიკურია ეს კანონი თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობისა და ენობრივი კომპეტენციის ფონზე.

	1989 წელს მოსახლეობის ბოლო საბჭოთა აღწერის მონაცემებით		აფხაზეთის მოსახლეობის 2003 წლის აღწერის მონაცემებით	
აფხაზეთის მცხოვრებლები სულ	525 061 კაცი		215 272 კაცი (1989 წლის მოსახლეობის 41%)	
ქართველები	239 872	45,6%	45 953	21,3%
აფხაზები	93 267	17,7%	94 606	44%
რუსები	74 913	14,3%	23 420	10,9%
სომხები	76 541	14,6%	44 870	20,8%
ბერძნები	14 664	2,8%	1 486	1%-ზე ნაკლები



ენციკლოპედია ბრიტანიკა 2007 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობას 180 000 ადამიანით განსაზღვრავს, საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფი კი 2006 წლისათვის ამ ტერიტორიის მოსახლეობად 157 000-დან 190 000-მდე კაცს ვარაუდობს (ან 180 000-სა და 220 000-ს შორის).¹

ამ მონაცემებიდან ჩვენთვის საინტერესო რამდენიმეა: 1. 1989 წლის აღწერის მაჩვენებლებთან შედარებით ომისშემდგომი პერიოდის აფხაზეთში რაოდენობრივად იკლო ყველა ეთნოსმა (ქართველებმა 193 919 კაცით, რუსებმა -51 493 კაცით, სომხებმა 31 871), მხოლოდ აფხაზებმა მოიმატეს რაოდენობრივად; ცხადია, ეს ცხრილი ერთ-ერთია იმ უამრავ ტენდენციურ ცხრილს შორის, რომელიც სადღეისოდ სხვადასხვა მიზნით ვრცელდება აფხაზეთში, მაგრამ ამ ტენდენციურ ცხრილსაც „უჭირს“ კრიტიკის გაძღვლა: როგორ ავსნათ აფხაზთა დემოგრაფიული აფეთქება, თუკი მათ ომის დროს ნამდვილად ისეთი ზარალი მიაღვათ, როგორსაც თავად აღწერენ? 2. აფხაზებს, მიუხედავად ამგვარი დემოგრაფიული სიტუაციისა, მაინც ვერ მიუღწევიათ საერთო მოსახლეობის ნახევარ ოდენობამდე, ეს კი საეჭვოს ხდის მათ მიერ მიღებული ენის კანონის სამართლიანობას: როგორ შეიძლება გარანტირებული იყოს ენობრივი უფლებების დაცვა ყველა აფხაზეთელისთვის ისეთ ვითარებაში, როგორშიც აფხაზურის არმცოდნეებს აფხაზურენოვანი საზოგადოებრივი გარემოცვაც კი არ ექნებათ (განსაკუთრებით, ქალაქებში, ან არააფხაზებით დასახლებულ რეგიონებში). 3. კანონის მიღებით მოგვარდა თუ არა აფხაზურის სახელმწიფო ენად ფუნქციონირების საკითხი მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნების ფონზე?

ამ ბოლო კითხვას უპასუხებს თავად ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში:

ა) რუსულმა ენამ აფხაზეთში განსაკუთრებული სტატუსი მიიღო უკვე 14 ნოემბერს, ანუ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ „ენის კანონის“ მიღებისთანავე; ეს ფაქტი შემდეგნაირადაა დაფიქსირებული: „აფხაზეთის სახელმწიფო ენა არის აფხაზური, ხოლო რუსული აფხაზურთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად.“² ანუ აფხაზებმა პირველივე ბრძოლა დათმეს და რუსულს ფუნქციონირების სივრცე გაუნაწილეს.

ბ) ყველა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს, გამოხატავს თავის უკმაყოფილებას აფხაზური ენის ფუნქციონირების შესაძლო გაძლიერების პერსპექტივასთან დაკავშირებით; განსაკუთრებით აქტიურობენ რუსები და სომხები. მაგალითისთვის ერთ მსჯელობას დავასახელებთ: “თუ ფიქრობდით, რომ რუსული სახელმწიფო ენა აფხაზეთში, ფრიად შემცდარხართ; თუმცა აფხაზეთის თითქმის ყველა მოსახლეს რუსეთის პასპორტი აქვს და, არსებითად, ყველა მათგანი რუსეთის მოქალაქეა, მაინც აფხაზეთის სახელმწიფო ენად აფხაზური მიიღეს... ხოლო 2015 წლისათვის რუსული მთლიანად გაძევებული იქნება აფხაზეთიდან.“³

ცხადია, რუსულის „გაძევებისა“ არავის ჯერა, მაგრამ ის, რომ ამაზე დისკუსია არ ცხრება, ფაქტია. რუსულისა და სომხურის დაცვაზე მსჯელობენ სომხებიც, რომელთა ინტერესი აფხაზეთის მიწა-წყლისადმი საყოველთაოდაა ცნობილი.

გ) აფხაზური ენის ფუნქციონირების გაფართოებას ხელს უშლის ეკონომიკური ფაქტორიც; როგორც აფხაზთა ოპონენტები მიუთითებენ (და მომხრეებიც აღიარებენ) ისეთი უტოპიური პროგრამის განვითარებას, როგორიცაა არააფხაზურენოვანი მოსახლეობის აფხაზურად განსწავლა, უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, შრომის გარდა ეს ძვირადღირებული საქმეა (საჭიროა აფხაზურენოვან მასწავლებელთა კადრები ყველა საგანმანათლებლო დონისათვის, მთარგმნელები, კანონშემოქმედნი, დარგობრივი ტერმინოლოგია, საგამომცემლო სისტემის ამოქმედება, ენის კურსების ორგანიზება, სახელმძღვანელოები აფხაზურ ენაზე და სხვ.), ამ თანხების მოძიება კი რთულია.

დ) „კანონმა ენის შესახებ“ 2010 წელს აფხაზეთის პარლამენტის რამდენიმე სხდომაზე

¹ Statistical Yearbook of Georgia 2005: Population, Table 2.1, p. 33, Department for Statistics, Tbilisi (2005)

² a b “Abkhazia.” Encyclopedia Britannica. 2008. Encyclopedia Britannica Online 09 Sep. 2008.

³ Abkhazia Today. The International Crisis Group Europe Report N°176, 15 September 2006, page 9.



გაიელვა, როდესაც სპიკერი და ვიცე-სპიკერი შეეცადნენ აფხაზურად საუბარს. თუმცა აფხაზური ენის დღევანდელი მდგომარეობა არაფრით სჯობს, თუ არ ჩამორჩება ამ ენის ე.წ. ქართულ პერიოდს, რომელსაც ასე დაჟინებით ებრძოდა და ებრძვის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრორუსული ხელისუფლება;

ე) აფხაზები აფხაზური ენის დღევანდელ კრიზისს ძველი ინერციით ისევ ქართველებს აბრალებენ, თუმცა უკვე 18 წელია უქართველებოდ ცხოვრობენ და ვითარება ვერ გააუმჯობესეს: იური კვიწინიას ანალიტიკურ სტატიაში, რომელიც მან 2011 წლის 24 ოქტომბერს გამოაქვეყნა,⁴ აღნიშნულია, რომ აფხაზური, იუნესკოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად, ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა ერთი მხრივ მუჰაჯირობის, მეორე მხრივ კი, ბერიას-დროინდელი ღონისძიების - აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანის შედეგად.

მცირე კომენტარი ამ რეპლიკის გამოც უნდა გაკეთდეს: 1) მართლაც მუჰაჯირობამ აფხაზურ ენოსსაც და ენასაც დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა მუჰაჯირობმა თურქეთშიც და სხვაგანაც (მაგ., აჭარაში მცხოვრები აფხაზები) დღემდე შეინარჩუნეს აფხაზური; 2) ბერიას „ღონისძიება“ აფხაზური ენის ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ სრულიად ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, რეფორმა გატარდა 1945 წელს (თუმცა ჯერ კიდევ 1937- 38 წლებში ცდილობდა კრემლი ამ ღონისძიების გატარებას, და იმ მომენტისათვის მოხერხდა კრემლის აქციის შეჩერება), 1947 წელს მას საპროტესტო წერილები მოჰყვა და ბოლოს უკვე 1954 წ. სახელდახელოდ შეიცვალა აფხაზური ანბანი და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“. „ალადგინეს“ ე.წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ აფხაზურად სწავლება შემოიღეს მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო V-X კლასებში სწავლება გადაიყვანეს რუსულ ენაზე. ყოველივე ეს, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. ლეჟავა, „четко обозначили возврат к прежней тенденции создания условий для обрусения абхазского населения и пресечения попыток их огрузинивания“.⁵ ი.კვიწინიას ლოგიკით, აფხაზური ენა 7 წელიწადში მსოფლიოს ენათა „წითელ წიგნში“ აღმოჩენილა.

ვ) თანამედროვე აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია აფხაზური ენის მწვავე კრიზისზე მიუთითებს. ისევ კვიწინიას დასახელებულ სტატიას მივუბრუნდებით, რადგან ამ სტატიაში მიუკერძოებლად და დასასიათებელი აფხაზური ენის თანამედროვე მდგომარეობა და ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში. მართალია, ეს ავტორი ქართველების მიმართ ასეთივე მიუკერძოებლობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ მისი გულსტკივილი აფხაზური ენის ბელზე იმდენად გადამდებია, რომ ჩვენ მის ანტიქართულ გამოთქმებს ამ შემთხვევაში უკომენტაროდაც კი დავტოვებთ. აი, რას წერს ი.კვიწინია: „იმედი, რომ სიტუაციის გამოსწორება დემოგრაფიულ ვითარებას შეუძლია, ვფიქრობ, მცდარია, თურქეთში ხომ აფხაზობა ნანევარ მლიონს აჭარბებს, მაგრამ იქ მდგომარეობა უარესადაა, რადგან ახალგაზრდობა კატასტროფულად კარგავს თავის მშობლიურ ენას... დემოგრაფიული პრობლემაც ნაკლებად რთული საკითხი როდია. ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას; რაც მალე, მით უკეთესია, მაგრამ გვახსოვდეს იმ ანდახასავით არ მოგვივიდეს: „სანამ ბალახი გაიზრდება, ცხენი მოკვდება!“ ეს იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ენის განვითარების საკითხები, და ისიც სახელმწიფო ორგანოებისა და ადმინისტრაციის

¹ Русский язык получил особый статус в Абхазии. 14.11. 07 23:15 Сухуми, Ноябрь 14 (Новый Регион, Всеволод Ягужинский)

² Если вы думаете, что русский - это государственный язык в республике Абхазия, то глубоко заблуждаетесь! Хотя почти все жители Абхазии имеют российские паспорта и, по сути, являются гражданами России, государственным языком Абхазии признан абхазский язык. А русский язык, наряду с абхазским, использовался в государственных и других учреждениях. Но в 2007 г. Парламент Абхазии принял закон “О государственном языке Республики Абхазия”. Согласно данному закону, в скором времени вся Абхазия должна заговорить на государственном языке. Причем, уже в 2008 году не менее половины вещания СМИ обязаны перевести на государственный язык. Иначе говоря, все не говорящие на государственном языке население должно срочно сесть за парты и осваивать государственный язык. При реализации закона “О государственном языке Республики Абхазия” к 2015 году русский язык будет полностью вытеснен из СМИ, государственных и местных органов власти. wignSi:”На отдых в Абхазию!!! Вся правда о том, что вас ждет!”



ხელმძღვანელთა (ადგილობრივიდან პრეზიდენტამდე) ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აფხაზები ქალაქებში, და არცთუ იშვიათად სოფლებშიც ერთმანეთში არამშობლიურ ენაზე ურთიერთობენ. მშობლები ფულს იხდიან, რომ სხვა ენა ასწავლონ შვილს, რომელმაც საკუთარი მშობლიური ენა არ იცის - ეს ნონსენსია, აი, რა არის სინამდვილეში სრული სიბნელე. არასოდეს არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს თავისი ერის, თუკი მან არ იცის ან არ ესწრაფვის მშობლიური ენის ცოდნას. ჩვენ გარშემო მრავალი მაგალითი გვაქვს მშობლიური ენის სიყვარულისა – ესენი არიან სომხები, ქართველები, მეგრელები და ბევრი სხვა, ვისი ბავშვებიც ჩვილობიდან იწყებენ დედაენაზე ლაპარაკს და მხოლოდ მერე სწავლობენ სხვა ენებს. ჩვენ კი ზუსტად პირიქითა გვაქვს. ეს რა, მათხოვრული თვითშეგნებაა, თუ რა? თუ ჩვენ ადრე საბჭოთა დროში, ქართული კოლონიზაციის დროს, აფხაზთა და მათი ენის მდგომარეობას სამართლიანად ვხსნიდით აფხაზი მოსახლეობის ქართველიზაციითა და აფხაზებისათვის მათი ენის გამოყენების აკრძალვით, მაშინ ვინ გვიშლის დღეს, როდესაც პრაქტიკულად ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში, როდესაც ქვეყნის მმართველობაში: აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლოს ძალაუფლებაში მხოლოდ აფხაზები არიან? ნუთუ მართლა არ გვესმის სიტუაციის ფორს-მაჟორულობა? გაიგეთ, დედაენის ბედი დამოკიდებულია დროზე, რომელიც ფაქტობრივად არ დაგვრჩა. ამ საკითხის გადაწყვეტის შემდგომი გაჭიანურება - ეს ენის სიკვდილია, შევძლებთ კი ჩვენ აფხაზები გლობალიზაციად სახელდებული იმ „მტრის“ დამარცხებას, რომელსაც არც სახე აქვს, არც სუნი, არც ფორმა. გლობალიზაცია, რომელიც კოსმიური სისწრაფით გვიახლოვდება. პრობლემა ჩვენშია. საკუთარ თავზე გამარჯვება - ნიშნავს გმირობის ჩადენას მშობლიური ენის, მშობლიური კულტურისათვის. აი, უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც აფხაზეთის პარლამენტს არ შეუძლია მიიღოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. თქვით, განა ეს დანაშაული არ არის? მაგალითად: ვინ უშლის ხელს ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელობას, თვალყური ადევნოს მალაზიების, დაწესებულებების, საწარმოების ყველანაირი აბრების გაფორმებას? ახალ ათონში ყოფნისას ვნახე, რომ ყველა საწარმოსა და დაწესებულების წარწერები მხოლოდ რუსულადაა. დამსვენებლები რუსეთიდან კითხულობენ: „განა ჩვენ აფხაზეთში არა ვართ, რა აფხაზებს საკუთარი დამწერლობა არა აქვთ?“ საწყენია!“ (ი.კვიციანია).

და ბოლოს, თავისთავად ის ფაქტი, რომ ეთნოსი თავის შიგნით განიცდის სტრესს ან ჰარმონიას, ხშირად არის განსაზღვრული ამ კოლექტივზე “გარედან” მოქმედი ფაქტორებით. ეთნოსური კოლექტივები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე. აქ ორი მომენტი: “ვრცელი საზოგადოება” და “საზოგადოება სივრცეში”. გასათვალისწინებელია ეთნოსის საზღვართა ცნებაში ენის ბუნებრივი მონაცემების, შესაძლებლობებისა და ფუნქციების შესაბამისობის საკითხიც. ეთნოსის ცვალებადობა ეთნოსის საყოფაცხოვრებო კონტექსტის ცვალებადობასაც გულისხმობს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის როლი. როდესაც აფხაზეთის მიწაზე ენობრივი ეკოლოგიური ბალანსი დაირღვა, ეს რღვევა უარყოფითად აისახა არა მხოლოდ ომის შედეგად აფხაზეთიდან გასულ (დევნილ) მოსახლეობაზე, არამედ იმათზეც, ვინც შინ დარჩა, მაგრამ ვისთვისაც დარღვეული ეკოლოგიური ატმოსფერო ჯანსაღი სულიერი საზრდოს მიწოდების წყაროს არ წარმოადგენს. როდესაც მინავლდება ყოველდღიურობისათვის ტონუსისმიმცემი მრისხანება, დაისადგურებს დეპრესია, რომლის ნიშნებიც უკვე სახეზეა - 1993 წელს გარეშეთა მიერ ინსპირირებულ ძმათამკვლელ ომში ნაომარ აფხაზებს აქვთ კანონი, რომლის ამოქმედებას 1997 წლიდან ლამობენ, მაგრამ იგი სრულიად უსარგებლო ჩანს დღევანდელი აფხაზობისათვის, რომელიც 2012 წელს დამოუკიდებლობის ილუზორული კონსტიტუციითა და რუსული პასპორტებით ხვდება.

¹ Юрий Квициния – Первый зам. Председателя Политсовета НПА, Исчезающий язык ; Категория: Аналитика ; Опубликовано 24 Октябрь 2011

² თ. გვანცელაძე, აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – ბედია (ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟურნალი), №6-7. თბ., 2000, გვ. 83. და ზ. პაპასჭირი, სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში XX საუკუნის 50-60-იან წლებში, <http://iberiana.wordpress.com/afxazeti/afxazuri-separatizmi/>.



მანანა ბაბიქა

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების არეალი

დღეს ენობრივი პოლიტიკის სფეროში საქართველოში სახელმწიფოებრივ დონეზე ხორციელდება ორი გრანდიოზული (ფინანსური და ამბიციური) პროექტი: 1.) ინგლისური ენის დანერგვა მთელი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და კულტურულ სივრცეში და 2) ქართული ენის დანერგვა საქართველოს ორი რეგიონის (ჯავახეთი და ქვემო ქართლი) რიგ ქალაქებსა და სოფლებში. ორივე პროექტი მასშტაბურია და კარგად დაფინანსებული, ორივე პროექტი ხანგრძლივია და მათი რეალიზაციისათვის (ზოგ შემთხვევაში კი წინასწარი მოკვლევებისაც) არაერთი დონორი ორგანიზაცია და სახელმწიფო ბიუჯეტის განმკარგავი უწყება ირჯება.

ამ ორი პროექტიდან ერთის წარმატება აშკარაა, სახეზეა ინგლისური ენის სწავლების ინტენსიური პროგრამები საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, ინგლისურენოვანი უნივერსიტეტები ან ფაკულტეტები, მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები და მრავალფეროვანი პედაგოგები – ადგილობრივი კადრებით დაწყებული და სხვადასხვა კონტინენტიდან მოჯარებული მასწავლებლებით დამთავრებული, ინგლისურენოვანი ტრენინგები, სასერტიფიკაციო კურსები, ინგლისურით განსაზღვრული სტუდენტობის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის უფლება, ინგლისურის მცოდნეთათვის დასაქმების ხელმისაწვდომობა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, ქართულ-რუსულ ტიტრებიანი ინგლისურენოვანი ფილმები მოსვენების ჟამს საყურებლად, ინგლისური ბარბარიზმების პრესტიჟულობა ცნობადი სახეების ცნობადი პირებიდან და ა.შ.

მეორე პროექტის ძვირადღირებული მოკრძალებულობა ამ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს: ა) რამდენიმე წელი იქმნებოდა და ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სკოლების დაწყებით კლასებში რიგდებოდა ქართული ენის ელემენტარული სახელმძღვანელოები, ბ) დროდადრო რომელიმე ღონისძიებით აღინიშნებოდა ქართულის სწავლებაში მიღწეული ის მცირე შედეგები, რომლითაც ამ რეგიონების საბიბლიოთეკები კონტინგენტი ბოლოს ისევ ლიმიტირებული წესითა და სომხურ-აზერბაიჯანული ტესტებით აკრიბეს უნივერსიტეტებში; გ) ამ რეგიონების მოსახლეობას ვერავინ ჰკადრა ქართულის კატეგორიულ აუცილებლობაზე საუბარი, თუმცა ინგლისური იქაც გულუხვად შევიდა და გულგამლითაც იქნა მიღებული; დ) ახლახანს ჩაისახა კიდევ ერთი ძვირადღირებული და უტოპიური პროექტი შერეული ენობრივი სწავლების შესახებ, რომელიც, ალბათ, კვლავ რამდენიმე წელს გასტანს...

ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვინმე შეგნებულად ეწევა ქართული ენის დისკრიმინაციას, მაგრამ ვითარების დიაგნოზირება მაინც აუცილებლად მიგვაჩნია: რატომ ვერ ისწავლა ორი რეგიონის მოსახლეობის ნაწილმა ქართული, თუნდაც იმ დონეზე, რომელზედაც მთელმა საქართველომ, ასე თუ ისე, უკვე ათივისა ინგლისური (ცოტა ადრე კი - რუსული)?

სად არის დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომები? რატომ აღმოჩნდა მთელი ქვეყნისთვის უფრო სასწრაფო ინგლისურის სწავლა, ვიდრე ორი რეგიონის მოქალაქეებისათვის - ქართულისა?

როდემდე უნდა გაჭიანურდეს არაქართველი მოქალაქეების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი ქართულ სახელმწიფოში? ჩვენდაუნებურად ხომ არ ვიმეორებთ იმავე პროცესს, რომელიც საბჭოური გლობალიზაციის ეპოქაში უკვე გავიარეთ? კერძოდ, მაშინ საქართველო თავისი მთელი მოსახლეობით უფრო ადრე ინტეგრირდა რუსულენოვან საბჭოეთში, ვიდრე მისი არასაბჭოთა ეთნიკური ჯგუფები ინტეგრირდებოდნენ ქართულენოვან ქართულ სახელმწიფოში; სწორედ ამგვარი ტემპისა და რიგითო-



ბის გამო იყო, რომ ქართველებსა და არაქართველებს შორის რუსული ჩაღდა შუამავალ (და საბოლოო შედეგით, -გამყოფ) ენად და არა - ქართული.

ჩვენს დროში ენობრივი პოლიტიკის საკვანძო მომენტს მრავალენოვანი საზოგადოების ლინგვისტური კონსოლიდაციის საკითხი წარმოადგენს. ამ თემას უკავშირდება სწორედ ბილინგვიზმისა და ბილინგვიური სწავლების მეთოდოლოგიებზე უსასრულო დებატები; ძნელია ენათმეცნიერებაში დავასახელოთ სხვა ისეთი ბუნდოვანი და სხვადასხვაგვარად გაგებულ ტერმინები, როგორცაა ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი, რომელთაც ლინგვოპოლიტოლოგიის მიერ ბრალდება ენობრივი დაპირისპირებები და მათზე დაფუძნებული პოლიტიკური კონფლიქტები. თუმცა რეალური ბილინგვიზმი იშვიათი მოვლენაა, და ქართული სინამდვილისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი.¹

საბჭოთა პერიოდშიც კი აღიარებდნენ სპეციალისტები, რომ ბილინგვიზმი, და თვით ენაც თავისი ბუნებით სოციალური მოვლენაა” (ა.ე. სუპრუნი), ანუ ბილინგვიზმი კულტურული და უფრო კი სოციალური ცხოვრების მდგომარეობაში, მონოფენომენს არ წარმოადგენს. ამერიკული სოციოლოგიის განმარტებით, ბილინგვიზმი არის “ორი ან მეტი ენის თანაბარი ლეგიტიმურობით გამოყენება სამუშაო ადგილზე ან სასწავლო დაწესებულებებში.” შვეიცერიისა და ნიკოლსკის განმარტებით კი: “ბილინგვიზმი – ესაა ორი ენის თანაარსებობა ერთი ენობრივი კოლექტივის ყოფაში, რომელიც ამ ენებს იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციურ სფეროში, იმის მიხედვით, თუ როგორი სოციალური თუ სხვა პარამეტრი ახლავს კომუნიკაციის აქტს. და ორივე ენა, ქმნიან რა ერთიან კოლექტივს, წარმოადგენს ერთიან სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემას და ერთმანეთისათვის ფუნქციურ დამატებას (Швейцер А.Д., 1978, 111);

ბილინგვიზმსა და მულტიკულტურალიზმს უძებნიან ბევრ დადებითს, ჩვენ ამ ჩამონათვალს აღარ გავიმეორებთ, მაგრამ შევჩერდებით სახასიათო მომენტებზე: ა) ჩვეულებრივ გამაშუალებელი ენების წარმომადგენელი ქვეყნები, სწორედ ენობრივი ჰეგემონიის შენარჩუნებისათვის ორენოვნებას საკუთარი საზოგადოებრივი სტაბილურობისათვის არა მარტო მხარს უჭერენ, არამედ იმასაც ესწრაფვიან, რომ სხვა ქვეყნებშიც თავად გაუძღვნენ და დაეგმონ ეს ენობრივი პროცესი; ბ) დიდი სახელმწიფოებისათვის ორენოვნება და მულტიენოვნება ფაქტია და არა არჩევანი, მით უფრო, რომ თავად სიდიდე ამ ქვეყნებისა ხშირად ავტოქოთონი ერებისა და მათი წილი ტერიტორიების შეკავშირების ხარჯზეა მიღწეული, ხოლო ორენოვნების პროპაგანდირება ჰეგემონი ენის სრულყოფილად ათვისებას გულისხმობს და ამ საკითხის წარმატებით უზრუნველყოფას ემსახურება; გ) სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზითა და სხვადასხვა სახით რეალიზებული ბი/მულტილინგვიზმი არ შეიძლება ერთსა და იმავე რეკომენდაციათა საფუძველზე განვითარდეს; ეს საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი და ადგილზე, სახელმწიფოს თავისებურებებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით უნდა იმართებოდეს; დ) ინდივიდისა და საზოგადოების ბი/მულტილინგვიზმი ერთგვარი არ არის; ის, რაც ინდივიდის ენობრივი არჩევანის (მათ შორის ბი/მულტილინგვიური) ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ თუ კულტურულ ასპექტებს შეეხება, არ უდრის იმას, რასაც კოლექტივის არჩევანთან დაკავშირებით შეიძლება გვემავდეს ვინმე.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა მიზნით ხდება დედაენის შენარჩუნებაზე ზრუნვა და რა მოიაზრება ამ ზრუნვის ქვეშ: თუ ქართველი საქართველოში ერთადერთი პასუხისმგებელია ქართული, როგორც მისი დედაენისა და როგორც სახელმწიფო ენის დაცვა-განვითარებაზე, სამაგიეროდ, სომეხი სომხური ენის დაცვა-განვითარების საქმეს სომხეთში ემსახურება, ხოლო საქართველოში იგი მხოლოდ ინდივიდუალური იდენტობის შენარჩუნების ფსიქოლოგიური ამოცანის წინაშე დგას. რაც შეეხება მოვალეობას, მას, წესით, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ქართველზე არანაკლებად უნდა მოეთხოვებოდეს ქართული ენის დაცვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ცოდნაზე.

სრულიად გაუგებარი ჩანს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურვილი ჩაკეტილ, ენობრივად



და ეთნიკურად უცხო ერთობად დარჩეს იმ ქვეყანაში, რომლის წევრიც არის და რომლის მკვიდრადაც სურს თავს აღიქვამდეს. რა არის ის მიზეზი თუ მიზეზი, რომელიც ამ საზოგადოებას ინტეგრაციის ამ უპირველეს და აუცილებელ პირობაზე უარს ათქმევინებს? რატომ არ მოხდა მაგ., საქართველოში სახელმწიფო ერთ იმ სივრცეების დაფარვა, სადაც ადრე რუსული მუშაობდა მინტეგრირებულ ენად (როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნისტური რეჟიმის გავლენით)? 1990 წლიდან, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამ დამოუკიდებლობას საქართველოს მაშინდელი ტერიტორიების მთელმა მოსახლეობამ რეფერენდუმით დაუჭირა მხარი, ახლა 18 წელიწადია გასული. ამ პერიოდში ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის, სახელმწიფო ენის, ათვისება ვერ მოახერხა არა მარტო “ძველმა” თაობამ, არამედ ამ წლებში დაბადებულმა და წამოზრდილმა თაობებმაც. რატომ ვერ ისწავლის ქართულ სკოლაში სომეხი ბავშვი (ცხადია, მისი მშობლიური ენა, როგორც საგანი, შეიძლება შეტანილი იყოს პროგრამაში, მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით), თუკი ქართველი ან სომეხი ბავშვი წარმატებით სწავლობდა საქართველოს რუსულ სკოლაში არცთუ შორეულ წარსულში, ან დღესაც ემიგრაციაში წასული ბავშვი ახერხებს ნებისმიერი უცხოური ქვეყნის სკოლაში სწავლას? ხომ არ არის ხელოვნურად გართულებული სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხი, რათა საჭირო შეიქნას მრავალრიცხოვანი სტრუქტურების, შპს-ების, არასამთავრობებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნა, თანხების გადასროლა-გადმოსროლა და ისედაც დაძაბული საზოგადოებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა ისედაც დაბეჩავებული ქართველი ხალხისათვის იმის ჩაგონებით, რომ მას კიდევ ერთი ან მეტი ახალი ეთნიკური, თუ ენობრივი კონფლიქტი ემუქრება.

მოვლენა, რომელსაც დღეს ბილინგვურ სწავლებად მოიაზრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უცხო ენაზე დამატებითი განათლების მიცემის გზით ბილინგვური განვითარების უზრუნველყოფას გულისხმობს. ეს მეთოდი ძალიან სადავოა და სპეციალისტთა აზრით, ჯერაც შეუძომწებელია პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით. ამასთან უადრესად ძვირადღირებულია. ახლა, როდესაც არასახელმწიფოენოვანი საზოგადოება ერთიანი შედეგნილობისად კი არ განიხილება, არამედ გარკვეულ ენობრივ კატეგორიებად იერარქირდება მაგ., მიგრანტები, დევნილები, დროებითი მიგრანტები, არაავტოქთონი ისტორიული მიგრანტები და სხვ. სახელმწიფო ენის ცოდნის დონის, ხარისხისა და დამოკიდებულების მთელი რიგი სოციო-ფსიქოლოგიური მოტივაციები აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. მართლაც გაჩნდა სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურა, რომელშიც მიგრაციული მოსახლეობის საკითხები, მათ შორის ენობრივი კომპეტენციისა და ენების სწავლის საკითხები, მრავალი ასპექტითაა განხილული. უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ მიმართულებით პროფესიული სამეცნიერო კვლევები ნაკლებად მიმდინარეობს და სახელმძღვანელო გამოცემებად ძირითადად თარგმნილი, უცხო სახელმწიფოებრივი მოდელისა და გამოცდილებისათვის შედგენილი წიგნები მიიჩნევა. ასეთი წიგნები ხშირად წინააღმდეგობრივია და მათი იდეალიზება გამართლებული არაა.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ენობრივი დისკურსი და ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების დაცვისაკენ მიმართული უდიდესი მიზანი; ხოლო საკუთარ თანამოქალაქეებს უნდა ვუთხრათ, რომ ბილინგვიზმი არ ნიშნავს ენის (არც ერთის და არც მეორის) სრულყოფილ

8 ბილინგვიზმი, როგორც მეორე ენისა და კულტურის ათვისების პროცესი (დღეს ამას ლინგვოკულტურას უწოდებენ), წარმოადგენს ლიდერი კულტურის მიმართ თანდათანობით ადაპტაციის თავისებურ დომინანტას, ამასთან აუცილებელი არაა, ამ დროს უარი ეთქვას საკუთარ ენობრივ იდენტობას, რითაც მეტ-ნაკლებად მისაღებ სოციალურ მოდელს სთავაზობს იმ ინდივიდებს, რომლებიც შედიან ახალ კულტურაში. და თუმცა ამგვარი პრაქტიკის კვლევას მიეძღვნა უამრავი სპეციალური გამოკვლევა, მაინც ჯერაც საკმაოდ დაუმუშავებელია ბილინგვური სოციალიზაციის პროცესში სოციალური დისტანციის განსაზღვრისა და პიროვნების კროსკულტურული ურთიერთგავლენის საკითხები. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, ბილინგვიზმი, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ვდებდეს ეს, უშუალოდაა დაკავშირებული საერთაშორისო ბაზარზე სახელმწიფოს კოკურენტუნარიანობის პრობლემასთან.



ცოდნას, რომ ბილინგვი ადამიანი შერეულად ფლობს ორ ენას და ვერავითარ წარმატებაზე ამ ცოდნით ვერ იოცნებებს. ამიტომ ბილინგვური სწავლების პროგრამა მომხიბვლელი სულაც არ არის. ქვეყნის მოქალაქემ სრულყოფილად უნდა იცოდეს ქვეყნის სახელმწიფო ენა, და მერე მეორე (ან მესამე და მეოთხე) ენად აითვისოს საკუთარი არჩევანითა და სახელმწიფოს დახმარებით შემოთავაზებული უცხო ენა, რომლის ცოდნაც მას ბილინგვად კი არ გადააქცევს, არამედ მცოდნე, განათლებულ ადამიანად. ეს არის საკუთარ სახლში მშვიდი და დაცული ცხოვრების, ხოლო გარე სამყაროსთან სრულფასოვანი ინტელექტუალური და ზოგადად ადამიანური ურთიერთობისაკენ მიმავალი გზა.

ლიტერატურა

1. Швейцер А.Д., Никольский Л.Б. Введение в социолингвистику. М.: Высшая школа. 1978.
2. Гукаленко О. В. , Левицкая И.Б., Проблема адаптации детей-мигрантов и их семей в многокультурном социуме/ Сборник трудов Первой Международной научно-практической конференции
“Теория, практика и перспективы образования, поликультурного воспитания, карьеры и интеграции беженцев, мигрантов и их детей в современном мире”
3. Червонных А.В. - *руководитель методобъединения*
4. Яхлакова Н.В. - *учитель французского языка / Билингвистическое развитие учащихся средствами дополнительного образования на иностранном языке*



მანანა ზაზიძე

ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე

თანამედროვე განათლების სისტემის დაგეგმვისას ევროპის მოწინავე ქვეყნები სულ ცოტა ორი უცხო ენის სწავლებაზე არიან ორიენტირებულნი. ჩვენშიც დიდია უცხო ენების შესწავლისადმი ინტერესი, ზოგჯერ ეს ინტერესი უკიდურესობამდეც მიდის. კერძოდ, უცხო ენის (მით უფრო ენების) ცოდნის ხარისხი ხშირად სხვა ყველა ცოდნაზე უპირატესადაც მიიჩნევა. ჩვეულებრივ სოციოლინგვისტიკა საზოგადოების ენობრივი ორიენტაციის განსაზღვრის მეშვეობით სასარგებლო რეკომენდაციებს სთავაზობს არა მარტო საგანმანათლებლო პოლიტიკას, არამედ თვით სახელმწიფო პოლიტიკასაც, რამდენადაც ეთნიკურ-ენობრივი მრავალფეროვნების კერებში კონფლიქტის რისკის განჭვრეტასაც ახერხებს და საფრთხის თავიდან არიდების გზებსაც სახაზს.

ენების სწავლებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო სისტემა რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, ესენია:

ა) კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით იმ ენების განსაზღვრა, რომელიც ერთაშორისი ურთიერთობის ენებად მიიჩნევა და სწავლების სისტემაში მათი ოპტიმალური განაწილება (ამ მხრივ დღეს პირველ ადგილზეა ინგლისური ენა, მომდევნო ადგილს ამ ბოლო დროს ფრანგული (ევროგაერთიანების ენა) იმკვიდრებს; გავრცელებულობის თვალსაზრისით, შუამავალ ენებად განიხილება ესპანური, გერმანული, იტალიური, რუსული...)

ბ) ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოს უცხო ენათა შესწავლის დაგეგმვაში აქვს საკუთარი პრიორიტეტები, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ენით ტრადიციულ დაინტერესებას მეზობელი სახელმწიფოს მიმართ სასაზღვრო, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტების ინტენსიურობის გათვალისწინებით (ამ მხრივ საქართველოსთვის ახლობელია რუსული, თურქული, ბერძნული ენების სწავლების საკითხი);

გ) მთელ რიგ სახელმწიფოებში საშინაო ენობრივი დაინტერესებისა და კომპეტენციის საკითხებიც იწვევს წინა პლანზე; კერძოდ, ქვეყნის შიდა ენობრივი სიტუაციაც შეიძლება იყოს ამა თუ იმ ენის შესწავლის სტიმული (მაგალითად, საქართველოში ამგვარი ენებია აფხაზური, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენები, ოსური და სხვ.)¹.

ამ კრიტერიუმთა გათვალისწინებით საშუალო განათლების დაგეგმვაში ენათა სწავლება ერთ-ერთ რთულ პრობლემად წარმოდგება, რამდენადაც მოსწავლეს ერთდროულად რამდენიმე (ორზე მეტი ენის ათვისების სირთულის წინაშე აყენებს. ამ სირთულის დასაძლევად კი მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, ენათა სწორი რაწეირება და მეორე მხრივ, ენათა სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტის ოპტიმალური გააზრება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, დამოუკიდებელ რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ “დამოუკიდებელ რესპუბლიკებს” მემკვიდრეობად ერგო მრავალენოვანი საზოგადოებების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. საბჭოთა კავშირი, რომელიც რუსეთის კომუნისტური იმპერიის ფარგლებში ერთიან პოლიტიკურ, სამხედრო-სასაზღვრო, ეკონომიკურ და კულტურულ კურსს ატარებდა, რუსული ენის გამამუალებელი (ბევრგან კი პრიორიტეტული) როლის

¹ თუმცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გახსნილი ე.წ. “ენის ცენტრების” სტატისტიკა ამ ენების შესწავლის მიმართ მაინცა და მაინც დიდ დაინტერესებას ვერ ადასტურებს.



მეშვეობითა და კომუნისტური იდეოლოგიით მჭიდროდ აღუღაბებდა რუსული ენის მომხმარებელ ხალხებს, რომლებიც თავად რესპუბლიკებს შიგნითაც ავტოქტონ, სატიტულო ეთნოსებთან ურთიერთობაში რუსულს იყენებდნენ; შესაბამისად, ეს მოსახლეობა სამოქალაქო სივრცეში რუსული ენით ინტეგრირდებოდა, ხოლო კერძო ურთიერთობებში თავის დედაენას მოიხმარდა. ამის შედეგია ის, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში, როდესაც რუსულმა ენამ სტატუსი შეიცვალა, ზოგან კი უცხო ენის სტატუსამდე “დაიწია”, არასატიტულო ეროვნებათა ენების ამარა დარჩენილი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას ის სახელმწიფო ენები “გადაეღობა”, რომელთა შესწავლაზეც (ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო) რესპუბლიკის მოქალაქეებს, მაგრამ არა სახელმწიფო ენის წარმომადგენლებს, არასოდეს შეუწყუხებიათ თავი. ამ მიზეზით შეიქმნა ამგვარ რესპუბლიკებში “ენობრივი დილემა”, რომლის დაძლევაც მხოლოდ გონივრული დაგეგმვით შეიძლება.

ამ საკითხებით, ბუნებრივია, დაინტერესდნენ ერთი მხრივ, საგანმანათლებლო სტრუქტურები, და უპირველეს ყოვლისა, განათლების სამინისტროს სპეციალური ინსტიტუტები, და მეორე მხრივ, პოლიტიკური და სოციალური სამსახურები, რომელთათვისაც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ეს ორი მიმართულება ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, მაგრამ ზოგჯერ, ამ მიზნის მიღწევის გზად სრულიად სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას ვარაუდობს; სამოქმედო სტრატეგიის მცდარმა არჩევანმა კი, შესაძლოა, სიკეთის ნაცვლად უარყოფითი შედეგი უფრო მოიტანოს.

მიყვებით ამ საკითხს თანამიმდევრულად:

1. მსოფლიოს ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში სახელმწიფო ენის ცოდნა თვით დროებითი მიგრანტისთვისაც კი დამხვედურ გარემოში ინტეგრაციის ერთადერთი გზაა. ნებისმიერი საშუალო ადგილი, რომელიც მეტ-ნაკლებად კომუნიკაციასაც გულისხმობს, მხოლოდ სახელმწიფო ენის მცოდნემ შეიძლება დაიკავოს, ეს ვალდებულებაა და ნებაყოფლობითი არჩევანიც. ასეთ შემთხვევაში მოსული მოსახლეობის (ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს მოსვლის დროს, რადგან რაც უფრო დიდი ხნის “მოსულია” მოქალაქე, მით უფრო ძნელდება იმ მიზეზების გამართლება, რომელთა გამოც არ ისწავლა მან “მიმღები” ქვეყნის ენა (სახელმწიფო ენა): მიმღები საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს საკუთარი სახელმწიფოსა და მისი ენის უპატივცემულობაზე; და რაც უფრო ხანგრძლივია მიგრანტის მოსულობის სტაჟი, მით უფრო გაუგებარია, რატომ არ გადადგა დაახლოებისაკენ ნაბიჯი მოსულმა? განა მისი მიზანი რაღაც სხვა იყო და არა ინტეგრაცია? ამგვარი ლოგიკის ფონზე მიგრანტთა ენისათვის რაიმე სტატუსის მინიჭება, მისი ერთენოვნებისაკენ საგანგებოდ წახალისება თუ ნომინალური ბილინგვიზმის სტიმულირება მას “მიმღებ” სოციუმთან კი არ დაახლოებს, არამედ დააშორებს. ამიტომაცაა, რომ არავის მოსდის აზრად, საფრანგეთში არაბული ენისათვის სტატუსის მიცემა, ან გერმანიაში თურქული ენის სახელმწიფო ან რეგიონულ ენამდე ამაღლება და ა.შ.

2. სახელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფა სახელმწიფო სკოლებში უნდა მოხდეს. საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს სამოქალაქო უფლებებიც და სამოქალაქო ვალდებულებებიც. ის ადამიანები, რომლებიც თავის ბედს კონკრეტულ სახელმწიფოებს უკავშირებენ, ცხადია, უნდა გულშემატკივრობდნენ ამ სახელმწიფოს მთლიანობას, უსაფრთხოებას (მათ სამხედრო ვალდებულებებიც აქვთ), მშვიდობას, კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას. ამ გზაზე, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი ჩანს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურვილი ჩაკეტილ, ენობრივად და ეთნიკურად უცხო ერთობად დარჩეს იმ ქვეყანაში, რომლის წევრიც არის და რომლის მკვიდრადაც სურს თავს აღიქვამდეს. რა არის ის მიზეზი თუ მიზანი, რომელიც ამ საზოგადოებას ინტეგრაციის ამ უპირველეს და აუცილებელ პირობაზე უარს ათქმევინებს? რატომ არ მოხდა მაგ., საქართველოში სახელმწიფო ენით იმ სივრცეების დაფარვა, სადაც ადრე რუსული მუშაობდა მაინტეგრირებელ ენად (როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნისტური რეჟიმის გავლენით)? 1990 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა



გამოაცხადა, ამ დამოუკიდებლობას საქართველოს მაშინდელი ტერიტორიების მთელმა მოსახლეობამ რეფერენდუმით დაუჭირა მხარი; ამ მომენტიდან დღეს 18 წელიწადია გასული. ამ პერიოდში ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის, სახელმწიფო ენის, ათვისება ვერ მოახერხა არა მარტო “ძველმა” თაობამ, არამედ ამ წლებში დაბადებულმა და წამოზრდილმა თაობებმაც. ჯერჯერობით არ უშველა ამ საქმეს არც უამრავმა გრანტმა და “თავთავებისა” და “ჯეჯილების” გამოცემამ და არც პედაგოგთა გადამზადება-გადმომზადების ძვირადღირებულმა პროგრამებმა. იქნებ საკითხის გადაჭრას წაშველებოდა არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში კარგად აღჭურვილი და მომზადებული ქართული სკოლების გახსნა (ჯერჯერობით, სომხური ან აზერბაიჯანული სკოლის გვერდით), სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა, როგორც საგანი სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე იქნებოდა წარმოდგენილი? მშობელს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს სკოლა თავისი შვილისათვის, იქნებ მას სურს შვილი ქართულ სკოლაში შეიყვანოს და სრულფასოვან მოქალაქედ მოამზადოს (მით უფრო, თუ მისი დედაენა ქართულ სკოლაში სრულყოფილად ისწავლება, როგორც ეს მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილებითაც არის შემოწმებული)? რატომ ვერ ისწავლის ქართულ სკოლაში სომეხი ან აზერბაიჯანელი ბავშვი, თუკი ქართველი ან სომეხი ბავშვი წარმატებით სწავლობდა რუსულ სკოლაში არცთუ შორეულ წარსულში, ან თუკი დღესაც, ბავშვი ემიგრაციაში წასული ოჯახიდან აზერბებს ნებისმიერი უცხოური ქვეყნის სკოლაში სწავლას და მას არავინ უხსნის სკოლას დედაენაზე? ხომ არ არის სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხი ხელოვნურად გართულებული, რათა საჭირო შეიქნას მრავალრიცხოვანი სტრუქტურების, შპს-ების, არასამთავროებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნა, თანხების გადასროლა-გადმოსროლა და ისედაც დაძაბული საზოგადოებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა მოსახლეობისათვის იმის ჩაგონებით, რომ მას ინტეგრაციის არამოსურნე ეთნიკური ჯგუფების მხრიდან კიდევ ერთი (ან ერთზე მეტი) ეთნიკური, თუ ენობრივი კონფლიქტი ემუქრება.

3. ამ ბოლო დროს გააქტიურებულია აზრი (და ამ აზრის მომფიქრებელი ჯგუფი), რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა ყველა ენობრივი კოლექტივისათვის გარკვეული სტატუსის მინიჭებითა და ამ სტატუსის საფუძველზე დედაენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფით მიიღწევა; წარმოვიდგინოთ ამგვარი განათლების პრაქტიკულად განხორციელების სრული სურათი: საქართველოში სომხურ საშუალო სკოლაში სომხურ ენაზე სომხეთის ისტორიასა და კულტურაზე აღზრდილი ადამიანი როგორი ტიპის მოქალაქედ იზრდება? ოდენ სომხური განათლება (თუნდაც აქამდე აუთვისებელი სალაპარაკო ქართულის შესწავლა მოხერხდეს), ცხადია, განათლების გამოყენების შესაძლებლობას მოითხოვს. რას ვთავაზობთ ამ მოსახლეობას – ერთ კუთხეში ჩაიკეტოს და პატარა სომხეთი ააშენოს, თუ დანარჩენი საქართველო მოვარგოთ ამ სომხურ დასახლებას? ვინ გეგმავს და მართავს ამ ადამიანთა ცოდნის, კომპეტენციის, კულტურის, ფსიქოლოგიის, მეთოდოლოგიის, სასწავლო-მედიკამენტებითი აქტიურობის, საქმიანობის სფეროებს? თბილისში სპეციალური სომხურენოვანი მართვის ოფისები გაიხსნება, თუ პირდაპირ სომხეთის პრეზიდენტის აპარატი ჩაებმება ამ საქმეში? ეს სრულიად არარეალური, აბსურდული პროექტი, რომელიც რუსეთის მიერ დატოვებული რეჟიმით ისედაც შეუჩერებლად მუშაობს, ახლა, სტატუსობრივი გაფორმების შემთხვევაში, სრულიად გამოვა საქართველოს გავლენის სფეროდან? მოიტანს კი რაიმე სამოქალაქო სიკეთეს ერთი ქვეყნის მოქალაქეთა ამგვარი გათიშვა? განა სხვა წინაპირობები ჰქონდა აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს სამხედრო კონფლიქტებს?

4. საგანმანათლებლო სისტემა თავის ჰუმანურ და ინტერნაციონალურ განწყობას იმით გამოხატავს, რომ დეკლარირების დონეზე ერთი მხრივ პროექტებს ამუშავებს არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ამ ხალხის მშობლიური ენის სტატუსობრივად გასაძლიერებლად, და მეორე მხრივ კი არაქართველების კომპაქტური დასახლების ადგილებზე არაქართულ სკოლებს აფინანსებს და ქართულს “მეორე” ენად ასწავლის, ე.წ. ბილინგვური და მულტილინგვური სწავლების თაობაზე ძვირადღირებულ “კვლევებს” აწარმოებს და “ექსპერიმენტებს” ატარებს. ევროპის ერთ-ერთი გან-



საკუთრებულად ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნისათვის ჯერაც ევროპელებისათვის საკამათო პროექტების ექსპერიმენტული შესწავლა ადამიანისათვის ცხოველთა ორგანოების ან სხეულის ნაწილების გადარგვის “საბილოტე ცდებს” წააგავს. რამდენადაც ლინგვისტიკას აინტერესებს ენის სწავლების საკითხები, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე შეკითხვას, რომელიც ენის შესწავლის პრობლემატიკასთან დაკავშირებით დაისმის პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში: ა) რამდენი ენის სწავლება შეიძლება ერთდროულად სკოლაში (მაგ., ჯავახეთის სომხურ სკოლებში ოფიციალურად ისწავლება სომხური, რუსული, ინგლისური, ქართული; ამ ენების შეტანა სასწავლო პროგრამებში მიმდინარეობს დაწყებითი კლასებიდან მეხუთე კლასამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა კვირაში ხუთი დღე მუშაობს, ხოლო გაკვეთილების ხანგრძლივობა და დღიური რაოდენობა მკაფიოდაა განსაზღვრული, გამოდის, რომ კვირაში ოთხი ენა სხვა შესასწავლ დისციპლინებთან ერთად ისეთ დატვირთვას წარმოადგენს, რომ მოსწავლეთა 90%-ს პრაქტიკულად მისი დაძლევა არ შეუძლია, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ენების სწავლების გარეშე მოსწავლეთა დატოვება დისკრიმინაციის ტოლფასია; ბ) პედაგოგიკაში ძალიან ძველი, და დღესაც გადაუჭრელი პრობლემაა უცხო ენათა შესწავლის ასაკობრივი დონეების შერჩევის საკითხიც (რა ასაკიდან შეიძლება ასწავლო მეორე ენა, მესამე ენა და სხვ.); გ) ლინგვისტიკას აქვს თავისი დამოკიდებულება სტრუქტურითა და ბუნებით განსხვავებულ ენათა შესწავლის სირთულეებთან დაკავშირებით (შეპირისპირებული სწავლება, ე.წ. მუნჯური მეთოდი, ენები რანჟირების მიხედვით (პირველი ენა, მეორე ენა, მესამე ენა თუ “უცხო ენა”), ენის გაკვეთილები გაკვეთილების რიგში (I-II გაკვეთილი, ბოლო გაკვეთილი და სხვ.);

5. “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამსახურმა” გამოსცა საინფორმაციო ბიულეტენი სახელწოდებით “მრავალენოვანი საქართველო”, რომელშიც განხილულია კიდევ ერთი პროექტი, ძირითადად იმავე ჯგუფის მიერ შედგენილი, რომელიც ადრე არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების პროექტში მუშაობდა. ძირითადად იმავე ჯგუფის (პოლონეთის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკისა და უმცირესობათა კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფთან ერთად) მიერაა დამუშავებული საქართველოში გავრცელებული ენების სტატუსობრივი რეკომენდაციების საკითხი, ამავე ჯგუფის წევრები ამ ცოტა ხნის წინ ავრცელებდნენ სამეგრელოსა და სვანეთში კითხვარებს, რომელთა არსითაც ქართული ენა მეგრელებისა და სვანების დედაენა არ გამოდიოდა, ამავე ჯგუფმა იტვირთა ეთნიკური კოლექტივების უფლებათა დაცვა საქართველოს ომბუდსმენის სამსახურში და ასე შემდეგ. თუ იმ შედეგებით ვიმსჯელებთ, რომელიც ამ ადამიანთა წინა პროექტებმა მოიტანა, გარკვეული სიფხზლის გამოჩენა არ იქნებოდა ურიგო; განათლების სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენში (1, 2008) შ. ტაბატაძე, კენტის უნივერსიტეტის განათლების მაგისტრი, (სამწუხაროდ, დანარჩენ ავტორებს არა აქვთ მითითებული, რომელ უმაღლეს სასწავლებლებში დაიცვეს დიპლომები): “... მიუხედავად კვლევების ასეთი პოზიტიური (?), მ.ტ.) შედეგებისა, მულტილინგვური განათლების პოლიტიკა რჩება ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში (ბეკერმანი, 2005).” ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ საქართველოს მიერ არჩეული ლიბერალური გზა, რომლითაც საქართველოს ყველა მცხოვრებს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა, არ აღმოჩნდა საკმარისი სტიმული არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის, რომ მათ სახელმწიფო ენის ცოდნითაც გაეფორმებინათ თავისი სამოქალაქო სტატუსი. ასე რომ საქართველოს მოსახლეობა აღმოჩნდა ე.წ. “ენობრივი ომების” საფრთხის წინაშე. სტატისტიკა დღესაც იმას გვეუბნება, რასაც ადრე – არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ქართულის ცოდნა ნულოვან დონეზეა, ხოლო სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროებში მეზობელი რესპუბლიკების ენები ფუნქციონირებს. ჩვენ დავესესხებით შ. ტაბატაძის სტატიას

¹ ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2, 2006, რედ. კარინ ბახმანი.



და შემდეგ მსჯელობას წარმოვადგენთ: “განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ეთნიკური უმცირესობების განათლების პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, 1) შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები ქართულის, როგორც მეორე ენისათვის. 2) ქართული ენის, როგორც მეორე ენის, პედაგოგები გადამზადდნენ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში; 3) ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გაიგზავნენ ქართული ენის პედაგოგები; 4) შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო მოდული უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეთა შედეგები, თუნდაც უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, არ გაუმჯობესებულა.” (შ. ტაბატაძე, 2008, 11).

საინტერესოა როგორ ესმით ამ ბიულეტენში ტერმინი “მეორე ენა”. პირველ-მეორე ენის საკითხი საჯილდაო ქვად იქცა პოლიტიკასა თუ პედაგოგიკაში. ცალკეული სფეროსთვის ეს ტერმინები სხვადასხვაგვარად გაიგება და ხშირად ამის გამო ხდება კიდეც დავის ობიექტი. დავასახელებთ თუნდაც ერთ განმარტებას, რომელიც განათლების სამინისტროს პროექტებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კრებულშია წარმოდგენილი და ამდენად ახლობელია დღევანდელი განათლების სისტემისათვის²² ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2, 2006, რედ. კარინ ბახმანი.

“1. პირველი (მშობლიური) ენა არის ის ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველად; შესაბამისად, იგი მისთვის მშობლიური ენაა. თუმცა, შესაძლებელია, ერთზე მეტი ენა იყოს მშობლიური, თუკი ადამიანი ამ ენებს ბუნებრივად, ფორმალური ინსტრუქციების გარეშე

სწავლობს შედარებით ადრეულ ასაკში. ზოგადად, ბავშვი თავისი ენის საფუძვლებს თავის ოჯახში სწავლობს. 2. მეორე ენა ეწოდება ნებისმიერ სხვა ენას, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველი, ანუ მშობლიური ენის შემდეგ; ენის შემსწავლელთათვის, მეორე ენის როლი გამოძინარეობს უშუალო გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობით. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი “მეორე ენა” განსხვავდება ტერმინისგან „უცხო ენა“. „მეორე ენა“ შეისწავლება იმ გარემოში, სადაც ამ ენაზე საუბრობენ ან ამ კონტექსტთან ახლო კავშირში. მაშინ, როცა „უცხო ენა“ ეწოდება იმ ენას, რომლის გამოყენებაც არ ცდება საკლასო ოთახის ფარგლებს. მაგალითად, იაპონიაში უცხო ენაა ესპანური. თუმცა, ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება არ გახლავთ საყოველთაოდ მიღებული. უმეტეს შემთხვევაში, ხალხს არ შეუძლია ისე სიღრმისეულად შეისწავლოს მეორე და უცხო ენა, როგორც მშობლიური.”

ცხადია, შეიძლებოდა ამ განმარტებათა დაბალი ხარისხი და ბუნდოვანება თარგმანისათვის დაგვებრალებინა, მაგრამ გვერწმუნეთ, ეს განმარტებები ინგლისურადაც პრობლემურად გამოიყურება. რას ნიშნავს ე.წ. პირველი ენის ბუნებრივად, ფორმალური ინსტრუქციები გარეშე სწავლა”? ან ის, რომ “მეორე ენის როლი გამოძინარეობს უშუალო გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობით?” გაუგებარია ეს წინადადებაც: “მეორე ენა” შეისწავლება იმ გარემოში, სადაც ამ ენაზე საუბრობენ ან ამ კონტექსტთან ახლო კავშირში” და სხვ. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარ ტერმინოლოგიაზეა დაფუძნებული რეფორმების მთელი სერია, რომელთა შედეგებზეცაა დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის წარმატება და სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობაც.

თუმცა ეს განმარტებები ჟურნალის რედკოლეგიის სიტყვით, საერთაშორისო დოკუმენტებს ეფუძნე-

¹ მაგ., “პირველი ენა: 1) ბილინგვის მშობლიური ენა (დედის ენა); 2) ბილინგვის ფუნქციურად პირველი ენა (შესაძლოა ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს მის დედაენას) ფუნქციურად პირველი ენა არის იმ ორიდან ერთი, რომელთაც ფლობს ბილინგვი, და იყენებს შედარებით მეტი ინტენსივობით. ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ფუნქციურად პირველი ენის როლი სხვადასხვა ენამ შეიძლება შეასრულოს. მეორე ენა ისაა, რომელიც ბილინგვმა მეორე რიგში აითვისა. ფუნქციურად მეორე ენა არის ერთი ორიდან, რომელთაც ფლობს ბილინგვი, და რომელსაც ნაკლები ინტენსივობით იყენებს. ფუნქციურად მეორე ენის როლი შეიძლება შეასრულოს ბილინგვის მეორე ენამ ან დედა ენამ (словарь социопсихологических терминов, 2006, 163).

² იხ., Genesee, F., & Nicoladis, E. Bilingual first language acquisition, wignidan: Bilingual acquisition. In E. Hoff & M. Shatz (eds.), *Handbook of Language Development*, Oxford, Eng.: Blackwell. (2006).



ბა, მაინც არ შეიძლება უკამათოდ მიიღოს სოციოლინგვისტიკამ ან პედაგოგიკამ. მით უფრო, რომ სოციოლინგვისტიკას აქვს ამ ტერმინთა საკუთარი განმარტებები,³ მისთვისაც საკამათო და ჯერაც დასაზუსტებელი.⁴ უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების რეგიონებში მოსახლეობა ძირითადად მონოლინგვაა და არა ბილინგვა, თუ ორენოვებაზე ვისაუბრებთ, აქ უფრო სომხურ-რუსულ ან აზერბაიჯანულ-რუსულ ორენოვებას ვხვდებით, ანუ ე.წ. მეორე ენა ამ მოსახლეობისთვის რუსულია და არა ქართული. შესაბამისად, ამ კუთხით ენათა მიმდევრობაში ცვლილების შესატანად ე.წ. მრავალენოვანი სწავლება მეტისმეტად გრძელი გზა იქნება, რომლის შედეგსაც ენობრივი კონფლიქტი დაასწრებს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, ე.წ. მრავალენოვანი (ორენოვანი) სწავლების ექსპერიმენტის არარენტაბელურობასა და გაუმართლებლობას ცხადყოფს ისაა, რომ ჩვენში ორ/მრავალენოვანი სწავლების პრობლემატიკა ამ კუთხით ადგილობრივ, საკუთრივ საქართველოს კონტექსტში ნაკლებად დაამუშავებული. ძირითადი ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით გავრცელდა, უცხოური პროექტების საფუძველზე ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა თავისებურებების გათვალისწინებითაა ამოქმედებული, თუმცა, როგორც, შ. ტაბატაძეც მიუთითებს “მულტილინგვური განათლების პოლიტიკა რჩება ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში (ბეკერმანი, 2005).”

ბავშვის მიერ მეორე ენის ერთდროული ათვისება (ორის, და არა მეტის) პედაგოგიკაში რთულ ამოცანად მიიჩნევა. თუკი ახალი საგანმანათლებლო პროექტი ტრადიციული სომხური ან აზერბაიჯანული სკოლების მოდელში ქართული ენის “ჩარევის” გზით ივლიან (და არა პირიქით, საკვლევ რეგიონებში ქართული სკოლების გახსნისა და მათში სომხურის ან აზერბაიჯანულის “ჩართვის” გზით) შედეგი არ მიიღება. საკითხის სირთულეს ცხადყოფს მრავალი ნაშრომი, რომელიც ბავშვისათვის მეორე ენის სწავლების თაობაზეა შექმნილი. სირთულეები სხვადასხვა სახისაა (ერთი ენობრივი ცოდნის კომპეტენციაზე დაფუძნებული დამატებითი ცოდნა, ორი ენის “შერეული” ფლობა, ენობრივი კომპეტენციის საფეხურები (როდესაც ბავშვი ერთმანეთში ურევს ორი ენის მასალას (ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს) და როდესაც უკვე მიჯნავს ამ ენებს ერთმანეთისაგან), გამოთქმა (პრონონსი), სწორმეტყველება და ლინგვოკულტურული ინტეგრაციის ხარისხი; ენის დამოუკიდებლად შესწავლა და სხვა ენასთან შეპირისპირებითი შესწავლა, ენების ფუნქციური სფეროების ცოდნის ხასიათი და მასშტაბები, ენობრივი პრესტიჟის მართვის პრობლემატიკა, ორენოვანების საფუძველზე წარმოქმნილი დეფიციტის კომპენსაციის საკითხები და სხვ.) ამ უამრავი პრობლემის გადაჭრა განათლების ერთიანი ციკლის ფარგლებშია შესაძლებელი და არა სხვადასხვა საგანმანათლებლო ენისა და სისტემის მექანიკური შერწყმის გარეშე.⁵

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ უცხოელი ექსპერტები საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერისას ძირითადად სწორად ხედავენ პრობლემებს და ამ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს; კერძოდ, ისინი აღიარებენ, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობის არსებობა განაპირობა არა ქართველთა მხრიდან დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, არამედ კომუნისტური რეჟიმის რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ, რომლის შედეგადაც რუსული ჩადაგა საქართველოს სახელმწიფოს ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსული ენის სახელმწიფოს სისტემიდან გასვლის შემდეგ ეს მოსახლეობები, ფაქტობრივ, შუამავალი საკომუნიკაციო ენის გარეშე დარჩნენ. შვეიცარიის საერთაშორისო ორგანიზაციის “CIMERA”-ს მონაცემებით, “საქართველოს მოსახლეობის 13%-ისათვის ქართული, საქართველოს სახელმწიფო ენა, არ არის

¹ ამ საკითხებზე იხ.: Ialystok, E., Bilingualism in development: Language, literacy, and cognition. New York: Cambridge University Press. 2001; J. Cenoz & F. Genesee (Eds.), Trends in bilingual acquisition Amsterdam: John Benjamins. 2001; Macnamara, J. Bilingualism and primary education. Edinburgh: Edinburgh University Press. 1966; Officialising Language: A Discourse Study of Language Politics in the United States. iss. Australian National University, 2001 და სხვ.



პირველი ენა. ორი უმთავრესი ეთნოლინგვისტური ჯგუფია სომხები, რომლებიც უმეტესად სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ (დაახლოებით 6%), და აზერბაიჯანელები – ქვემო ქართლში (6,5%).” კბრახმანი მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ამჟამად საქართველოში არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ოდენ სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლების მოქმედებას უკავშირდება, კერძოდ, რომ ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკა “აძლიერებს ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით არსებულ დაყოფას, რაც აშკარად არ უწყობს ხელს მოქალაქეობის საერთო განცდისა და ერთიანი კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბებას ქვეყანაში, სადაც შეინიშნება ხანგრძლივი დაძაბულობა და ტერიტორიული უთანხმოებები ქართველ უმრავლესობასა და დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის. მეორე – უმცირესობათა ჯგუფების ბავშვები სკოლას ისეთი ენობრივი უნარ-ჩვევებით ამთავრებენ, რომლებიც განსხვავდება იმ ბავშვების უნარ-ჩვევებისაგან, რომელთათვისაც ქართული – მშობლიური ენაა, რაც, სამწუხაროდ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მიერ უმაღლესი განათლების მიღების, მათი სამომავლო დასაქმების, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებზე, აგრეთვე ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა საგნის სახით დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან ისწავლება, იმ ახალგაზრდების უმეტესობას, რომლებიც სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებს თბილისის ფარგლებს გარეთ ამთავრებენ, სავალდებულო სასკოლო სწავლების დასრულების შემდეგ ქართულად უბრალო საუბრის წარმართვაც კი არ შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ წერის უნარზე, რაც მას სახელმწიფო ენის გამოყენებით მუშაობის საშუალებას მისცემდა.” (კ. ბრახმანი, 13).

არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების რეგიონებში ენობრივი სიტუაცია ზოგადად ასე შეიძლება დახასიათდეს: სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ სომხურად (სამცხე-ჯავახეთის სომხურ სოფლებში) და აზერბაიჯანულად (ქვემო ქართლში), საქმის წარმოება მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად (ზოგჯერ რუსულად), წარწერები, კულტურის სფერო, საზოგადოებრივი საქმიანობა – მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად, ადგილობრივი საკომუნიკაციო არხები – მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად. ცხადია, კულტმსახურებაც ამ მოსახლეობის ნაციონალურ ენებზეა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არაქართველთა ნაციონალური განვითარების საკითხი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მათ ისტორიულ სამშობლოებში (ითხოვს კი ამას რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტი რომელიმე ქვეყნისაგან? რაც შეეხება ამ ადამიანთა სამოქალაქო უფლებებს, ამ უფლებათა დაცვა მოითხოვს ქართულ სახელმწიფოში მათი ინტეგრირების უზრუნველყოფას, ეს კი ამ რეგიონებში ქართული სკოლების გახსნით შეიძლება მოხერხდეს. ქართული სკოლა შეიძლება იყოს დაწყებითი ნაციონალური სკოლის მომდევნო ეტაპი, ან დროებით, ალტერნატიული სასწავლებელი ნაციონალური სკოლის პარალელურად. შერეული სწავლება მხოლოდ დამატებითი და საცდელი ღონისძიება შეიძლება იყოს და არა ყოვლისმომცველი ღონისძიება. კბრახმანისავე სტატიაში ნათქვამია: “მაგრამ არ იქნებოდა შორსმჭვრეტელო, გვევარაუდა, რომ სახელმწიფო ენის კარგად ცოდნის ნაკლებობა მხოლოდ მეთოდოლოგიური და ტექნიკური ფაქტორების შედეგია. არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში, როდესაც ხდება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა გადასინჯვა და ხელახლა განსაზღვრა, ენობრივი პოლიტიკა და განათლება ფართო დისკუსიების საგნად იქცა და ეროვნულ უმცირესობათა „ისტორიული“ ადგილის, პოლიტიკური ინტეგრაციის ან ავტონომიისა და კულტურული ასიმილაციის შესახებ მწვავე პოლიტიკური დებატების ცენტრში მოექცა. მმართველობაში ბოლო დროს განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებიც საჯარო მოხელეებისაგან ქართულ ენაზე კარგად წერისა და საუბრის ცოდნას მოითხოვს, აგრეთვე 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულად, უმცირესობათა სკოლების მოსწავლეებისათვის სპეციალური ზომების



გაუთვალისწინებლად ჩატარების შემოღებამ კიდევ უფრო გაამწვავა დაძაბულობა. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, ზრდასრულ მოქალაქეებსაც და ბავშვებსაც შესთავაზოს ქართული ენის შესწავლის უფრო ქმედითი შესაძლებლობები, მაგრამ ეს ინიციატივები ზოგადად არ არის საკმარისი, გარდა ამისა, ისინი სულ ახლახან დაიწყო და, შესაბამისად, ვერ მოიტანდა საგრძნობ შედეგებს.” (გვ.14)

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ განათლების სამინისტრო არ ცდილობს არაქართველთა კომპაქტური განსახლების ადგილებზე ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო რეფორმის გატარებას. საუბარია იმაზე, რამდენად სწორადაა არჩეული რეფორმის მიმართულებები სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. და რამდენად სწორადაა განმარტებული არაქართველენოვანი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ამოცანები.

საქართველოს სახელმწიფოს არა აქვს მიზნად ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლის გაქართველება; პირიქით, ქართველებს ზოგჯერ იმასაც უსაყვედურებენ, რომ ისინი არ მიესალმებიან არაქართველების მიერ გვარების გადმოქართულებას, რომ ისინი კრიტიკულად შეხვდნენ პასპორტში ეროვნების გრაფის გაუქმებას, რომ ისინი ესწრაფვიან სარწმუნოებრივი, თუ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას მსოფლიო გლობალიზაციურ პროცესთან მიმართებაში. ასე რომ არც მოსახლეობას და, მით უფრო არც სახელმწიფოს არ აინტერესებს ვისიმე ხელოვნური ქართველიზაცია. არც სომეხს და არც აზერბაიჯანელს არავინ დააძალებს იქართველოს, თუკი მას ამის სურვილი არ ექნება. ქართველთა იდენტობის შესწავლისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა ნათლად აჩვენებს, რომ ქართველური იდენტობა (და ნებისმიერი სხვისაც) ნიშან-თვისებათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალს შეიცავს და რომელიმე ენის ათვისებით (საკუთართან ერთად) არც დაირღვევა და არც მიიღწევა. ასე, რომ სომხებით დასახლებულ რეგიონში სრულფასოვანი ქართული სკოლების გახსნა ცხადია, სომხურის, როგორც ენის სწავლებითურთ, სამოქალაქო ინტეგრაციისათვის გაწვდილი ხელია, და არა ასიმილაციური პოლიტიკა. საქართველოში სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაცია, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოღვაწეობის შესაძლებლობა, ყველა მოქალაქესთან ურთიერთობის შესაძლებლობა და ნებისმიერ დარგსა და სფეროში დასაქმების თვალსაზრისით კონკურენტუნარიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სრულფასოვანი განათლების მიღებით მიიღწევა. ეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეა და მხოლოდ ჩვენში ვუკარგავთ ამ შანსს ადამიანებს იმ ფსევდოლიბერალიზმით, რომლითაც “ცოტა ქართულ- და ცოტა არითმეტიკანასწავლი” არაქართველი ყოველთვის დაიჩაგრება საკუთარი სოფლის გარეთ მოხვედრისას და იძულებული შეიქნება იმ სახელმწიფოს მიაშუროს, რომლის ენაზეც მიიღო განათლება. ამასთან, ამ ადამიანისთვის არასრულფასოვანი ქართული განათლება მას აუტსაიდერად გადააქცევს და ქვეყნის მოღიანობის, სახელმწიფოს მოღიანობის, სატიტულო ეთნოსის სახელმწიფოებრივი იდეალებისა და კულტურული განვითარების უნებლიე მტრად გადააქცევს.

დღეს მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს ისეთი სახელმწიფოები, სადაც არაავთოქთონი ეთნოსები არ ცხოვრობენ; არსებობს უზარმაზარი პრაქტიკა იმისა, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს სახელმწიფოთა შიგნით ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. უნდა ითქვას, რომ სამინისტროს გამოცემებში ცუდადაა შერჩეული უცხოეთის ქვეყნების მაგალითები საქართველოს ენობრივ სიტუაციასთან ანალოგიისათვის; კერძოდ, არც შვეიცარია, არც ბასკეთი (ესპანეთის წიაღში), არც კვებეკი კანადაში ან ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არ გამოდგება საქართველოს ეთნო-ენობრივი სიტუაციის ანალოგად. ყველა ეს შემთხვევა თავისი ისტორიული თუ გეოპოლიტიკური კონტექსტებში უნდა განიხილებოდეს და მათი სახელმწიფო მოწყობაც ამგვარად უნდა იქნეს გაგებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადღაც რომელიმე პროექტმა კარგად იმუშავა, არ არის საკმარისი ამ პროექტის საქართველოში შემოსატანად და დასაწერგავად.⁶

ეთნიკური განსხვავების ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობის რისკის შესამცირებლად ერთ-ერთი



ქმედითი ბერკეტი განათლების სისტემასაც უპყრია, სისტემას, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აწევს და რომელსაც განსაკუთრებული პროფესიონალიზმი მოეთხოვება.

თუმცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გახსნილი ე.წ. “ენის ცენტრების” სტატისტიკა ამ ენების შესწავლის მიმართ მაინცა და მაინც დიდ დაინტერესებას ვერ ადასტურებს.

პირველი ენა:

1) ბილინგვის მშობლიური ენა (დედის ენა); 2) ბილინგვის ფუნქციურად პირველი ენა (შესაძლოა ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს მის დედაენას)

ფუნქციურად პირველი ენა არის იმ ორიდან ერთი, რომელთაც ფლობს ბილინგვი, და იყენებს შედარებით მეტი ინტენსივობით. ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ფუნქციურად პირველი ენის როლი სხვადასხვა ენამ შეიძლება შეასრულოს.

მეორე ენა ისაა, რომელიც ბილინგვა მეორე რიგში აითვისა. ფუნქციურად მეორე ენა არის ერთი ორიდან, რომელთაც ფლობს ბილინგვი, და რომელსაც ნაკლები ინტენსივობით იყენებს.

ფუნქციურად მეორე ენის როლი შეიძლება შეასრულოს ბილინგვის მეორე ენამ ან დედა ენამ

¹ იხ., ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2, 2006,



მანანა ზაბიძე

სამეცნიერო ენის განვითარების პრობლემატიკისათვის

სამეცნიერო ენის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის. დროის გამოწვევა დღეს სამეცნიერო ცოდნის არნახული ინტერნაციონალიზაცია გახლავთ. ცხადია, მეცნიერება არასოდეს ჩატეულა მხოლოდ ნაციონალურ საზღვრებში, მაგრამ ბევრი როდია ისეთი ენა, რომლითაც ხდება სამეცნიერო ცოდნის მიღება. მსოფლიოში რამდენიმე ათასამდე ენაა (მართალია, დიდი ცთომილებით, მაგრამ ენებს მაინც ათასეში ითვლიან). ამ უზარმაზარი ციფრიდან მეცნიერების ენა მხოლოდ რამდენიმე ათეულსა აქვს; მათ შორისაა ქართულიც.

როგორ მოახერხა ქართულმა ენამ გადაქცეულიყო სამეცნიერო ცოდნის ფიქსატორად და სამეცნიერო აზრის მტარებლად? როგორ შეინარჩუნა ეს მდგომარეობა დღემდე, 21-ე საუკუნემდე? და შეძლებს თუ არა ამ როლის, ფუნქციის, შენარჩუნებას მომავალშიც? კიდევ ერთი კითხვაც შეიძლებოდა დაგვესვა – რამ განაპირობა ქართული ენის ამ პოტენციალის ამოქმედება, როდესაც კავკასიის მკვიდრ ხალხთა უმრავლესობას, მიუხედავად სიძველისა, არც დამწერლობა და არც სამეცნიერო ენობრივი ცხოვრება არ განუვითარებია.

საქართველოს ინტელექტუალური ისტორია ძალიან დიდი და მდიდარია. ერთი შეხედვით, ეს უცნაურიც კი ჩანს, რადგან მუდმივ ბრძოლებში გახვეულ, უღევი მტრის საშინაო თუ საგარეო მცდელობებით ძირითადად დაშლილ-დაცალკავებულ ქვეყანას თითქოს არასოდეს ეცალა ხანგრძლივი სამომავლო პროგნოზისა და სამოქმედო გეგმის შესადგენად; აქ ხომ ძირითადად თავად საქართველოსგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზეგავლენით, მოვლენები უეცრად იცვლებოდა, ხან ერთი, ხან მეორე ყოვლისმომცველი უბედურება გვატყდებოდა თავს და ყველაფერი თავიდან ხდებოდა დასაწყები. ამ დროს უცნაურიც კი ჩანს არამცთუ აკადემიებსა¹ და უნივერსიტეტებზე ფიქრი, რაც არასოდეს შეწყვეტილა საქართველოში, არამედ ორიგინალური სამეცნიერო წიგნების შექმნის მიმართულებით მუშაობაც.

მეოცე საუკუნე, სამეცნიერო ენაზე ზრუნვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულია. მაგალითად, 1920 წლის მაისში თბილისში უნდა მოწვეულიყო ენის მცოდნეთა ყრილობა სალიტ. ენის სავალდებულო ნორმების განსახილველად და დასადგენად, წინასწარი მუშაობა დაკისრებული ჰქონდა საორგანიზაციო კომისიას, (ა. შანიძე, გახვლედიანი, ვბერიძე, კაკეკელიძე, სგორგაძე, დ.უზნაძე...), კომისიამ გამოაქვეყნა მოსავარებული საკითხების სია. 1921 წელს კი გამოიცა წიგნაკი “სალიტერატურო ქართული-სათვის.”

1922-25 წლებში განათლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა ცენტრალური სატერმი-

¹ იფალტოს აკადემია – XI-XII საუკუნეებში; გელათის აკადემია - დაარსდა 1106 წელს. (“იადიგარ დაუდი” — XVI საუკუნის ქართული სამედიცინო ენციკლოპედია (ავტორი დავით XI, დაუთ ხანი), რომელიც მოიცავს იმდროინდელი მედიცინის თითქმის ყველა საკითხს; გიორგი V-ის ინიციატივით შეიქმნა სამართლის წიგნი “ძეგლის დება”. ამავე პერიოდში შეიქმნა სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვანი წიგნი “ხელმწიფის კარის გარეგება”. მასში განსაზღვრული იყო სახელმწიფო კარის ეტიკეტი, სხვადასხვა მოხელეთა უფლებები და მოვალეობები; მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის დრო და მაშინდელი სამეცნიერო საქმიანობა - დასტურდამალი; ვახტანგ მეექვსისეული „განათლებულ მეცნიერთა დასის - სწავლულ კაცთა კომისიის დიდი კულტურული საქმიანობა” დას ხვ. .



ნოლოგიო საბჭო (თავმჯდომარე ივ.ჯავახიშვილი), რომელმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენისა და სალიტერატურო ენის სადავო საკითხების უნიფიკაციის ხაზით. 1925 წ. სახკომსაბჭოსთან დაარსდა სატერმინოლოგიო კომისია. მოგვიანებით ეს კომისია გარდაიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებად. მას დაეკისრა სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საქმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოგვარებულიყო ქართული სამეცნიერო ენის ლექსიკის საკითხი.

1946-1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან მუშაობდა ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია ჯერ აკად. ს.ჯანაშიას, შემდეგ აკად. ა.შანიძის თავმჯდომარეობით.” (ლექსავა, 1984).

ჩვეულებრივ, როდესაც ქართველ სპეციალისტთა სატერმინოლოგიო ღვაწლზე საუბრობენ, ასახელებენ ენათმეცნიერებს, რომელთაც მართლაც უდიდესი წვლილი იუძღვით სალექსიკონო გამოცემათა ნორმობრივი სრულყოფის საქმეში, მაგრამ ამჯერად ჩვენ სწორედ არაენათმეცნიერთა ღვაწლი გვინტერესებს, რამდენადაც სწორედ დარგობრივი სპეციალისტების შედგენილია სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგია, და სწორედ მათი ეროვნული შეგნების წყალობაა, რომ ქართული ენა დღეს იმათ შორისაა, ვინც ქმნის მეცნიერებას. ქართული სამეცნიერო საზოგადოება თავის სახელს არქმევს ცოდნის ყველა გამოვლინებას, თავის ენაზე სწავლობს და ასწავლის, მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში ქართულენოვან სამეცნიერო ცოდნას იყენებს საძირკვლად საერთაშორისო სარბიელზე გასვლის დროსაც.

დღეს სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ნაწილში განახლდა რუსეთული წარსულიდან გამომოვლილი ზერელე დისკუსიები იმაზე, რომ მეცნიერება ინტერნაციონალურია და ინგლისურად უფრო კარგად და სწრაფად განვითარდება, რა საჭიროა ქართულ ენაზე ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება და სხვ. ამ “იდეოლოგია” ყველაზე გავრცელებული და საყვარელი კითხვები კი ასე ჟღერს: “ვის უნდა შენი ქართული?” “ვინ წაიკითხავს ქართულად აქ დაწერილ დისერტაციებს?” “ჩვენ ვწეროთ და ვიკითხოთ?” “უცხოელებს სულაც არ აინტერესებთ ქართულად დაწერილი წიგნი?”...

ეს კითხვები ამ სტატიის ავტორს მოსწავლეობისასაც არაერთხელ გაუგონია, სტუდენტობის დროსაც და მერეც... ამ კითხვებს გაცილებით ადრეც სვამდნენ “სპარსული ენის სიტკბოთი” მომაქრული მგოსნები, თუ მეცხრამეტე საუკუნეში მოსკოვ-პეტერბურგის გზას გამდგარი “რუსეთუმეები”, ზოგჯერ ისინიც ცდებოდნენ, ვისგანაც შეცდომა ნაკლებად იყო მოსალოდნელი (მაგალითად, ნიკო მარი ქართული უნივერსიტეტის მაგივრად მომხრე იყო კავკასიური უნივერსიტეტის გახსნისა, სადაც სწავლა რუსულად იქნებოდა²). სწორედ სტუდენტობის დროს მივხვდი, რომ კარგი წიგნი მსოფლიოსთვის ნებისმიერ ენაზეა საინტერესო, დიდ აღმოჩენას გაფაცვიცებული კაცობრიობა ნებისმიერ ადგილას იპოვნის და ნებისმიერ ენაზე სიხარულით მიიღებს, მაგრამ თუ რომელიმე ქართველ სპეციალისტს მსოფლიოს დახმარება მაინცა და მაინც ინგლისურად ეჩქარება, მას ორივე ენაზე შეუძლია წეროს, ამ სურვილს აბარა დაუდგება წინ?..

ვისთვისაც დღეს საქართველოში უდავოა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, სპირიდონ ვირსალაძის, ანდრია რაზმაძის, დიმიტრი უზნაძის, ალექსანდრე ალადაშვილის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას და სხვათა ავტორიტეტი, მან კარგად იცის, რომ ეს მოღვაწეები ქართული სამეცნიერო ენის განვითარების მომხრენი, ქომაგნი და მუშაკნი იყვნენ. ძალიან გაუჭირდებოდათ ქართული სამეცნიერო ენის განვითარების მოწინააღმდეგეებს სათავისოდ მსგავსი ავტორიტეტისა და ხარისხის მწერალთა, მეცნიერთა და მოღვაწეთა გუნდის დასახელება.

საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორიის მცოდნე ადამიანებმა იციან, რა დიდი გული და



ოპტიმიზმი უნდა ჰქონოდათ ქართული უნივერსიტეტის ჩამოყრებლებსა და განმანათლებლებს, რომ ჯერ კიდევ ქართული სკოლის აწყობამდე (თუ არ ჩავთვლით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას) ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე დაეწყოთ ზრუნვა; ამ საქმეს კი წინ უნდა გაძლოლოდა იმდროისათვის შესაფერისი სამეცნიერო ენა და დარგობრივი ტერმინოლოგიები. XIX საუკუნეში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა ილიას თაოსნობით, მეოცე საუკუნეში კი ეს საქმე ივ.ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების გადასაწყვეტი შეიქნა.

ივ. ჯავახიშვილმა 1907 წელს პეტერბურგში დააარსა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის საქმიანობაც ქართული მეცნიერების აღორძინებისა და მომავალი ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის პირობების მომზადებას ისახავდა მიზნად. ამ წრეში მოხსენებებს ქართულად კითხულობდნენ, მსჯელობაც ქართულად წარმოებდა. ამით მუშავდებოდა ქართულ ენაზე მეცნიერული მეტყველების ჩვევები: “ახალგაზრდობამ, — ამბობდა შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, — აქ ენა გაიკვეთა და მოიპოვა უნარი მეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა”. “ქართული კულტურის შესწავლა, ქართული კულტურის ცოდნა, — განავრძობდა იგი, — მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, მკვდრეთით აღმდგარიყო ძველი ქართული მეცნიერება, ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული”.

ჯავახიშვილის გვერდით იყო საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების წარმომადგენელი მეცნიერების გუნდი, რომელიც სწორედ ქართულ უნივერსიტეტზე ოცნებობდა შორეული ქვეყნების უნივერსიტეტებში სწავლისას. აი, მაგალითად, 1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადასტურა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნის აუცილებლობა. 17 ივნისს იმავე საბჭომ “ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების” თავმჯდომარის სპირიდონ ვირსალაძის მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო ფაკულტეტი... ასე უპასუხა მეოცე საუკუნის სამეცნიერო ბუმს საქართველომ — ის შეუერთდა მეცნიერულ პროგრესს საკუთარი ენით, ნიჭით და საკაცობრიო ცოდნისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

ახლა ოცდამეერთე საუკუნის წინაშე ვდგავართ. ახლაც დიდი გამოწვევა გვაქვს — ამჯერად ცოდნა ინტერნეტსივრცეშია დაუნჯებული. გადარჩებიან ის ენები, რომლებიც ამ ცოდნას გაითავისებენ, გადარჩებიან ის ერები, რომელთა ენებიც გადარჩებიან

ცხადია, რომ მთელი ერი ორენოვანი არასოდეს იქნება, ხოლო ოდენ უცხოენოვანი სამეცნიერო ცოდნა ერს სამეცნიერო ცხოვრებას ჩამოაშორებს და მთელ მოსახლეობას მოუსპობს საშუალებას გამოავლინოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი;

„დღევანდელი გლობალიზაციური მსოფლიო ახალ გამოწვევების წინაშე გვაყენებს” - ასეთია პოლიტოლოგთა წამყვანი ფრაზა თანამედროვე საქართველოში. და მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენისათვის გამოწვევას კომპიუტერული საინფორმაციო სივრცის ენობრივი ათვისება წარმოადგენს. თუ ამ პროცესში ქართული ენა თავის ადგილს ვერ იპოვინს, თუ ინტერნეტით ცოდნის მაძიებელი ადამიანი ქართულენოვანი მასალის უკიდურეს სიღარიბეში დარწმუნდება, თუ მსოფლიოს უნივერსიტეტთა ე.წ. ბოლონური ერთიანობის პრინციპს ადევნებული ქართული საზოგადოება ქართულენოვან უნივერსიტეტებსა და ქართულენოვან სამეცნიერო ცხოვრებას შეეღებება, ქართული ენა ვეღარ შეინარჩუნებს საპატიო ადგილს სამეცნიერო თეორიისა და პრაქტიკის მქონე ენათა შორის და თავის მოსახლეობასთან ერთად დისკრიმინირებულ მასად გადაიქცევა.

ასეთი საფრთხე მართლ ქართულს არ ემუქრება. ამას კარგად იაზრებენ ჩვენზე უფრო დალხენილი

¹ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის, თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატყეხად და ჩასახშობად” - წერდა ივ. ჯავახიშვილი 6. მარს, 11.12.23, ტფილისი, № 3304.



სახელმწიფოები და გამოსავალს ეძებენ. მაგალითად, გერმანიაში ვიკიპედიური ინტერნეტენციკლოპედიის გერმანულენოვანი ინფორმაციებით დატვირთვის სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს; ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ კრედიტთა გარკვეული რაოდენობა ინტერნეტენციკლოპედიისათვის მასალების მოძიებით მოიპოვონ და პროფესორის მიერ ვიზირების შემდეგ გერმანულენოვანი საინფორმაციო სივრცის შემავსებლის საპატიო მისიაც შეასრულონ. ყოველწლიურად სახელმწიფოს მხარდაჭერით ეს საენციკლოპედიო მასალა ელექტრონულ წიგნებად გამოიცემა. ასე რომ გერმანიას კარგად ესმის გერმანულ ენაზე სამეცნიერო აზრის განვითარების აუცილებლობა, ამიტომაც სახელმწიფო დონეზეა აყვანილი ნებისმიერი სამეცნიერო დარგის გერმანულ ენაზე განვითარებისა და საკომპიუტერო მიმოქცევაში შეტანა, რათა გერმანელ მომხმარებელს სხვა ენებზე მასალის ძებნა არ დასჭირდეს. უდავოა, რომ ჩვენთანაც სახელმწიფომ უნდა მოჰკიდოს ხელი ქართულენოვანი საინფორმაციო ბანკების ამოქმედებას; სტუდენტთა უზარმაზარი არმიის ჩართვა ამ პროცესში მნიშვნელოვნად გაზრდის ოდენ მეცნიერთა ამარა დატოვებულ ამ პროცესს.

სტუდენტთა მონაწილეობა დადებითად წაადგება ქართულენოვან საინტერნეტო სამეცნიერო სივრცეს, უაღრესად გაამრავლებს და გაამდიდრებს ინფორმაციას, პროფესორ-მასწავლებლებთან თანამშრომლობა ამ მასალას კვალიფიციურ სტატიებად გადააქცევს... ეს საქმე სასარგებლო იქნება თავად სტუდენტობისთვისაც, რომელსაც გარდა ცოდნისა შეემატება კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისება – პასუხისმგებლობის გრძობა საკუთარი ენისა და ქართული მეცნიერების წინაშე, და ეს ამაგი, მის მიერ ახალგაზრდობაში მშობლიური ენისათვის გაწეული, აღარასოდეს დაამორებს მას მშობლიურ ფესვებს, რაოდენ ბევრი კილომეტრიც არ უნდა გაიაროს მან უცხოეთში წარმატებათა ძიების გზაზე.

ლიტერატურა

ლეჟავა ლ., ივანე გიგინეიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, “მეცნიერება”, 1984

გელენიძე ლ., ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით.” ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, “მეცნიერება”, 1981

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის, თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასახშობად” - წერდა ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს, 11.12.23, ტფილისი, № 3304.



მანანა ჭაბიძე

**ენის სტატუსის საკითხი საქართველოს
სახელმწიფოში**

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის არსებითი პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად ენობრივი სიტუაციის ღრმა გააზრება და სწორი ენობრივი დაგეგმვა დაჩნდება. მსოფლიოში დღეს არსებულ ენათა მნიშვნელოვანი ნაწილი (აქ: ზ.ჭუმბურიძის ციტატა) ამა თუ იმ სტატუსს ატარებს და მეტ-ნაკლებად ემორჩილება სტატუსით განსაზღვრულ განვითარების კურსს. თუმცა პირიქითაც ხდება, სტატუსის მიუხედავად ენათა გარკვეულ ნაწილს ვერ უხერხდება საკუთარი განვითარების გზის ჩამოყალიბება.

ქართულ ენას საქართველოში სახელმწიფო და კულტურული ფუნქციონირების მუდმივი, უწყვეტი გზა აქვს გავლილი და დიდი იმუნიტეტით აქვს გამოიმუშავებული დაშლა-დაქუცმაცების საფრთხეშიც კი ეთნიკურ-ენობრივი კონსოლიდაციის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ვითარებაში წარმოქმნილი ისტორიული გამოცდილებისაგან თვისობრივად განსხვავებული სიძნელეები ძველს არა ჰკავს და ამიტომაც ქვეყნისაგან ახალი ტიპის სიფხიზლეს მოითხოვს. თუ წარსულში სახელმწიფოს მოწყობა საკუთარ, საშინაო საქმეს წარმოადგენდა (არაანექსირებული ქვეყნისთვის მანც), დღეს ამ პროცესს უამრავი საერთაშორისო მეთვალყურე ამოწმებს და არცთუ იშვიათად, გეგმავს კიდევ. ცხადია, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამშვიდობო, დემოკრატიულ პროცესებში ძალიანაც კარგია, მაგრამ სახელმწიფომ თავს გაზარმაცების უფლება არ უნდა მისცეს და სხვების იმედად არ უნდა დატოვოს საკუთარი “საოჯახო საქმეები”.

საქართველოში ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დაცვა, მისი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირების (რეალური ფუნქციონირების) უზრუნველყოფა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთათვის საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური ინტეგრაციის პირობების შექმნა სწორედ საშინაო საქმეა და ის დიდი მეცადინეობით უნდა განხორციელდეს. დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ვხვდებით, ტერმინთა უმართებულოდ ხმარებას, დეფინიციათა სიჭრელეს, ვისიმე დაჩაგვრის ბრალდებისადმი პანიკური შიშის გამო მიღებულ საზიანო გადაწყვეტილებებს. უნდა ითქვას, რომ სწორედ ახლა, როდესაც კონფლიქტურ რეგიონებსა თუ შესაძლო კონფლიქტების ზონებში ენობრივი პოლიტიკის საკითხები მწვავედ დგას და მუდმივად ისმის ისეთი გამოთქმები, როგორიცაა “ფართო ავტონომია”, განსაკუთრებული სტატუსი”, “ენობრივი უმცირესობა”, “ენის კანონი” და სხვ., საჭიროა კარგად ვიცოდეთ ამ ტერმინთა შინაარსიც და მათი “მორგების” შემთხვევაში ის ღონისძიებები, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს თან მოჰყვება.

ენის სტატუსი თანამედროვე ჰუმანიტარულ დარგებში (იმის მიუხედავად, ეს ლინგვისტიკას აინტერესებს თუ პოლიტიკას), განიხილება ორ პლასტში: ენის იურიდიული სტატუსი (როდესაც საკანონმდებლო წესით, კანონმდებლობითაა განმტკიცებული ენის გამოყენება მოცემულ სოციალურ-კომუნიკაციურ სისტემაში, მაგ., სახელმწიფო ენის სტატუსის დაკანონება ენისათვის) და ენის ფაქტობრივი სტატუსი (ენის რეალური გამოყენება, მისი ფუნქციური დატვირთვა. რაც შესაძლოა არც იყოს გაფორმებული კანონმდებლურად (მაგ., სსრკ-ში რუსულს არ ჰქონდა სახელმწიფო სტატუსი).

მსოფლიოში დღეს სახელმწიფოთა მრავალფეროვნების აღქმის გასაადვილებლად ხშირად მიმართავენ ქვეყანათა შიდამოწყობის ვარიანტების საგანგებო ყალიბების მიხედვით სახელმწიფოთა დაჯგუფებას (ამ რიგისაა, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სისტემები, სახელმწიფოები და



ე.წ. სუპერსახელმწიფოები, სამხედრო ალიანსები თუ ევროგაერთიანებები და სხვ.); სახელმწიფოთა ამა თუ იმ ყალიბში მოსაქცევად, (ზოგჯერ, “შესაჩუროთადაც”) სხვადასხვა მახასიათებელი შეისწავლება და სახელმწიფოს ანკეტიის ყველა პარამეტრის ანალიზის საფუძველზე დგინდება ყალიბიცა და ის რეკომენდაციებიც, რომლის მიხედვითაც ამ ყალიბში მოქცეულ ქვეყნებთან წარიმართება ურთიერთობები.

მაგალითად, სახელმწიფოებრიობის პარამონიული მდგომარეობის მაჩვენებელთა შორის ძირითადად გამოყოფენ შემდეგ ნიშნებს:

1. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი;
2. უზენაესი ხელისუფლების უკამათო ავტორიტეტი, მისაღამი ნდობის მაღალი დონე მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხრიდან;
3. ძალაუფლების ფორმები, რომლებიც ალტერნატიულია უზენაესი ძალაუფლებისა, ლატენტურ მდგომარეობაშია;
4. საზოგადოებრივი ინსტიტუტების სტაბილურობა;
5. წარმატებული საგარეო პოლიტიკა: გამარჯვებული სამხედრო კამპანიები, სახელმწიფოებრივი საზღვრების გაფართოება, სამოკავშირეო ბლოკების შექმნა;
6. ეკონომიკური მაჩვენებლების მყარი ზრდა;
7. ისტორიული სუბიექტების მოღვაწეობის სტაბილური სოციალური ორიენტირები და მოტივაციის საშუალებები; “საერთოეროვნული იდეის” წარმოშობა;
8. უზენაესი ხელისუფლების მოქმედების მკაფიოდ გამოხატული სოციოცენტრიზმი;
9. შობადობის სიჭარბე სიკვდილიანობასთან შედარებით, მისი მყარი ზრდა.

კრიზისულ მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, სეპარატიზმისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა;
2. უმაღლესი სახელმწიფო ხალისუფლების დაბალი ავტორიტეტი, “ნდობის კრიზისი”;
3. სახელმწიფო ხელისუფლების ალტერნატიული ფორმების ჩამოყალიბება, მათი სოციალური მნიშვნელობის ზრდა;
4. ადრინდელი საზოგადოებრივი ინსტიტუტების კრიზისი, ახლების ჩასახვა;
5. საერთაშორისო სარბიელზე ავტორიტეტის დაცემა, წარუმატებელი სამხედრო კამპანიები, სახელმწიფო ტერიტორიის შემცირება, გარეპოლიტიკური დამოკიდებულება სხვებზე;
6. ეკონომიკური კრიზისი;
7. სოციალური ორიენტირების არასტაბილურობა, ეთიკურ შეფასებათა კრიზისი, ქცევის მოტივაციის (გამართლების) საშუალებათა სიმრავლე;
8. ლიბერალური სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო ხელისუფლებისა, სახელმწიფო ხელისუფლების მობილიზაციური ხასიათის უაღრესად დაბალი გამოხატულება;
9. შობადობის შემცირება იქამდე, რომ სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბოს.

ცხადია, ჩვენ ამჯერად ყველა ეს პარამეტრი არ გვეხება, მაგრამ ვფიქრობთ, რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებით სახელმწიფო ენის სიძლიერისა და დაცულობის ხარისხი ქვეყნის მდგომარეობის განსასაზღვრად მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

კიდევ ერთი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტიც უნდა ვახსენოთ – ესაა თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ამ მომენტიდან მოქმედი ტენდენცია, რომელიც უდავოდ შესაფასებელია (თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რაოდენ მყიფეა ტენდენციათა ხანგრძლივობა): ნაციონალურ სახელმწიფოთა უმრავლესობის (მეტადრე სუსტი სახელმწიფოების) შინაგანი რღვევისა და საგუბერნიო-



ფედერალური ორგანიზაციის გვერდით იქმნება ე.წ. რეგიონალური სტრუქტურები, რომლებშიც ნაციონალური სახელმწიფოს ყოფილი საგუბერნიო თუ ფედერალური სუბიექტები, შესაძლოა, დამოუკიდებლად ინტეგრირების მაღალ ხარისხს ფლობდნენ. ამ ვითარებაში რეგიონული ერთობისათვის შეთავაზებული ინტერნაციონალური ენები შესაძლებელია, საფრთხედ ექცეს ნაციონალურ სახელმწიფოთა შიგნით სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას.

რუსები ხშირად მიუთითებენ, რომ კავკასიას სჩვეოდა ე.წ. გარე არბიტრის “გემოვნების” გათვალისწინება; “კავკასიისათვის სუპერარბიტრი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის რუსეთი როდი იყო. ანუ შინაური, საკუთრივ კავკასიური პრობლემების გადაწყვეტისას რომელიმე გარეარბიტრაჟის ყოფნა არის განუყოფელი ნაწილი მრავალი კონფლიქტის რეგულირების გზაზე. ამასთან, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი საუბარი ეთნოკონფლიქტებზე. ხშირად გარეპოლიტიკური ფაქტორი გამოიყენებოდა საკუთარი ინტერესების დასაცავად ერთი ეთნოსის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. “უნდა ითქვას, რომ რუსეთთან შეერთების საკითხს ყველაზე ხშირად პირველად აყენებდა ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც აშკარად ესწრაფოდა რუსეთის მეფის ძლიერი ხელისუფლების წყალობით გაემყარებინა თავისი მდგომარეობა. პრორუსული ორიენტაცია ხშირად ჰქონდა მოსახლეობის ფართო ფენებსაც, იმ იმედით, რომ რუსული ხელისუფლება დაიცავდა მათ ადგილობრივი “ზედაფენების” მხრივ შევიწროებისაგან. “ეს თავისმართლება” რუსეთის იმპერიული აზროვნებისთვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი, მაგრამ ამგვარი გამონათქვამების გათვალისწინება მაინც სასარგებლოა ჩვენთვის, რათა სხვებშიც ამოვიცნოთ მსგავსი ნიშნები (Shneider, РОССИЯ И СЕВЕРНЫЙ КАВКАЗ В ДОРЕВОЛЮЦИОННЫЙ ПЕРИОД: ОСОБЕННОСТИ ИНТЕГРАЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ). ახლაც, როდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს აზრი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარედან ინსპირირებულ პროცესებს საფუძველს უქმნის შიდა ფეოდალური ეგოიზმი, რომელიც ფედერალურ დაყოფაში საკუთარი ადმინისტრაციული პოსტის ან ფინანსური წარმატების საწინდარს ეძებს.



მანანა ზაბიძე

**ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის
თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების
საქართველოში**

საბჭოთა კავშირში ენობრივი დაგეგმვის ორი ძირითადი სახე გამოიყენებოდა: ა) “ღია ენობრივი დაგეგმვა”, დეკლარირებული კონსტიტუციითა და საგანგებო დადგენილებებით. ბ) “ფარული ენობრივი დაგეგმვა”, რომელსაც ახორციელებდნენ შესაბამისი სამსახურები და სახელმწიფო საცენზურო კომიტეტი (საერთო საკავშირო და ადგილობრივი); ორივე მათგანი საბოლოო მიზნად რუსული ენის უფლებათა და როლის ზრდის მეშვეობით დაპირებული “საბჭოთა ხალხის” შექმნის საქმეს ემსახურებოდა. ორივე პროცესი გულისხმობდა რუსულ-ნაციონალური ბილინგვიზმის დამკვიდრებას და ნაციონალური (ეროვნული) ენების “გარუსულებას”.

“ღია ენობრივი დაგეგმვისათვის” საჭირო იყო სათანადო თეორიული არგუმენტაციის მომზადება და პროპაგანდირება; ეს პროცესი საერთო სახალხო მოთხოვნათა სახელით მიმდინარეობდა და მოიცავდა ენის ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროს. სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენაზე იქმნებოდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რუსულად ტარდებოდა დედაქალაქის ან რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და ადმინისტრაციული სხდომები, რუსული სავალდებულო ენა იყო ყველა სკოლასა და სასწავლებელში, რუსულად იწერებოდა დისერტაციები, რუსული თარგმანით გადიოდა ფილმების უდიდესი ნაწილი კინოთეატრებსა და ტელევიზიაში; უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, ცენტრალური სამინისტროები და სამსახურები მოსკოვში იყო განთავსებული, მოსკოვი ამტკიცებდა ნებისმიერი ქუჩისა თუ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობას, მოსკოვს უნდა განეხილა ფილმის სცენარი თუ სათარგმნი ნაწარმოების ვარგისიანობის საკითხი [Tabidze, 1999].

ამგვარი ვითარება არა მარტო რუსულის უბრალოდ ცოდნას, არამედ რუსულის კარგად ცოდნას მოითხოვდა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს პრაქტიკული ალლო უკარნახებდა, მოეძებნა გზა რუსულის დასაუფლებლად. ყველაზე იოლი და იაფი გზა ბავშვის რუსულ სკოლაში შეყვანა იყო (ქართულად სახლშიც ლაპარაკობს და რუსულს კი სკოლაში (ან ბაღში) ისწავლის). უფრო ძვირადღირებული გზა რუსი ძიდა ან რუსულის კერძოდ დაქირავებული მასწავლებელი (რუსეთში ხშირი მოგზაურობების პარალელურად) გახლდათ. ზოგი ოჯახი ცდილობდა, შინ რუსულად ლაპარაკით “გაეტეხა ენა” ბავშვისათვის. ცხადია, იყო უიაფესი და უმარტივესი გზაც, რომელსაც ადგა ქართული მოსახლეობის უმრავლესობა, ბედს მინდობოდა და დარჩენილიყო ერთენოვან ქართველად, შესაბამისი დანაკარგებით. სწორედ ამ მოსახლეობამ ზიდა ძირითადად ქართული ენისათვის დიალექტური ცხოველმყოფელობის შენარჩუნების ტვირთი, სწორედ მან დაიცვა ინტერფერენციისაგან თავისუფალი, ქართული ლიტერატურის კითხვით გამდიდრებული ენობრივი გემოვნება და ქართულის სახელმწიფო ენად ფუნქციონირების მოთხოვნა საკუთარი სოციალური უფლებების დაცვის საქმედ აქცია.

“ფარული ენობრივი დაგეგმვა” მოიცავდა მოსახლეობის დიდი მასების გადაადგილებას ისეთ რეგიონებში, რომლებშიც ადგილობრივ მცხოვრებლებთან კონტაქტისათვის აუცილებელი იქნებოდა რუსული ენის ამოქმედება. ასე ჩნდებოდა ე.წ. სამხედრო და სამოქალაქო “გოროდოკები” ერთენოვანი მოსახლეობის წიაღში, საკუთარი რუსული სკოლებით, საგანგებო მომარაგებითა და პრიორიტეტული დაფინანსებით. ძირითადად ეს დასახლებები სამხედროთა ან მუშათა ოჯახებისთვის იყო განკუთვნილი და რუსულენოვან კუნძულებად ჩანდა რესპუბლიკათა (მათ შორის, საქართველოს) ტერიტორიაზე. “ფარული ენობრივი დაგეგმვა” ხორციელდებოდა ცენზურის მიერაც. ცენზურის მიერ რამდენიმე



მიმართულებით ხდებოდა ენობრივი სიტუაციის მართვა: ერთი მხრივ, ცენზურა რუსული ენის ავტორიტეტის ზრდისათვის ირჯებოდა, როდესაც თვალყურს ადევნებდა რუსული ენისა და კულტურის სახობო ინფორმაციის აქცენტირებას ყველა ფილოლოგიურ ნაშრომში, სადაც პარალელი უნდა გავლებულიყო რუსულთან, ანალოგი რუსეთის ისტორიასა და კულტურაში უნდა მოძებნილიყო, აუცილებლად რომელიმე პოზიტიური პერსონაჟი რუსული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო და სხვ. მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო ქართული (და საერთოდ, ნაციონალური) ენისა და კულტურის ხსენება.[1]

ჩვენში შუა საუკუნეებში მორალური ნორმების დაცვის სფეროში ცენზორის ფუნქციას საეკლესიო ხელისუფლება ახორციელებდა. XVI ს-იდან ცენზურა თანდათან საერო ხელისუფალთა ხელში გადადის. აი, როგორ გამოიყურება სამეფო საქმეთა შესასწავლი (მოსახმარებელი) ლიტერატურის მოკლე ჩამონათვალი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაშრომის მიხედვით, საიდანაც ამჯერად მხოლოდ იდეოლოგიური კონტროლის ამსახველ მასალას გამოვყოფთ [ქართლის...1955: 350-351]:

1. სამართალი და სახელმწიფოს მართვის თეორია:
2. სასაზღვრო საქმეთა ორგანიზაცია:
3. სამხედრო საქმე:
4. სახელმწიფოს შიდა უშიშროების სამსახურების ორგანიზაცია:
“განხეთქილობათა კრძალვანი”
“მთავართა ზაკვისა ცნობანი”
“საერონი შიშნი”
“მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი”
5. ეკონომიკა:
6. სახელმწიფო იდეოლოგიური სამსახურები
“ღონიერნი მიმართებანი”
“ქცეულებანი ჟამთანი”
“აღ სნანი იგავთანი”
“გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი”[2]

დავითის ისტორიკოსთანვე ვხვდებით მინიშნებას სახელმწიფო საცენზურო სამსახურზე, რომლის მოვალეობას ენის (როგორც მორალურ და ესთეტიკურ ფასეულობათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამცველის) თვალყურის დევნება და სათანადო კალაპოტში მოქცევა წარმოადგენდა:

მითითება: “და კვალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა.”[ქართლის...1955: 352]:

აკრძალვა: “ხოლო საემპაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის.”

ძველად საქართველოში ბეჭდვით გამოცემებზე კონტროლს სასულიერო ცენზურა ახორციელებდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თავდაპირველად რუსეთის თვითმპყრობელობას გაუძნელდა ცენზურის დაწესება ქართულ და, საერთოდ, სამხრეთულ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემულ ნაბეჭდ პროდუქციაზე. 1848 წ. 18 დეკემბერს დაწესდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. მას სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე განაგებდა. ეს პერიოდი ცნობილია “საცენზურო ტერორის” ეპოქის სახელწოდებით. საცენზურო კომიტეტს ევალებოდა გაესინჯა ყველა წიგნი, გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც კავკასიაში გამოდიოდა ან შემოტ-



ანილი იყო საზღვარგარეთიდან. ცენზურას გადიოდა მუსიკალური ნოტებიც. 1860 წელს საცენზურო კომიტეტი ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა, 1863-იდან კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა. 1867 წელს იგი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა. 1906 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტი ბეჭდვითი სიტყვის საქმის თბილისის კომიტეტად გარდაიქმნა, რომელიც 1917 წლის მარტამდე მოქმედებდა [ხურცილავა, 1980].

ცენზურის ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესი იდეოლოგიური სამსახურია, რომელიც სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს; ყველა ეტაპზე ცენზურული სამსახური მეტწილად ტექსტთან ურთიერთობას გულისხმობდა. ჩვეულებრივ, ტექსტის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა მხარეს შეეხება, ესენია:

- ტექსტის შინაარსი;
- საკვანძო სიტყვები;
- სიმბოლოები;
- ქვეტექსტები;
- პარალინგვისტური მხარე;
- სტილი და ორთოგრაფია;

კონკრეტული საკითხის, მოვლენისა თუ ობიექტისადმი დამოკიდებულების გამოხატვა.

შესაბამისად, ცენზურის სამსახურის ყურადღება ტექსტის პირდაპირსა და ფარულ ქვეტექსტურ ინფორმაციასთან ერთად დროის კონკრეტულ მონაკვეთში საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე ენობრივსა თუ არაენობრივ მოვლენებზეა (თუ ამ მოვლენებზე მიმანიშნებელ საკითხებზე) კონცენტრირებული. სახელმწიფო, თავისი იდეოლოგიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თვალყურს ადევნებს საზოგადოებრივი აზროვნების იმ მიმართულებებს, რომლებიც შეიძლება მისი სიმტკიცისა და უსაფრთხოების დაცვის წინააღმდეგ იყოს მიმართული. კოლონიური რეჟიმების პირობებში მეტროპოლიის უსაფრთხოებას განსაკუთრებით ერთა თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება შეიძლება დაემუქროს, ამიტომაცაა, რომ ცენზურა ამგვარ სახელმწიფოებში თავის უპირველეს მიზნად სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილის გაღვივების შემძლე ტექსტის (ხშირად კი მხოლოდ სიტყვისაც) აღკვეთას ისახავს.

ჩვენს შემთხვევაში ეს კურსი რამდენიმე მიმართულებით ტარდებოდა:

1. იკრძალებოდა ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა ეროვნულ სრულფასოვნებაზე მიმთითებელი მასალები, ფრაზები, სიტყვები (მაგ.: XIX საუკუნეში ცენზურა კრძალავს სიტყვა “საქართველოს” ხმარებას და მის ნაცვლად “თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების” მოხსენიებას ითხოვს; 1883 წელს, დეკემბერში, ცენზურამ “ივერიას” აურძალა გრ. ყიფშიძის დიდი წერილი “საბერძნეთის აღორძინება და განთავისუფლება ოსმალთ მონობიდან” [DKLK. 1883.No24[3]]. 1882 წელს “ივერიას” ეკრძალება დიდი წერილი “სამშობლო ენის სკოლებში სწავლების უნუგემო მდგომარეობის შესახებ” [DKLK, 224,1876]. ამგვარ წერილებს საერთოდ განიხილავდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და საქართველოს ეგზარქოსი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სკოლებიდან ქართული ენის განღვივებისათვის ბრძოლაში.

არქივისკოპოსი იოანიკი, საქართველოს ეგზარქოსი, “ივერიას” უკრძალავს მთელ რიგ წერილებს საქართველოს სასულიერო სემინარიაში სწავლების პირობათა შესახებ. 1885 წლის 14 ნოემბრიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზ. “დროება”, რომელიც ივანე მაჩაბლის რედაქტორობით გამოდიოდა, აიკრძალა “სამუდამოდ”, როგორც “სეპარატისტულ-ტენდენციური იდეების მქადაგებელი” ორგანო. 80-იანი წლების მეორე ნახევარში “ივერიას” გადაემტერა ცნობილი ცენზორი ლუკა ისარლიშვილი. 1887 წ. 28 იანვრისათვის ლ. ისარლოვმა აკრძალა “ივერიისათვის” აწყობილი დ. მაჩხანელის ლექსი “მონადირე” (მონადირემ მეგლკაცი მოკლა და ხალხმა გაიხარა, მტრედის მოკვლამ კი ყველა აატირაო), ლ. ისარლოვმა ეს ლექსი “ტენდენციურად” და “უზნეოდ” სცნო და აკრძალა



საცენზურო წესდების 6 და 90 მუხლების თანახმად [ДКЛК, 1887, № 24\494].

თავის მოგონებებში კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ერთ ასეთ შემთხვევას აღწერს: “...ეგ ზარქოსი აღშფოთდა:”საქართველო რომელი ქვეყანაა? არსებობს თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, საქართველო კი არ არსებობს!” იქვე მყოფმა იმჟამად ახალგაზრდა ინსპექტორმა კალისტრატემ უპასუხა: “საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ეგ ზარქოსიც თქვენ ბრძანდებით”. მართლაც, სიტყვა “საქართველო”, რომელიც საიმპერიო სალექსიკონო ხმარებიდან ამოღებული იყო, იმპერიის ოფიციალურ სტრუქტურათა სახელთაგან მხოლოდ ერთადერთში - “საქართველოს საეგზარქოსოში” - იყო შემორჩენილი. რუსი საეკლესიო მოხელეები შეეცადნენ, “საქართველოს საეგზარქოსოს” ნაცვლად სახელწოდება “კავკასიის საეგზარქოსო” შემოეღოთ...” [ჯაფარიძე, 2001: 3-4].

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოგონებებიდან: “ეგზარქოსს დაავიწყდა, რომ ხშირად სტუმრად ეწვეოდა თამარებს, რუსუდანებს, ვახტანგებს და ერთხელ იკითხა: “სად ვიპოვო აქტები ქართველი წმინდანების წმინდანებად შერაცხვის?” უპასუხეს: “ასეთი აქტები არ შემონახულა, მაგრამ ზემოჩამოთვლილი სახელები საქართველოს ეკლესიაში მოიხსენება საუკუნეების მანძილზე”. ეგზარქოსმა გამოსცა განკარგულება შეეცვალათ ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით და დაეჯარიმებინათ ის მღვდლები, რომლებიც შეძღვრულნი დაარქმევდნენ სახელებს ქართველი წმინდანების პატივსაცემად. ასევე მათ უფლება არ ჰქონდათ, შეეცვლინათ ქართველი წმინდანების სახელებით. ზოგიერთი მღვდელი კი, რომელიც მშობლების სურვილისამებრ მონათლულს ქართულ სახელს არქმევდა, წინასწარ იხდიდა “ჯარიმის საზღაურს” [ცინცაძე, 1987: 47].

2. საგანგებოდ იქმნება და ცენზურის ნებართვით იბეჭდება ეროვნული ნიჰილიზმისა და არასრულფასოვნების გრძნობის დამბადი ტექსტები; “ის აზრი, რომ ქართველობა არაფრის შემძლე იყო და გონებით სუსტი, თითქმის საერთო აზრი იყო” [კლდიაშვილი, 1988:424].

3. ცენზურა ებრძვის განსაკუთრებული ეროვნული ფასეულობის მქონე სიმბოლოებს (დროშას, ენას, ჰიმნს, ისტორიას, ეთნიკური ერთობის იდეას). სარგის კაკაბაძე მიუთითებს: “ქართველ მენშევიზმს არ სწამდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობა და მას ახასიათებდა ზიზღი ყოველგვარი ქართულისადმი. ეს ზიზღი მიდიოდა იქამდის, რომ მენშევიკური პრესის ტერმინოლოგიიდან სავსებით განდევნილი იყო სიტყვები “საქართველო” და “ქართველი” და ეს სავსებით პათოლოგიური მოვლენა ახასიათებდა ქართულ მენშევიზმს რუსეთის იმპერიის არსებობის მთელ სიგრძეზე, ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდის და ერთხანს ამის შემდეგაც” [კაკაბაძე, 1997: 249].

საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მთავარი სამმართველოს უფროსს პეტერბურგში უგზავნის საიდუმლო მოხსენებას, რომელშიც სწერს:”თქვენმა აღმატებულებამ ინება მომეცა დასკვნა ნადვორნი სოვეტნიკის კანდელაკის თხოვნაზე ნება დართოდა მას გამოეცა სასოფლო სამეურნეო გაზეთი სახელწოდებით “სიტყვა”. ამასთან ერთად გიბრუნებთ რა ამ თხოვნას, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გამოსაცემად ნაგულისხმევი გაზეთი მისი წარმატებისა და ნამდვილი სასარგებლო საქმის მცირე თავდება. კანდელაკი აპირებს გამოსცეს თავისი გაზეთი ადგილობრივ ქართულ ენაზე. ეს განზრახვა სავსებით გასაგები ვერ არის. ქუთაისში ადგილობრივი ენა მეგრულია, რომელიც ქართულ, ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად ეგრედწოდებულ ავარულ ენების ჯგუფს ეკუთვნის. მათ არა აქვთ თავიანთი მწერლობა და ხმარობენ ქართულ ანბანს” [საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 480, საქმე 1239].

ცენზურა ნებას არ რთავდა ქართულ გაზეთებს, დაებეჭდათ რუსულიდან ნათარგმნი თხზულებანიც კი და თავგამოდებით იბრძოდა უკვე დაბეჭდილი და აღრევე ცნობილი მოთხრობების ხელახლა გამოცემის ან დრამად გადაკეთებული ამ მოთხრობის თუ პოემის წინააღმდეგ [საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ფონდი 480, საქმე №№628, 632, 633,



793]. საქმეში დაცულია რუსი ჟურნალისტის, ზაგურსკის, პროტესტი საცენზურო კომიტეტისადმი სიტყვა “საქართველოს” ხმარების აკრძალვის გამო.

აქვეა წარმოდგენილი დიმიტრი ყიფიანის პასუხი მთავარმართებელ დონდუეკოვ-კურსაკოვის 1885 წ. 17 დეკემბრის გაკიცხვის წერილზე: ...”... არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ - მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარელებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის [საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 12 (001), საქმე 457, ფურცელი 11-12].

იანოვსკი, რეაქციული მთავრობის წარმომადგენელი, ამბობდა, რომ სწორედ სვანები და მეგრელები ცალკე ერებია და “ყიფიანის მსგავსად ქართველი პატრიოტები მიისწრაფვიან ასიმილაცია უყონ საქართველოს, სამეგრელოსაც, აფხაზეთსაც და სვანეთსაც. ამიტომ ისინი თუმცა თავადაზნაურულ წრეებს ეკუთვნიან და თითქოს ვალდებულნი იყვნენ თავიანთი თავად-აზნაურული, მატერიალური და გონებრივი ინტერესებისათვის ეზრუნათ, მიუხედავად ამისა, ყველაზე უფრო მიისწრაფვიან ქართულ ხალხური განათლების გავრცელებისაკენ და ყველა ძალ-ღონით ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ მხარეში რუსული განათლების გავრცელებას, რომელსაც მცხოვრებნი დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან. ეს აგიტატორები ამჟამად ჩვენთვის სრულიად არ წარმოადგენენ რაიმე საფრთხეს, რადგან ისინი საკმაოდ მცირერიცხოვანი არიან და სრულიად უმნიშვნელო ზნეობრივი გავლენა აქვთ მცხოვრებთა მასაზე. მაგრამ აქედან კიდევ არ გამომდინარეობს ის, რომ მთავრობამ არ უნდა მიიღოს ახლაც შესაფერისი ზომები ასეთი პირების წინააღმდეგ, რომ თავიდან აიცილინოს დაბრკოლებანი მომავალში” - საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მასალა (ფონდი 12 (001), საქმე 457, ფურცელი 16-19) [კიკვიძე, 1959: 154].

ცენზურამ ფუნქციონირება განაგრძო საბჭოთა პერიოდშიც, როდესაც დეკლარირებულად იგი საბჭოთა საქართველოს უსაფრთხოებასა და მთლიანობას იცავდა, სინამდვილეში კი თვალყურს ადევნებდა, რომ არაფერს მოეწყვიტა ეს რესპუბლიკა საერთო საკავშირო სხეულისათვის. ამ პერიოდში ცენზურის საქმიანობა კიდევ უფრო გასაიდუმლოებული ხდება და შიდა მოწყობითაც უაღრესად დახურულ სისტემად გარდაიქმნა. ამ პერიოდის ცენზურთა დევიზს ჰობსის “ლევიათანიდან” მოხმობილი ფრაზა წარმოადგენს: სახელმწიფოს შემდეგი ხმლები სჭირდება: სამართლის ხმალი, ..., “მავენე წიგნების ამკრძალავი ხმალი” და სხვ.

მთავლიტი და, შესაბამისად, სახელმწიფო ცენზურის ფუნქციონირება ფაქტობრივად შეიზღუდა 1990 წლიდან, როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა სათავეში და საკავშირო მართვა შეჩერდა. თუმცა, ეს სამსახური მაშინ არ გაუქმებულა. მანამდე ამ სისტემაში უნდა გაეკვლო მასმედიის პროდუქციას და სათანადო ოთხკუთხა (მართკუთხა) ბეჭდით უნდა დადასტურებულიყო მისი დაბეჭდვის უფლება. მაგრამ ეს სისტემა ოფიციალურად გაუქმდა და ახალი სახით გაფორმდა მხოლოდ 1997 წელს: 1997 წელს გამოდის კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ცენზორებს ახალი და, ფაქტობრივ, ერთადერთი ფუნქცია ეკისრებათ - ეს არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა.[4]

საბჭოთა კავშირში ცენზურის მუშაობის პრინციპებისა და ინსტრუქციების მიწოდება ხდებოდა ზეპირად, საუბრის სახით. არსებობდა ინფორმაციის სამი კატეგორია:

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის (ამ ინფორმაციას ფლობდა ძირითადად პოლიტბიურო, რომელიც ამ საკითხებს განიხილავდა გარკვეულ თანამშრომლებთან და არა ყველასთან).
2. სრულიად საიდუმლო (ამ მასალაზე ხელი მიუწვდებოდათ ინსპექციის უფროსსა და განყოფილების გამგეს).
3. საიდუმლო (ამ საქმეზე ინფორმაციას ფლობდა სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომელი).



დახურული წერილისა და ინსტრუქციის გრიფით წყდებოდა, ვის რა ინფორმაცია უნდა მიეღო: არსებობდა თავისებური პირამიდული სისტემა, რომლითაც ის, რაც მოდიოდა “ზემოდან”, იცოდა მარტო შესაბამისი გრიფის წარმომადგენელმა, მისგან იგებდა შემდეგი გრიფის წარმომადგენელი იმ ნაწილს, რაც მისთვის იმ მომენტისათვის იყო საჭირო და ა.შ.. არსებობდა, ცხადია, “დახურული წერილი”, მაგრამ მას ყველა თანამშრომელი არ ეცნობოდა. ძირითადად თათბირებზე საუბრის, სიტყვიერი მითითების სახით გაცემოდა ინსტრუქციები. არსებობდა საგანგებო ხელშეკრულებები, ე.წ. “ფიცის სისტემა”, რომლითაც ცენზურის თანამშრომელს, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებებს გონებაში ინახავდა, არ შეეძლო საზღვარგარეთ გასვლა, მიმოწერა უცხოელებთან და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვადასხვა რესპუბლიკამ სხვადასხვაგვარად გარდაქმნა ცენზურის შემდგომი მუშაობა. [5]

თარგმანის საკითხებს წყვეტდა ე.წ. საავტორო უფლებათა საკავშირო საზოგადოება (ВОАП: Всесоюзное общество авторских прав.) ამ სისტემაში წყდებოდა, რა უნდა ეთარგმნათ. ზოგჯერ დებულებებს ცვლიდნენ, მაგრამ არსებითი სახე იგივე რჩებოდა. ეს საზოგადოება დებდა ხელშეკრულებას უცხოეთის ქვეყნებთან თარგმანის უფლებაზე და ამაში ან ფულს იხდიდა სახელმწიფო ან გაცვლა ხდებოდა, სსრკ-დანაც რისიმე თარგმანს სთავაზობდნენ. აქ ორი ფაქტორი მოქმედებდა: ა) ფული და ბ) შინაარსი.

1. ფულს იხდიდნენ მარტო რუსულად თარგმნისათვის (რესპუბლიკათა ენებზე თარგმნა შინაური საქმე იყო და ამიტომ აქ ცალკე აღარ იხდიდნენ ფულს);

2. რუსულად თარგმნის საკითხის განხილვისას წყდებოდა, მაგნე იყო თუ არა ეს წიგნი სახელმწიფოსთვის და მერე უკვე რესპუბლიკებს აღარ უხდებოდათ ამ მასალის საგანგებო შეფასება.

მკაცრად იყო აკრძალული უცხოური ლიტერატურის თარგმნა რესპუბლიკის ენაზე, თუკი ამგვარი თარგმანი ჯერ არ არსებობდა რუსულად. გარდა იდეოლოგიური კონტროლისა, აქ ერთი ფარული მიზანიც მოქმედებდა - ყველა მთარგმნელი “ნებსით თუ უნებლიეთ” ამოსავლად იყენებდა რუსულ ვერსიას, ეს კი, უდავოდ, ახდენდა გავლენას თარგმანის ენაზე [ტაბიძე, 1998].

ამ შემთხვევაში რამდენიმე ფაქტორია მნიშვნელოვანი: 1) მრავალრიცხოვანი მასალის სისტემატური თარგმნა ერთი და იმავე ენიდან იწვევდა გარკვეული შტამპებისა და კალკების გაჩენას (ენობრივი შერევის ერთ-ერთი სახეობა); 2) ერთი და იმავე ენის მუდმივად “ინფორმაციის წყაროს” როლში გამოსვლა ზრდიდა რუსულის ისედაც მაღალ პრესტიჟულობას; 3) იცვლებოდა ლექსიკური ფონდი (რუსული სიტყვები და რუსულზე “გაწყობილი” საერთაშორისო ლექსიკა მკვიდრდებოდა ნაციონალური ენების ლექსიკონებში (მაგალითად, 1958 წელს თურქულ-თათრულ ლექსიკონში ორჯერ მეტი რუსული სიტყვა იყო, ვიდრე 1929 წლისაში. იმავე პერიოდში უზბეკურ ლექსიკონში 20% რუსული წარმოშობის სიტყვაა); სესხების პროცესი თანდათან უფრო ინტენსიური ხდებოდა. სესხულობდნენ არა მხოლოდ ფორმებს, არამედ ხდებოდა საკუთარ, ეროვნულ ფორმათა გარდაქმნა, ტრანსფორმირება, რუსულ ყაიდაზე; ასეთი სიტყვებით შედგენილ ლექსიკონებს “ახალი კონცეფციის ლექსიკონს” უწოდებდნენ, სადაც 70-80%-ს “ახალი ფორმები” შეადგენდა (მეტწილად სამეცნიერო ტერმინოლოგიაში) [Glyn, 1972: 154; Насырова, 1997]. მაგალითად, 1926 წელს ბაქოში ჩატარდა ტერმინოლოგიის დადგენისადმი მიძღვნილი კონგრესი, რომლის ძირითადი თემა იყო მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომათა ნაციონალურ ენებზე თარგმნისათვის საჭირო ტერმინოლოგიის დაზუსტება [Glyn, 1972: 150]. თავად ორენოვანი ლექსიკონები (ინგლისურ-რუსული, ფრანგულ-რუსული, გერმანულ-რუსული და სხვ.) მოცულობით, ტირაჟით, ხარისხითა და პრაქტიკული გამოყენებითაც აღემატებოდა (და ჯაბნიდა) ნაციონალურ ენათა ორენოვან ლექსიკონებს, შესაბამისად, ენობრივი კონტაქტები (მეტადრე ევროპულ ენებთან) რუსულის გამამუშალებელი როლის გარეშე თითქმის არ ხორციელდებოდა.

ლექსიკა ყველაზე მგრძობიარე აღმოჩნდა ორენოვნების ვითარებაში. ამიტომაც ლექსიკა სპეციალ-



ური ენობრივი დაგეგმვის საგნად იქცა: მოსკოვი სისტემატურად ითხოვდა ანგარიშს ნაციონალურ ლექსიკაში მომხდარი ცვლილებების თაობაზე: მაგ. 1950 წელს სომხურში რუსულიდან მომდინარე (რუსული ან რუსულის გზით შემოსული) ტერმინებიდან მარტო სამედიცინო ტერმინოლოგიაში აღმოჩნდა 18000 ერთეული, სამართლებრივი და სხვა სპეციალურ ტერმინთა რიცხვმა 13 000-ს მიაღწია; ლატვიურში მარტო 1947-49 წლებში ასეთი ტერმინი 40 000 აღმოჩნდა [Glyn, 1972].

მთავლიტის სისტემაში თარგმანი არ გადიოდა ცენზურას (მასზე რედაქცია და გამოცემლობა აგებდა პასუხს). [6]

პარტიისტორიის, ეკონომიკის თეორიების, ფილოსოფიის, სოციოლოგიის სახელმძღვანელოები უნდა თარგმნილიყო მოსკოვში საკავშირო განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული წიგნებიდან. სახელმძღვანელოებს „ამშვენება“ წარწერა: მოწონებულია საკავშირო ... სამინისტროს მიერ. ადგილზე შეიძლება მხოლოდ დამხმარე ლიტერატურის ბეჭდვა, ადგილზევე წყდებოდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ სახელმძღვანელოთა ბედი), თუმცა, იქ (მოსკოვში) მაინც განიხილებოდა ამ მასალის საკითხი. იყო შემთხვევები, როდესაც მოსკოვში გვისაყვედურებდნენ “ჭარბ” ისტორიულ ინფორმაციას, მაგ., რომ საქართველოს წარსულის აღწერას შორიდან იწყებდნენ და გრანდიოზულად წარმოაჩენდნენ; კონსტანტინე გამსახურდიას უკიჟინებდნენ, რომ იგი საქართველოს წარსულზე ბევრს წერდა და განადიდებდა. პოლიტიკური წყვეტდა “ხალხის მტრის” წიგნის აკრძალვის - “ამოღების”- საკითხს, მაგრამ აფორმებდა მთავლიტი და ასახელებდა ამა თუ იმ მიზეზს (ხშირად არა ნამდვილს). ვერც ერთი გაზეთი (რაიონულიც კი) ვერ გამოიციმოდა საკავშირო ცკ-სთან შეთანხმების გარეშე.

ცენზურა თვალყურს ადევნებდა ეროვნული თვითგამორკვევისაკენ მიმართული ნებისმიერი აზრის გამოჩენას და ჩანასახშივე სპობდა მას: მაგალითად, როდესაც საქართველოში შეიქმნა “ეროვნული ენის სიწმინდის დაცვის კომიტეტი”, გაზეთმა “იზვესტიამ” იგი უმაღლესი გააკრიტიკა [Известия, 1963]. უყურადღებოდ არ რჩებოდა არც ერთი წინადადება, რომელშიც რეჟიმით უკმაყოფილება გამოსჭვივოდა.

არსებობდა სია აკრძალული მწერლებისა: მაგ. გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე, ... პუბლიკაციებში მათი სახელების მოხსენიებაც კი არ შეიძლებოდა. საინტერესოა, რომ მწერლების “არასაიმედოობის” განსაზღვრისას მათი ნაწარმოებების ენასაც მოიხმობდნენ ხოლმე: კ. გამსახურდიას საყვედურობდნენ ძველი ქართულით გატაცების გამო, მ. ჯავახიშვილს “ახალი ადამიანის” დახატვისას გამოყენებულ ნეგატიური კონოტაციის ლექსიკას უწუნებდნენ და სხვ. თვით ვაჟა-ფშაველაც კი, რომელსაც “პროლეტკულტელები” “გლეხური წარმოშობის” გამო შემწყნარებლურად უყურებდნენ, ვერ ასცდა “საბჭოთა კრიტიკას”.

1978 წლის აპრილში, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის შესახებ მუხლში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული მღელვარების დროს, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიურის სხდომაზე განიხილეს თბილისის უნივერსიტეტის გაზეთის საკითხი. მიზეზი ის იყო, რომ გაზეთის პირველ გვერდზე ეწერა კონსტიტუციის ტექსტი, ხოლო ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული იყო ტარიელ ხარხელაურის სევედიანი და პატრიოტული განწყობილების მქონე ლექსები. გაზეთის რედაქტორს, გივი შეყილაძეს, ბრალად დასდეს, რომ ამ ლექსებით ახალგაზრდებში ანტისაბჭოთა განწყობა გააღვივა და ამის გამო მოხსნეს.

ცენზურა ზღუდავდა ქართული ენის პროპაგანდას.

1986 წელს დაიბეჭდა რეზი თვარაძის წერილი, რომელიც ქართული ენის პროპაგანდასაც ისახავდა მიზნად. საკითხი სპეციალური განხილვის საგანი გახდა.

ცენზურის მუშაობა უმუშაოდ ენობრივ მხარესაც შეეხებოდა:

სტალინგრადი ერთ-ერთ ტექსტში (გაზეთში) დაიბეჭდა კორექტურით “სტალინგადი”. ამის გამო მოხსნეს მუშაკი, ხოლო უფროსს საყვედური გამოეცხადა.



1937-38 წელს დახვრიტეს გენტორ რუხაძე, რომელიც იმ პერიოდში იყო ცენზურის გამგე.

ცენზურა არა მარტო კრძალავდა საბჭოთა იდეოლოგიისათვის არასასურველ მასალას, არამედ მოითხოვდა იდეოლოგიის შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას; ასე ჩნდება საბჭოური კლიშეები: „საბჭოთა ხალხი“, „დიდი რუსი ხალხი“, „საბჭოთა მწერალი“, „საბჭოთა ქალი“, „საბჭოთა ოჯახი“... „სოციალისტური რეალიზმი“, „სოციალისტური გზა“, „სოციალისტური განათლება“... „ძმური საბჭოთა ოჯახი“, „უფროსი ძმა“ (რუსეთი), ... „პარტიული სიტყვა“, „პარტიული მშენებლობა“... „კომკავშირული ქალაქი“, „კომკავშირული საგზური“, „კომკავშირული მშენებლობა“... „მეორე სამშობლო“, „მეორე მშობლიური ენა“, „მეორე დედაენა“ და სხვ. (მაგ., „გეზის აღება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე რუსული ლიტერატურისაკენ - ეს იყო და იგივე უნდა დარჩეს ქართული საბჭოური ლიტერატურის ტრადიციად“ [„ქართული... 1947“][7].

მარტო ტერმინი „ენა“ უამრავი ეპითეტით იხმარებოდა: თუ, მაგალითად, ქართული მხოლოდ ენა იყო და არა „დიდი ქართული ენა“, სამაგიეროდ, რუსული „დიდიც“ იყო და „დიადიც“: „... ოქტომბრის ენა, ლენინის ენა, დიადი რუსული ენა, ხალხთა ძმობის და მეგობრობის ენა, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი სიყვარულით უწოდებს მეორე დედაენას“ [კომუნისტი, 1979].

ცენზურა მოქმედებდა ყველა სფეროში: მხატვრობაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, მუსიკაში, თეატრსა და კინოში[8].

ცენზურა ებრძვის ტრადიციულობის ყველა გამოვლინებას, მათ შორის დროში შემოწმებულ სახელმძღვანელოებსაც. [9] საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ 1923 წელს დაიწუნა იაკობ გოგებაშვილის საანბანო წიგნი. ამ წელს გამოცემულ კრებულში “ახალი სკოლა” ვკითხულობთ: “საანბანო წიგნზე, როგორც წინასწარ განზრახულსა და საგანგებოდ შეგროვებულს მასალაზე, ლაპარაკიც შეუძლებელია, რაც უნდა კარგად იყოს შედგენილი ანბანი, რაც უნდა კარგად გვაკმაყოფილებდეს იგი თავისი მასალის დალაგებით და მეთოდით, იგი მაინც დაშორებულია ცხოვრებას, მშრალი და არაბუნებრივია...”

ამასთანავე, სახელმძღვანელოს უარყოფა საბუთდებოდა იმითაც, რომ “ცხოვრებით და ბუნებით მრავალფეროვან საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარემო სულ სხვადასხვაგვარია, ამიტომ შეუძლებელია, არსებობდეს ერთი საერთო სახელმძღვანელო, რომელიც გამოსადეგი იქნება ყოველი კუთხისათვის” [თაქთაქიშვილი, 2001]. განათლების სახალხო კომისარიატმა იაკობ გოგებაშვილის “დედა ენას” შეუცვალა სახელი და გამოსცა სახელწოდებით “ქართული ანბანი”, ხოლო ავტორის სახელი და გვარი ინიციალებით “ი. გ.” დამალა [თაქთაქიშვილი, 2001].

დაბოლოს, ცენზურის გაუქმება საბჭოთა კავშირის დაშლისა და დემოკრატიული პროცესების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, თუმცა, არცთუ შორეული წარსულიდან შემორჩენილი იდეოლოგიური შეზღუდულობა დღემდე ვლინდება საზოგადოების აზროვნებაში ცალკეული რეციდივების სახით.

[1]წინამდებარე სტატიის ავტორი სტუდენტობისას თავადაც წააწყდა ასეთ შემთხვევას: საკავშირო პროგრამა „...“ კომპოზიტორ გ. ცაბაძის საიუბილეოდ მოკლე სიუჟეტში სტუდენტებისგან იღებდა ინტერვიუს, ცენტრალური ტელევიზიის წარმომადგენლებმა სტუდენტებს კატეგორიულად აუკრძალეს გამოთქმების - „ქართველი კომპოზიტორისა“ და „ქართველი მსმენელის“- გამოყენება.

[2]ცხადია, მრავალ ენაში განსწავლული მეფის ბიბლიოთეკაში ქართულ წიგნებთან ერთად უხვად მოიპოვებოდა უცხური ფილოსოფიური, თეოლოგიური, მხატვრული, პოლიტიკური და სამხედრო ლიტერატურა; ამ წიგნთა საფუძველზე მიღებული ცოდნა ქართულად რეალიზდებოდა და ქართულად მრავალთა წიგნთა შექმნისა და თარგმნის სტიმული ხდებოდა.

[3]წერილი ხელმოუწერელია, შეიძლება იგი თვით ილიას ეკუთვნოდეს [გუგუშვილი, 1939].

[4]ცენზორი ამ ფუნქციას ასრულებს პუბლიკაციის შემდგომ, ანუ ეს არის მეთვალყურეობა იმაზე,



რაც უკვე დაიბეჭდა, ანუ რასაც უკვე ვეღარ აკრძალავ. ამ სამსახურის დასაბუთება კანონის (სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ) 33-ე მუხლშია მოცემული.

[5] მაგ., რუსეთში იგი კვლავ მოქმედებს და, მართალია, მკვეთრად არ არის აფიშირებული მისი ჩარევა მაგ. ჟურნალისტთა საქმიანობაში, მაგრამ მაინც ხორციელდება გარკვეული ტიპის კონტროლი მასმედიაზე. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სამსახურში წინამდებარე სტატიის ავტორს 1998 წელს უამბეს, რომ მათთან ჩამოვიდა აზერბაიჯანის ცენტრის უფროსი 3-4 წლის წინ, გაეცნო აქაურ ვითარებას და ისინიც “გადაკეთდნენ” “სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის” კომიტეტად. მანამდე კი, თურმე, ძველი სისტემით მუშაობდნენ, როგორც ჩანს, იმათი ჟურნალისტები ჩვენებზე ნაკლებ პრეტენზიულები არიანო; პოსტცენტრურული პერიოდის იდეოლოგიური კონტროლის სხვა ვარიანტები აქვთ ბელორუსიაში, უკრაინაში და სხვ.

[6] დღევანდელი ცენტრის სამსახურის თანამშრომლებიც კი თავს იკავებენ სათარგმნი მასალის ესოდენ მკაცრი კონტროლის მიზეზის დასახელებისაგან: ნებისმიერი ლიტერატურის (განსაკუთრებით მხატვრულის) რუსულიდან თარგმნა ქართული ენის რუსულთან ინტერფერირების პროცესს აძლიერებს და ენობრივ ასიმილაციას უწყობდა ხელს.

[7] “ დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე „უპარტიო მწერალი ნიშნავს ნამდვილ მწერალს... პირველი ხუთწლედის მესამე გადამწვევტი წელი (ეს კომპარტიის სამეტყველო ენა)...” [ბაქრაძე, 1990; 43].

[8] ციტატა მოხმობილია აბაქრაძის წიგნიდან „მწერლობის მოთვინიერება”.

[9] რ. სტურუამ რუსთაველის თეატრში დადგა შატროვის პიესა “ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე”, რომელიც მოსკოვში გასტროლების დროს პირველივე ჩვენებისას მოხსნეს რეპერტუარიდან. სსრკ კულტურის სამინისტროში სპექტაკლს “შინაპატიმრობა მიუსაჯეს” და ნება დართეს, მარტო საქართველოში ეჩვენებინათ.

ქართველი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე (ერთადერთი, ვისი 40-50-იან წლებში შექმნილი სიმფონიები არ მთავრდება სტანდარტული საზეიმო ფინალებით) ცდილობდა, არ შეპუებოდა ცენტრის მოთხოვნებს, მაგრამ 1948 წელს “დატუქსული” კომპოზიტორი მაინც წერს ოპერას „მზია” სოციალისტური სინამდვილიდან.

ოფიციალური კულტურული პოლიტიკის ძირითადი დასაყრდენი სიტყვასთან დაკავშირებული ჟანრები იყო - სიმღერა, კანტატა ორატორია, ოპერა, რადგან მუსიკალური შინაარსის სიტყვით დაკონკრეტება ადვილებდა მასზე მეთვალყურეობას, ამიტომაც საგუნდო მუსიკის მსგავსი სიტუაცია იყო შექმნილი სასიმღერო ჟანრშიც.

საქართველოს საისტორიო არქივში შენახული მასალიდან ჩანს, რომ კაპელა ოფიციალურ სარეპერტუარო პოლიტიკას ახორციელებდა, როცა პროგრამაში შეჰქონდა: დ. არაყიშვილის „ქმინავს ქურა”, შ. აზმაიფარაშვილის „კოლექტივიზაცია”, გ. კილაძის „კომკავშირლების მარში”, შ. მშველიძის „ერთად, ძმებო...”

შ. მშველიძეს „მცირე” კორექტივის შეტანა მოუხდა საგუნდო „ფშაურის” ხალხურ ტექსტში, რის შემდეგაც „ჯვარი” „ჯვარად” იქცა, ხოლო ცენტრისათვის მიუღებელი საკულტო-რიტუალური სემანტიკა... ლაშქრულით შეიცვალა. როგორც წესი, კანტატა-ორატორიები იქმნება სქემის მიხედვით, სტანდარტულია-ორიენტაცია რუსულ საბჭოთა ლიტერატურაზე აღებული [წურწუშია, 2001].

სამწუხაროდ, თანამედროვე ენობრივ ვითარებას მკაფიოდ დაეტყო ცენტრის ერთადერთი სასარგებლო საქმიანობის დანაკლისი: მასმედიაში მოძმლავრდა ე.წ. უცენტრურო სიტყვა-გამოთქმები.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე აკ., 1990, მწერლობის მოთვინიერება, გამომცემლობა „სარანგი”, თბილისი.



2. გუგუშვილი, 1939, “ივერია” ცენზურის რეკლამა (1877-1937). ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული. თბილისი.
3. თაქთაქიშვილი ლ. 2001 1926-37 წლებში “დედა ენა” არ გამოიცემოდა. “გაზეთი “ქართული წიგნი”, 9, სექტემბერი. თბილისი.
4. კაკაბაძე ს., 1997, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921. თბილისი.
5. კიკვიძე ა., 1959, საქართველოს ისტორია. XIX-XXსს. წ. II (1861-1921). თბილისი.
6. კლდიაშვილი დ. 1988 ჩემი ცხოვრების გზაზე. ქართული პროზა. წიგნი XVI. თბილისი. კომუნისტი, 1979, 16 იანვარი
7. ტაბიძე მ., 1998, ენობრივი კონტაქტები და ენობრივი დაგეგმვა. არნ.ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი.
8. 1955 ქართლის ცხოვრება. ტომი I. თბილისი.
9. ქართული.. 1947, ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინსვლისათვის. ლიტერატურა და ხელოვნება. 19 თებერვალი.
10. ცინცაძე კ., 1987, კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე. ჩემი მოგონებებიდან. საღვთისმეტყველო კრებული. 3. თბილისი.
11. წურწუშია რ., 2001 მეოცე საუკუნის ქართული მუსიკის თვითმყოფადობისა და ღირებულებრივი ორიენტაციის პრობლემები. სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
12. ხურცილავა ს., 1980 ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა. თბილისი.
13. ჯაფარიძე ა. 2001 მთავარეპისკოპოსი ანანია. წინასიტყვა წიგნისთვის: კალისტრატე ცინცაძე. ჩემი მოგონებებიდან. თბილისი.
14. Glyn Lewis, 1972, Multilingualism in the soviet Union, Aspects of language policy and its Implementation. by E.Glyn Lewis, 1972, mouton – the Gague-Paris.
- 15, Извемстия, 1963, 24. 09. 1963.
16. Насырова О., 1997, Языковая ситуация в республике Каракалпакстан. Москва.
17. Tabidze M., 1999, Sociolinguistic aspects of the development of Georgian, Working Papers, 47, Lund University Department of Linguistics, General Linguistics Phonetics, Lund.

ჟურნალი “სპეკალი“ (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგი):
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/43/>



ბარიელ უზუაჩაძე

**ენობრივი უფლებები რუსეთის მიერ საქართველოს
წინააღმდეგ წარმოებული
საინფორმაციო ომის კონტექსტში¹**

შეარაღებული შეტევის წინ საინფორმაციო მომზადება და მოწინააღმდეგე მხარის მოსახლეობისა და მეთაურების დეზინფორმირება ოდითგანვე ხდებოდა, თუმცა ტერმინი "საინფორმაციო ომი" პირველად გამოიყენა თომას რონამ 1976 წელს თავის ანგარიშში: "იარაღთა სისტემები და საინფორმაციო ომი".

თანამედროვე გაგებით „საინფორმაციო ომი“ არის მიზანმიმართული ქმედებები ინფორმაციული უპირატესობის მისაღწევად; ქმედებები კი ორი სახისაა:

1. კიბერშეტევა და თავდაცვა:

მოწინააღმდეგის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება და საკუთარი საინფორმაციო სისტემებისა და ბაზების დაცვა;

2. საინფორმაციო „დამუშავება“.

ეს უკანასკნელი რამდენიმე წახნაგს გულისხმობს:

2.1. საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება თუ დეზინფორმირება სასურველი რეალობის წარმოსაჩენად (მაგ., რუსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის);

2.2. ინფორმაციული დივერსიებით მოწინააღმდეგის მმართველი ელიტის დეზორიენტირება;

2.3. ინფორმაციული ზემოქმედებით მოწინააღმდეგე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ფორმირება (აღამიანთა ქცევის მართვის მიზნით);

2.4. საკუთარი მოსახლეობის ცნობიერების დაცვა დეზინფორმაციული ზემოქმედებისგან;

2.5. საზოგადოებისთვის სწორი ორიენტირების ჩამოყალიბება...

„საინფორმაციო ომის“, როგორც თეორიის ფორმალიზება პირველად მოხდა შეერთებულ შტატებში 1998 წელს, როდესაც შეიქმნა საპრეზიდენტო კომისია ე.წ. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დასაცავად (შემუშავდა პრეზიდენტის 63 დირექტივა). დღეს ყველა სერიოზული სახელმწიფო ცდილობს „საინფორმაციო ომის“ სპეციალისტების აღზრდას; მაგ., ამ მიმართულებით იკითხება ისეთი სალექციო კურსები, როგორიცაა:

- საინფორმაციო ოპერაციების პრინციპები;
- ფსიქოლოგიური ოპერაციები;
- საინფორმაციო ომი: დაგეგმარება და შეფასება და სხვ.²

რუსეთის იმპერია საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს 200 წელია აწარმოებს, მაგრამ რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომი ახალი ინტენსივობით გაქტიურდა 2008 წელს, როდესაც პრეზიდენტ მედვედევის მიერ შეიქმნა ე.წ.

„საინფორმაციო არმია“, რომელიც აერთიანებს: ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, რელიგიის სპეციალისტებს, ანალიტიკოსებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს... ტელეოპერატორებს, ვიდეო მემონტაჟეებს, მსახიობებს, სცენარისტებს... ყველა იმ სპეციალობის ადამიანს ვისაც შეუძლია შექმ-

¹ სტატიაში წარმოდგენილი მასალების ნაწილი დაბეჭდილია წიგნში: "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო", ქუთაისი, 2010 (ავტორები: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია); "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", Kutaisi, 2010; <http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010>



ნას “რუსეთისთვის საჭირო” საინფორმაციო პროდუქცია: წიგნი, ბროშურა, პლაკატი, მხატვრული, დოკუმენტური თუ ნახატი ფილმი; მათვე ვეგალებათ საზოგადოებრივი აზრის მართვა სოციალურ ქსელებში; ეს უკანასკნელი დღეს მეტად აქტუალურია (შემთხვევით არ ქმნიან ე.წ. სახელოვან “ბლოგერებს”).

განხილული პრობლემა შეეხება საინფორმაციო ომის იმ წახნაგს, რომელსაც მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ „შეტევა საზოგადოების ცნობიერებაზე“, აღნიშნულის მიზანია: „გათიშე და იბატონე“ პრინციპის რეალიზება! აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება უმთავრესი მიმართულებაა გეოპოლიტიკური დაპირისპირების პროცესში.

არავისთვის იქნება უცხო, თუკი ვიტყვით, რომ საინფორმაციო ომის დროს იარაღად თუ საშუალებად გამოყენებულია როგორც ისტორიოგრაფიული, ენათმეცნიერული თუ კულტუროლოგიური იდეოლოგიები (იდეოლოგიზებული ე.წ. სამეცნიერო დებულებები), ასევე, ცნებები: დემოკრატია, სოციალური თანასწორობა, საარჩევნო უფლებები, ეთნიკური და რელიგიური თანასწორობა, ენობრივი უფლებები და ა.შ.

ჩვენი სტატიის თემა სწორედ ამ უკანასკნელი საკითხით დაკონკრეტდება: ენობრივი უფლებები.

საზოგადოების ენისა და მოცემული პიროვნების ენობრივი უფლებების დასაცავად XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპაში გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების ორი მიზანი:

- ისტორიული /ავტოქთონი/, მაგრამ ქვეყნის არაძირითადი მოსახლეობის - უმცირესობის - ენის, როგორც ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის, გადარჩენა-განვითარება;
- ქვეყნის არაძირითადი და არაავტოქთონი მოსახლეობის წამომადგენელთა ენობრივი უფლების დაცვა; კერძოდ:

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ”, რომლის მიზანია ისტორიული/ავტოქთონი უმცირესობის ენის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენის დაცვა.

1992 წლის 18 დეკემბრის 47/135 რეზოლუციით კი გაერომ მიიღო დეკლარაცია: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები”.

გაეროს დეკლარაციის საფუძველზე, 1995 წელს ევროსაბჭომ მიიღო “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ” (სტრასბურგი; 01.11.1995). “ჩარჩო კონვენციის” მიზანია არაძირითადი მოსახლეობის - ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის - ენობრივი უფლებების განსაზღვრა და დაცვა.

რა არსებითი სხვაობაა ამ ორ დოკუმენტს შორის?

“რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” (შემოკლებით: „ენის ქარტიის“) მიზანია ევროპაში ისტორიულად გავრცელებული რეგიონული ან უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგან ზოგს გაქრობა ემუქრება... “ენის ქარტიის” დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე³.

“ენის ქარტიის” ხელმომწერი სახელმწიფოებისგან ითხოვს:

საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენის გადარჩენის მიზნით ენის ქარტია “ითხოვს ამ ენაზე შემოღებულ იქნას სასკოლო და უმაღლესი განათლება, საქმისწარმოება...

“ენის ქარტიის” განმარტებით მოხსენებაში ხაზგასმით წერია:

“ქარტია” არ ადგენს რეგიონულ თუ უმცირესობის ენებზე მოლაპარაკეთა ინდივიდუალურ თუ

¹ საკითხის ისტორიისთვის იხ.: Г.Г.Поченцов. Пропаганда и контрпропаганда. Изд. «Центр», М. 2004; მ. ხანანაშვილი, ინფორმაციული სტრესი, თბ. 2008; Temur Chilachava, Nugzar Kereselidze. About one mathematical model of the information warfare. Fifth congress of mathematicians of Georgia. Abstracts of contributed talks. Batumi/Kutaisi, October 9-12, 2009, p. 85; თ. ჩილაჩავა, ც. ძიძიგური მათემატიკური მოდელირება, თბილისი, 2008.



კოლექტიურ უფლებებს (მე-10-11 განმარტებანი).

მაშასადამე, “ენის ქარტია” ორიენტირებულია, ენის, როგორც კულტურული ფენომენის დაცვაზე; ის ასევე, “ენის “ქარტიის” პრეამბულა:

ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას”.

როგორც ვხედავთ, “ენის ქარტიის” მიზანი ძალიან კეთილშობილურია.

მეორე დოკუმენტი - 1995 წელს მიღებული “ჩარჩო კონვენცია” განსაზღვრავს და იცავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ინდივიდუალურ უფლებებს, მათ შორის ენობრივ უფლებებსაც.

მდრ.: “უმცირესობათა უფლებები თავისი ბუნებით არ არის ჯგუფური უფლებები“ /ბორის სილვეინსი, ჩარჩო ხელშეკრულება ევროპის საბჭოს კონტექსტში”, ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 18/.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია ყველა ნორმალური სახელმწიფოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით“; გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი და სხვა უფლებების დასაცავად შეიქმნა:

- ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს; ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) <http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf>.

- ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>⁴

- ევროსაბჭოს “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ და სხვ. მეორე დოკუმენტს - “ჩარჩო კონვენციას” ყველა ქვეყანა მიუერთდა, მაგრამ ვნებათაღელვა გამოიწვია პირველმა დოკუმენტმა - “ენის ქარტიამ”, რამდენადაც ეს უკანასკნელი გარკვეულ რისკებს შეიცავს; კერძოდ:

- მასობრივად ჩამოსახლებული მიგრანტების ენისთვის მოცემულ რეგიონში განათლებისა და საქმისწარმოების ენის სტატუსის მინიჭებით, შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება; არის ალბათობა, მიგრანტ ენობრივ საზოგადოებას გაუჩნდეს ავტოქტონი /ძირძველი/ მოსახლეობის უფლებრივი ინტერესების განხორციელება.

- სახელმწიფო ენის რომელიმე განშტოების უმცირესობის ენად გამოცხადებით გაიზრდება რისკები მოცემული ეთნოსის/ერის დეზინტეგრაციისა და სეპარატიზმისა.

აღნიშნული საფრთხეების გამო ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ მიუერთდა “ენის ქარტიას”; კერძოდ:

• 2012 წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან 24 სახელმწიფომო მოახდინა “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაცია (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი...);

• 9 სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...); ამათგან, აზერბაიჯანი აცხადებს, რომ რატიფიცირებას არ მოახდენს მანამ, სანამ მისი ტერიტორია ოკუპირებულია⁵;

¹ “the charter covers only historical languages, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question” (31-ე განმარტება).



• 15 სახელმწიფოს თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...)⁶.

აქვე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ “ენის ქარტია” მაღალი დონის დოკუმენტია, რადგან ის, ერთი მხრივ, იცავს საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენას, მაგ., ესპანეთში - ბასკების ენას; მეორე მხრივ, „ენის ქარტიის“ მამებმა გაითვალისწინეს სეპარატიზმისა და თავსმოხვეული კონფლიქტების რისკები და “ენის ქარტიაში” ჩაწერეს რამდენიმე არსებითი სხვა პუნქტიც; კერძოდ:

“ენის ქარტია“ არ მოიცავს მიგრანტთა ენებს” (მუხლი I, ა, II), და, შესაბამისად, “ენის ქარტიის” მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო თანამეგობრობამ საჭიროდ ჩათვალა, საკანონმდებლო აქტების დონეზე ერთმანეთისგან მკვეთრად გაემიჯნა ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობის ენის დაცვის აუცილებლობა და არაავტოქთონი უმცირესობების წარმომადგენელთა ინდივიდუალური ენობრივი უფლებების დაცვის საჭიროება. ამის შესახებ, მაგ., ექსპერტი ასბორნ ეიდი წერს:

“გაეროს სისტემაში ნათელი განსხვავებაა ჩამოყალიბებული ისტორიული (აბორიგენი) უმცირესობების უფლებებსა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც უმცირესობებს მიეკუთვნებიან”⁷

“ენის ქარტიაში” საგანგებოდ აღნიშნულია, რომ იგი არ მოიცავს სახელმწიფო ენას, მის ადგილობრივ სახესვაობებსა და დიალექტებს; ამ ქარტით ნაგულისხმევი “ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესვაობებსა თუ დიალექტებს, თუმცა ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად. (32-ე განმარტება)⁸.

“ენის ქარტია“ არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად; კერძოდ, “ენის ქარტიაში” ხაზგასმით წერია:

“ენისა და კილოს სადავო საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის განსაზღვრისას ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიულ პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ მეტყველებას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი” /32-ე განმარტება/.

“ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს - ავტოქთონი მოსახლეობის - ძირველი მოსახლეობის - ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე” (31 განმარტება)...

შდრ., “ქარტიის განმარტებითი ბარათის” პრეამბულა:

ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან⁹.

¹ <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=ENG;>

² Azerbaijan: The Republic of Azerbaijan declares that it is unable to guarantee the application of the provisions of the Charter in the territories occupied by the Republic of Armenia until these territories are liberated from that occupation.

³ <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeDeclarations.asp?NT=148&CM=8&DF=23/01/05&CL=ENG&VL=1>



ამრიგად, “ენის ქარტიის” მიზანი არ არის არაავტოქთონი უმცირესობის ენის დაცვა.

შემდგომი მსჯელობის გასაგრძელებლად, აუცილებელია კარგად გავიაზროთ ისტორიული უმცირესობის ენის სამი სახეობა:

“ენის ქარტიის” ტერმინი: „რეგიონული ან უმცირესობის ენა“ გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას:

1. რეგიონული ენა - სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება);
2. უმცირესობის ენა - სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება);
3. ტერიტორიის არმქონე ენა - მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი (36-ე განმარტება).

აქვე კიდევ ერთხელ შევეხებით ტერმინს: „ავტოქთონი“.

ეს ტერმინი ძირძველ მოსახლეობას აღნიშნავს, მაგრამ დღეს არის მცდელობა, 100-წლიანი მკვიდრობა გახდეს საკმარისი ავტოქთონობის საზომად.

რამდენად ლოგიკურია ავტოქთონობის კრიტერიუმად 100-წლიანი პერიოდის შემოღება?

ამგვარი კრიტერიუმი სახიფათოა ისეთი ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო, ვინაიდან საქართველოს ბევრი საფრთხე შეექმნება, თუკი რუსული ოკუპაციის პერიოდში ჩამოსახლებული მიგრანტების დიდი ნაწილი გამოცხადდებიან ავტოქთონებად. ამჟამად მიმდინარე საინფორმაციო ომის კონტექსტში ერთ-ერთი სწორედ ეს მიმართულებაა, რომელსაც ააქტიურებს რუსული მხარე.

შდრ.:

საქართველო ოკუპირებულია 200 წელია. ამ პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია რუსეთის იმპერიამ მართა; შესაბამისად, საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდება ამ პერიოდში ჩამოსახლებულ სომეხთა, რუსთა თუ აზერბაიჯანელთა მიჩნევა ავტოქთონ მოსახლეობად და მათი ენებისთვის „ენის ქარტიის“ მუხლების მიყენება... აქვე აღვნიშნავ, რომ ამ საზოგადოებების ენობრივ უფლებებს იცავს საქართველოს კანონმდებლობა და ევროპის სხვა კონვენციები; მაგ., „ჩარჩო კონვენცია“.

უფრო ვრცლად საქართველოსთან მიმართებით ევროპული კანონებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკის შესახებ:

1999 წლის 27 იანვარს საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება, რომ 1 წლის ვადაში რატიფიცირებული იქნებოდა ორი საერთაშორისო დოკუმენტი:

1. “კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“;
2. “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“.

აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ 2000 წლის 21 იანვარს ხელი მოაწერა და 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა პირველ დოკუმენტს.

დღემდე ხელმოუწერელია და დაუდასტურებელია მეორე დოკუმენტი, რომლის რატიფიცირებაც

¹ “კომენტარები: გლობალური და რეგიონული მიდგომები უმცირესობების სიტუაციებთან”, ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 47.

² These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language. However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages (32).

³ “Many European countries have on their territory regionally based autochthonous groups speaking a language other than that of the majority of the population”.



უნდა მომხდარიყო 2000 წელს.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ დაგეგმილი საინფორმაციო ომის ფონზე საინტერესოა საქართველოსთვის რეგიონული ან უმცირესობის ენების ის სიები, რომლებიც 2005-2010 წლებში შესთავაზეს საქართველოს მთავრობას; სამაგალითოდ ერთ-ერთს წარმოვადგინოთ:


ტომამ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლები-სათვის 2005 წელს მომზადებული რეკომენდაციების მიხედვით /"ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი" (YRI), სახალხო დამცველის სამოქალაქო განათლების ცენტრი (ხელმძღვანელი: კახა გაბუნია, სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი), "სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" (მალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია, მარიკა ოძელი, ჭაბუკი ქირია...)/, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს 12 ენას:

სომხურსა და აზერბაიჯანულს (გვ.35); ასევე, "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს "ტერიტორიის არმქონე ენების": რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიუ-ლის, ავარიულის და "უმწერლობო ენების": მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ (გვ. 36-37).

საქართველოს ენების ამგვარი ჩამონათვალი არ შეესაბამება „ენის ქარტიის“ ფუნდამენტურ დე-ბულებებს და ამავე დროს ძალიან სახიფათოა საქართველოსთვის, ვინაიდან გაუმართლებელია ისედაც დანაწევრებული საქართველოს დაყოფა ე.წ. ენობრივ ანკლავებად, კერძოდ, ათეულობით რეგიონად, სადაც უმცირესობის ენად გამოცხადდება მიგრანტების ენებიც და ქართველთა დიალექტებიც; რაც გულისხმობს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის არაკანონიერ შეზღუდვას საქართვე-ლოს ბევრი რეგიონში...

ვიხერკევიჩის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ენების ჩამონათვალი არ გამომდინარეობს „ენის ქარტიის“ პრინციპებიდან, მაგრამ მას მხარს უმაგრებს საერთაშორისო ქსელსა თუ ენციკლოპედიებში წარმოდ-გენილი არაკვალიფიციური ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციები და რუკები; სამაგალითოდ წარმოვად-გენთ რამდენიმეს:

მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2010 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (/ეთნოსები): აზერბაიჯანელები - 308 000, ასირიელები (აისორები) - 3 000, აფხაზები - 101 000, ბაცები - 3 420, ბერძნები - 38 000, ლაზები - 2 000, მეგრელები - 500 000, ოსები - 100 000, რუსები - 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000, სომხები - 448 000, ურუმები - 97 746, ქართველები - 3 901 380, ქართველი ებრაელები - 20 000, ქურთები - 40 000 (http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE).



ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს თანამედროვე ვირტუალური ისტორიის გვერდზე. აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს რეგიონების რუკა, რომელსაც დართული აქვს საქართველოს “ეთნიკურ უმცირესობათა” ენების შემდეგი სია:

1. ჩეჩნური;
2. წოვა-თუშური;
3. ხუნძახური;
4. უღური;
5. აზერბაიჯანული;
6. სომხური;
7. ლაზური ანუ ჭანური;
8. მეგრული;
9. აფხაზური;
10. სვანური;
11. ოსური .

როგორც ხედავთ, ამ ავტორის/ავტორთა აზრით, მეგრული, სვანი, ლაზი საქართველოში არაქართველად, უმცირესობად ითვლება; ქართული მათი დედაენა არ არის!

ზემოთ ვთქვით და აქაც გავიმეორებთ:

საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის ეს მიმართულება („გათიშე და იბატონე“) სათავეს



იღებს ვერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; მაგ., ი. სტალინის წიგნში: “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” (თბ., 1951) ვკითხულობთ:

“კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?” (გვ. 138-139)... “ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ” (გვ. 142).

ი. სტალინი აგრძელებს მეფის რუსეთის დროინდელ კვალიფიკაციებს, რომელთა მიხედვით, გურია, სამეგრელო, იმერეთი, საქართველო ცალცალკე ქვეყნებია, ხოლო ამ კუთხეთა შეილები - სხვადასხვა ენების მქონე ხალხები...

ამ რუკების ავტორებისთვის თითქოსდა უცნობია ისტორიული ფაქტი:

მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ქართველთა ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის წინ დაიშალა პატარა საქართველოებად და არა - საკუთარი ენისა და კულტურის სამეფო-სამთავროებად. რუსული დეზინფორმაციული მანქანა კი ადრეულ თუ გვიანდელ საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსებად დანაწევრებულად წარმოადგენს; დამპყრობელს არ სურს, საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი.


სამაგალითოდ წარმოვადგენთ მეფის რუსეთის დროს შექმნილ რუკას:






ამ რუკისგან დიდად არ განსხვავდება თანამედროვე რუს მეცნიერთა აზრებიც; მაგ., პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში: “მსოფლიოს ენათა რეესტრი” ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად; კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრული, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი.

ამავე ავტორის რუკებზე ქართული ენის საზღვარი სამტრედიამში გადის:






ანალოგურია ი. გიპერტის მიერ შექმნილი 1993-2003 წლებში შექმნილი რუკაც ; მეტიც, ამ რუკის მიხედვით ქართული არ არის ავტოქტონი ერის ენა ცხინვალის მხარეში, სამეგრელოში, სვანეთში, იმერსვეში, ტაოში.../http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm/.



წარმოდგენილი რუკებისგან დიდად არ განსხვავდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინტერნეტგვერდზე ახლანან გამოქვეყნებული რუკაც, რომელის მიხედვით ქართული ენა არ ჩანს სვანეთში, ზემო მაჭახელში, ლიჯანაში, ტაოში... : http://www.ice.ge/kartuliena/iber_cavk_map.html





ამ რუკების მიზანს ეხმიანება ქართული წარმომავლობის ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის წერილი ევროსაბჭოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ქართვის აღმასრულებელი კომიტეტისადმი (წერილი გამოქვეყნდა სოციალურ ქსელშიც; ქართველთა ენობრივი ერთიანობისა და ქართული ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი ავტორების ამ წერილს ვბეჭდავთ თარგმანისა და კომენტარის გარეშე):

“Hereby we, the members of Megrelian Language Group on facebook, would like to address you on the matters concerning inclusion of Megrelian language in the list of regional languages of Georgia meriting protection under the convention on European Charter for Regional or Minority Languages.

Megrelian language is the language spoken mostly by indigenous people living in the western part of Georgia who are referred in Georgia as Megrelebi (Megrels). The Megrelian language does not have any institutional support neither in Georgia nor elsewhere in the world. When Georgia became a member of the Council of Europe it undertook obligation to ratify the Charter for Regional and Minority languages, but so far Georgia has not fulfilled its obligations.

We are aware that recently the working group of the committee visited Georgia and discussed issues relating to the ratification of the convention. Once the process is activated, we would like to you’re your attention to some fact which makes us, the members of Megrelian language community, utterly concerned.

The Georgian Orthodox Church, especially Patriarch of Georgia, who is often referred in Georgia as the Father of Nation, have activated campaign in relation to Megrelian language. The church takes the position that the qualification of Megrelian may pose threat to Georgian unity and therefore, Megrel Language should be treated as a dialect of Georgian. Taking into account the huge influence the church has on government, public officials, populace and even over the scientists, we are afraid that Government of Georgia will be treating Megrel Language as dialect not meriting protection under the Charter. To our utter disappointment many linguists, who previously in their writings considered Megrelian as a language (not a dialect) relating to Georgian, yielded themselves to the influence of church and have changed their positions (Mr. Futkaradze, Mr. Gvantseladze, Mrs. Gujejiani etc.). These scientists, often refer to political reasons (e.g. prevention of disintegration of Georgia) for the justification of lowering Megrelian to the status of dialect. By such a campaign, especially in light of existing territorial conflicts in Georgia, this group is gaining influence which makes us extremely concerned about the prospect of Megrelian Language...”

ამავე კონტექსტშია საინტერესო 2010 წელს ბიბლიოთეკების მომავლის შესახებ მესტიაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის სამუშაო ენების ჩამონათვალი (ვაქვეყნებთ ამ კონფერენციის პროგრამას, რომელიც დევს სოციალურ ქსელში):

შვანია ბიბლიოთეკააღე მომავალ როლ - ბიბლიოთეკაა სემინარ შვანისგა,
 დეკემბერ 3 – 4, 2010 მესტია, ლატლი ი ბეჩო

The Future Role of the Svaneti Libraries - Library seminar in Svaneti

December 3-4, 2010 Mestia, Latali and Becho

legrgali ninar: luSnu i inglisur

Working languages: Svan and English

sponsorar/Sponsors:

finlandiagrand hotel uSba

mestiaS sakrebulo

mestiis bib-ka.

Grand Hotel Ushba

Mestia region administration; Mestia library



ამავე სოციალურ ქსელში ამ კონფერენციის პროგრამის შინაარსის შესახებ ადეკვატური კომენტარი გააკეთა ქნმა ლელა მარგიანმა; მის კომენტარს წარმოვადგენ სრულად:

“ძალიან სამწუხაროა რომ თანამედროვე სვანეთში ხდება ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ვერ მიაღწიეს რუსებმა და საქართველოს სხვა მტრებმა სვანეთში - ქართულის როგორც სახელმწიფო ენის უგულბეღყოფა!

ჩვენს ტერიტორიებდაკარგულ სამშობლოს ესლა აკლდა - სვანებმა უარვევით ქართული და არაკეთილმოსურნე უცხოელების განზრახვა შევასრულოთ!”

კონფერენციის დამფინანსებელ ფინელ პარტნიორს როცა მიუთითეს, რომ სვანები ქართველები არიან და მათი დედაენა და სალიტერატურო ენა არის ქართული ენა, მან აქეთ დაგვამადლა და თქვა, რომ გვეხმარება, რომ საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენა - სვანების დედაენა (სვანური) განვითარდეს და მოიპოვოს სალიტერატურო ენის სტატუსი. თავის გამამართლებელ საბუთად მან გამოაქვეყნა იუნესკოს კვალიფიკაცია, სადაც მართლაც წერია, რომ სვანური არის უმცირესობის ენა, რომელიც საფრთხის ქვეშ არის (მასალები იხ.: GrandHotelUshba: <http://www.unesco.org/culture/languages-atlas/index.php>).

იუნესკოს კვალიფიკაცია საბჭოურ ტრადიციას ასახავს: სვანები ქართველები არიან, მათი დედაენა ქართული, შესაბამისად, სვანური არის არა უმცირესობის ენა, არამედ - ქართული ენის ეს კუთხური სახესხვაობა¹

მეგრულ-სვანური სხვა ქართველურ კილოებთან ერთად ერთ ენობრივ სისტემას რომ ქმნის, ამის საჩვენებლად მრავალ ფაქტთაგან წარმოვადგენთ მიცემითი ბრუნვის წარმოებას:

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა ქართველურ ქვესისტემაში არის-ს, რომელსაც უდასტურდება შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები, მაგ., ხუთივე სვანურ კილოში მრავლობით რიცხვში გვაქვს -ს, რომელიც ზოგჯერ იკარგება: ხან-არ-ს - ხარებს, ბეფშუ-არ-ს - ბავშვებს...

სვანური არის საქართველოს ერთ-ერთი მხარის ქართველების საშინაო მეტყველება, რომელიც რეალიზებულია რამდენიმე კილოს სახით (ბალსხემოურით, ბალსქვემოურით, ლენტეხურით, ლაშხურით, ჩოლურულთ). სვანურ მეტყველებას მართლაც უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ არა ისე, რომ მისით ჩანაცვლდეს სვანის ისტორიული დედაენა - ქართული.

ზაზგასმით აღვნიშნავთ, რომ “ენის ქარტია” არ მოიცავს სახელმწიფო ენის დიალექტებსა და სახესხვაობებს; შესაბამისად, ქართველთა საშინაო მეტყველებები - საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული...), ვერ შევა “ენის ქარტიაში” რატიფიცირების დოკუმენტს დართულ ენების ჩამონათვალში.

¹ მეგრულ-სვანური სხვა ქართველურ კილოებთან ერთად ერთ ენობრივ სისტემას რომ ქმნის, ამის საჩვენებლად მრავალ ფაქტთაგან წარმოვადგენთ მიცემითი ბრუნვის წარმოებას:

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა ქართველურ ქვესისტემაში არის -ს, რომელსაც უდასტურდება შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები, მაგ., ხუთივე სვანურ კილოში მრავლობით რიცხვში გვაქვს -ს, რომელიც ზოგჯერ იკარგება: ხან-არ-ს - ხარებს, ბეფშუ-არ-ს - ბავშვებს...

შდრ., სხვა ქვესისტემები: მეგრ.: წყარ-ს ‘წყალს’, ოსურ-ს ‘ქალს’, ბოში-ს ‘ბიჭს’, ბჟა-ს ‘მხეს’, თუთა-ს ‘მთვარეს’ (მეგრ.); კონი-ს ‘კაცს’, ოსურ-ს ‘ქალს’, ბერე-ს ‘შვილს’, კუნხე-ს ‘ფეხს’ (ჭან); მაარა-ს ‘კაცს’, ზურაალ-ს ‘ქალს’, უელ-ს ‘ძაღლს’, ხონა-ს ‘კარგს’ (სვან.)...

ზოგჯერ მიცემითის -ს მორფემა შემდეგი ალომორფებით დასტურდება: -ს, -სა, -ჰ, ც, 0. ისინი ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული.

ჰ<ს: რაჰ<რას, მმაჰ<მმას (სამცხ.-ჯავახ.) (ბ.ჯორბენაძე, 1998, 550).

-ც<ს: მეგრულში (ი.იფთშიძე, 1914, გვ.024; გ.კლიმოვი, 1962, გვ.69-70; ა.ლომთაძე, 1987, გვ.10); აგრეთვე გურულსა და აჭარულში (ს.ჟღენტე, 1936; ი.მეგრელიძე, 1938; შ.ნიჟარაძე, 1957). მაგ.: მეგრ.: უწუ მუში ცხენ-ც - უთხრა თავის ცხენს” (ხუბ. 218,33), პადურ-ც ქუჩანთუანც ‘პანდურს ურტყამს” (ხუბ. 185,36). გურ.: წალ-ც<წალდ-ს, ვარ-ც<ვარდ-ს, სტუდენ-ც<სტუდენტ-ს... (ი.მეგრელიძე, 1938); გულ-ც<გულ-ს, წყალ-ც<წყალ-ს, სადილ-ც<სადილ-ს (გრ.იმნაიშვილი, 1966, გვ.250); აჭარ.: ბღაილ-ც... (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ.31).

/0/: კახ., ქართლ., აჭარ., ჯავახ., კაკ., იმერ., ლაშხ., ლენტ., მეგრ. დიალექტებში: ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმე-0 ქამანდო იტყრდა (ქართლ.); პოლ-0 რეცხენ, ჩედიან ქორწილ-0 (კაკ.); ცხენ-0 საძოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხაღხ-0 ვერ იპონი იქა, ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.); მეზობლეფ-0 დურბეკს, კარდლეფ-0 მუაკალიეფ (ზაჭარ.); იმა-0 მოყვებიან (რაჭ.)...



ქართველთა საშინაო მეტყველებები - საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული, ტაოური, ლივანური, ფერეიდნული, ხვესურული...) გაქრობის საფრთხის ქვეშაა, ამიტომ მათ დასაცავად სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს.

თუკი რუსული (ასევე, ზოგი სხვა დასავლური თუ სამხრეთული გლობალისტური მოძრაობების) გეგმის შესაბამისად და “ენის ქარტიის” პრინციპების გვერდის ავლით საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად აღიწერება ე.წ. სამი/ოთხი ქართველური ენის თეორიის მიხედვით და “რეგიონული და უმცირესობის ენების” შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიკაციის შემდეგ საქართველოს ენათა ჩამონათვალში დაფიქსირდება 2-3 “უმწიგნობრო ქართველური ენა“, ხელოვნურად წახალისდება ქართველთა ეთნიკური პარციაცია და სეპარაცია; ძირფესვიანად შეირყევა ქართველი ერის (ეთნოსის) მრავალსაუკუნოვანი მთლიანობა.

რაც შეეხება სომხურს, აზერბაიჯანულს, რუსულს და საქართველოში არსებულ სხვა ენებს:

სომხური, აზერბაიჯანულ და რუსული ენები არ არის საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობის ენები; გარდა ამისა, მათ გაქრობის საფრთხე არ ემუქრებათ. მკაცრად თუ დავიცავთ “ენის ქარტიის” პრინციპებს და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აფხაზურ-ისტვის სახელმწიფო ენის სტატუსის გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია ისე მოახდინოს “რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის” რატიფიკაცია, რომ საერთოდ არ გააკეთოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ჩამონათვალი, ან არ ამოქმედოს ქარტიის შესაბამისი ნაწილი (ამის საფუძველს თუ საშუალებას იძლევა “განმარტებითი მოხსენების” 42-ე და 49-ე პუნქტები).

საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში, “ქარტიის” მეორე ნაწილი შეიძლება ამოქმედდეს, დიდი საფრთხის წინაშე მყოფი უდიურისა და ოსურის მიმართ, რომელსაც, როგორც ჩანს, სხვაგან არსად აქვს გადარჩენა-განვითარების პერსპექტივა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: საქართველოში დამკვიდრებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია სახელმწიფოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით“.

ამ მიზნითაა შექმნილი ასევე:

- ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) <http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf>.

- ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>

<http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM= 8&DF=12 /15/2008&CL=ENG>;

- ევროსაბჭოს “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ და სხვ.

ამ ბოლო დროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი შექმნა საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, 2009 წლის მაისში პრემიერ-მინისტრის ხელმწიფოთი გამოქვეყნდა “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა” [/http://www.epfound.ge/files/konceptia_geo.pdf](http://www.epfound.ge/files/konceptia_geo.pdf), რომელიც შემუშავდა “ჩარჩო კონვენციის” საფუძველზე. ამ დოკუმენტითაც მაქსიმალურადაა დაცული სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი თუ სხვაენოვანი უმცირესობების ენობრივი უფლებები განათლების, მასმედიის და სხვა მიმართულებებით.



3.2. რეალურად უნდა დაიგეგმოს ქართული ენის სახესხვაობების - კუთხური მეტყველებების (მეგრული, ლაზური, სვანური, ტაოური, ფერეიდნული, ინგილოური, ფერეიდნული, ხევსურილი, თუშური...) შესწავლისა და გადარჩენის ღონისძიებები;

3.3. უნდა დაიგეგმოს ქართველური დიალექტური ლექსიკით ეროვნული სამწიგნობრო ენის გამდიდრება;

3.4. უნდა შემუშავდეს ქართველური ენობრივი სამყაროს სწავლების პროგრამები;

3.5. სახელმწიფო მოხელეებისა და საქართველოს მოქალაქეების მსურველთათვის უნდა მომზადდეს საგამოცდო ტექსტები შესაბამისი სერტიფიკატების (ღონების მიხედვით) მისაღებად.

თანამედროვე მსოფლიოში რთულია საქართველოს დანაწევრების დაკანონება მხოლოდ ოკუპაციის გზით, შესაბამისად, მომავალშიც გაგრძელდება საინფორმაციო შეტევები, კერძოდ, მცდელობანი, “მეცნიერული” კვალიფიკაციებით და ისტორიული სინამდვილის გაყალბებით - საინფორმაციო დივიდიონებით - მოექმნოს საფუძველი ქართველთა ნაწილის არაქართველებად გამოცხადებასა და ქართველთა დიდი ნაწილისთვის დედაენის - ქართული ენის გაუცხოებას. შესაბამისად, საქართველოს დღეს ესაჭიროება წარმოდგენილი პრობლემის არსისა და საფრთხეებისა თუ რისკების გაცნობიერება სახელმწიფო დონეზე; შესაბამისად უნდა შეიქმნას თანამედროვე ინფორმაციებითა თუ მეთოდოლოგიით აღჭურვილ პროფესიონალ ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა და ეთნოლოგთა ჯგუფი, რომელიც ერთიან კონტექსტში გაიაზრებს და ფართო საზოგადოებას მიაწოდებს:

- ქართველთა სამწიგნობრო ტრადიციას;
- ქართველთა ეთნიკურ-ეროვნული ერთიანობის ისტორიას /იხ., მაგ., “იბერიელთა ერთობის ტრაქტატი”/;

- ენობრივ-ეთნიკური ისტორიის შესახებ მემატიანეთა ტრადიციულ ხედვას;

- მე-19 საუკუნის ბოლოს ქართველური “ენებისა” თუ კილოების შესახებ რუსი მოხელეებისგან დაწყებული და დღემდე მიმდინარე დისკუსიების ორგანიზების რეალური მიზეზ-შედეგობრიობის /იანოვსკი - ილია, ამბროსი ხელაია - ვოსტორგოვი, ნ.მარი - ჯავახიშვილი.../ მეცნიერულ და არსობრივ განმარტებას საზოგადოებისათვის;

- ზემოთ წარმოდგენილ არამეცნიერული და ანტიქართული ეთნოლინგვისტურ რუკების საბაზო იდეოლოგიის სამეცნიერო თვალთახედვით მხილვას.

ხელისუფლების ხელშეწყობით ამავე ჯგუფმა საერთაშორისო ასპარეზზე უნდა დაამკვიდროს ქართველთა ობიექტური ენობრივ-კულტურული ისტორია (შდრ., იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მცდარი კვალიფიკაციები)... თუკი ეს ღონისძიებები დროულად არ განხორციელდა, დიდი ალბათობაა, საქართველოს დანაწევრების მოსურნეებთან საბოლოოდ წავაგოთ საინფორმაციო ომი ე.წ. “ენობრივი უფლებების” სფეროში; რასაც შედეგად მოჰყვება საქართველოს ხელისუფლების მიერ “ენის ქარტიის” რატიფიცირება ენების არაადეკვატური ჩამონათვალით; ანუ:

მოწინააღმდეგე მხარე „ევროპული კანონებით“ არაკანონიერად მიაღწევს თავის მიზანს: ქართველ ერს ოფიციალურად დაანაწევრებს ენობრივ-ეთნიკურად, საქართველოს რამდენიმე რეგიონში კი (სადაც ქართული ენა დღემდე არ იციან ჩამოსახლებულმა მიგრანტებმა), ამოქმედებს ე.წ. რეგიონულ ენებს” - სინამდვილეში სხვა სახელმწიფო ენებს... ამას კი მალე მოჰყვება ქართველი ერის ისტორიული სტრატეგიული მიწა-წყალის ქცევა უცხო ქვეყნის (ქვეყნების) “დეფაქტო” ადგილად და ჩვენი წინაპრების მიერ სისხლითა და დიდი ღვაწლით დღემდე მოღწეული საქართველო სრულად გაქრება მსოფლიო რუკიდან.



ვახტანგ იმნაიშვილი

მართლაც 1928 წელს შეიტყვეს პირველად საქართველოში გრაცის უნივერსიტეტის ქართული ხელნაწიერების შესახებ?

გრაცი ავსტრიის სიდიდით მეორე ქალაქია. მისი XVI საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ძველისძველი ქართული ხელნაწერები. ერთი მათგანი, VII საუკუნით დათარიღებული ხანმეტი ლექციონარი, ბიბლიოთეკის მშენებაა, რადგან ბიბლიოთეკის თაროებზე შემოწვობილ მრავალენოვან ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი ეგზემპლარია. ამ ხელნაწერებს არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევრის ყურადღება მიუპყრია. ძველქართულ ხელნაწერთა ისტორია ჰუგო შუხართის სახელთან არის დაკავშირებული. ჰუგო შუხართი (4.II.1842 - 21.IV.1927) იყო გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი, რომანული ენების ცნობილი სპეციალისტი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, ვენის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. შუხართის მეცნიერული დამსახურების აღიარებაზე მეტყველებს მისი საპატიო ტიტულების ჩამონათვალი: ბოლონიის, ბუდაპეშტის, ოსლოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ბერლინის, მიუნხენის, რომის, ამსტერდამის, ლისაბონის, კოპენჰაგენის, კრაკოვის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ჯაკარტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა საზოგადოების წევრი, საპატიო წევრი სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტისა სან-სებასტიანში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. სხვათა შორის, ჰუგო შუხართი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წევრიც იყო. შთაბეჭდავია შუხართის გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომთა რაოდენობა: მათი რიცხვი 770-მდე აღწევს. ჰუგო შუხართი, ჩანს, XIX საუკუნის 80-იან წლებში დაინტერესდა ქართულით, მან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ქართველ სწავლულებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მათგან სისტემატურად იღებდა ქართულ სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურას. შუხართის ქართველ ნაცნობთა შორის შეიძლება დავასახელოთ ილია ჭავჭავაძე, პეტრე მელიქიშვილი, ნიკო მარრი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ნოე ჟორდანი, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ლოლობერიძე და სხვანი. მათ არა მარტო მიმოწერა ჰქონდათ შუხართთან, არამედ ზოგიერთი მათგანი ევროპაში ყოფნისას პირადადაც გაეცნო გამოჩენილ მეცნიერს.

შუხართს ორ ათეულამდე გამოკვლევა აქვს დაბეჭდილი ქართულის შესახებ. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში ის აღნიშნავს, რომ ქართული მისთვის სიმპათიური და საინტერესო ენაა. სწორედ ამ დიდმა სიმპათიამ და გამოკვეთილმა მეცნიერულმა ინტერესმა ქართული ენისადმი უბიძგა შუხართს, რომ ქართული მატერიალური კულტურის უბერებელი ძეგლები, რომლებიც ვიღაც გადაწყვიტვების ხელში მოხვდა და, ვინ იცის, ბედი რა გზას გაუყენებდა ამ უკვე დაფურცლილ და ყდაშემოდარცულ მოწმეებს ჩვენი სახელოვანი წინაპრების თავაუღებელი საქმიანობისას შორეულ სინაზე თუ იერუსალიმში, შემდგომი დაზიანების ან, უარეს შემთხვევაში, დაკარგვისაგან ეხსნა და თავის საიმედო ხელში მოექცია. ხანგრძლივი სავაჭრო პერიპეტეების შემდეგ შუხართმა ქართული ხელნაწერები საკუთარი სახსრებით შეიძინა, შეისწავლა და სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გრაცის უნივერსიტეტს დაუტოვა ანდერძით.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ გრაცის ქართული ხელნაწერების შესახებ ქართულმა სამეცნიერო სამყარომ პირველად დაწვრილებით 1929 წელს შეიტყო, როცა აკაკი შანიძემ “ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის” IX ტომში გამოაქვეყნა “ქართული ხელნაწერები გრაცში”, თუმცა მანამდე, ერთი წლით ადრე, იმავე ორგანოს VIII ტომში ჰუგო შუხართის ვრცელი ნაშრომი დაიბეჭდა - “იტტიელუნგენ აუს გეორგისცჰენ ანდ-სცჰრიფტენ” (“ცნობები ქართული ხელნაწერებიდან”), მაგრამ გერმანულ ენაზე დასტამბული ეს გამოკვლევა, ალბათ, მხოლოდ ერთეულებმა თუ



გაიციანობიერეს, რადგან იმხანად თბილისში იმ წრეში, რომელთანაც ჰუგო შუხართს ჰქონდა საქმე, ძირითადად ფრანგულს ფლობდნენ. როგორც არტურ ლაისტმა ურჩია შუხართს ერთ პირად წერილში (2.IX.1895), ჯობდა, გრაცელ პროფესორს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისათვის ფრანგულად მიეწერა, რადგან იქ გერმანული არავინ იცოდა. თუკი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც კი არავინ ფლობდა გერმანულს, ადვილი წარმოსადგენია, სხვაგან რა ვითარება იქნებოდა.

გრაცის უნივერსიტეტში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების კვლევას დასაბამი თითქოს 1928 წელს დაედო. მომდევნო წლებში დაიბეჭდა აკაკი შანიძის, გრიგოლ ფერაძის, მიქელ თარხნიშვილისა და სხვათა გამოკვლევები, გამოქვეყნდა ცალკეული ტექსტები... მაინც, ფართო საზოგადოებამ აკაკი შანიძის მეშვეობით შეიტყო გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ. გავრცელებული შეხედულებით, მანამდე არავის დაუძრავს კრინტი ამ მრავალტანჯულ ხელნაწერებზე.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ა. შანიძე არ იყო პირველი, ვისაც შუხართმა მის ხელში მოხვედრილ ქართულ ხელნაწერებზე უამბო, და არც მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ხელნაწერებია ჰუგო შუხართის არქივის ქართულ კოლექციაში: იქ კიდევაა ერთი სრულიად უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტი, რომლის შესახებ საქართველოში მართლა არავის სმენია შუხართისაგან.

თბილისშიც და, სხვათა შორის, მოსკოვშიც XIX საუკუნის მიწურულს, 30 წლით ადრე, ვიდრე ეს ხელნაწერები თბილისელი მკვლევრებისთვის გახდებოდა ცნობილი, უკვე იცოდნენ, რომ შუხართი რაღაც ძველ ქართულ ხელნაწერებს ფლობდა. მეტად საინტერესოა ამ ხელნაწერების ისტორია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა ამჟამად გრაცში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები 1883 წელს სინას მონასტერში ნახა და აღწერა, ხოლო 5 წლის შემდეგ მათი აღწერილობა გამოაქვეყნა კიდევ სინურ ხელნაწერთა კატალოგში [Цагарели, 1888]. 1902 წელს ნიკო მარრსა და ივანე ჯავახიშვილს ხელნაწერები უკვე აღარ დახვდათ ადგილზე. ახლა დაბეჯითებით ძნელია თქმა, ვინ და როდის გაიტანა ისინი მონასტრის საცავიდან. დაახლოებით 1894 წლის ბოლოსთვის ამ ხელნაწერების ხელში ჩასაგდებად ნამდვილი ომი გაიმართაო, - წერს ავსტრიელი მხატვარი ალფონს ლეოპოლდ მილიხი, რომელიც, ეტყობა, ამ “ომის” ერთ-ერთი მონაწილე იყო და, ბოლოს და ბოლოს, თვითონ დაინარჩუნა ქართული ხელნაწერები. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა არც მათი შინაარსი და არც მათი ნამდვილი ღირებულება, მისივე სიტყვებით, მხოლოდდა მხოლოდ მათი გარეგნული მიმზიდველობის გამო გარისკა და ხელიდან გამოსტაცა კონკურენტებს ძვირფასი ფოლიანტები საფიქრებელია, ეგვიპტის მიწაზე, სადაც იგი წლების განმავლობაში დადიოდა ანტიკვარული ნივთების შესაძენად, რათა მათი რეალიზაციით მოეთბო ხელი (ხელნაწერების შეძენის ერთ-ერთ სავარაუდო ადგილად ბეირუთსაც ახსენებენ, მაგრამ, ვფიქრობ, იგი კვალის ასარევად უნდა იყოს დასახელებული).

მილიხმა არ მოინდომა ხელნაწერების მაშინვე გაყიდვა, ორ წელიწადს მოიცადა და მხოლოდ 1896 წლის ოქტომბერში გადადგა პირველი ენერგიული ნაბიჯები მათს გასასაღებლად. ამ მიზნით მან კოლექცია, რომელშიც, ქართულის გარდა, სლავური ხელნაწერებიც შედიოდა, ვენაში კარის ბიბლიოთეკას შესთავაზა. ბიბლიოთეკის დირექტორი, ჰაინრიხ ფონ ცაისბერგი, მეტად ფრთხილი და წესიერი კაცი იყო და, სანამ შეიძენდა ხელნაწერებს, რომლებიც მას პირველივე შეხედვით მოეწონა, გადაწყვიტა, ჯერ შეემოწმებინა - რა შინაარსისა იყო ისინი, და სავარაუდო ღირებულებაც დაედგინა. ვენაში იმხანად ქართულის რიგიანი მცოდნე მხოლოდ ფრიდრიხ მიულერი ეგულებოდა - ვენის უნივერსიტეტის პროფესორი და მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რომელსაც უკვე ჰქონდა ერთი გამოკვლევა ქართულის შესახებ (“ქართული ზმნის უღლებისათვის” 1868/69), ახლა კი ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ აპირებდა სტატიის დაწერას, მაგრამ მიულერმა რატომღაც თავი აარიდა ამ საქმეს და



ცაისბერგს გრაცში მცხოვრებ ჰუგო შუხართზე მიუთითა, რომელსაც ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა პირველი ნაშრომები ქართულის შესახებ. ცაისბერგმა ყურად იღო მიუღერის რჩევა და შუხართს სთხოვა დახმარების აღმოჩენა, ხოლო ამ უკანასკნელის თანხმობის შემდეგ მის ხელთ არსებული 4 ხელნაწერი გადაუგზავნა გრაცში (ბიბლიოთეკის კატალოგის დღევანდელი 2058/1,2,3,4 ხელნაწერები).

შუხართმა არ დაახანა და ა. ცაგარლის კატალოგის მეშვეობით დაადგინა, რომ მის ხელში მოხვედრილი ხელნაწერები ოფიციალურად სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის კუთვნილება იყო. რაკი ცაისბერგმა ეს შეიტყო, მილიხისგან მოითხოვა ხელნაწერების ფლობის კანონიერების დამადასტურებელი საბუთი, რაც მილიხს არ გააჩნდა. მაშინ ცაისბერგმა ხელნაწერების შექმნაზე უარი თქვა ჩემი ბიბლიოთეკის თაროებზე მოპარულ ხელნაწერებს ვერ დავაწყობო, რისთვისაც დირექტორი მკაცრად გააკრიტიკა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ვატროსლავ იაგინმა, რომელიც სლავისტიკის კათედრას განაგებდა უნივერსიტეტში. იაგინი მაშინვე მიხვდა, რა ხელნაწერებთან ჰქონდა საქმე და ბევრი ვაჭრობის გარეშე შეიძინა სლავური ხელნაწერები, თანაც დასძინა: “მე არ მესმის ეჭვი კარის ბიბლიოთეკის დირექტორისა, რომელსაც არ სურს ხელნაწერების შექმნა, სანამ მათი წარმომავლობის საბუთს არ წარუდგენენ. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ევროპის ძალიან ცოტა ბიბლიოთეკას ექნებოდა მათი ახლანდელი განძი” (წერილი შუხართისადმი, 26.XII.1896). მაგრამ არც ცაისბერგის გამტყუნება შეიძლება, რადგან მის წრეში პატიოსნებასა და უმწიკვლო რეპუტაციას დიდი ფასი ჰქონდა.

ამ მომენტით ისარგებლა შუხართმა, რომელმაც ხელნაწერები გარკვეული დროით თავისთან დაიტოვა და კარგადაც გაჩხრიკა. რაკი მილიხს დაემუქრნენ, ამ საქმეში ეგვიპტეში ავსტრიის ელჩს ჩავრთავთო, იგი შეშინდა, ხელნაწერები არ წამართვანო, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ თავდაპირველ ფასს საგრძნობლად ჩამოუკლო და 1896 წლის 12 იანვარს ხელნაწერები თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდა შუხართს, თან უსასყიდლოდ 3 ცალკეული ფურცელიც დაუმატა (დღევანდელი 2058/6,7). ცოტა ხანში მან შუხართს კიდევ ერთი ხელნაწერი, გრავილი, ამჟამინდელი 2058/5, შესთავაზა და ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ ეს გრავილიც გრაცელი პროფესორის ხელში აღმოჩნდა.

სხვათა შორის, იმ ხანებში ჰუგო შუხართი და ალექსანდრე ხახანაშვილი ქართული ენის გერმანულენოვანი გრამატიკის დაწერას აპირებდნენ და ინტენსიური მიმოწერა გააჩაღეს ერთმანეთთან ისე, რომ ჩაფიქრებული გრამატიკის რაღაც კონტურები უკვე მოხაზულიც ჰქონდათ. მაგრამ ეს წამოწყება რაღაც მიზეზის გამო ხანგრძლივი დროით შეწყდა, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში განაახლა შუხართმა ფიქრი ამ იდეის განსახორციელებლად (თვითონ იდეა ხახანაშვილისა იყო და იგი ვარაუდობდა სახელმძღვანელოს ვენაში დაბეჭდვას). საფიქრებელია, სწორედ ამ ხელნაწერებმა გადაადგინა შუხართს გრამატიკაზე მუშაობა. ახლადშექმნილმა ხელნაწერებმა იგი გაიტაცა და მთლიანად ჩაითრია, ძეგლები პალეოგრაფის თვალითაც გამოიკვლია და, როცა დასჭირდა სათანადო წყაროები და ლიტერატურა, დახმარებისთვის ისევ ხახანაშვილსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა. უკვე 1896 წლის 7 ნოემბერს მან წერილი გაუგზავნა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას: “ძალიან ვჩქარობ, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ვიკვლევ ქართულ მასალებს: მე გამომიგზავნეს პერგამენტზე ნაწერი ოთხი ქართული ხელნაწერი. ასოები «ხუცური»». ხელნაწერები ეკუთვნის გარდასულ ეპოქებს: მათგან ორი ლიტურგიკული წიგნია, ერთი დავითნი და ერთიც წმ. სიმონის ცხოვრება. მთხოვეს, რომ ისინი უნდა შევამოწმო და მიახლოებით მაინც შევაფასო მათი ღირებულება, რადგან მათს ყიდვას აპირებენ. ეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს” (7.XI.1896).

მომდევნო წლის 28 თებერვალს იგი კვლავ სწერს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას: “მე ვამზადებ ცნობებს ქართულ ხელნაწერებზე, რომლებიც ჩემს ხელთაა (ამათგან სამი «ასო-მთავრ.»). თუ გაქვთ ჩემთვის გამოსადეგი ერთი ან ორი ლიტურგიკული წიგნი, დაბეჭდილი «ხუცურით», ძალიან დამავალდებთ, თუკი მათ გამომიგზავნიდით. მე მათ გამოვიყენებდი ჩემი იმ ნარკვევისათვის, რომლის



შესახებ ეს-ესაა მოგახსენეთ” (28.II.1897).

მანამდე ხელნაწერების შესახებ შუხართმა ალექსანდრე ხახანაშვილსაც აცნობა მოსკოვში. მართალია, შუხართის არქივში ხახანაშვილის მხოლოდ ერთი გვიანდელი წერილია და ერთიც ვრცელი ფრაგმენტი წერილისა, რომელშიც ჩაფიქრებული გრამატიკისთვის მომზადებული სავარჯიშოებია, მაგრამ, სამაგიეროდ, თბილისში აღმოჩნდა შუხართის წერილები, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რას პასუხობდა შუხართს მოსკოველი პროფესორი: “ამჟამად მთლიანად ქართულ ხელნაწერებში ვარ ჩაფლული. ჩემი ოთხი ხელნაწერი რომ მართლაც ძალზე ძველია, როგორც უკვე მოგწერეთ, ამას ირწმუნებთ, როცა ჩემს დაბეჭდილ მოხსენებას გამოგიგზავნით. ხელნაწერებიდან სამი ასომთავრულითაა ნაწერი, მეოთხე, რომელიც ნუსხურადაა, დათარიღებულია (X საუკ.). შემდგომში ორი კერძო პირისაგან ვითხოვე «ხუცური» ნაწერი ერთი სქელი ლიტურგიკული წიგნი და ერთიც გრძელი გრაგნილი, რომელიც თავდაპირველად რაღაც ისტორიული დოკუმენტი მეგონა, მაგრამ შემდეგ მისმა წითლად ნაწერმა ძნელად გასარჩევმა სათაურმა იმედი გამიცრუა: «ს ო ყ მის წ რვა წ ისა ი ე ოქ როპირის » - წმინდა იოვანე ოქროპირის მესა!”(31.I.1897).

ამ წერილიდან ჩანს, რომ შუხართმა ხელნაწერების შესახებ უკვე აუწყა ხახანაშვილს (ოღონდ ეს წერილი არსად ჩანს). შუხართის სხვა წერილიდან ირკვევა, რომ 1897 წლის მარტის ბოლოსთვის იგი ვარაუდობდა ხელნაწერების შესახებ გამოკვლევის დასრულებას: “მე ახლა მთლიანად ქართულ პალეოგრაფიაში ვარ ჩაფლული და იმედი მაქვს, რომ პირველი “ცნობა ქართული ხელნაწერებიდან” (ორი ფოტოტიპიური ტაბულით) [გოთაში] ჩემს გამგზავრებამდე გავამზადო დასაბეჭდად” (6.III.1897). გოთაში დედამისთან ჩასვლას კი შუხართი მარტის ბოლოსთვის გეგმავდა, რაზეც იმავე წერილშია საუბარი: “ამ თვის ბოლოსთვის გოთაში გავემგზავრები.”

ამ ხელნაწერების შესახებ იციან მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში (ე.წ. ლაზარევის ინსტიტუტში). სომხური ლიტერატურის პროფესორი გრეგორ ხალათიანი შუხართს სწერს: “ვენიდან მხითარისტებმა მაცნობეს, რომ თქვენ ქართული სახარება აღმოაჩინეთ, რომელიც პალიმფსესტია. თუკი იგი მართლაც IX საუკუნისაა, ბუნებრივია, სომხური ნაწერი უფრო ძველი უნდა იყოს, თუმცა ჩვენი პროფესორი ხახანაშვილი გვარწმუნებს, რომ ქართული ნაწერი არ შეიძლება XI საუკუნეზე აღრინდელი იყოს, რისი თქმის უფლებას მას ხუცური ასოების მოყვანილობა აძლევს” (VII, 1897). ცნობა, რომ სომხურ-ქართული პალიმფსესტი IX საუკუნისაა, ალბათ, თვითონ შუხართმა გაავრცელა. რაც შეეხება ქართულ ტექსტს, იგი სახარება კი არა, ფსალმუნია. ამჟამად მიღებულია, რომ იგი X საუკუნის I ნახევრისაა (ა. შანიძე).

ბოლო წერილები ხელნაწერების შესახებ 1897 წლითაა დათარიღებული. მერე რა მოხდა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ შუხართი მათზე უკვე აღარაფერს ამბობს. იქნებ ჩათვალა, რომ გამოკვლევა მარტში დაასრულა და საკითხიც ამით ამოიწურა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკვლევის ტექსტს, რომელიც ავტორმა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე (16.04.1927) თბილისში გამოუგზავნა აკაკი შანიძეს, გარკვევით აწერია ავტორის ხელით -დაუსრულებელია!

გავეცნოთ რამდენიმე ფრაგმენტს შუხართის წერილებიდან: “ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამ სემესტრში შევებულე ავიდე. მე ახლა დაკავებული ვარ ორი კორექტურითა და ერთი სტატიით, რომელიც კარგა ხნის წინ მოვხაზე (იგი რომანულს ეხება) და, როგორც კი ამ სამუშაოს დავამთავრებ, ვიმედოვნებ, კვლავ მოვიდო ხელი ქართულს, შემდეგ მინდა მივხედო ერთ ჩემს ნაშრომს ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც დიდი ხანია თითქმის ბოლომდე მიყვანილი და მინდა, რომ, ბოლოსდაბოლოს, დავასრულო” (27.XII.1897).

იქვე: “თქვენ არ შეგიძლიათ წარმოდგენა, როგორ დაქვეითებულია ჩემი სამუშაო ძალა. ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება აღარ შემიძლია და წინ კუს ნაბიჯით მივდივარ”.

“ჩემი განზრახვაა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი, რაც კი გარკვეული დროიდან ქართვე-



ლური და სხვა კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ ქართულად ან რუსულად გამოიცა, გამოწვლილ- ვით დავაბეჭდათ. ცხადია, ჩვენს ჟურნალს საამისოდ ადგილი არა აქვთ, ამიტომ მე შემიძლია მხოლოდ ისინი მივიღო მხედველობაში, რომელთა სტამბებსაც ქართული შრიფტი აქვთ... დეკემბრის შუა რიცხ- ვებში ვფიქრობ რამდენიმე თვით ეგვიპტეში გამგზავრებას... ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, თუ რამემ ხელი არ შემიშალა, ვაპირებ, განვაახლო დიდი ხნის წინ დაწყებული სამუშაო ქართული გრამატიკის შესახებ. ამ საქმეში დიდ სარგებლობას მომიტანდა გრამატიკა, რომელიც პეტერბურგის სააზიო მუზეუმშია” (23.XI.1902). აქ მოსე ჯანაშვილის ქართული გრამატიკის ხელ- ნაწერი იგულისხმება (მოსე ჯანაშვილს განზრახული ჰქონდა, ქართული გრამატიკა შუხართის შემწეო- ბით ვენაში გამოეცა).

შუხართის ყველაზე საყვარელი საკვლევი ენა ბასკური იყო. ამას გარდა, მას ბევრი სხვა ენაც იზიდავდა და არა მარტო ენა სხვადასხვა ხალხის ყოფითი საკითხები, ფსიქოლოგია, საუნივერსიტე- ტო პოლიტიკა, საიდუმლო ენა, თევზჭერა, მათემატიკა, მედიცინა, ბოტანიკა, გეოლოგია, ეტიმოლოგია, ენათა გეოგრაფია, ფილოსოფია, ლექსიკოგრაფია, ეთნოგრაფია, კულტურის ისტორია, ფოლკლორი... ერთხელ ფილიპე გოგინაშვილს სთხოვა, ეცნობებინა მისთვის საქართველოში გავრცელებული სათევზაო იარ- ალები და ზოგადად მეთევზეობასთან დაკავშირებული საკითხები. ბუნებრივია, იგი მხოლოდ ქართუ- ლით ვერ შემოიფარგლებოდა, იმდენად ფართო იყო მისი საკვლევი თემების დიაპაზონი. მაგრამ დროდადრო მაინც მიუბრუნდებოდა ხოლმე ქართულს. უკანასკნელი შრომები ქართულის შესახებ, მეტწილად რეცენზიები, 1904 წლითაა დათარიღებული. ამის შემდეგ შუხართს ქართულზე არაფერი გამოუქვეყნებია. 1912 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სასკოლო ინსპექტორმა, ლევ ლოპატინსკიმ, იგი თბილისში მოიწვია საერთაშორისო კონგრესზე, მაგრამ შუხართს უკვე აღარ შეეძლო ასე შორს მოგზაურობა. 1920 წელს რიხარდ მეკელაინის მეშვეობით ა. შანიძემ თავისი სადოქტორო დისერტა- ცია გაუგზავნა გრაცში. არ ვიცი, უპასუხა თუ არა ამაზე შუხართმა, ყოველ შემთხვევაში ამის დოკუმენ- ტები არა მაქვს, მაგრამ როცა 1926 წელს ა. შანიძემ მას “უმლაუტი სვანურში” და “ქართული ზმნის საქცევი” გაუგზავნა, გრაციდან საპასუხო წერილი მიიღო. ამის შემდეგ მათ შორის მიმოწერა დაიწყო, რაც შუხართის ავადმყოფობამ შეწყვიტა. 1926 წლის სექტემბერში იგი ლოგინად ჩავარდა, თუმცა თბილისში წერილებს მაინც აგზავნიდა, ჯერ თვითონ, შემდეგ კი, როცა ძალიან გაუჭირდა, სხვებს კარნახობდა. შუხართი შემცვლელზე ფიქრობდა, ვინც მის დაწყებულ საქმეს გააგრძელებდა. სიცოცხ- ლის ბოლო დღეებში, ეტყობა, კვლავ ქართულზე ფიქრობდა. 1927 წლის 18 აპრილს შანიძეს თავისი სტატია გაუგზავნა, მეორე დღეს კი ბოლოსწინა წერილი: “როგორც იქნა, ვახერხებ, რაღაც მოგწეროთ დაწვრილებით. რადგან გული მტკიოდა, რომ ჩემთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენა, როგორც ქართულია, უნდა მიმეტოვებინა, უკანასკნელ დღეებში ჩემი ქალაქები გადავქექე და მათში წავაწყდი “ცნობებს ქართული ხელნაწერებიდან”, რომელიც, როგორც მოწმე ჩემი ინტერესისა, გუშინ დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ”.

19 აპრილს ღია ბარათი გამოგზავნა თბილისში, ხელნაწერთან დაკავშირებით რაღაც განმარტების მიცემა სურდა. ამავე დღეს გონება დაკარგა და ცნობიერება არ დაჰბრუნებია, ისე გარდაიცვალა 2 დღის შემდეგ. ეს ბარათი შუხართის სულ ბოლო თუ არა, ერთ-ერთი უკანასკნელი წერილია.

ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ შუხართის ხელში მოხვედრილი ძველი ქართული ხელნაწერე- ბის შესახებ იცოდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, პროფ. ა. ხახანაშვილმა მოსკოვში, ასევე, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის თანამშრომ- ლებმაც. მეტიც, უკანასკნელნი ყოველგვარი მეცნიერული თუ ზნეობრივი ეთიკის დარღვევით შუხართს სთხოვდნენ, სომხურ-ქართული პალიმფსესტი გვათხოვე, ძველ სომხურ ტექსტს (ქვედა ფენას) უთქვენ- ოდ გამოვიკვლევოთ. უტაქტო თხოვნაა. შუხართი ნამდვილად არ იყო ის მკვლევარი, რომელსაც თუნდაც სომხურის შესახებ არ შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა, თუკი საკითხი დაინტერესებდა. იგი სამ



ათეულამდე ენას ფლობდა ისე, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კოლეგებსა თუ ნაცნობებს მათს მშობლიურ ენაზე სწერდა წერილებს და სიმწრით მოპოვებულ ძველ ძეგლებს სხვებს დაუთმობდა? ეს არის ის ხალხი, ვინც ამ ხელნაწერების შესახებ ნაღდად იცოდა საუკუნის მიწურულს, რისი დამადასტურებელი უტყუარი საბუთებიც ხელთ მაქვს. არაა გამორიცხული, რომ შეიძლება სხვებისთვისაც გაემხილა შუხართს ამ ხელნაწერების არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ იგი ერთგვარად ამაყობდა კიდევ, რომ ძველთაძველი ხელნაწერების მფლობელი იყო.

ერთი სიტყვით, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის კუთვნილი ქართული ხელნაწერების შესახებ, რომლებიც 1897 წელს შუხართის ხელში მოხვდა, რამდენიმე თვეში მის კოლეგებს უკვე ჰქონდათ გრაცელი პროფესორისაგან საკმაო ინფორმაცია ხელნაწერებში შემონახული ტექსტების შინაარსის შესახებ, მაგრამ შუხართს თითქმის ბოლომდე მიყვანილი გამოკვლევა არ დაუსრულებია, ამიტომ არც გამოუქვეყნებია და სიკვდილამდე 5 დღით ადრე, საწოლს მიჯაჭვულს, თავისი ნაშრომების ჩხრეკისას შემთხვევით თვალში რომ არ მოხვედროდა თავისი დაუსრულებელი გამოკვლევა და სასწრაფოდ თბილისში არ გაეგზავნა აკაკი შანიძისთვის, შეიძლება მათ შესახებ დღეს გაცილებით მწირი ინფორმაცია გვექონოდა.

ვინ იცის, ქართულით დაინტერესებული (ან, სულაც, უცხო) მკვლევრების არქივებში კიდევ რამდენი უცნობი ფურცელია მტკვერწყარილი, რომლებიც იობის მოთმინებით ელის მზრუნველ ხელს, რათა იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მზის სინათლე იხილოს.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ცნობები ეყრდნობა ჰუგო შუხართის არქივში დაცული 13000-მდე პირადი წერილიდან გამოკრებილ ორ ასეულამდე წერილს, რომლებშიც ქართული ენისა და საქართველოს შესახებაა საუბარი. ეს კორესპონდენცია მე გულდასმით გადავჩხრიკე ჩემი რამდენიმე ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინების დროს ავსტრიაში 1975-76, 1983, 1990, 2000 და 2005-06 წლებში.

ეს იმიტომაც უნდა აღინიშნოს საგანგებოდ, რომ შუხართის კოლეგები მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოს ხარჯზე ყიდულობდნენ ძვირადღირებულ ხელნაწერებს საკუთარი საჭიროებისათვის.

როგორც ჩანს, არც ფრანგულს ფლობდა ყველა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ერთი კურიოზი: 1897 წელს შუხართმა გრაციიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ბანდეროლით გაუგზავნა თავისი სტატია (როგორც ჩანს, “ქართველური / სამხრეთკავკასიური/ ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის”), რომელიც მას მალე უკანვე დაუბრუნდა. ამ შემთხვევის გამო თბილისში გაგზავნილ წერილში შუხართი საზოგადოების გამგეობას ამ გაუგებრობის მიზეზს ეკითხება. საზოგადოების მდივანმა დ. კარიჭაშვილმა შუხართს მოუბოდიშა: “ბატონო შუხართ! პასუხად თქვენის წერილისა... მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: ჩვენ ვიკითხეთ ფოსტაში მიზეზი თქვენგან გამოგზავნილის ბანდეროლის უკან დაბრუნებისა და აღმოჩნდა, რომ ფოსტის მოხელე ფრანგულის ენის ცუდად ცოდნის გამო ვერ მიხვედრილა. ამიტომ ვთხოვთ კვლავ ამ ადრესით ინებოთ გამოგზავნა” (5.XI.1897).

ჟურნალი “სპეკალი“ (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგი): <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/4>



თეოლოგია გვანდიაშვილი

აფხაზური ენა და ქართული ბრაზილი

აფხაზურ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. აფხაზური სიტყვებისა და ფრაზების პირველი ჩანაწერები 1641 წელს შეასრულა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ, რომელმაც ამ მიზნით გამოიყენა არაბული გრაფიკა, რომლის ასო-ნიშნები საკმარისი არ იყო აფხაზური ენის უმდიდრესი ფონემატური სისტემის ზუსტად გადმოცემისათვის. 1846 წელს ბერლინში გამოიცა გერმანელი ორიენტალისტის, გეორგ როზენის ნაშრომი ოსური ენის სტრუქტურის შესახებ, რომელსაც ერთვოდა აფხაზური ენის, აგრეთვე, მეგრული და სვანური მეტყველებების მოკლე გრამატიკული მიმოხილვები. ამ წიგნში ავტორს ოსური, აფხაზური და ქართველური ენობრივი მასალა გადმოცემული ჰქონდა ქართული გრაფიკის (მხედრულის) მეშვეობით. არც ე. ჩელებისა და არც გ. როზენის მცდელობები არაბული და ქართული გრაფიკის გამოყენებისა აფხაზური ენობრივი მასალის გადმოსაცემად არ შეიძლება ჩაითვალოს აფხაზური სამწიგნობრო ენის შექმნის ცდებად. ავტორებს ეს მიზანი არც ჰქონიათ: ე. ჩელები აფხაზურ სიტყვებსა და ფრაზებს იწერდა თავისი ტურისტული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და სულაც არ ზრუნავდა ზუსტი ტრანსკრიფციის ან დამწერლობის შექმნაზე, ხოლო გ. როზენს ქართული გრაფიკა წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისით ესაჭიროებოდა. მას მიაჩნდა, რომ აფხაზური ენის ფონემატური სისტემა შეიძლება გადმოიცეს ქართული ანბანით, თუმცა, მეცნიერმა ვერ შენიშნა ის ფაქტი, რომ აფხაზურ ენაში ქართულთან შედარებით 2-ჯერ მეტი ფონემა და მას არც უცდია ამ სპეციფიკურ ფონემათა ასახვა.

პირველი მკვლევარი, რომელმაც შენიშნა აფხაზური სპეციფიკური ფონემები და არა მარტო მათი აღნიშვნა სცადა საგანგებო გრაფემებით, არამედ შექმნა აფხაზური დამწერლობა, იყო რუსეთის არმიის გენერალი პეტრე უსლარი, რომელმაც 1862 წელს ამ ენის გრამატიკული მიმოხილვის შედგენისას გამოიყენა რუსული გრაფიკა (კირილიცა) მის მიერვე გამოგონილი ასო-ნიშნების (ძირითადად, მოდიფიცირებული რუსული ასოების) დამატებით. სწორედ პ. უსლარის ამ ნაშრომით იწყება აფხაზური დამწერლობისა და სალიტერატურო ენის ისტორიაც.

იმავე 1862 წელს „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ თბილისში შექმნა კომისია აფხაზეთის სამრევლო სკოლებისათვის პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შესადგენად. კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ივანე ბარტოლომეი, ხოლო წევრები იყვნენ: ქართველი დ. ფურცელაძე და რუსი ვ. ტირიოგოვი. კომისიას დახმარებას უწევდნენ აფხაზი მოღვაწეები: მღვდელი იოანე გეგია, პრაპორშჩიკი გიორგი ქურციკიძე და აზნაური სიმონ ეშბა. კომისიის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს აფხაზური ტექსტი შეამოწმეს და შეასწორეს ჰასან მარღანიამ, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძემ და გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძემ. წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1865 წელს. მასში აფხაზური საკითხავი მასალა თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე [აფხაზური... 1986: 12-13]. ი. ბარტოლომეის კომისიამ გადაწყვიტა, აფხაზური ენობრივი მასალის გადმოსაცემად გამოეყენებინა ქართული დამწერლობა, მაგრამ პ. უსლარმა კომისია დაასმინა ხელისუფლებასთან, რის გამოც ი. ბარტოლომეის კომისია აიძულეს, გამოეყენებინა პ. უსლარის მიერ კირილიცას საფუძველზე შედგენილი დამწერლობა.

1862 წლიდან მოყოლებული აფხაზურ სალიტერატურო ენას რამდენიმეჯერ შეეცვალა გრაფიკული საფუძველები: 1926-1928 წლებში მოქმედებდა აკად. ნ. მარის მიერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შედგენილი დამწერლობა, 1928-1937 წლებში გამოიყენებოდა ნ. იაკოვლევისა და ე. პოლივანოვის მიერ შექმნილი ლათინიზებული გრაფიკა, 1938-1954 წლებში აფხაზური ენა გადაყვანილ იქნა ქართულ გრაფიკაზე, ხოლო 1954 წლიდან კვლავ აღდგა პ. უსლარისეული კირილიზებული დამწერლობა.



აფხაზური სამწიგნობრო ენის გრაფიკის ცვლილებები დაკავშირებული იყო ჯერ მეფის რუსეთის, მერე კი საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ ენობრივ პოლიტიკასთან [გვანცელაძე, 2011].

პრომოსკოვურ აფხაზურ სამეცნიერო, პუბლიცისტურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ერთხმად გამოითქმის ბრალდება, რომლის თანახმადაც, 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე განიხილება როგორც ქართველთა თვითნებობა და აფხაზი ხალხის გაქართველების მცდელობა. ამ პოზიციაზე მდგომი ავტორები ნებსით თუ უნებლიეთ არ ითვალისწინებენ ამ აქციის ჭეშმარიტ ისტორიასა და მიზანდასახულობას. ეს მაშინ, როცა საკითხთან დაკავშირებული საარქივო მასალები სულ სხვა დასკვნისაკენ გვიბიძგებენ. ქვემოთ სწორედ ამ საარქივო მასალებს განვიხილავთ.

ცნობილი ქართველი აფხაზოლოგის, აკად. სიმონ ჯანაშიას, პირად არქივში ინახებოდა და ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული 1937 წლის 4-5 დეკემბერს ქ. სოხუმში, აკად. ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჩატარებული იმ საგანგებო თათბირის ოქმები, რომელზეც განიხილებოდა აფხაზური სამწიგნობრო ენის ლათინური გრაფიკიდან ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხი (ოქმების რუსული ტექსტისა და მათი ქართული თარგმანის პირველი პუბლიკაცია იხ: გვანცელაძე, 2011: 455-486).

როგორც ოქმებიდან ირკვევა, აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხზე სპეციალური დადგენილება 1937 წლის მაისში მიუღია საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის მე-15 პარტიულ კონფერენციას. მაშინვე შექმნილა კომისია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილების გამგის, პროფ. პეტრე შარიას, თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები ყოფილან აფხაზური ინტელიგენციისა და პარტიული ელიტის წარმომადგენლები: აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი, მწერალი დიმიტრი გულია, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ანდრია ჭოჭუა, აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი მიხეილ დელბა, ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი არსენტი ჰაშბა, აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი დავით ჩაგავა (რეპრესირებულ იქნა 1937 წლის მეორე ნახევარში და მის ადგილზე მ. დელბა დაინიშნა) და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მუშნი ჰაშბა.

ცხადია, მაშინდელი პრაქტიკის თანახმად, კონფერენციის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანაც და დასამტკიცებელი რეზოლუციის ტექსტიც პრობლემის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო უეჭველად იქნებოდა შეთანხმებული მოსკოვთან, სხვაგვარად სისხლიან 1937 წელს აფხაზ და ქართველ პარტიულ-საბჭოთა ფუნქციონერთა, მეცნიერთა და მწერალთა „თვითნებობა“ აუცილებლად აილაგებოდა, რაც, საბედნიეროდ, არ მომხდარა სწორედ იმის გამო, რომ საკითხი აშკარად ინიცირებული იყო მოსკოვიდან.

1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში, აფხაზური კულტურის ინსტიტუტში, გამართულ საგანგებო თათბირში მონაწილეობდნენ აფხაზები, ქართველები და რუსები, სულ 33 კაცი. მათგან ეროვნებით აფხაზები ყოფილან: ისტორიკოსი სიმონ ბასარია, ენათმეცნიერი ხუხუტი ბლაჟბა, პარტიული ფუნქციონერი ნიკოლოზ გერია, მთარგმნელი და ჟურნალისტი მიხეილ გოჩუა, მწერალი გიორგი გულია, მწერალი დიმიტრი გულია, პარტიული ფუნქციონერი მიხეილ დელბა, პედაგოგი ბაგრატ კაცია, ნიკოლოზ კოკოსქერია, ვ. მაანი, ვ. ნაყოფია, პედაგოგი ნიკოლოზ პატიფა, ენათმეცნიერი და ისტორიკოსი გიორგი შაკირბაი, ენათმეცნიერი კონსტანტინე შაყრილი, პედაგოგი პლატონ შაყრილი, პედაგოგი კონდრატ ძიძარია, მწერალი და პარტიული ფუნქციონერი სამსონ ჭანბა, ნ. ჭოჭუა, ვ. ხარაზია, მწერალი და პარტიული ფუნქციონერი მუშნი ჰაშბა. მათგან მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირათ: სამსონ ჭანბას (აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), მუშნი ჰაშბას (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე), ანდრია ჭოჭუას (სოხუმის სახელმწიფო პედინ-



სტიტუტის დირექტორი) და მიხეილ დელბას (აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი).

ეროვნებით ქართველები იყვნენ: პროფ. პეტრე შარია, პროფ. აკაკი შანიძე, პროფ. სიმონ ჯანაშია, პროფ. არნოლდ ჩიქობავა, პროფ. ვარლამ თოფურია (ყველანი თბილისიდან), აფხაზური ენის მკვლევარი ბაგრატ ჯანაშია, ქართული ენის მკვლევარი ნიკანდრო ბასილაია და პედაგოგი სერგო აქირთავა (ყველანი სოხუმიდან).

ეროვნებით რუსები იყვნენ: პროფ. ა. გრენი, ი. ტიმჩენკო, ზ. მორინა და ა.ფადეევი. მათგან პირველი 3 მოსკოვიდან იყო, ა. ფადეევი კი - სოხუმიდან.

ოქმებიდან იგრძნობა, რომ მუშაობა მძიმე იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში მიმდინარეობდა, რასაც განაპირობებდა, ერთი მხრივ, თბილისელი და სოხუმელი პარტიული ფუნქციონერების დასწრება, მეორე მხრივ, მოსკოვის „თვალისა და ყურის“, სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის (აასკკ) თანამშრომლების ა. გრენის, ი. ტიმჩენკოსა და ზ. მორინას იქ ყოფნა, რომელთაც ევალეობდათ პროცესის გაკონტროლება და მოსკოვისათვის ინფორმაციის მიწოდება.

აფხაზური ენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევის ინიციატორები არ ყოფილან ქართველი მეცნიერები. ისინი იძულებით მონაწილეობდნენ ამ საქმეში. ამაზე მიუთითებს პროფ. სიმონ ჯანაშიას ქვეტექსტიანი განცხადება:

„ჩვენ, თბილისელი მუშაკები, ჩვენს თავს კონსულტანტებად მივიჩნევთ. საკითხი უნდა გადაწყვიტოს მან, ვინც იგი წამოჭრა, ე.ი. აფხაზეთის მშრომლებმა და კულტურის მუშაკებმა. საკითხი უნდა განხილულიყო ფართო შეკრებებზე“ [გვანცელაძე, 2011: 456].

მიუხედავად ზემოთ ნახსენები მძიმე იდეოლოგიური ვითარებისა, თათბირზე საკითხი აკადემიურად განხილულა. თათბირს წარედგინა 4 პროექტი: 1. აკ. შანიძისა; 2. ს. ჯანაშიასი; 3. დ. გულიასი და 4. დ. გულიას, ა. ჭოჭუასა და მ. ჰაშბასი. ამ პროექტებიდან თათბირმა სირთულის გამო უარყო მე-4 და დანარჩენი 3 პროექტის შესაჯერებლად შექმნა სპეციალური კომისია დ. გულიას (თავმჯდომარე), აკ. შანიძის, ს. ჯანაშიას, ვ. ხარაზიას, ვ. მაანის, პ. შაყრილისა და მ. ჰაშბას შემადგენლობით. თათბირმა 5 დეკემბრის დილის სხდომაზე ერთხმად დაამტკიცა შემადგენელი კომისიის მიერ წარმოდგენილი საბოლოო პროექტი, რომელშიც გამოყენებული იყო ქართული ანბანის (მხედრულის) 33-ვე ასო, 3 დამატებითი ასო-ნიშანი და 3 დიაკრიტიკული ნიშანი.

თათბირის სამივე სხდომისა და შემადგენელი კომისიის მუშაობაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზი მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პარტიული ფუნქციონერები. არც ერთი მათგანის გამოსვლაში არ გამოთქმულა პროტესტი ან სერიოზული შენიშვნა აფხაზური დამწერლობის საფუძვლად ქართული გრაფიკის (მხედრულის) შერჩევის გამო. თათბირზე სიტყვით თუ რეპლიკით გამოსული 16 მონაწილიდან აფხაზი იყო 11, რომლებიც საკითხის განხილვაში 22-ჯერ მონაწილეობდნენ: მ. ჰაშბა 6-ჯერ გამოსულა, დ. გულია - 4-ჯერ, კ. ძიძარია - 3-ჯერ, ხ. ბლაუბა - 2-ჯერ, ხოლო გ. შაკირბაი, ნ. პატეიფა, ბ. კაცია, ს. ბასარია, პ. შაყრილი, ვ. მაანი და ვ. ხარაზია - თითოჯერ. შდრ. ქართველ მონაწილეთაგან 5-5-ჯერ გამოსულან პ. შარია და აკ. შანიძე, 3-ჯერ ს. ჯანაშია, 2-ჯერ არნ. ჩიქობავა და ერთხელ ვ. თოფურია, ხოლო ნ. ბასილაია, ს. აქირთავა და ბ. ჯანაშია - არც ერთხელ.

საყურადღებოა რუს დამსწრეთა საქციელი: მათგან სოხუმელი იყო ა. ფადეევი. იგი ბ. ჯანაშიასთან ერთად იყო თათბირის მდივანი, თუმცა, 3 სხდომიდან დაესწრო მხოლოდ 4 დეკემბრის დილისა და 5 დეკემბრის დილის სხდომებს. 4 დეკემბრის საღამოს სხდომაზე არ გამოცხადებულა არც ერთი რუსი მონაწილე. 5 დეკემბრის დილის სხდომას მხოლოდ ა. ფადეევი ესწრებოდა. პროფ. ა. გრენი, ი. ტიმჩენკო და ზ. მორინა რომ თათბირებზე აღარ დადიოდნენ, ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ მათ საგანგაშო ვერაფერი დაინახეს და ჩათვალეს, რომ საკითხის განხილვა



გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა და ქართველები არ ჩაგრავდნენ აფხაზებს. სხვაგვარად წარმოუდგენელია პროფ. ა. გრენის საქციელის ახსნა. ეს ის ა. გრენია, რომელიც ვერ ეგუებოდა ქართველთა „შოვინიზმს“ და ჯერ კიდევ 1899 წელს რუსული გრაფიკის (კირილიცას) საფუძველზე შედგენილი „მეგრული ანბანის“ („Мингрельская азбука“ წინასიტყვაობაში წერდა: „ამ საანბანო წიგნის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორც, თუნდაც ირიბად, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელთაც ფეხქვეშ თელავს უფრო ძლიერი ქართველი ხალხი. ამგვარი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა,] რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი“ [ხუნდაძე, 1940: 104]. პროფ. ა. გრენს რომ არ სცოდნოდა მეტროპოლიის აზრი აფხაზური დამწერლობის საფუძველად ქართული გრაფიკის შერჩევის საკითხზე, იგი ბოლომდე დარჩებოდა თათბირზე და ხმაურსაც ატეხდა „აფხაზთა ეროვნული ინტერესების შელახვის“ გამო. მაშასადამე, მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს აქცია თბილისმა კი არა, მოსკოვმა დაგეგმა.

იმ გარემოებამ, რომ მოსკოველი სტუმრები სხდომებს აღარ ესწრებოდნენ, როგორც ჩანს, გაანაწყენა აფხაზები, რისი გამოხატულებაც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თათბირის დასასრულს სხდომების თავმჯდომარე კ. ძიძარიაშვილმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა თბილისელი მეცნიერების მიმართ, მაგრამ მოსკოველები სრულებით არ უხსენებია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან წყდებოდა აფხაზი ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი და ყოველ პროფესიონალურ მოსაზრებას, რჩევას, თუ შენიშვნას დიდი ფასი ჰქონდა, მოსკოველებმა კი ეს საკითხი არაფრად ჩააგდეს და წავიდნენ.

თათბირის აფხაზ მონაწილეთა დიდი დაინტერესება მათი დედაენისათვის ქართული გრაფიკის შერჩევით სხვაგვარადაც იგრძნობა:

1. როცა 4 დეკემბრის დილის სხდომაზე გამოსულ მ. ჰაშბას განუცხადებია, ამჟამად ხელთა გვაქვს პროფ. აკ. შანიძის, პროფ. ს. ჯანაშიას, დ. გულიასა და გულია-ჭოჭუა-ჰაშბას პროექტებიო, დ. გულიას რეპლიკით დაუზუსტებია: „*მე პროექტების მთელი წყება მაქვსო*“ [გვანცელაძე, 2011: 456]. ამ განცხადებაში აშკარად გამოსჭვივის აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიამაყე იმით, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმეში;

2. ოქმებში შეინიშნება ერთგვარი კონკურენცია ზოგ აფხაზ მონაწილეს შორის, რაც არ არის მიმართული საქმეში ქართველ მეცნიერთა ჩარევის, ან ქართული გრაფიკის შემოღების წინააღმდეგ, რომელიც ყველას მოსწონდა. მაგალითად, გ. შაკირბაის უკმაყოფილება გამოუთქვამს მ. ჰაშბას მისამართით: „*მ. ჰაშბამ წარმოადგინა ოთხი ავტორის მიერ შედგენილი ალფაბეტის პროექტი და მას აფხაზური კულტურის ინსტიტუტის პროექტი უწოდა, მაგრამ ეს პროექტი არ არის ინსტიტუტისა, ვინაიდან ამ ალფაბეტის შედგენაში აფხაზური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები არ მონაწილეობდნენო*“ [გვანცელაძე, 2011: 460]. ამავე საკითხზე ხ. ბლაჟბას აღუნიშნავს: „*ალფაბეტის შედგენა მონოპოლიზებულ იქნა ზოგი თანამშრომლის მიერ და [პროექტი] არ განუხილავთ აფხაზური კულტურის ინსტიტუტისა და უფრო ფართო წრეებს*“ [გვანცელაძე, 2011: 460].

თათბირის დახურვისას სხდომის თავმჯდომარე კ. ძიძარიაშვილმა განაცხადა:

„*თათბირმა 4 და 5 დეკემბერს სამ სხდომაზე განხილვის შემდეგ გამოიტანა ერთხმა გადაწყვეტილება და დაამტკიცა ქართულ ალფაბეტზე დამყარებული ახალი აფხაზური დამწერლობის პროექტი. ამით საფუძველი ჩაეყარა ამ დამწერლობის ათვისების, დანერგვისა და ფართოდ გავრცელების დიდ სამუშაოს, რაც დაიწყება შესაბამისი ზედგომი ორგანოების მიერ მისი დამტკიცებისთანავე.*“

ახალი ალფაბეტი ხელს შეუწყობს ორი მოძმე ხალხის [აფხაზებისა და ქართველების - თ. გ.] უფრო მეტად დაახლოებასა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას.

თათბირის მუშაობა ნაყოფიერი იყო იმიტომ, რომ მასში ადვილობრივ მუშაკებთან ერთად აქტიურად



მონაწილეობდნენ თბილისიდან ჩამოსული პროფესორები პ. შარია, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, რომელთაც ჩვენ დიდ მადლობას მოვასწავებთ” [გვანცელაძე, 2011: 467].

აქ ნახსენები “ზემდგომი ორგანოები” ფუნქციონირებდნენ არა მარტო სოხუმსა და თბილისში (მათი ერთი ნაწილის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კიდევაც თათბირის მუშაობაში), არამედ მოსკოვშიც. კერძოდ, სოხუმში იყო საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (შინსახკომი) თავისი დატოტვილი აგენტურით. აქვე არსებობდა აფხაზეთის ასსრ ახალი ანბანის საოლქო კომიტეტი (ხელმძღვანელი ზაქარია აგრბა), რომელსაც ევალებოდა აფხაზეთში გავრცელებულ ენათა დამწერლობისა და ტერმინოლოგიის საკითხთა კურირება და სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან (ცაკი) არსებულ ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთან (აასკკ), როგორც უმაღლეს ორგანოსთან, მუშაობის კოორდინირება. ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დასტურის გარეშე აფხაზეთის კომიტეტი ვერაფერს გადაწყვეტდა. ამითაც იყო განპირობებული განხილულ თათბირებზე მოსკოველების დასწრებაც. ყოველივე ეს გამორიცხავდა იდეოლოგიურად უმნიშვნელოვანესი საკითხის (სამწიფნობრო ენისათვის გრაფიკული საფუძვლის) მოსკოვის ნებართვის გარეშე განხილვასა და გადაწყვეტას.

აქ გამოტანილი დასკვნის სისწორეს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში დაცული და ახლახან გახსნილი 5 დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია ზემოთ ხსენებული თათბირის შედეგომ, 1938 წელს, განვითარებული ზოგი მოვლენა[1].

ამ დოკუმენტებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს 1938 წლის 9 მარტს შედგენილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის (ენიმკი) დირექტორის, პროფ. სიმონ ჯანაშიას, მიმართვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძისადმი. მიმართვის ასლები მეცნიერს გაუგზავნია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარ გიორგი სტურუასათვის, საქართველოს კომპარტიის ცკ ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილების გამგე პეტრე შარიასა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფკულტსამმართველოს უფროს ხერემოვისათვის. მიმართვაში ს. ჯანაშია გამოხატავდა აღშფოთებას ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალი აფხაზური შრიფტის დამზადების დაგვიანებისა და ზოგიერთი პირის, კერძოდ, ხერემოვის მხრიდან ამ საქმის შეფერხების გამო. მიმართვის ტექსტიდან ვიგებთ შემდეგ რეალურ ფაქტებს:

1. ქართულ გრაფიკაზე დამყარებული ახალი აფხაზური ანბანი მიმართვის დაწერის დროისათვის უკვე დამტკიცებული ყოფილა. სამწუხაროდ, არ ჩანს, რომელმა ორგანომ დაამტკიცა პროექტი;

2. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელი ორგანოებისაგან დავალებული ჰქონია ქართულ შრიფტში აფხაზური ანბანისათვის აუცილებელი 6 სპეციალური ასო-ნიშნის ჩამატება (ახალი აფხაზური ანბანი, როგორც ზემოთ ითქვა, შედგებოდა 33 ქართული ასოსაგან, 3 სპეციფიკური სრული ასოსაგან და 3 დიაკრიტიკული ნიშნისაგან). 3 სპეციფიკური სრული ასოსა და 3 დიაკრიტიკული ნიშნის მოხაზულობა 1938 წლის 11 იანვარს დაუმტკიცებია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტს (ენიმკი);

3. არსებულა კონკრეტული გეგმა, რომლის თანახმადაც, 1938 წლის 15 იანვრისათვის უნდა დამზადებულიყო (ტყვიისაგან ჩამოსხმულიყო) 3 სპეციფიკური სრული ასო. დაგეგმილი ყოფილა ისიც, რომ იმავე წლის 28 მარტისათვის მთლიანად უნდა დასრულებულიყო ახალი აფხაზური შრიფტის ჩამოსხმა;



4. პასუხისმგებლობა ქართული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შემუშავებაზე საბოლოოდ ეკისრებოდა ს. ჯანაშიას, მისი არყოფნის შემთხვევაში კი - პროფ. ა. შანიძეს;

5. ახალი ანბანის ასო-ნიშანთა მოხაზულობის დამტკიცების შემდეგ აუცილებელი იყო ახალი ლინოტიპების დამზადების შესახებ ქ. ლენინგრადში არსებულ მაქს გელცის ქარხნისათვის დაკვეთის დროულად მიცემა (ეს ქარხანა ლინოტიპების დამამზადებელი ერთადერთი საწარმო იყო მთელ საბჭოთა კავშირში);

მეორე დოკუმენტი უთარილოა, მაგრამ ისიც 1938 წელს უნდა იყოს დაწერილი. რუსულ ენაზე შედგენილ ამ წერილს ხელს აწერენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი გიორგი გორდუზიანი და კულტპოლიგრაფმრეწვის უფროსი ლოხიშვილი. ადრესატები არიან მაქს გელცის ქარხანა და რუსეთის ფედერაციის მრეწველობის მართვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (НИИЦ НКУП РСФСР). ავტორები ადრესატებს სთხოვდნენ, სასწრაფოდ დაემზადებინათ ქართული ანბანის 12 ასოს ნიშნები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ძველი სასტამბო მატრიცების 20-25 კომპლექტის განსაახლებლად. იქვე აღინიშნებოდა, რომ ადრესატებს მალე გადაეგზავნებოდათ აფხაზური და ოსური ასოების ნიშნები (7-8 ერთეული);

მესამე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში 1938 წლის 27 აგვისტოს შემდგარი თათბირის ოქმს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ქართულ შრიფტში შეტანილი ყოველი ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინათ და სათანადო ნახაზებიც გაეგზავნათ მაქს გელცის ქარხნისათვის.

მეოთხე დოკუმენტი არის რუსეთის ფედერაციის პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ფ. ტაგროვის მოხსენებითი ბარათი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებისადმი, რომელიც რუსულ ენაზეა დაწერილი და ძნელად იკითხება.

მეხუთე დოკუმენტი წარმოადგენს იმავე ფ. ტაგროვის ხელმოწერილ საბუთს „ქართული მატრიცების ათვისებისათვის მასალების დამზადების სამუშაო დროის გათვლა შრიფტში ზოგიერთი დაზუსტების აუცილებლობის გათვალისწინებით“. სამუშაო დროის განაწილების ამსახველ ამ ცხრილში გათვალისწინებულია ფ. ტაგროვის მუშაობა თბილისსა და მოსკოვში. იქვე მე-3 დანაყოფის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს საკითხის შეთანხმებას რუსეთის ფედერაციის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოსთან და საქართველოს კპ (ბ) ცკ ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან.

საქართველოს შსს საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტებისა და ზემოთ განხილული ოქმების მიხედვით წარმოვადგენთ იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომლებიც იხსენიება წინამდებარე სტატიაში განხილულ საარქივო მასალაში ან რომელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ საქმეში:

1. აკად. ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. სოხუმი);
2. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ქ. სოხუმი);
3. აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირი (ქ. სოხუმი);
4. აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატი (ქ. სოხუმი);
5. საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი (ქ. სოხუმი);
6. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო (ქ. სოხუმი);
7. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და



ისტორიის ინსტიტუტი (ქ. თბილისი);

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო (ქ. თბილისი);

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი (ქ. თბილისი);

10. საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვისა და პარტიული პროპაგანდის განყოფილება (ქ. თბილისი);

11. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიკულ-სამმართველო (კულტპოლიგრაფმრეწვი) (ქ. თბილისი);

12. მაქს გელცის ქარხანა (ქ. ლენინგრადი);

13. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) მრეწველობის მართვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. მოსკოვი);

14. რსფსრ პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტი (ქ. მოსკოვი);

15. რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველო (ქ. მოსკოვი);

16. სსრკ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი (ქ. მოსკოვი).

რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციების სიმრავლე და გეოგრაფია აბსოლუტურად გამორიცხავს იმას, რომ აფხაზური სამწიგნობრო ენა ქართულ გრაფიკაზე (მხედრულზე) გადაიყვანეს მეტროპოლიასთან შეუთანხმებლად, პარტიზანულად და ამის შესახებ მთელი 16 წლის განმავლობაში (1938-1954 წწ.) არაფერი იცოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში. მეტიც, ცნობილია, რომ ეს აქცია განხორციელდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების იმ სპეციალური დადგენილების საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების „სატიტულო მცირე ერების“ სამწიგნობრო ენათა აუცილებელ გადაყვანას შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების სატიტულო ერის ენისათვის არსებულ გრაფიკაზე [პაპასქირი, 2003: 6; ჯოჯუა, 2007: 57].

უაღრესად დამაჯერებელია ამ საკითხის შესახებ სოხუმელი ისტორიკოს-პოლიტოლოგის დაზმირ ჯოჯუას მიერ წარმოდგენილი შემდეგი განმარტება:

„ფორმალურად და, ასე ვთქვათ, „კულტურული ფასადის“ თვალსაზრისით ეს ანბანური რეფორმა არ ტოვებდა იმპერიულ-ასიმილაციურ მიზანდასახულობის შთაბეჭდილებას და არ ჩანდა „მცირე ერებზე“ კულტურულ-ცივილიზაციური დარტყმის გამოვლინებად - „მცირე ერების“ დამწერლობა გადაჰყავდათ იმ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენის გრაფიკაზე, რომლის შემადგენლობაშიც ამ ერების ავტონომიური წარმონაქმნები შედიოდნენ. ამიტომ დამწერლობის სისტემა მოდიოდა გარკვეულ ჰარმონიზაციაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემასთან და მოკავშირე რესპუბლიკებზე ავტონომიური ერთეულების უშუალო დაქვემდებარების ზოგად პოლიტიკურ მოდელთან. თანაც ეს რეფორმა ხორციელდებოდა ოფიციალურად, ორგანული კანონმდებლობისა და კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში.

მაგრამ სულ სხვა ანალიტიკურ სიბრტყეში მოიაზრება რეფორმის ლატენტური მხარე, რომელიც რეალურად იმპერიულ-ასიმილაციურ ხასიათს ატარებდა, ოღონდ რუსიფიკაციის კონტექსტში. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის იმ პერიოდში მხოლოდ ოთხის - რსფსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ და საქართველოს სსრ - ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სტრუქტურას გააჩნდა ავტონომიური წარმონაქმნები, ხოლო მათგან მხოლოდ საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენას - ქართულ ენას - ჰქონდა საკუთრივ ორიგინალური ანბანი, დანარჩენი რესპუბლიკების სახელმწიფო ენების დამწერლობა კი გაწყობილი იყო სლავურ-რუსულ ანბანზე, ე.წ. „კირილიცაზე“.



ამდენად, ცხადზე უცხადესია, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევრის „ალფაბეტური რევოლუციის“ ძირითადი მიზანი „მცირე ერების“ დამწერლობათა სისტემების გადაყვანა რუსულ-სლავურ გრაფიკულ სისტემაზე და უნიფიკაციის ამგვარი მოდელის ფარგლებში (ეს პროცესი წარიმართა 1936-1941 წლებში ლათინური შრიფტის „კირილიცაზე“ მასობრივი გადაყვანით) მათი კულტურულ-ინსტიტუციონალური რუსიფიკაციის ქმედითი ბაზისის შექმნაა. აფხაზური დამწერლობის რეფორმა, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დამწერლობის ლათინური შრიფტის გადაყვანა ქართულ გრაფიკულ სისტემაზე განხორციელდა „ანბანური რევოლუციის“ იმპერიული მოდელის ფარგლებს გარეთ, უფრო მეტიც, მისი ერთგვარი ალტერნატივის კონტექსტში. მაგრამ ამისი მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ი. სტალინის და ლ. ბერიას ეთნიკურ ქართველობაში, არც პიროვნების კულტისა და საბჭოთა რეჟიმის ტოტალიტარულ-რეპრესიული პოლიტიკის სპეციფიკურად ანტიაფხაზურ მიმართულებაში და განსაკუთრებით არც ქართველების მხრიდან აფხაზური ეთნოკულტურული თვითობის დესტრუქციის მცდელობაში, არამედ იმ სრულიად უდავო ლინგვო-ისტორიულ გარემოებაში, რომ ავტონომიების მქონე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებიდან მხოლოდ ქართული გამოირჩეოდა „კირილიცისგან“ დიამეტრალურად განსხვავებული ანბანური დამწერლობით. ცხადია, იმპერიული ცენტრი თავის გადაწყვეტილებაში ვერ მოახდენდა ამ ქართული სპეციფიკის ნეიტრალიზებას და სპეციალურად საქართველოსთვის ცალკე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა” [ჯოჯუა, 2007: 57-59].

ჩვენი მხრივ აქვე დავძენთ, რომ სომხეთის სსრ-ში სცადეს ხსენებული ზოგადსაბჭოური კონტექსტიდან გასვლა, როცა იმავე პერიოდში სომხეთში გავრცელებული ქურთული ენა ლათინური გრაფიკიდან გადაიყვანეს სომხურ გრაფიკაზე, თუმცა, იქ ქურთებს ავტონომიური წარმონაქმნი არ ჰქონიათ და რეფორმა მათი ენის გადაყვანას მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის - სომხურის - გრაფიკაზე არ მოითხოვდა. მეტროპოლიამ მალევე აღკვეთა ეს დარღვევა და ქურთული ენა რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე) გადაიყვანეს.

[1] შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 14, აღწერა 12, საქმე № 383 (9341), Отдел пропаганды, агитации и печати. Материалы об абхазском алфавите. Начато 9.3. 1938 г. Окончено 9.3. 1938 г.

ლიტერატურა

1. აფხაზური... 1986, აფხაზური ლიტერატურის ისტორია. წიგნი პირველი. სოხუმი (აფხაზურ ენაზე)
2. გვანცელაძე თ. 2011, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი.
3. პაპასქირი ზ. 2003 ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლებისა მიწურულსა და 40-იან წლებში. საისტორიო ძიებანი, VI. თბილისი.
4. შსს საარქივო... შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 14, აღწერა 12, საქმე № 383 (9341), Отдел пропаганды, агитации и печати. Материалы об абхазском алфавите. Начато 9.3. 1938 г. Окончено 9.3. 1938 г.
5. ხუნდაძე ტ., 1940, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები). თბილისი.
6. ჯოჯუა დ. 2007, აფხაზეთი 1938–2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი.

ჟურნალი “სპეკალი“ (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგი): <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/44>



მერაბ ნაჭყალი

ქართული ტოპონიმები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წლები)

სხვადასხვა მიზეზთა გამო ოდესღაც დიდი საქართველოდან მცირე ნაწილია შემოგვრჩა. არსებობის განმავლობაში თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის დღენიადავ მებრძოლ კავკასიის ამ პატარა ქვეყანას დღესაც ედავებიან იმ მიწა-წყალს, რომელზეც ათასწლეულობით ცხოვრობდა ქართველი ერი. პარადოქსია, მაგრამ საქართველო მიეკუთვნება იმ თითო-ოროლა ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ობიექტურ თუ ნაკლებად ობიექტურ გარემოებათა გამო ერთიმეორის მიყოლებით კარგავდა ტერიტორიებს. აღნიშნული პროცესის საწყის ეტაპად მოვიანებთ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისს (1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება), როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს უნიათო ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეთმო სოჭის ოლქი (სოჭი-ტუაფსეს რაიონი), რომელიც უძველესი დროიდანვე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის - აფხაზეთის - შემადგენლობაში შედიოდა. აღნიშნული ტერიტორიების დანაწევრება მეფის რუსეთმა მე-19 საუკუნის მიწურულს დაიწყო, როცა სამხედრო ადმინისტრაციული საზღვარი მზიმთაზე გაავლო, ხოლო 1904 წლის 25 თებერვალს რუსეთის ხელისუფლებამ ეს საზღვარი უფრო სამხრეთით გადმოსწია და საქართველოს ჩამოაშორა გაგრის რაიონიც. ისტორიული სამართლიანობა ნაწილობრივ აღდგა 1917 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომაზე აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით გააუქმა 1904 წლის დადგენილება და გაგრის რაიონი კვლავ სოხუმის ოლქს - აფხაზეთს - დაუბრუნა [ამიერკავკასიისა ... 1919].

განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის საინგილოს ჩამოშორება. როგორც ცნობილია, საინგილო, რომელიც შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან, უძველესი დროიდან წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს; დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით - ჰერებით. IV-V საუკუნეებისათვის ჰერეთისა და ქართველების მჭიდრო მეზობლობამ, აგრეთვე, ქართველების მიგრაციამ ჰერეთისკენ, განაპირობა მათი გაქართველება და ქართველებთან კულტურულ-პოლიტიკური შერწყმა. XI საუკუნიდან „ჰერეთის“ ტერიტორია კახეთის ფარგლებშია. XV საუკუნიდან სახელწოდება „ჰერეთი“ საისტორიო წყაროებში ქრება და იგი მთლიანად ერწყმის კახეთს. XVII-XVIII საუკუნეების პოლიტიკურმა ცვლილებებმა კახეთის სამეფოში (გარეშე ძალების მუდმივი თავდასხმები, ლეკიანობა...) ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ქართული მოსახლეობის ფიზიკურმა განადგურებამ, გადასახლებამ, ჩრდილოეთიდან წახურელების, ხუნძების და სხვა ტომთა თარეშმა, ეს კუთხე გადაშენებამდე მიიყვანა. დარჩენილ ქართველებს ძალდატანებით ამაჰმადიანებდნენ. ყოველივე ზემოთქმულმა ეს უძველესი ქართული მიწა-წყალი თანდათანობით გაუუცხოვა დედამამშობლოს. დღევანდელი ტერმინი „საინგილო“ XIX საუკუნეში დამკვიდრდა. გამაჰმადიანებულ ქართველს თურქულად „იანგილ“ ერქვა, რაც „ახლად მოქცეულს“ (ახლადგამაჰმადიანებულს) ნიშნავდა. 1921 წლიდან საინგილო „პოლიტიკური მოსაზრებებით“ აზერბაიჯანის სახელმწიფოს გადაეცა და დღემდე მის შემადგენლობაშია. ასევე, სულ მცირე დროში, ბოლშევიკების მიერ ანექსირებული საქართველოს იურისდიქციაში შემავალი ართვინისა და არტაანის ოლქები, აგრეთვე, ლორეს მხარე მეზობელი ქვეყნების ხელში გადავიდა [ნაჭყალი, 2006: 147-148].

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დე-ფაქტოდ არსებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძირძველი ქართული მიწა-წყალი რუსეთმა ცალმხრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა; მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტო-



რიული მთლიანობის აღიარებისა და მხარდაჭერისა, პერსპექტივა მეტად ბუნდოვანი და დამაფიქრებელი რჩება. თანამედროვეთ და, ალბათ, მომდევნო თაობებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ ტერიტორიული „რეაბილიტაციისათვის.“

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის შუა წლებში სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით საქართველოს მიწა-წყალი საგრძნობლად განივრცო. [მენტეშაშვილი, 1990]. საქართველოს ჩრდილოეთიდან შემოუერთდა:

1. დასავლეთ კავკასიონის გადაღმა, სვანეთის ჩრდილოეთით, მდინარე თებერდასა და ყუბანის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები (დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაწილი);
2. კავკასიონის ქედის იქით, მდინარეების – არღუნისა და ასას – ზემოწელში არსებული მიწები (დღევანდელი ინგუშეთის ნაწილი);
3. ითუმ-ყალეს რაიონი (დღევანდელი ჩეჩნეთის ნაწილი).

აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში ცნობილი მოვლენების გამო აღმოჩნდა; კერძოდ, ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს დიდი სამამულო ომის მიწურულს საბჭოთა ხელისუფლებამ ბრალი დასდო გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობაში, სამშობლოს დაღატკეპნი, საბჭოთა მოქალაქეების გერმანელების წინაშე დაბეზღებაში, ამიერკავკასიისკენ მიმავალი გერმანელი ჯარებისთვის უღელტეხილის ბილიკების ჩვენებაში, აღნიშნული ტერიტორიიდან ფაშისტების განდევნის შემდეგ სახელმწიფოს წინააღმდეგ დესტრუქციულ ქმედებებში. აქედან გამომდინარე, 1944 წლის 12 ოქტომბრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. კალინინისა და პრეზიდიუმის მდივნის ა. გორკინის ხელმოწერით გამოცემულ იქნა ბრძანება, რომელშიც წერია: „იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელების მიერ ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ოკუპაციის დროს ბევრი ყარაჩაელი გამცემლურად მოქმედებდა, ერთიანდებოდა გერმანელების მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ორგანიზებულ რაზმებში, აბეზღებდნენ გერმანელების წინაშე პატიოსან საბჭოთა მოქალაქეებს, თან მიჰყვებოდნენ და გზას უჩვენებდნენ უღელტეხილებზე ამიერკავკასიისკენ მიმავალ გერმანიის ჯარებს, ხოლო ფაშისტების განდევნის შემდეგ ხელს უშლიან და ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მალავენ ხელისუფლების ორგანოებისაგან ბანდიტებს და გერმანელების მიერ დატოვებულ აგენტებს, უწვევენ მათ აქტურ დახმარებას, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ყველა ყარაჩაელი, რომლებიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს, გასახლდეს სსრკ-ს სხვა რაიონებში, ხოლო ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდეს.
2. ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის გამო... ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უშკულანის რაიონი, აგრეთვე მიქოიანის რაიონის ნაწილი გადაეცეს საქართველოს სსრ-ს, აღნიშნულ ტერიტორიაზე კი შეიქმნას ახალი ადმინისტრაციული ერთეული – ქლუხორის რაიონი, ცენტრი - ქალაქი მიქოიან-შახარი, აღნიშნულ ქალაქს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს ქლუხორი” [სსრკ უმაღლესი საბჭოს 1944 : 1]

ასე გაუქმდა ყარაჩაის ავტონომიური ოლქი. ლიკვიდაციის გამო ყოფილი ოლქის უჩკულანის რაიონი, მიქოიანის რაიონის ნაწილი გადაეცა საქართველოს სსრ-ს; აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ქლუხორის რაიონი, ხოლო მთავარ ქალაქს ეწოდა ქლუხორი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში ამავე მიზეზით თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარეს და გაასახლეს ბალყარელებიც. მათს საცხოვრისს ეწოდა ყაბარდოს ასსრ. ტერიტორიის ნაწილი: ელბრუსსკისა და ნავორნის რაიონების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კი საქართველოს სსრ-ს, ზემო სვანეთის რაიონს, შეუერთეს.

ახლადშექმნილ რაიონებში კრემლის მითითებით ხუთი ათასზე მეტი ქართველი ჩაასახლეს, ძირითადად სვანები და რაჭველები, რომლებმაც, განსხვავებით ოსებისა და რუსებისაგან, მოგვიანებით რე-



აბილიტირებულ მოძმე კავკასიელებს დიდსულოვნად დაუთმეს თავიანთი სახლ-კარი და ცხოვრების მოსაწყობად ხელიც კი გაუმართეს, რასაც დღესაც სიყვარულით იხსენებენ ადგილობრივები.

ასევე გააუქმეს ჩენეთ-ინგუშეთის ასსრ; თუმცა, ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია წინარე-ისტორიის გახსენება: ბოლშევიკების ზეობის პერიოდში, როდესაც საქართველოს ტერიტორიების დათმობის პოლიტიკამ მასშტაბური ხასიათი მიიღო, ზემოთ ნახსენები ტერიტორიების გარდა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, ქართველმა ბოლშევიკებმა “დათმეს” საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩენეთ-ინგუშეთის სექტორში გარკვეული ტერიტორია. კერძოდ, 1925 წელს ჩენეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე ოფიციალურმა თბილისმა “დათმო” თიანეთის მაზრაში, მდ. არღუნის ხეობაში, მდებარე ქისტებით დასახლებული სოფლები: ჯარეგო, თერეთეგო, მელზესტი, ცეკარო, სახანო და სხვ. ამდენად, საზღვარი რსფსრ-სა და საქართველოს შორის სოფ. შატილიდან რამდენიმე კილომეტრში გატარდა [კილაძე, 2008: 8-9]. 1928 წელს საქართველოს მთავრობა ისევ დათმობაზე წავიდა და დააკმაყოფილა ჩენეთის ჯარეგოელების მოთხოვნა დამატებითი სათიბების გადმოცემის თაობაზე, რაც დაამტკიცა კიდეც ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წლის 20 აგვისტოს. შედეგად ჩენეთის ფარგლებში მოექცა ალაქოს მთის უბანი. მაგრამ შატილელები არ ურიგდებოდნენ თავიანთი სათიბ-საძოვრების დაკარგვას და საქმე შეტაკებამდეც კი მივიდა. ღუშეთის რაიკომი იძულებული გახდა, მიემართა ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რათა გადაესინჯა 1928 წლის დადგენილება; თუმცა გაჭიანურებულ მიმოწერას მოსკოვს, თბილისსა და გროზნოს შორის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომმა მოუსწრო.

1944 წლის 7 მარტს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ პრობლემა მოულოდნელად მოაგვარა. ამ ბრძანებულებით ჩენები და ინგუშები გაასახლეს შორეულ გუბერნიებში იმავე მიზეზით, რომლითაც სხვა ჩრდილოეთკავკასიელი ხალხები. გაუქმებული ჩენეთ-ინგუშეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე შეიქმნა გროზნოს ოლქი, ხოლო დანარჩენი მიწა-წყალი გადანაწილდა ჩრდილოეთ ოსეთს, დაღესტანსა და საქართველოს შორის. საქართველოს შემოუერთეს: ითუმ-ყალეს რაიონი არსებული საზღვრებით, შაროს რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩეჟის, გალაშკისა და პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ახალი გადანაწილებით საქართველოს ფარგლებში აღმოჩნდა ოსეთის ასსრ-ს გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც. ამ გადანაწილებით ქვეყანას, ბუნებრივია, დაუბრუნდა 1927-1928 წ.წ. რსფსრ-სადმი (ჩენეთ-ინგუშებისადმი) გადაცემული სოფლები მთებით, ტყეებით, საძოვრებით, სათიბებით.

შემოერთებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ახალხვევის რაიონის სახით დაფუძნდა, რომელიც მოგვიანებით, 50-იან წლების დასაწყისში, გაუქმდა და ღუშეთის რაიონს შემოუერთდა; რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩენეთ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ ნაწილს, იგი გააერთიანეს ყაზბეგის რაიონში.

ამდენად, 1919-1921 წლებში ისტორიული საქართველოს მიწების – სოჭის ოლქი, საინგილო, ლორეს რაიონი, ართვინისა და არტაანის ოლქები – დაკარგვის „სანაცვლოდ“ მოსკოვის ავანტიურული პოლიტიკის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 1944 წლისთვის 26 ათასით, ხოლო ტერიტორია 74,4 ათასი კვ. კმ-ით გაიზარდა; თუმცა, დიდი მიხვედრილობა არ უნდოდა იმას, რომ ამ ტერიტორიებს საქართველო დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა და ასეც მოხდა: 1955 წელს ქლუხორის რაიონის ტერიტორია რსფსრ-ს გადაეცა, ხოლო მოგვიანებით, 1957 წლის 9 იანვრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოხდა ჩენეთი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია და მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღდგენა, რის საფუძველზეც გაუქმდა ახალხვევის რაიონი და იგი სხვა ტერიტორიებთან ერთად რსფსრ-ს ჩრდილოკავკასიურ ავტონომიებს დაუბრუნდა. საქართველო-რუსეთის საზღვარი კი 1944 წლის 7 მარტამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდა.

ასეთია მოკლე ისტორია იმ მიწებისა, რომლებმაც სულ რაღაც ათიოდე წლით საგრძნობლად განავრცო საქართველოს საზღვრები.



ბუნებრივია, საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებულ ჩრდილოკავკასიის ტერიტორიებზე მასობრივად შეიცვალა გეოგრაფიული სახელწოდებანი. კრემლის „ეროვნული პოლიტიკა,“ მსგავსად ცარიზმისა, ემყარებოდა უკვე დანერგილი და დამკვიდრებული ტოპონიმების მასობრივ გადარქმევას კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად, რაც ხშირად გამხდარა მიზეზი სხვადასხვა ეთნოსის დაპირისპირების პროვოცირებისა. ამის ნიმუშად გამოდგება შემოერთებულ ტერიტორიებზე ახალი ქართული ტოპონიმების ხელოვნურად შექმნაც.

არაქართულ მიწაზე მოხდა ყარაჩაული, ჩეჩნური, ინგუშური, ყაბარდოული, ბალყარული ტოპონიმების ჩანაცვლება ქართული გეოგრაფიული სახელებით, რაც რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

ადგილობრივ ტოპონიმებს ჩაენაცვლა კომუნისტურ-იდეოლოგიური ხასიათის სახელწოდებანი, რომლითაც ხელისუფლება ცდილობდა, მოსახლეობისათვის გაეწია პროპაგანდა სოციალისტური წყობილების უპირატესობაზე ყველა მიმართულებით. მსგავსი პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა. ასეთებია: *შრომა, ახალშენი, მზისა, ახალსოფელი, განახლება, შუქურა...*

ჩრდილოკავკასიელი ხალხები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაასახლეს; ამიტომაც ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობაში პატრიოტული, საბრძოლო სულისკვეთების ამღვლებას, რასაც მედიასთან ერთად გეოგრაფიული სახელებიც ემსახურებოდა. ამით აიხსნება ზემო ბაქსანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის, ბალყარეთში დაღუპული კაპიტან ბუხაიძის სახელის უკვდავსაყოფად *ბუხაიძის* დარქმევა...

რადგანაც გასახლებული ეთნოსები მოლაღატებედ იყვნენ გამოცხადებულნი, მათი ხსენებაც კი აიკრძალა, რასაც შეეწირა თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლი კავკასიელი კომუნისტების სახელობის ტოპონიმებიც. სახელდობრ: სოფლის სახელი *ბაიდავეი* შეიცვალა *თამარიანი*.

გვხვდება არაიდეოლოგიზებული სახელებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი მახასიათებელია თვით დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული თავისებურებანი: *შუამთა, მთისძირი, ხიდისკარი, დარიალი, თერგულა, მალარო, ყუბანისი* [საქართველოს...1949].

საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებს გარეთ განხორციელებულ ტოპონიმთა ცვლაზე ცნობები მხოლოდ „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1949 წლის ცნობარშია დაფიქსირებული. შემდგომ გამოცემებში ქართული ტოპონიმები არ სახელდება, რაც XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს საზღვრებიდან მათი გასვლითაა განპირობებული.

1943 წელს ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უჩკულანის რაიონისა და მიქოიანის რაიონის ნაწილის ტერიტორიებზე შეიქმნა *ქლუხორის რაიონი*, რომლის ცენტრს, ქ. მიქოიან-შახარს შეეცვალა სახელი და ეწოდა *ქლუხორი*. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ 21-ე ტომში ვკითხულობთ: „Клухори (б. Микоян-Шахар) - город, центр Клухорского района Грузинского ССР. Расположен на р. Кубани при впадении в нее р. Теберди на выс. 879 м. над ур. моря, на Военно-Сухумской дороге, в 65 км к Ю. от ж.-д. станции Баталпашинск и в 88 км. к С. от Клухорского перевала. Основан в 1926-1927... Имеются (1953) русская и грузинская средние школы“ [Большая ... 1953].

1944 წელსვე სოფ. კამენომოსტი-ს (ყოფილი ტაშკეპიური) დაერქვა *ახალშენი*, ხურზიკს – *ზედვაკე*, უჩკულანი აულს – *მადნისხევი*, ქვემო თებერდას (ყოფილი სინტი) – *მზისა*, ზემო თებერდას – *თებერდა*, კარტჯურტს – *მთისძირი*. 1947 წელს სოფ. ჯალზიკი-ს გადაერქვა სახელი და უწოდეს *ახალსოფელი*, ჯინგირს – *ბარი*, მალაროს – *იალბუზი* > *მალარო*, ქლუხორს – *მადნისხევი* > *ყუბანისი*, კამენომოსტ-ს – *შერთულა*, დაუტს – *შუამთა*, ბირლიკს – *შუქურა*, ლასტორკას > *მელნიჩნაია* > *ხიდისკარი*. 1944 წელს ზემო სვანეთის რაიონს შემოერთებულ ყარაჩაელთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე: ყუბანისს – *განახლება*, ბაიდავეს – *თამარიანი*, გაგიშს – *იალბუზი*, თევანეკლის – *ფიჭვნარი*, ზემო ბაქსანს – *ბუხაიძე*.

ჩრდილოეთ ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის პრიგოროდნის სამხრეთი ნაწი-



ილი მიერთებულ იქნა ყაზბეგის რაიონზე, სადაც სახელი შეეცვალა შემდეგ ტოპონიმებს (1944 წელს): არმხი[1] – ახალსოფელი, ჰამეტა – განახლება, ჯეირახი – დარიალი, არმხისი (კურორტი) – დარიალი (კურორტი), ფორტაუხი ხუტორი – თამარიანი, ქვემო ოზმა – თერგულა, ვეინახი – მთისძირი, ზემო ოზმა – შრომა. 1944 წლის 21 მარტის დადგენილებით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ითუმ-ყალეს[2] რაიონს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ახალხევის რაიონი, ხოლო ითუმ-ყალეს რაიონის ცენტრს, სოფ. ითუმ-ყალეს – ახალხევი. ითუმ-ყალე, მდ. არღუნის ვიწრო ხეობაში მდებარეობს და ისტორიულად ამ ხეობის შესასვლელ-გასასვლელს აკონტროლებდა. ეს კუთხე მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით, XVII-XVIII საუკუნის სამარხთა კომპლექსებით.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ქართველთმობულე ნ. ხრუშჩოვის ზეობის ხანაში, ამ ტერიტორიების შენარჩუნება ყოვლად წარმოუდგენელი იყო და 1957 წელს კიდევაც გადაეცა რუსეთის ფედერაციას; მასობრივად შეიცვალა ქართული ტოპონიმებიც; თუმცა, ქართული სახელდებანი მეტ-ნაკლებად შეცვლილი ფორმით დღესაც საკმაოდაა წარმოდგენილი, რაც ასახულია რუსულ ენაზე გამოცემულ გზამკვლევებში.

[1] არმხი, იგივე ჯეირახი, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია არმხის, ანუ ჯეირახის, ხეობაში. ხეობის სახელწოდებად უპირატესად ჯეირახი გამოიყენება, რომელიც უკავშირდება არაბ სარდალს ჯეირახს, რომელმაც 725 წელს დარიალის ვიწროები გაიარა და ალანიაში შეიჭრა; არმხი კი ამ ხეობას ეწოდა მდ. არმხის გამო; რუსულ ენაზე გამოცემული ინგუშური ტურისტული გზამკვლევები ამ მდინარეს ხშირად ქართული სახელდებით - ქისტეთისწყალი - მოიხსენიებენ. აქ მდებარეობს ქრისტიანული ტაძარი – თხაბა-ერდი, რომელიც XII საუკუნეშია აშენებული საქართველოდან ჩატანილი ქვის ფილებით. ასევე მდ. ასას ხეობაში მდებარეობს ელბი-ერდისა და თარგიმის ტაძრები, რომელთა კედლებზე შემონახულია ქართული ასომთავრული წარწერები და ფრესკები.

[2] ათწლეულების განმავლობაში ქვეყნების, ერის, ენისა და ა.შ. თვითსახელწოდებანი ჩვენ გადმოგვქონდა რუსულიდან, რაც ხშირად იწვევდა უზუსტობებს. ამის ნიმუშია „კალა“-თი დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები: მახაჩკალა, ითუმ-ყალე... რაც რუსული ფორმაა. კალა (სპარსულია, ნიშნავს „ცინე“-ს) იგივე სიტყვაა, რაც თბილისში არსებული ციხის დასახელებაში გვაქვს – ნარი-ყალა; რუსებს „ყ“ არა აქვთ და სხვა ენათა ამ ბგერას ისინი „კ“-ით გადმოსცემენ. მაგრამ რადგანაც ჩვენი ანბანი იძლევა საშუალებას და ეს საკითხი მოგვარებული გვაქვს, მსგავს შემთხვევებში „ყ“ უნდა ვწეროთ და არა „კ“.

ლიტერატურა

1. ამიერკავკასიისა... 1919, ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები. ტფილისი.
2. კილაძე ს. 2008, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...ასავალ-დასავალი. 47. თბილისი.
3. მენთემაშვილი ა. 1990, ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი.
4. ნაჭყებია მ., 2006, ქართველთა ეთნოლინგვისტური ტერმინები. თბილისი.
5. საქართველოს ... 1949, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის. თბილისი.
6. სსრკ უმაღლესი საბჭოს... 1944, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანება, გაზ. "კომუნისტი", 1944 წლის 12 ოქტომბერი. თბილისი.
7. Большая ... 1953, Большая советская энциклопедия. Том 21. Москва.

ჟურნალი "სპეკალი" (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგი): <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/45>



ოთარ გომილიაშვილი

ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში (1921 წელი)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტებმა გამოსცა სპეციალური დეკრეტი: “გამოცხადდეს ყველა პოლიტიკური პარტიის, ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების ამინისტია, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის წინააღმდეგ.” [კაჭარავა, 1958:182] საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ასე მიმართავდა: ‘დაემორჩილეთ საქართველოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც დაივიწყებს თავისი მტრების ყველა წარსულს, დანაშაულს და რომელიც მზადაა ასევე მოიქცეს თქვენს მიმართაც’. [კაჭარავა, 1958:191]

ასეთივე განცხადებები კეთდებოდა აჭარის კომუნისტების მიერ, მაგრამ ეს ანტისაბჭოთა პარტიებმა და ყოფილმა მთავრობამ არაფრად ჩააგდეს, არ სცნეს საბჭოთა ხელისუფლება, არ მოისურვეს მასთან თანამშრომლობა და გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე. ისინი საბოტაჟისა და კონტრევოლუციის გზას დაადგინეს. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლება მათ მიმართ მკაცრ ზომებს იღებდა. 29 აპრილს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება: „დაუყოვნებლივ მოშორებულნი იქნან ყველა ის პიროვნებები, რომლებმაც რაღაცით ჩირქი მოსცხეს და სახელი გაუტეხეს საქართველოსა და აჭარას მენშევიკების ბატონობის დროს.“ აცსა[1], (პარტიული ფონდი), ფ. 1, აღწ. 1, ს. 13, ფურც. 52] შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა, საბჭოთა დაწესებულებებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ა.შ. განედევნათ კონტრევოლუციონერები.

აღნიშნული გადაწყვეტილება, პირველ რიგში, მიმართული იყო დემოკრატიისა და მრავალპარტიულობის წინააღმდეგ და ამავე დროს ხელს უწყობდა ერთპარტიული დიქტატურის შემოღებას. კომისიაში შედიოდნენ: კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი ი. პეცოვი, რევოლუციური კომიტეტის წევრი კ. საჯაია და აჭარის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენელი. კომისია უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ჩეკას“ მიერ საწარმო-დაწესებულებებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან ანტისაბჭოთა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლების გაძევებასა და მათ მიმართ რეპრესიების გატარებას. იმ დროისათვის აჭარაში რამდენიმე ანტისაბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაცია და ჯგუფი იყო. მათ შორის ყველაზე გავლენიანად ითვლებოდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციონერთა, ქემალისტური და სხვა პარტიების ორგანიზაციები. ქემალისტური ორგანიზაციის გარდა, აღნიშნული პარტიები წარმოიშვნენ მე-20 საუკუნის დასაწყისში. კომუნისტური და ქემალისტური პარტიებისაგან განსხვავებით თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, ბურჟუაზიული წყობილებისა და დემოკრატიისათვის. ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების პირობებში მათი მოღვაწეობა მიმართული იყო ეროვნული კონსოლიდაციისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ისინი წინააღმდეგი იყვნენ და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ სოციალისტური იდეოლოგიისა და სოციალიზმის პრინციპების წინააღმდეგ. სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატიების პროგრამები თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ისინი ერთ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში იყვნენ გაერთიანებული. აღნიშნული პარტიის წევრების უმრავლესობა პირველ ხანებში პირდაპირ და გადაჭრით არ მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მას სურდა, საქართველოს მიეღო ეროვნული ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარ-



გლებში. პარტიის შექმნისთანავე მასში რადიკალები გაჩნდნენ. ისინი საუკუნის დასაწყისშივე ტოვებენ ფედერალისტების პარტიას და ქმნიან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც არაორაზროვნად აცხადებს, რომ მისი მთავარი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლაა. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აქტიურად უჭერს მხარს ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ამ პარტიის პირველი პროგრამა თვითონ დაწერა. სოციალისტ-ფედერალისტების იდეას რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოსათვის ეროვნული ავტონომიის მინიჭების შესახებ არ იზიარებს მემედ აბაშიძე და 1908 წელს იგი ტოვებს ამ პარტიას. მისი ზოგადსაკაცობრიო იდეები სცილდებოდა ვიწრო პარტიულ ჩარჩოს. მისი მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისკენ. სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევა 1917 წლის 9 აპრილს შექმნილ ინტერპარტიულ /ზეპარტიულ/ საბჭოში, რომელიც საქართველოს პირველი პარლამენტის როლს ასრულებდა. იგი მონაწილეობდა 1917 წლის 19-24 ნოემბერს ჩატარებული პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში, როგორც სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელი. მემედ აბაშიძე აირჩიეს ეროვნულ საბჭოში /პარლამენტი/ და 15 წევრისაგან შემდგარ პრეზიდიუმში. [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ. 1, აღწ. 1, ს. 13, ფურც. 104]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, მის პირველ წლებში, აჭარაში სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის აჭარის ორგანიზაციასთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო. ისინი, ძირითადად, ბათუმის სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში, რკინიგზისა და საზღვაო პორტის სამმართველოებში იყვნენ თავმოყრილი.

სოციალისტ-ფედერალისტური ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებდა 300-მდე წევრს, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია - 330-მდე წევრს, მაგრამ მათ რიგებში ერთიანობა არ იყო. ისინი გაიყვნენ მემარჯვენეებად და მემარცხენეებად. მათ ჰქონდათ ბეჭდვითი ორგანოები: ეროვნულ-დემოკრატიებს გაზეთი - „საქართველო“, სოციალისტ-ფედერალისტებს - „სოციალისტ-ფედერალისტი.“ [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ. 1, აღწ.1, ს. 210, ფურც. 104]

მემარჯვენეებისაგან განსხვავებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მემარცხენეებმა გამოაცხადეს ლოიალური დამოკიდებულება. ისინი კომპრომისზე მიდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, თუკი ეს უკანასკნელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებდა და არ დაუშვებდა პროლეტარიატის დიქტატურას, მემამულეებისა და კაპიტალისტების მიმართ რეპრესიებს, არ გააჩაღებდა კლასობრივ ბრძოლას. მემარცხენეები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ნებისმიერი ფორმით გაერთიანებისა, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებისა. საკმაოდ მცირერიცხოვანნი იყვნენ და აჭარაში არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ ანარქისტები. ბათუმში გაბნეული 50-მდე ანარქისტი უარყოფითად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას, სოციალიზმის პრინციპებსა და მშენებლობას, ამიერკავკასიის ფედერაციას, სსრ კავშირს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას. [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ.1, აღწ.1, ს. 210, ფურც. 442]

აჭარაში შედარებით მეტნი იყვნენ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერები /ესერები/, რომლებიც რუსეთის მემარცხენე ესერთა პარტიის შტოს შეადგენდნენ. ეს პარტია როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც საუკუნის დასაწყისში, 1902 წელს, ხალხოსნებისაგან შეიქმნა. ამიტომაც ჰქონდათ ესერებს ხალხოსნური შეხედულებები და იმეორებდნენ ხალხოსნების იმ შეცდომებს, რომლებიც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა ამ იდეოლოგიისათვის.

კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის, უარყოფა, მისი გავლის გარეშე



სოციალიზმში შესვლა, გლეხობის რევოლუციურ კლასად გამოცხადება, სოციალისტური რევოლუციის მოწყობა და სოციალიზმის მშენებლობა, მუშათა კლასის, როგორც მთავარი ძალის, უარყოფა, სოციალიზმში შესვლისათვის ინდივიდუალური ტერიტორიის აუცილებლობის აღიარება და ა.შ. - აი, იმ შეხედულებების არასრული ჩამონათვალი, რომლებსაც იზიარებდა მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. სოციალისტ-რევოლუციონერები მენშევიკებთან ერთად ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის პირველსავე დღეებში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ხელში აღების წინააღმდეგი იყვნენ.

მემარჯვენე ესერები, თავიანთი იდეოლოგიიდან გამომდინარე, მტრულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მემარცხენეები შედარებით თავშეკავებული იყვნენ საბჭოთა რუსეთის მიმართ და დასთანხმდნენ, შესულიყვნენ მთავრობის შემადგენლობაში. საქართველოს ბოლშევიკებმა არ მოისურვეს ესერებთან თანამშრომლობა. მათ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები არც ესერებთან და არც სხვა ოპოზიციურ პარტიებთან დაახლოების მიზნით.

აჭარაში ესერები, ისევე როგორც სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი, ძირითადად, ბათუმის წარმოება-დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში იყვნენ (მათი რიცხვი 400-მდე აღწევდა), ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის, აჭარის ავტონომიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. ესერები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში მენშევიკებთან ერთად სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ. ქართველი ესერები აცხადებდნენ, რომ საქართველოს შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციაში და სსრ კავშირში მისი ეროვნული და პოლიტიკური დაღუპვააო. [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ.1, აღწ.1, ს. 283, ფურც. 5]

აჭარაში ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციად ითვლებოდა თურქეთის მხარდამჭერი ქემალისტური პარტია, რომელიც შეიქმნა 1919 წელს. იგი თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ქემალ ათათურქის, სახელს ატარებდა. მასში თურქეთის ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად აჭარის თურქეთის მომხრე ალაბეგებისა და მუსლიმანური სამღვდელთა წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული. ქემალისტური ორგანიზაცია განსაკუთრებული აქტიურობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამოქმედდა. სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ქემალისტური პარტიის აჭარის ორგანიზაციას, რომლის ცენტრი ბათუმი იყო, არა მარტო სასახლვრო სოფელ მერისში, თითქმის ყველა სოფელში ჰყავდა თავისი ჯგუფები და ცალკეული პირები, რომლებიც პროპაგანდისა და მოსყიდვის ყველა საშუალებას იყენებდნენ და მოსახლეობაში იარაღს ავრცელებდნენ. აჭარის საგანგებო კომისიის /ჩეკა/ თავმჯდომარე 1922 წლის 21 თებერვალს წერდა, რომ მხოლოდ ერთ სოფელში, დღვანში, ქემალისტებმა ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანეს 1500 რუსული და თურქული წარმოების შაშხანა. ქემალისტები განსაკუთრებით ბევრი იყვნენ დიდაჭარის, სხალთისა და რიყეთის ხეობის სოფლებში, მთლიანად აჭარაში კი ისინი 3000-ზე მეტ წევრს ითვლიდნენ. [სუიცა[2], ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 1, ს. 976, ფურც. 545]

ქემალისტები აჭარელ გლეხებს უწინასწარმეტყველებდნენ, რომ ბოლშევიკები მათ წაართმევდნენ ყველა ფასეულობას და დაუხურავდნენ მჩეხოს; რომ უახლოეს დროში აჭარაში მოსალოდნელი იყო ქემალის ჯარის შემოსვლა, რომელიც იხსნიდა მთელ მოსახლეობას ბოლშევიკების უღლისაგან. ისინი მოუწოდებდნენ გლეხებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ქემალისტური პარტიის აჭარის ორგანიზაცია ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრკ-ის შექმნის წინააღმდეგი იყო, უნდოდა აჭარისთვის ავტონომიის მიცემა, ოღონდ თურქეთის ფარგლებში. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ცდილობდნენ, შეეღწიათ სოფლის რევოლუციურ კომიტეტებში, მილიციაში და სხვა საბჭოთა დაწესებულებებში. მათ, ერთი მხრივ, აგიტაციით, მეორე მხრივ, დაშინებით, მიაღწიეს იმას, რომ თავიანთ



მხარეს გადაიყვანეს სოფლის მოსახლეობის ნაწილი. 1922 წელს ქემალისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ საგანგებო ზომების მიღების შედეგად /მეთაურებისა და სხვა აქტივისტების დაპატიმრება/ მათი აჭარის ორგანიზაცია დასუსტდა. 1924 წლისათვის ქემალისტებმა, იმაში დარწმუნებულებმა, რომ მათ არ ძალუძთ არც აჭარის შეერთება თურქეთთან და არც საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში, შეწყვიტეს არსებობა. [სუიცა, ფ.14, აღწ. 1, ნაწ. 1, ს. 976, ფურც. 548]

საქართველოში სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია იყო. ცნობილია, რომ ამ პარტიისა და მისი საქართველოს ორგანიზაციის ისტორია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური პარტიისა და მისი საქართველოს ორგანიზაციის მსგავსად 1903 წლის ზაფხულზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობიდან იწყება. ასე რომ, 1912 წლამდე, ბოლშევიკების პრადის კონფერენციამდე, ერთ ორგანიზაციაში იყო ერთი პარტიის ორი ფრთა - მენშევიკური და ბოლშევიკური, მათ შორის - საქართველოს ორგანიზაციები. თუ ბოლშევიკების პარტიის საქართველოს ორგანიზაცია (მათ შორის აჭარის), მიუხედავად 1920 წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ფორმალურად შექმნისა, ბოლომდე რჩება რუსეთის კომპარტიის ერთ-ერთ შტოდ, ქართველი მენშევიკები ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტურ და სხვა პარტიებთან ერთად იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას საბოლოოდ ტოვებენ და ქმნიან დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, სადაც ბოლშევიკებზე თითქმის ათჯერ მეტი იყვნენ.

1924 წლის მაისში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის /ბოლშევიკების/ მესამე ყრილობა. ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ბ. ლომინაძის, მოხსენებაში წერია: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მენშევიკურ პარტიაში, ერთი ცნობით, 130.000 კაცი იყო, მეორეთი - 80.000, მესამეთი - 60.000.” [სუიცა, ფ.14, აღწ. 1, ს. ნაწ. 1, ს. 976, ფურც.562] იგი უმსხვილესი პარტია იყო.

ამავე დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას ჰყავდა ისეთი ძლიერი, თეორიულად კარგად მომზადებული პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: კარლო ჩხეიძე - თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დღეებში შექმნილი მუშათა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე; აკაკი წერეთელი - დროებითი მთავრობის მინისტრი; ევგენი გეგეჭკორი - ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე; დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური - ნოე ჟორდანიას, აგრეთვე, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი და მრავალი სხვა.

მენშევიკური პარტიის გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, გენერლები, მეცნიერები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები, სხვა ანტისაბჭოთა აპარატების მეთაურები 1921 წლის 17 მარტს, ღამით, ბათუმიდან 16 დატვირთული გემით გაემგზავრნენ. ეროვნულ პარტიებს ახალი ხელმძღვანელები ჩაუდგინეს სათავეში, რომლებიც საზღვარგარეთ წასული ლიდერების მითითებებითა და ღირებულებებით მოქმედებდნენ. ეროვნულმა პარტიებმა აიღეს საბჭოთა ხელისუფლების შიგნიდან „აფეთქების“ კურსი. მენშევიკური პარტიის ორგანოს განეთ „ერთობის“ ბოლო ნომერში პარტიის წევრებს ღირებულება მიეცათ, დარჩენილიყვნენ საქართველოში, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ეცადათ, ფეხი მოეკიდებინათ ყველა საბჭოთა დაწესებულებაში, საქართველოს წითელ არმიაში და მოემზადებინათ საბჭოთა ხელისუფლების „აფეთქება“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაბრუნების დროს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანიას, მთავრობის იძულებით წასვლის შესახებ იტყობინებოდა, ყველა ქართველს მოუწოდებდა, არ ეცნოთ ახალი მთავრობა, არ შეესრულებინათ მისი განკარგულებები და ჩაეთვალოთ, რომ ნამდვილი მთავრობა დროე-



ბით არ იმყოფება საქართველოში.

მენშევიკებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მის მიმართ მტრული დამოკიდებულების კურსი აიღეს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით მენშევიკები ისწრაფოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისკენ, ანტისაბჭოთა პარტიებთან კოალიციის შექმნისაკენ. 1921 წლის ივნისში ნ. ჟორდანიას თავის თანამოაზრეებს საზღვარგარეთიდან წერდა: „დაივიწყეთ ყველა პარტიული უთანხმოებანი, რაც გვანსხვავებს ჩვენ დანარჩენი პარტიებისგან, საჭიროა ბოლშევიკების განდევნა, პარტიული უთანხმოებების შესახებ შემდგომში მოვასწრებთ ლაპარაკს.“ [ცქვიტარია, 1963:25] თავისი ლიდერის, ნ. ჟორდანიას, მითითებების შესაბამისად, მენშევიკებმა 1922 წლის დასაწყისში დაიწყეს მოლაპარაკებები დანარჩენ ანტისაბჭოთა პარტიებთან ისეთი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც ცალკეული პარტიების მოქმედებას გაუწევდა კოორდინირებას, მით უმეტეს, რომ ყველა ეს პარტია ერთი და იმავე მიზნისაკენ - ბურჟუაზიული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ - მიიღებოდა.

1922 წლის აგვისტოში ყველა ანტისაბჭოთა პარტიამ, გარდა ქემალისტებისა, მოილაპარაკა და შეიმუშავა ხუთი მუხლისაგან შემდგარი შეთანხმება:

„1. პარტიები ერთიანდებიან იმისთვის, რომ საერთო ძალით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

2. იმ შემთხვევაში, თუ აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მოიწვევა დამფუძნებელი კრება, რომელსაც ანგარიშს ჩააბარებენ თავიანთი მოღვაწეობის შესახებ როგორც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა, ასევე ის, რომელიც შეიქმნება გარდამავალ დროში.

3. დამფუძნებელი კრების სხდომაზე კოალიციის პრინციპით იქმნება ახალი მთავრობა, ამასთან არც ერთ პარტიას არ ექნება უფლება, დაიკავოს ერთ მესამედზე მეტი ადგილი.

4. წინა მთავრობის მოღვაწეობის გარჩევისათვის, რომელმაც ქვეყანა კრახამდე მიიყვანა, იქმნება პარიტეტული კომისია.

5. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერიდან პარიტეტულ საწყისებზე აირჩევა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი.“ [აცსა, (პარტიული არქივი), ფ.1, აღწ.1, საქ.210, ფურც.498]

ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ზუსტად ორ წელიწადს ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საზღვარგარეთ კი ამავე მიზნის მისაღწევად მონდომებით იღვწოდნენ საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრები, მინისტრები და ანტისაბჭოთა პარტიების მეთაურები. მენშევიკებმა პარიზში, ლონდონში, ჟენევასა და სხვა ქალაქებში შექმნეს საქართველოს დახმარების კომიტეტები. მათი ლიდერები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს შესახებ მოხსენებებით გამოდიოდნენ. მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კ. ჩხეიძე ჟენევაში გამოსვლის დროს ინგლისს ურჩევდა, არ მიეცა ბოლშევიკებისათვის სესხი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, 1915-1918 წ.წ. გაზეთ „იუმანიტეს“ დირექტორი პიერ რენოდელი მენშევიკების ერთ-ერთ გამოჩენილ ლიდერს, აკ. წერეთელს, წერდა, რომ საფრანგეთის სოციალისტები შეეცდებიან ჩაერიონ საქართველოს საქმეებში და ზემოთა თუ უბედურების შემთხვევაში მხარი დაუჭირონ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. [ცქვიტარია, 1963:32]

აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის აჭარის ორგანიზაცია იყო, რომელიც ხუთი ათასამდე ადამიანს აერთიანებდა. მარტო 1921 წლის ივნის-ივლისში აჭარის საგანგებო კომისიის მიერ გამოვლენილი იქნა 700-ზე მეტი მენშევიკი. ყველა მათგანი მსახურობდა საბჭოთა დაწესებულებებში და ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას (ავიტაცია, საბოტაჟი, პროვოკაცია). ამ ადამიანებს კავშირი ჰქონდათ მენშევიკებთან, რომლებიც ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფებოდნენ და მათ დავალებებს ასრულებდნენ.



მენშევიკები თითქმის ყველა ქარხანაში, ფაბრიკასა და დაწესებულებაში იყვნენ. ყველაზე მეტი მენშევიკი ბათუმის საზღვაო სავაჭრო პორტში, ფოსტასა და ტელეგრაფში, საბაჟოში, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მის ადგილობრივ ორგანოებში მუშაობდა. მენშევიკები იყვნენ მილიციასა და ზოგიერთ სამაზრო რემკომშიც. აჭარაში მათი მთავარი ცენტრი ბათუმის რკინიგზის დეპოში იყო. კარგად ორგანიზებული მენშევიკური ორგანიზაციები ჰქონდათ ჭაობში (ბათუმის უბანი), სოუქსუზე, ბარცხანაში, ასევე, რამდენიმე სხვა სოფელშიც (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი).

მენშევიკები ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს მოუწოდებდნენ, ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ დეზორგანიზება შეჰქონდათ ფაბრიკა-ქარხნების მუშებში და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. ასეთი აგიტაციისათვის 1921 წლის 14 ნოემბერს დაპატიმრებული იქნა კინტრიშის რაიონული რევკომის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე რაიონის რევკომის საბინაო განყოფილების გამგე, მაგრამ ისინი გამცილებულ მილიციელთან ერთად მიიმალნენ. [ცქვიტარია, 1963:46]

ემიგრირებული მენშევიკების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო ბათუმიდან 250 კმ-ით დაშორებულ თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში. თურქეთში მყოფ მენშევიკებს ყოველდღიური კავშირი ჰქონდათ აჭარის მენშევიკებთან, ეხმარებოდნენ მათ ანტისაბჭოთა მუშაობის წარმართვაში. მენშევიკები ცდილობდნენ, აჭარა გაეხადათ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობისა და საქართველოში დარჩენილ მენშევიკებს შორის დამაკავშირებელ პუნქტად, მაგრამ არც მათ პარტიაში იყო ერთიანობა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მენშევიკებს ჩამოშორდა და ოპოზიციად გამოცხადდა სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი, რომელმაც 1920 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციაზე თავისი თავი დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გამოაცხადა. ოპოზიციონერებმა სახელად სხივისტები დაირქვეს, თავიანთ ბეჭდვის ორგანოს კი „სხივი“ უწოდეს. სხივისტებს, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აჭარაშიც ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაცია. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით სხივისტები ხელმძღვრედ შეუერთდნენ მენშევიკებს. ისინი მენშევიკებთან ერთად ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის სასტიკი მოწინააღმდეგეები იყვნენ, მაგრამ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების შექმნის წინააღმდეგ არ წასულან. [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ.1, აღწ.1, ს. 168, ფურც. 68-71]

კონტრრევოლუციის მხარეზე დამდგარმა მენშევიკებმა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა 1921 წლის აპრილ-მაისში გააგრძელეს ანტისაბჭოთა მუშაობა. თავის მხრივ, ბოლშევიკებმაც გააგრძელეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა. პირველ რიგში, გადაწყდა იატაკქვეშა ორგანიზაციების აკრძალვა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა არაერთი სხდომა მიუძღვნა აღნიშნულ საკითხს, შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები. იმავე წლის დეკემბერში აჭარის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყების შესახებ. ბოლშევიკებმა ფაბრიკა-ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში, სამაზრო ცენტრებში და სხვაგან აკრძალეს მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები.

მენშევიკებმა 1922 წლის 11 თებერვალს მოაწყვეს ბათუმის მოსწავლეთა დემონსტრაცია. ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა ჩაატარეს მუშების, გლეხების, მოსამსახურეებისა და წითელარმიელთა კრებები და გააფრთხილეს მენშევიკები და სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, რომ არ დაუშვებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს. მიუხედავად ამისა, მაისში მენშევიკებმა მაინც სცადეს ბათუმში მუშებისა და მოსამსახურეების დემონსტრაციის მოწყობა.

აჭარის ბოლშევიკების წინააღმდეგ კონტრრევოლუციის გზაზე დამდგარი მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ რეპრესიების ჩატარების შესახებ საქართველოს კპ/ბ/ცკ-ის ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტური“ შემადგენლობა მხარს არ უჭერდა. მხოლოდ 1923 წლის მარტიდან საქართველოს კპ/ბ/ მეორე ყრილობის შემდეგ, როდესაც ცკ-ის ახალი შემადგენლობა იქნა არჩეული,



დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „აუცილებელია ვაწარმოთ დაუნდობელი ბრძოლა კონტრრევოლუციურ პარტიებთან, კერძოდ მენშევიკების პარტიასთან.“ [ცქვიტარია, 1963:67] თავის მხრივ, ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა გასცა შემდეგი დირექტივა: „გაძლიერდეს რეპრესიები მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების მიმართ, თუ ისინი არ შეწყვეტენ თავიანთ აგიტაციას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ეროვნულ საკითხებში.“ [ცქვიტარია, 1963: 68]

საქართველოს, მათ შორის აჭარის, ბოლშევიკებმა, რუსეთის კომპარტიის მე-12 კონფერენციის მითითებიდან გამომდინარე, ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ რეპრესიების გატარებამდე გადაწყვიტეს, მათთვის წინადადება მიეცათ პარტიული ორგანიზაციების თვითლიკვიდაციის შესახებ, ხოლო, ვინც სურვილს გამოთქვამდა, ისინი მიეღოთ კომპარტიის რიგებში. დაიწყო ჯგუფური განცხადებების გამოქვეყნება ანტისაბჭოთა პარტიებიდან გამოსვლის შესახებ. ბათუმელი მენშევიკების მიერ 1923 წლის 13 აპრილს გაზეთ „ტრუდოვოი ბატუმი“ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები, მივიჩნევთ, რომ მხოლოდ ეს პარტია არის ერთადერთი მშრომელი მასების დამცველი, რომ მენშევიკების პარტია არ გადაუხვევდა სოციალიზმის პრინციპებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავრწმუნდით, რომ ბოლშევიკების პარტია არის მშრომელი მასების ერთადერთი დამცველი. მენშევიკების პარტიამ კი თავისი მმართველობის წლებში დაამტკიცა, რომ ის ექსპლუატატორი კლასების ინტერესებს იცავდა. ამიტომ ჩვენ საბოლოოდ ვწყვეტთ კავშირს მენშევიკურ პარტიასთან“. განცხადებას ხელს აწერდნენ ყოფილი მენშევიკები: ა. წოწონავა, ა. თოფურია, ს. ჩხაიძე, ნ. თავართქილაძე, კ. მოისწრაფიშვილი, ა. ქინქლაძე, ბ. ზამოროკო და სხვები. [აცსა, (პარტიული ფონდი), ფ.1, აღწ. 1, ს. 168, ფურც. 121-128]

ასეთი წერილები და განცხადებები ხშირად ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე, რა თქმა უნდა, კომუნისტების მხრიდან ეს იყო აშკარა ზეწოლის შედეგი, მაგრამ, თავის მხრივ, არც მენშევიკები და არც სხვა ანტისაბჭოთა პარტიები ტყუვდებოდნენ. ასეთ განცხადებებს ისინი ფორმალურად აკეთებდნენ, რომ ბოლშევიკების რეპრესიებისაგან დაეხსნათ თავი, სინამდვილეში კი ღრმა იატაკქვეშეთში გადადიოდნენ და ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისთვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1923 წლის აგვისტოში ბოლშევიკების ზეწოლით ბათუმში შედგა ყოფილი მენშევიკების კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მენშევიკური პარტიის (მათ შორის აჭარის ორგანიზაციის) დაშლის შესახებ. დაშლილად გამოცხადდა, აგრეთვე, აჭარის მენშევიკური ორგანიზაციის ახალგაზრდათა კავშირი - „ახალგაზრდა მარქსისტები“. 1923 წელს როგორც მთლიანად საქართველოში, ისე აჭარაშიც დაშლის შესახებ გამოაცხადეს სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა და მათმა ადგილობრივმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ხელმძღვანელობა, იატაკქვეშეთში გადასული ანტისაბჭოთა პარტიები მოქმედებდნენ ყოფილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ორგანიზაციების მითითებებით. ისინი მათგან იღებდნენ ფულს, გემებს, რეკომენდაციებსა და დირექტივებს აჯანყების მომზადების შესახებ. 1924 წლის მაისში ჩატარებული საქართველოს კომპარტიის III ყრილობა კი ირწმუნებოდა: „საანგარიშო პერიოდში კომპარტიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოხდა ანტისაბჭოთა ფრონტის მთლიანი ლიკვიდაცია. მენშევიკების პარტიამ გასულ წელს განიცადა საბოლოო დამარცხება. მენშევიკური პარტიის ძველი კადრები, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციაც კი, რომლებზეც ცდილობდა დაყრდნობა მენშევიკური იატაკქვეშეთი, კავშირს სწყვეტენ არალეგალურ ორგანიზაციებთან და ფართო ფრონტით შემობრუნება ხდება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.“ [სუიცა, აღწ. 1, ნაწ. 1, ს. 976, ფურც.584]



ასეთი მცდარი და ზერელე შეხედულებებიდან გამომდინარე, ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას მიუთითა: „ახლა, როდესაც ძირითადი პოლიტიკური პრობლემები წარმატებით გადაჭრილია, ყველა ძალები მიმართული უნდა იქნეს სამეურნეო სამუშაოების აღსადგენად.“ [სუიცა, აღწ.1, ნაწ.1, ს.976, ფურც.586] ყრილობის დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ საქართველოში მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება მოხდა. თავადებთან, აზნაურებთან, ყოფილ ოფიცრებთან, ვაჭრებთან, სამღვდელელების წარმომადგენლებთან ერთად იარაღით ხელში გლეხებიც გამოვიდნენ, რაც თვით ი. ბ. სტალინმაც აღიარა. 1924 წლის ოქტომბერში კომპარტიის სასოფლო უჯრედების მდივნების თათბირზე მან განაცხადა, რომ საქართველოს „ზოგიერთ ადგილებში მენშევიკებმა, მასებთან კომპარტიის ცუდი კავშირის გამო, შეძლეს აჯანყებაში გლეხების ნაწილის ჩათრევა.“ [სტალინი, 1951:308]

იმის გამო, რომ აჭარაში ბოლშევიკებმა აჯანყებამდე ორი თვით ადრე დაიწყეს რეპრესიები, დააპატიმრეს ანტისაბჭოთა პარტიების ლიდერი, აქტივისტები, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და მისი ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, აჭარაში ანტისაბჭოთა პარტიებმა ვერ მოახერხეს აჯანყების მოწყობა.

1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების შემდეგ, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი, საქართველოში, მათ შორის აჭარაში, ყველა ანტისაბჭოთა პარტია და ორგანიზაცია ბოლშევიკების მიერ ლიკვიდირებული იქნა.

[1] აცსა - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

[2] სუიცა - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.

ლიტერატურა

1. კაჭარავა ი. 1958 საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში / 1921-1925/. თბილისი
2. სტალინი 1951 თხზულებანი. ტომი 6. თბილისი.
3. ცქვიტარია პ. 1963 აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (ნაწილი მეორე). ბათუმი.
4. აცსა (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი)
5. სუიცა (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი)

ჟურნალი “სპეკალი“ (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგი): <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/2>



ლავა საიუზილი

ქმნილებათა ენა (ლოგოსები)

ჰომოსაპიენსის მიერ ბუნების აღქმა, ერთობ მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მრავალე-ტაპოვანია.

იგი სათავეს იღებს სამყაროს პირველ ადამიანთა, ედემის მკვიდროთაგან და მანამდე განაგრძობს განვითარებას სანამ კაცობრიობა იარსებებს.

წმიდა წერილში ვეცნობით რა ედემის მობინადრე ადამიანთა ცხოვრების ისტორიას, ვაწყდებით უნიკალურ მოვლენას, რომელიც ასახავს ადამიანში სამყაროს შემეცნების გასაოცარი უნარის არსებობას.

როცა ადამი ედემში ყველა სულდგმულს არქმევს საკუთარ სახელს, ეს მოვლენა უჩვეულო შემეცნების პროცესს წარმოადგენს. ამ მოვლენას მართლმადიდებლურ ისინასტურ ლიტერატურაში, ქმნილებათა ენის ფლობა ეწოდება. რაც გულისხმობს, ყოველი ქმნილების არსის სრულ წვდომას და შემეცნებას. ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი პითაგორა ბრძანებდა: ყველაზე ბრძენი ის ადამიანი იყო, რომელმაც საგნებს თავისი სახელი დაარქვაო. სწორედ ამ პროცესს ასახავს ბიბლიიდან აქ მოხმობილი შემთხვევა. ადამის მიერ ცხოველებისთვის სახელების დარქმევის ფაქტი ქმნილებათა ენის ცოდნის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, თუ არ ფლობ ვინმეს ან რაიმეს არსში წვდომის უნარს, შესაბამის სახელს ვერ დაარქმევ, სახელის დანიშნულებაა გადმოსცეს იმისი შინაარსი, რასაც მას არქმევენ. მნიშვნელოვანია ის, რომ ადამი ამას არა გამოცდილებით, არამედ მყისიერი შემეცნების კვალობაზე ახერხებს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ადამი და ევა სრული ერთი დღეც არ ყოფილან ედემის ბაღში, ამდენად ესოდენ გასაოცარი შემეცნების უნარი აშკარა ლეთიურ ჯილდოზე მიანიშნებს. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცოდვით დაცემულ ედემი-დან გამოძევებულ ადამიანებს, როდესაც ლეთისგან ეძლევათ დავალება, შრომით და ოფლით მოიპოვონ პური არსობისა: „პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი.“ [ბიბლია, დაბადება თავი III, მუხლი-19. თბილისი 1989წ. გვ.15]. ამ პროცესში გარდა ყოფითი მომენტისა ასევე ალეგორიულ-სიმბოლურად შესაძლოა შრომის პროცესში შემეცნების გზის ღვაწლთან დაკავშირება იგულისხმება.

რაც ადამიანი ღმერთს დაშორდა მას შემდეგ წვალობს, იქექება, იჩხრიკება სამყაროს წიაღში და დღემდე, ოცდამეერთე საუკუნეშიც, კვლავ უთვალავი კითხვის ნიშანი დგას კაცობრიობის წინაშე.

ანტიკური ხანის ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა: ჩვენ მხოლოდ იმდენად აღვიქვამთ სამყაროს, რამდენადც გამოქვაბულში მყოფი ადამიანი მისი შესასვლელიდან კედელზე დაცემულ შუქზე არეკლილ სხვადასხვა სახის მოძრაობებს, რომელიც გამოქვაბულის გარეთ ხდებაო. ინგლისელმა დრამატურგმა უილიამ შექსპირმა შემთხვევით არ ათქმევინა ჰამლეტს შემდეგი სიტყვები: “რამდენი რამ ხდება ჰორაციო ცასა და ქვეყანაზე რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათო“.

სამყაროსა და ბუნების სხვადასხვაგვარი ხედვები ერთგვარი სისტემით შემოგვთავაზა დიდმა მეცნიერმა გ. კიკნაძემ, წერილში: “ბუნების გრძნობა ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში“ ავტორი გვთავა-ზობს ბუნების, გრძნობის მიმოხილვას, აღნიშნულისადმი დამოკიდებულების, მსოფლხედვის ისტორიას, თუ როგორი განწყობა იყო ბუნებისადმი სხვადასხვა საუკუნეებსა და ეპოქებში. მართალია ნაშრომი გარკვეულ წილად ათეისტური მსოფლხედვით არის გაჯერებული, მაგრამ ეს ვითარება ალბათ ბოლშევიკური რეჟიმის ნაკვალევი გახლავთ. იგი აღნიშნავდა: „ბუნების ხილვა ადამიანში სიხარულის



განცდას იწვევს, მაგრამ არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამით უკვე სავსებით შექმნილია საკმაო პირობა, რათა ეს სიხარული გადიქცეს ბუნების გაგების და სხვისათვის მიწოდების უნარად. ამ უნარით მხოლოდ ზოგიერთია დაჯილდოებული“. [გ.კიკნაძე, „ვაჟა ფშაველას შემოქმედება“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1989 წ. გვ.86]. როგორც გ. კიკნაძე აღნიშნავს ბუნების განცდა სხვა განცდებთან შედარებით უფრო ინდივიდუალურია. იგი უმაღლეს განცდათა რიგში დგას და სხვადასხვაგვარობითაც გამოირჩევა. მის განვითარებას ერთობ საინტერესო ისტორია აქვს, რაც, რა თქმა უნდა, იმ გარემოს ზეგავლენით არის განპირობებული, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს მისი გამოცდილების, მსოფლმხედვისა და ინდივიდუალური თავისებურების შეგრძნების კვალობაზე.

ბუნების გრძნობის განვითარებაში რამდენიმე გამოკვეთილი საფეხური გამოირჩევა. გ. კიკნაძე ამ საფეხურთა ჩამოთვლისას თავდაპირველად ეხება თეოლოგიურ გაგებას ბუნებასთან მიმართებაში: „როდესაც მთელი მსოფლიო წარმოდგენილია უზენაესი ღვთაებრივი ძალის ქმნილებად, მაშინ ბუნების ღირსებას ღვთიური საწყისი განსაზღვრავს, მით არის იგი გასხვივოსნებული და ამრიგად ბუნება და მისი მოვლენა მოკლებულია თვითღირებულებას. ამ შემთხვევაში ბუნებას შემოქმედის ეშინია და მის ფერხთ წინაშე ძევს.“ [გ.კიკნაძე, „ვაჟა ფშაველას შემოქმედება“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1989 წ. გვ.87]

მკვლევარს ამ აზრის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითი მოჰყავს ფსალმუნთაგან: „გიხილეს შენ წყალთა ღმერთო, გიხილეს წყალთა და შეეშინა შეძრწუნდეს უფსკრულნი, დიდ ძალთა ოხრითა წყალთათა; ხმა მოსცეს ღრუბელთა და რამეთუ ისარნი შენნი ვლიან. ხმა ქუხილისა შენისა ურმის თვალისა გამოსჩნდეს, ელვანი შენნი სოფელსა შეიძრა და შეძრწუნებულ იქნა ქვეყანა.“ (ფსალმუნი 76. მუხლი 16-18). ამდენად გ.კიკნაძის აზრით, ბუნება ღვთის ქმნილებად არის რა წარმოდგენილი, უკმარი და საზღვარდებულია როგორც ქმნილება, იგი ყოვლისშემძლე ღვთაების წინაშეც უღირსი და ნაკლოვანია, რის გამოც მხერა ინდივიდუალურზე კი არაა, უსაზღვროსადმი არის მიმართული და ამდენად შეუძლებელია მოხიბვლა ცალკეულ მოვლენათა არსით. მსგავსი შეხედულება ბუნებასა და სამყაროზე რათქმა უნდა ათეისტური სულთქმითაა შენელებული. ამ ქვეყნად არა არის რა დასაბამის გარეშე და ყველაფერი ერთი საწყისიდან ღმერთიდან იღებს სათავეს. ებრაელი ფილოსოფოსი სპინოზა ბრძანებდა: როცა ჩემს წინ საათის შესანიშნავი მექანიზმი დევს, მე უნებურად მის შემქმნელზე ვფიქრობო. ვინმეს ან რაიმეს თუ დაუკარგავთ საკუთარ წარმომავლობას, განა ამით უფრო მეტად არ ვანაკლოვანებთ და შეურაწყყოფთ მას. როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ბუნებას შემოქმედის ეშინია და მის ფერხთწინაშე ძევს, არც ეს გახლავთ შეურაწყყოფელი ბუნებისთვის, პირიქით მსგავსი მდგომარეობა მის სიღიადეზე მიუთითებს, რადგან ერთი შეხედვით უგონო და მატერიალურ სამყაროს თუ ძალუქს შეგრძნება თავისი შემოქმედის სიახლოვისა და შეკრთომა ღვთაებრივი ბრწყინვალეების წინაშე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თითქოს ადამიანსაც აღემატა ამ კუთხით, რადგან კაცთა მოდგმა უფრო მეტად არის გაუხეშებული მსგავსი სულიერი მოვლენების შეგრძნებების თვალსაზრისით. ადამიანმა მსგავსი ფაქიზი ურთიერთობა დაკარგა არა მხოლოდ ღმერთთან, არამედ ბუნებასთანაც. წმინდა წერილი გვამცნობს რომ მთელი ეს სამყარო შეიქმნა ადამიანისათვის და რომ ცოდვით დაცემამდე ყველაფერი ადამიანს ემორჩილებოდა, რადგან იგი იყო დადგენილი სამყაროს მეფედ შემოქმედისაგან. არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ რადგან ადამიანი ყველაზე ბოლოს შეიქმნა ქმნილებათა შორის, ამით მისი ღირსება გარკვეულ წილად შეილახა, თუმცა ყველაფერი საპირისპიროდაა. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ როდესაც მეფე მიბრძანდება სადმე, ჯერ იქაურობა უნდა მომზადდეს, სუფრა გაიშალოს, ყველაფერი წესრიგში იქნეს მოყვანილი და შემდეგ უნდა მოიწვიონ მეფე. ცნობილი ნეოპლატონისტი პროკლედია დონოსი აცხადებდა: „ის რაც ბოლოა დროში, პირველია არსში“. [დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის ქადაგება: „ნათლისღება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი“ www.patriarchate.ge]. ამასთან შეგვიძლია მოვიხმოთ მაგალითები წმინდა ადამიანთა ცხოვრებიდან, რომლებმაც დიდი ღვაწლის შედეგად დაიბრუნეს ადამისეული ფლობა ბუნებისა და სტიქიებისა. შეგვიძლია გავიხსენოთ:



- მოსეს მიერ მეწამული ზღვის ორად გაყოფა და მის შუაში გავლა ებრაელ ერთან ერთად;
- ისუნავეს ძის მიერ მზის გაჩერება;
- ელია წინასწარმეტყველის მიერ რამოდენიმე წლით ცის დახშობა და გვალვა;
- წმინდა გაბრიელ მთაწმინდელის მიერ ზღვაზე ფეხით სვლა. და ა.შ.

ყოველივე აღნიშნული ცხადპყროფს იმას, რომ იყო დრო, როდესაც სრული ჰარმონია, სიყვარული და მეგობრობა სუფევდა ადამიანსა და ბუნებას შორის და არავითარი უთანხმოება არ იგრძნობოდა. სტიქია არ თვითნებობდა, არამედ მთელი სამყარო ერთ ოჯახად იყო შეკრული. თუმცა ყოველივე ეს იყო ცოდვით დაცემადე, ვიდრე სამყაროზე აისახებოდა ეს მდგომარეობა. ამდენად ბუნებისა და ადამიანის განსაკუთრებული ერთობის შემთხვევებს დღემდე მხოლოდ და მხოლოდ წმინდანთა ცხოვრებაში თუ წავაწყდებით. რადგან გლობალურად რომ ვთქვათ: კაცობრიობა და სამყარო ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნეა ხშირ შემთხვევაში მტრადაც კი ევლინებიან ერთმანეთს. შეიძლება ითქვას რომ ყველაზე კორექტულ დამოკიდებულებას და ბუნების შეგრძნების გააზრებას ქრისტიანობაში აქვს ადგილი. აქ ბუნება ყოველი კუთხითაა აღქმული: ფიზიკური, სულიერი, ესთეტიური, პრაგმატული და ა.შ. ბუნების სრული ონტოლოგია და მისი ინიციატია მხოლოდ ქრისტიანობისთვისაა შესაძლებელი.

გ. კიკნაძის დასკვნით ბუნების გრძნობა უმაღლეს მწვერვალზე მალღდება, როცა ადამიანისთვის ბუნების მოვლენები ყველანაირ ვითარებაში თანაბარი ნეტარების ობიექტია და მისდამი გრძნობაც ბუნების თავისთავადი ღირებულების განცდას წარმოადგენს. ჰომოსაპიენსისათვის მსგავს საფეხურზე ბუნება თავისი სათუთი და ნაზი მოვლენებით, ისევე როგორც მკაცრი კლდეებით ან უდაბნოებით ბობოქარი და დამანგრეველი ძალებით, თანაბარი კეთილგანწყობის ობიექტია. ეს გახლავთ ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება რადგან ამ დროს არცერთი მოვლენა ზიზღს არ იწვევს და ადამიანიც წონასწორობიდან არ გამოჰყავს.

„ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბუნების გრძნობას სხვადასხვა სახე ჰქნდა მიღებული, ვიდრე იმ სიმაღლემდე ავიდოდა, რომელიც ვაჟა-ფშაველამ წარმოგვიდგინა“. [გ.კიკნაძე, „ვაჟა ფშაველას შემოქმედება“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1989 წ. გვ.95].

გ. კიკნაძე ამ ეპოქათა მოგზაურობაში იმასაც დასძენს, რომ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული ეტაპების გავლისას რუსთველიდან დღემდე ნელ-ნელა იკვეთებოდა ბუნების თვითღირებულების გრძნობის განცდა. რაც მისი თვალთახედვით ყველაზე მართებული აღქმა გახლავთ ბუნებისა და მთელი სამყაროსი. თუმცა, როგორც ზევით შევნიშნეთ, ბუნების ყველაზე დიდ ღირებულებას წარმოადგენს არა თავისთავადობა, არამედ ის, რომ იგი ღვთის ქმნილებაა.

გამოთქმა - ქმნილებათა ენა მრავალსახოვანია არ არის უცხო ზღაპრისთვის, იგავ-არაკისთვის, მხატვრული ნაწარმოებისა და ლიტერატურისათვის, თუმცა იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოთქმა გახლავთ ქრისტიანულ ლიტერატურასა და თეოლოგიაში. იგავ-არაკებისა და ლიტერატურის შემთხვევაში აღნიშნული გამოთქმა პრიმიტივიზმს შეიცავს, რაც დაყვანილია სულიერი თუ უსულო ბუნების ამეტყველებადე, ერთგვარ ანტროფომორფიზმადე, ქრისტიანული ღვთისმეტყველების შემთხვევაში კი იგი წარმოადგენს სამყაროს ონტოლოგიურ ინიციატიას. წიგნში: „მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“, სადაც მოცემულია სწავლება, იესოს ლოცვის დაუფლებისა და მისტერიის შესახებ, მწირი გვიცხადებს შემდეგ საიდუმლოებას, როდესაც ადამიანი სიღრმისეულად ეუფლება იესოს ლოცვას და ამ გზით მალღდება რა იგი სულიერ საფეხურებზე, მისი გონება ნათდება გამოცხადებით, ეძლევა უნარი წმინდა წერილის განმარტებისა და ქმნილებათა ენის ფლობისა. თუ რას ნიშნავს ქმნილებათა ენის ფლობა, ამას მწირი თავადვე გვიმჟღავნებს: „როცა გულით ლოცვას ვიწყებდი, ჩემ გარშემო ყველაფერი - ხეები, ბალახი, ფრინველები, მიწა, ჰაერი, სინათლე - თვალწარმტაცად მესახებოდა, თითქოს მეუბნებოდნენ, რომ ადამიანისთვის არსებობდნენ და ღვთის სადიდებელს გალობდნენ. მივხვდი, „სათნობათმოყვარეობა“ რას უწოდებდა „ქმნილებათა ენის ცოდნას“ და როგორ შეიძლებოდა ღვთის



ქმნილებებთან ლაპარაკი.“ [„მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“ საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ.VI. გამომცემლობა "ახალი ივერიონი" , თბილისი 2008წ. გვ.24]

მწირი უფრო ფართო სპექტრით გვიმჟღავნებს ქმნილებათა ენის არსს შემდეგ ციტატაში:

„ირგვლივ ყველაფერი თვალწარმტაცად მესახებოდა, ყველაფერი ღვთის სიყვარულისა და მადლიერებისკენ მიბიძგებდა. ადამიანები, ხეები, მცენარეები, ცხოველები - ჩემთვის ყველაფერი მშობლიური გახდა, ყველაფერში იესო ქრისტეს სახელს ვხედავდი. ზოგჯერ ისეთი სიმსუბუქე მეუფლებოდა, თითქოს სხეული აღარ მქონდა და კი არ მივდიოდი, არამედ სიხარულით დავცურავდი ჰაერში. ზოგჯერ საკუთარ წიაღში შევდიოდი, ამკარად ვხედავდი მთელ ჩემს შიგნეულობას და მოცუბდა, რამდენად ბრძნულად იყო ადამიანის სხეული აგებული. ზოგჯერ ისეთ სიხარულს ვგრძნობდი, თითქოს მეფე ვყოფილიყავი.“ [„მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“ საეკლესიო ბიბლიოთეკა“ ტ.VI. გამომცემლობა “ახალი ივერიონი“, თბილისი 2008წ. გვ.24]

წმიდა მამათა განმარტებით ქმნილებათა ენის ფლობა ნიშნავს ადამიანის იმგვარ სულიერ მდგომარეობას, როდესაც მას სულიწმინდის მიერ ეძლევა სამყაროს ყოველი არსის განმარტება. ჩვენ ამ თავის დასაწყისში ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ ედემის პირველ მკვიდრთ, გააჩნდათ სწორედ ამგვარი ნიჭი.

იგივე ნიჭი ეძლევათ სულიერების გზაზე წარმატებულ და წმიდა ადამიანებს, რადგან წმიდანობა სწორედ პირველ ადამიანთა უცოდველი და ღვთივსულიერი მდგომარეობის დაბრუნება გახლავთ, იმ მდგომარეობისა, როდესაც ადამიანი იყო სამყაროს მეუფე, სწორედ ამით აიხსნება ზემოთ მოხმობილ ციტატაში მწირის მიერ მეფედ ყოფნის განცდა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ქმნილებას თავისებური ურთიერთობა აქვს შემოქმედთან, რასაც დავით მეფსალმუნესთან დაკავშირებული გადმოცემაც გვიდასტურებს: ერთხელ როდესაც იგი ბუნების წიაღში ფსალმუნებს წერდა, მსახურებს უბრძანა, მისი სიახლოვიდან ბაყაყები განედევნათ, რადგან მათი ყიყინი საქმიანობას უფერხებდა, რადროსაც ერთ-ერთი ბაყაყი მის ფერხით გადმოხტა, ადამიანის ენით შეესიტყვა მეფეს, შენ რომ შემოქმედს აღიდებ ჩვენ რატომ გვიშლი იგივეს კეთებასო, ამის შემდეგ დაწერა წმიდა დავითმა ფსალმუნებში შემდეგი სიტყვები: „ყოველი სული აქებდით უფალსა.“ [კანონი 20, ფსალმუნი 150; მუხლი 6. გამოცემლობა „ალილო“ გვ.425.]

დავით მეფემ, როგორც ჩანს, საკუთარი სიწმინდით მიაღწია ქმნილებათა ენის ფლობას. ამას პირველყოვლისა ადასტურებს მის მიერ სულიწმინდის მადლით 150 ფსალმუნის შექმნა. სადაც ჩანს მისი ღვთივგანბრძობილი და სულიერი შინაგანი მდგომარეობა, წინასწარმეტყველება ქრისტესა და მომავალზე, საუფლო საიდუმლოებათა ჭვრეტა და ასევე სამყაროს წიაღში იმგვარი წვდომა, რომ მსგავსი აღმოჩენების გაკეთება მეცნიერებმა მხოლოდ ამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში შეძლეს.

ქმნილებათა ენის ფლობის კუთხით კი შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს მისი 148 –ე ფსალმუნი, რომელშიც ყოველი ქმნილება აღიდებს უფალს - თავის შემოქმედს: „აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკენლს ცათანი. . . . აქებდით უფალსა ქვეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყვაი, თოვლი, მყინვარი, სული გრიგალისაი, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქვეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნი.“ [ფსალმუნი 148-3,4,7,8,9,10].

ქმნილებათა ენის კუთხით ფრიად საინტერესო მიგნებას ვნახულობთ გამოჩენილი ბერძენი მწერლისა და მოაზროვნის ნიკოს კაზანდაკისის ერთ-ერთ ნაწარმოებში იგი წერს: „გუთხარი ნუშის ხეს: დაო, მიაძბე რამე ღმერთზე. და ნუშის ხე აყვავდა.“ [დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. ლექსები „შეტირილი“ მაკა ჯოხაძის წინათქმა “ალუბლის სიბრძნე“ თბილისი 2010წ.]

აქვე იმასაც დავსძენთ, რომ მსგავსი ტენდენცია თეოლოგიასა და ლიტერატურაში არ წარმოადგენს ანემისტურ გამოვლინებას. უბრალოდ ნებისმიერი ქმნილება უნებლიე და იდუმალი მთხრობელია თავის შემოქმედზე.



ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს ცნობილი ღვთისმეტყველი იოანე დამასკელი: „ნურავინ დაუშვებს ცათა ან მნათობთა განსულიერებას, რადგან ისინი უსულონი და უგრძნობნი არიან. ამიტომ, თუმცა საღვთო წერილი ამბობს; „ხარობდნენ ცანი და მხიარულობდეს მიწა“ (ფს. 95,11). ამით იგი სიხარულისკენ მოუწოდებს ცაში მყოფ ანგელოზებს და მიწაზე მყოფ ადამიანებს. უწყის წერილმა გაპიროვნება და უსულოთა შესახებ, როგორც სულიერთათვის, სიტყვის თქმა. მაგალითად: „ზღვამ იხილა და გაიქცა, იორდანე მიიქცა უკან“ (ფს. 113,3).“ „კიდევ, თქმულია; „ცანიც ღვთის დიდებას უთხრობენ“ (ფს. 18,2), თუმცა ისინი გრძნობადი ყურით მოსასმენ ხმას როდი გამოსცემენ, არამედ თავისი სიღიადით შემოქმედის ძალას წარმოგვიჩვენენ ჩვენ, რადგან მათი მშვენების მჭვრეტელნი ვადიდებთ შემოქმედს, როგორც დიდოსტატს“. [იოანე დამასკელი. „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ გვ. 56-57]

ანალოგიურ მოსაზრებას ასხივოსნებს მეოთხე საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე ნეტარი ავგუსტინე წიგნში „ალსარებანი“, იგი ღმერთს მიმართავს: „გამოდებით და დაუღუპებლად ვადიდებენ შენი ქმნილებანი: შენსკენ მოქცეული ყოველი სული - თავისი ბაგეებით; ცხოველები და უსულო საგნები - მათსავე მჭვრეტელთა პირით“. [ნეტარი ავგუსტინე. წიგნი მეხუთე გვ.70. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი გამომცემლობა „ნეკერი“, 1995 წ.] თუმცა აქ მოხმობილ მოსაზრებათა პარალელურად უნდა მოხდეს გარკვეული გამიჯვნა უსულო და სულიერი ბუნების ღმერთთან ურთიერთობის საკითხების. უდავოა, რომ ნებისმიერი ქმნილება მოგვითხრობს თავის შემოქმედზე, როგორც მაგალითად დავითის ქანდაკება - მიქელანჯელოზე, მეცხრე სიმფონია - მოცარტზე, ვეფხვისტყაოსანი - რუსთველზე და ა.შ. ყოველივე ეს წარმოაჩენს შემოქმედის სახეს, ნიჭს, შესაძლებლობებს და ა. შ., რადგან ქმნილება არის ერთგვარი სავიზიტო ბარათი შემქმნელისა და ამდენად უსულო ბუნებაც ასევე მადიდებელია თავისი დამბადებლისა.

წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრებაში ვაწყდებით უჩვეულო შემთხვევას უსულო ბუნების მიერ ღვთის დიდებისა, ეს მოვლენა მსგავსია, ზემოთ მწირის მიერ მოხმობილი, და დავით მეფის 148-ე ფსალმუნში, უსულო ბუნების მიერ ღვთის დიდების ფაქტებისა. თუმცა აქ უფრო მკაფიოდ წარმოდგენილი ეს მისტიური პროცესი. წმ. ამბროსის ერისკაცობის დროს იპეცკის ახლოს, მდინარე ვორონეჟის გაღმა, ოპტინის სახაზინო ტყეში ხშირად სიამოვნებდა ხეტიალი. „აქ, თავისუფალ დროს ალექსანდრეს მარტო უყვარდა სეირნობა და როგორც ჩანს, უნდოდა გონებით განესაზღვრა ღვთის დიდებულება. ერთხელაც, ამგვარი სეირნობისას, მიაღმა ნაკადულს და ყური მიუგდო მის რაკარუკს: აქეთ უფალი, შეინარჩუნეთ ღმერთი - მას ეს სიტყვები მკაფიოდ ესმოდა და თითქოს მათ ნაკადული წარმოთქვამდა. მას ამბროსი ბერი ასე იხსენებდა: „დიდ ხანს ვიჯექი, ვუსმენდი ბუნების ამ იდუმალ ხმას და ძალიან მიკვირდა.“ [„წმინდა ამბროსი ოპტინელის ცხოვრება“, გვ. 19; საეკლესიო ბიბლიოთეკა XII, მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, გამომცემლობა ახალი ივერონი 2010 წ.]

ალბათ, მსგავსი მოვლენები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ღვთის დაშვებას, რა დროსაც განსხვავებული სიმკვეთრით წარმოჩინდება ბუნების სიღიადე და მისი შემოქმედის განუზომელი ბრწყინვალეობა. რაც შეეხება სულიერ ბუნებას, ამ მხრივ გარკვეულ წილად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მას ზემოთ მოხმობილი წმიდა დავით მეფესალმუნისა და ბაყაყის ისტორია, ასევე სხვა წმინდა მამათა ცხოვრებისეული ეპიზოდები თუ ბიბლიური თეზანიც გვიდასტურებენ.

წმიდა წერილიდან საკმარისია გავისხენოთ ბალაამ ბოსორელის ვირისა და ანგელოზის გამოცხადების ამბავი. წმინდანთა ცხოვრებიდან კი დავესესხებით ათონელი ბერის - მამა პაისის მოღვაწეობიდან ერთ საინტერესო ეპიზოდს. იგი იხსენებდა:

„ჩემთან სენაკში მოსული მარტო ჩიტები კი არა, არამედ ყოველგვარი ცხოველი: ტურები, კურდღლე-ბი, თრითინები, კუები, ხვლიკები, გველები - ძლებიან ჩემი სიყვარულით, ვძლები მეც და როდესაც გაძლება



ყველა: მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქვეწარმავალნი და ფრინველნი ფრთოვანნი, მაშინ ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყვანისვცემთ უფალსა.“ [მამა პაისი მთაწმინდელი. წიგნი V „ვნებები და სათნოებები“ თბილისი 2008წ. გამომცემლობა „ალილო“ გვ. 186].

ნეტარ ავგუსტინეს გასაოცარი დიალოგი ჰქონდა ბუნებასთან გამართული: „რა არის ღმერთი? ვკითხე მე მიწას და მან მე მითხრა - ეს მე არა ვარ. და რაც კი მასზეა, აღიარებდა ამასვე . . . მე ვკითხე ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და მათ წამოიძახეს: „ჩვენც არა ვართ ღმერთი, რომელსაც შენ ეძიებ“.

და მე ყველას ვეკითხებოდი გარსმყოფს ჩემი გრძნობებისა: მათ მე მითხრეს ჩემი ღმერთის შესახებ, რომ იგი - ისინი არ არიან, და მათ წამოიძახეს მაღალი ხმით: „მან ჩვენ შეგვქმნა“. [კრიგოლ კიკნაძე. „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1989 გვ. 90].

აი რა გაუმხილა ერთხელ მცხეთის სამთავრო მონასტერში მოღვაწე არქიმანდრიტმა გაბრიელმა მასთან მისულ ადამიანებს როდესაც ფრინველებზე ესაუბრებოდა: „დიდი მადლია, მტრედებს და ჩიტებს აჭამო საჭმელი, მერე იქნებ მათი ენაც ისწავლო“. და კიდევ. „ეს ნიბლიაა, ეს ბოლოქანქარა . . . ესენი, აქაური ბელურებია; ისე შეჰყვარებიათ აქაურობა, რომ ღვთის მადლით აღარ სცილდებიან. ზამთარში ჭილყავებიც მესტუმრებიან ხოლმე, კაჭკაჭები ათას რამეზე მესაუბრებიან, მიყვებიან, თუ რა ხდება ფრინველეთში, არა გჯერათ?...“ [„თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა“ ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა. თბილისი 2009; გვ. 288].

აქ მოხმობილი ყველა შემთხვევა ჩინებულ მაგალითს წარმოადგენს ქმნილებათა ენის არსებობისა, რომელიც სულიერ სამყაროსთან მიმართებაში განსაკუთრებულ გამოხატულებას პოულობს.

თუმცა უსულო ბუნებასთან შედარებით სულიერის მომეტებული სენსიტიურობა არ ნიშნავს მის გათანაბრებას ჰომოსაპიენსის მგრძნობელობასა და აღქმის უნართან.

უსულო და სულიერი სამყაროს წარმომადგენლები განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე და სამშენველი გააჩნიათ არ აქვთ სული, ამიტომ მოკლებულნი არიან პიროვნულობის განცდას და მათი ურთიერთობა შემოქმედთან შემოსაზღვრულია ინსტიქტების დონეზე, ისევე როგორც ეს ხდება ადამიანებთან მიმართებაში.

ამგვარ აზრს ავითარებს ჩვენგან ზემოთ ხსენებული მამა პაისი ცხოველთა თუ ფრინველთა სამყაროსთან მიმართებაში: „იქნებ ეს ინსტიქტის გამოვლინებაა? ღმერთმა მათთვის აუცილებელი რამ ცხოველებსაც მისცა, მან ისინი ალლოთი დააჯილდოვა.“ [მამა პაისი მთაწმინდელი. წიგნი V „ვნებები და სათნოებები“ თბილისი 2008წ. გამომცემლობა „ალილო“ გვ. 180].

უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემთხვევები ცხოველთა, ფრინველთა თუ ქვეწარმავალთა ღვთის თაყვანისცემისა, ჩვენს რეალობაშიც აღესრულება. მაგალითად საბერძნეთის ერთ-ერთ ქალაქში ყოველ მარიამობას ღმრთისმშობლის ხატთან მიდიან ყველაზე შხამიანი გველები, რომლებიც ამ დღეს უვნებნი ხდებიან, ეხვევიან ღმრთისმშობლის ხატს და საათობით ირინდებიან.

ამგვარი შემთხვევები მრავლად ხდება სამყაროში, რაც რა თქმა უნდა განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ მათი განხილვაც ძლიერ შორს წავგიყვანს. ამდენად ჩვენთვის პრიორიტეტია ქმნილებათა ენის კვალს მივყვეთ ლიტერატურაში, რაც განსაკუთრებული სიცხადით გახლავთ გამოცისკრებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქმნილებათა ენა გენიალური მგოსნის ნაწარმოებებში თავისი ყველა ფორმით გახლავთ წარმოდგენილი. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ თემით არის გასხვივონებული მწერლის შემოქმედების თითქმის 80%.

აქ ქმნილებათა ენა მოცემულია ზღაპრული, იგავ-არაკული თუ ლიტერატურული სტილისთვის დამახასიათებელი მარტივი სახით და ასევე რა თქმა უნდა თეოლოგიური სიღრმეებითაც.

შეიძლება ითქვას, რომ ქმნილებათა ენის ნიშნით განსაკუთრებულად გამორჩეულია „ხმელი წიფელი“, „ვერხვი“, „მთის წყარო“, „ია“, „მტრედები“, „სვაგი“, „ბულბულის იუბილე“, „ჟოლი“, „კლდე მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ერთი უყურეთ ტყესა“, „მთა და მთვარე“, „ნუგეში მგოსნისა“, „ლურჯას“,



„ჩვენი სოფელი“, „ღამე მთაში“ და სხვა მრავალი.

ქმნილებათა ენის კუთხით განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ვაჟას ერთი პატარა მოთხრობა „წისქვილი“, რომელიც გამორჩეულია სიმბოლიზმით და თეოლოგიური სიღრმით, რის შესახებაც ზემოთ ფართოდ გვქონდა საუბარი. ამ ნაწარმოებში („წისქვილი“) თედე თანასოფლელებს დაუტოვებს რა თავის გამოგონებულ წისქვილს, გადაწყვეტს ბერად შედგომას და ტყეში იწყებს განდევნილ ცხოვრებას, რამდენიმე წლის შემდეგ იგი ახერხებს მრავალ სულიერ საფეხურზე ასვლას და ქმნილებათა ენის ფლობის უნარის მოპოვებასაც. „ბედნიერად ჰრაცხდა თედე თავის თავს. გამოქვაბულის გარეშემო, სადაც კი ან ქვა ეგდო, ან ხე, ან ერთი გამხმარი წბილა, ყველა უყვარდა თედეს და, როგორც შვილებს, თავს დასტრიალებდა. გაზაფხულზე თითოეულის ყვავილის გაშლა და ბალახის ამოსვლა ბალღივით ალაღებდა. არა მარტო ბალახებს იცნობდა თედე, თითოეული მწერი და ნადირი გაიცნო იმ არემარესი. სათითაოდ იცნობდა და მიეგებებოდა ხოლმე ფუტკრებს, როგორც ღედა შვილებს, როდესაც მოფრინდებოდნენ, სხდებოდნენ ყვავილებზე თაფლის საკრეფლად. პურისათვის დაღონება თედეს არ უნდოდა, რადგან ყოველ დილით გამოქვაბულის შესავალში ხავსიანს ლოდზე თითო ხმიადი დაუხვდებოდა ხოლმე ზედ წარწერით: „პატიოსანს, ღვთისმშობიშს, ქვეყნის ერთგულს კაცს თედეს მოწყალება ღვთისა არ დააკლდება“ [ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გვ. 110-111].

ვინც ქრისტიანული თვალსაწიერიდან გაიაზრებს ამ ნაწარმოებს მისთვის უდაო და ცხადი იქნება ის, რომ თედეს მიერ ყველა ქმნილების ცოდნა არა ჩვეულებრივ ცოდნასა თუ ცნობას მოასწავებს, არამედ თეოლოგიური კუთხით ქმნილებათა ენის ფლობის პრეზენტაციას წარმოადგენს. რითაც მწერლის ეს შესანიშნავი შემოქმედება საოცრად ემსგავსება ჩვენს მიერ ქრისტიანული მწერლობიდან ზემოთ მოხმობილ ქმნილებათა ენის გამომამზიურებელ შემთხვევებს.

თუმცა ვაჟას შემოქმედებაში, ჩვენის აზრით, ბუნებისმეტყველების მისტაგოგიის კუთხით, ყველაზე დიდ სიღრმეს წარმოადგენს მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“; ხოლო ყველაზე დიდ მწვერვალსა და სიმაღლეს „გველის მჭამელი“.

სწორედ ამ უკანასკნელ ნაწარმოებში წვდება პოემის მთავარი გმირი მინდია ბუნების უმაღლეს საიდუმლოებებს და ქმნილებათა ენა ნაწარმოების უმთავრეს ღერძად გვევლინება. წინა თავებში უკვე ვისაუბრეთ მინდიას ტყვეობაზე ქაჯთა მიერ, გველის სიბრძნესა და მისტერიაზე, ამ ყველაფრის წარმომავლობაზე და ა.შ. ამჯერად ვისაუბროთ ქმნილებათა ენის ვაჟასეულ ინიციაციასა და მისტალოგიაზე. როდესაც ქაჯთა ტყვეობით სიცოცხლე მოხერხებული მინდია გადაწყვეტს ქაჯთა საზრდო მიიღოს და გველის ხორცს შეჭამს, მის თავს სრულიად წარმოუდგენელი და მოულოდნელი რამ დატრიალდება: გველის მჭამელი სრულიად ახალ ზეადამიანად გარდაიქმნება.

“მინდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა.
ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა;
მიდის ღრო, განვლო მრავალმა
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუნო მონებამ,
ამოსვლას ლამობს სულია.
აგონდებოდა თავისი
ჩამოთოვილი მთებია,



ჩაბნელებული ხეები,
 უსწორ-მასწორო გზებია,
 მის ბედის მგლოვიარენი
 დედა, მამა და ძმებია,
 თავისი ქოხი მწირული,
 სამოთხედ მისაღებია,
 ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ღმერთსა
 მხურვალედ შაჰვედრებია.
 ბოლოს სთქვა: "თავსა მოვიკლავ,
 ასეთს სიცოცხლეს სჯობია!"
 ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი
 სადილად ნახა ქობია.
 იცოდა, გველსა ჰხარშავდენ,
 იმასა სჭამდენ ხშირად;
 ქაჯნი ქაჯობით იტანდენ
 გველის მიღებას პირად,
 და თავის თავზე იფიქრა,
 რომ ექცეოდა ჭირად.
 აიღო ერთი ნაჭერი,
 ზიზღით ქურდულად შეჭამა
 და ამ დროს მოწყალეს თვალთ
 ტყვეს გადმოხედა ზეცამა:
 ახალად სული ჩაედგა,
 ახალი ზორცი აისხა;
 გულის ხედვა და თვალების,
 როგორც ბრმას და ყრუეს, გაეხსნა.
 ესმის დღეიდან ყოველი,
 რასაც ფრინველნი გალობენ,
 ან მცენარენი, ცხოველნი,
 როდის იღხენენ, წვალობენ.
 რაც კი რამ დაუბადია
 უფალს სულიერ-უსულო,
 ყველასაც თურმე ენა აქვს,
 არა ყოფილა ურჯულო".

[ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვ. 9]

გველის მჭამელის ამ ეპიზოდში მკაფიოდ სჩანს მინდიას კათარზისი, ფერიცვალება, მისი სულის, ქმნილებათა ენის მჭერმეტყველობით მდგომარეობამდე აღსაყდრება. რაც გახლდათ მოწმობა მინდიას შინაგან არსებაში ზებუნებრივ ძალთა და ნიჭთა უჩვეულო გამოცისკრებისა.

პოემის ავტორს ნელ-ნელა მივყავართ ქმნილებათა ენის მისტასოფიურ თუ მისტაკალიურ სამყაროში. ეს პროცესი ნაწარმოების წიაღში ჩარმავებით უფრო და უფრო ძლიერდება.

შემდეგი ეპიზოდებიც სადაც მინდიასა და ბუნების ურთიერთობა არის ასახული, სწორედ ამის დადასტურება გახლავთ:



გველის მჭამელის დანახვისას ხარობს და გალობს მთელი ბუნება. ხეები ბალახები და კალმით ნახატი ყვავილები ყელ-გადაგდებით, ერთხმად ყიჟინით ესაღმებთან მინდიას და მთელი ბუნება იწყებს ბიბინს, რის შემდეგაც ხდება ყველაზე მთავარი.

„და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წამალი“;
სხვა გაიძახის – „იმისა“;
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლოთ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სნეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა“.

[ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გვ. 11]

ანალოგიურ სცენას ვხვდებით მინდიას ყანაში შრომის დროს. იგი საგულე ჩამოხეული, გადარეულივით მკის, სანამ მკლავში ძაღლონე არ გამოელევა და მთელ ყანას ბოლომდე არ გადათელავს, შემდეგ დაქანცული, მიწაზე გაიშლართება და ისვენებს. როდესაც ეკითხებიან მინდიავ, ასე რატომ იქცევით? იგი პასუხობს:

„რას ამბობთ, კაცნო, არ გესმისთ,
მიტომ მიწუნებთ ქცევასა.
ის როდი იცით, თავთავნი
როგორ მიწყებენ ხვეწნასა;
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი-ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუნებს ერთადა, –
ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,
მნახვენ თავის ღმერთადა: –
„არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესა-მე!“
„არა, მე, – სხვა გაიძახის, –
უფრო მაშინებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რო ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა.“
სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!“
გამაგიჟებენ ბოჟირით,
გადავირევი ბრალითა:



ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები
 ორის ხელით და თვალითა
 და ამ დროს თავადაც ვხდები
 მოსაბრუნები წყალითა.
 ყანასა სეტყვა აშინებს, –
 კაცთ უსაზრდოდ დარჩენა,
 თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
 სით შაუძლიან წახდენა?!.
 კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
 თავთავნი ოქროს ფერანი, –
 არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
 ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
 მიტომ ჩქარობენ მომკასა,
 ერთად ჟივიან ყველანი,
 ჰსურთ პურად იქცენ, საჭმელად,
 რომ მითი გაძდნენ მშიერნი, –
 მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,
 ძალნი ვახსენოთ ციერნი."

[ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გვ. 13-14]

აღბათ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ განსაკუთრებით ეს ბოლო ციტატები და რა თქმა უნდა თავად პოემა „გველის-მჭამელი“ უკვდავი ლიტერატურული ძეგლია ქმნილებათა ენისა. იგი ერთგვარი ჰიმნია ბუნების ამ გასაოცარი მისტერიისა. ვაჟა-ფშაველა იმგვარი ეზოთერული მწერალია, რომელმაც საოცარი სიზუსტით შეძლო განეჭვრიტა თავად ბუნების ბუნება. თითქოს მან მოახდინა საკუთარი თავის ერთგვარი თანაშემბუნებება თუ გაერთბუნებება ან სინერგია ბუნებასთან.

მინდია მაგალითს წარმოადგენს საზოგადოებისთვის იმ კუთხით, რომ ქმნილებათა ენის ყველას-ადმი მანათობლობისა და წყალობის არა მხოლოდ წილხვედრნი უნდა ვიყოთ თვისობითად, არამედ ღირსებისამებრ გამცემნიც.

წმ. სახარებაში მაცხოვარი გვაუწყებს, რომ მცნებათა შორის აღმატებული ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მცნებებია. შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავის-თავში ყველა მცნებას მოიცავენ, აქედან გამომდინარე უფლისთვის ან მოყვასისთვის თავგანწირვა სიყვარულის ყველაზე აღმატებული ფორმა და გამოხატულებაა, მას სახარებაც გვიდასტურებს: „რამეთუ ესე არს მცნებაი ჩემი, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ. უფროისი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის.“ [იოანე 15, 12-13.]

ჩვენ უფრო ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ღვთიური განგებულებით მთელს სამყაროსა და ბუნებაში დაშვებულია სხვადასხვა დადებითი თუ უარყოფითი მოვლენები, რომელთა დაკვირვებაც გვაძლევს მაგალითს თუ რა არის კარგი ან ცუდი.

გველის მჭამელში ავტორი გვიცისკროვნებს მსგავს სურათს სამყაროში ღვთიური მცნებების განთესილობის შესახებ. რაც ცხადად ჩანს სამკურნალო ყვავილთა და ყანის ადამიანთან თავგანწირულ დამოკიდებულებაში. შესაძლოა ანალოგიურ პასაჟებს სხვადასხვა ზღაპრებში, იგავებსა თუ მწერალთა ნაწარმოებებშიც წავაწყდეთ, მაგრამ მსგავსი თეოლოგიური სიღრმეებისათვის მიღწევა ყველასათვის არა ხელწიფებადია.

ამდენად ვაჟა მთელი ძალმოსილებით გვიცხადებს ბუნების საიდუმლოებებს და გვიჩვენებს, რომ



თურმე ზნედ ჰქონიათ ყვაილებს, სნეულთ რომ ეწამლონ და ამისთვის არად ავდებენ თავიანთ სიცოცხლით გაფუფუნებულ სხეულებს და არსებობას. ყანის ეპიზოდში კი ბუნების მიერ ადამიანისთვის თავგანწირვის სცენა კულიმინაციას აღწევს. ყველა თავთავი ერთხმად ევედრება მინდიას მომკას; ისე, რომ სულის მოთქმას არ აცლიან და თავად მინდია ხდება წყლით მოსაბრუნებელი. კაცთა მოდემისთვის მსგავსი გაცხოველებული თავგანწირვა ოქროსფრად მობიბინე თავთავების მხრიდან განსაკუთრებით სტიქიათა შიშით არის გამოწვეული, სიცოცხლით მომწიფებულ თავთავებს არ სურთ დაღპობა, არ უნდათ, რომ ფრინველებმა ჭამონ ან სეტყვამ მოულოს ბოლო. ისინი ისწრაფვიან იმისთვის, რომ მათგან პური მალე გამოცხვეს და მშიერი ადამიანები დაპურდნენ, ასევე მიცვალებულებს შენდობა ეთქვათ და მოხსენიებულ იქნენ ზეციური ძალები. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბუნება მართლაც ამგვარი გრძნობების მატარებელი და განმაცნობიერებელია, უბრალოდ ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ ხდება განჭვრეტა ბუნების ამ კონკრეტული არსისა, იმისა თუ რისთვის შექმნა ღმერთმა ისინი, რა დანიშნულება და მისია გააჩნიად ამ ქვეყნად ყოფნის დროს და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ქმნილებათა ენას სხვადასხვაგვარი სახელდება და ინტერპრეტაცია გააჩნია საეკლესიო მოღვაწეთა ისინასტურ თუ ქრისტოლოგიურ ნაშრომებში.

მაგალითად წმინდა მოწამე მეთოდი (III საუკუნე) წერს: „მთელი სამყაროს მეუფემ იმგვარად გვიჩვენა მისი კაცთმოყვარების ნაყოფები, რომ ადამიანებში ჩათესა კიდევ თავისი გონის ნიშანთვისებები“. [www.pravlib.ru]

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, მეგობრის ცხედართან გამოსათხოვარ სიტყვაში ამბობს: „როდესაც ხელთ მაქვს მისი ექვსთადღეთა; და მათ ბაგეებით წარმოვთქვამ მაშინ ვსაუბრობ შემომქმედთან, ეწვდები რა შესაქმის კანონებს.“ [www.pravlib.ru]

აზრები სამყაროში ჩადებულ ლოგოსებზე, რომლებიც თავის თავში ასახავენ სხვა სამყაროს, მოგვეპოვება განმანათლებელ გრიგოლ ნოსელთანაც, იგი წერს: „გვმართებს ვირწმუნოთ, რომ ყოველ არსებაში ჩადებულია რაღაც ბრძნული და მხატვრული სიტყვა" . . . „თუმცა იგი მიუწვდომელია ჩვენი თვალსაწიერისთვის.“ [www.pravlib.ru]

უდიდესი წმინდა მამის გრიგოლ პალამას მსოფლმხედვით „ლოგოსები გაიგივებული ღვთაებრივ ენერგიებთან.“ [www.pravlib.ru]

აქვე უთუოდ უნდა ავლნიშნოთ, რომ ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით თარგმანების საკითხს, რომელიც უდაოდ დიდ როლს ასრულებს ტექსტის შინაარსის მართებულად გადმოცემასა და თემის კორექტულად გააზრების საკითხში. მაგალითად არქიმანდრიტი კვიპრიანე კერნი შენიშნავს, სამწუხაროდ რუსულ აკადემიურ თარგმანებში წმინდა მამათა ქმნილებებში პრაქტიკულად „ლოგოსი“ ყოველთვის გადათარგმნილია როგორც „სიტყვა“, „გონი“, „კანონი“, რის გამოც ზოგჯერ იკარგება ორიგინალური ტექსტის აზრობრივი სიღრმე. უკეთესი ხომ არ იქნებოდა ბერძნულიდან ხშირად გაგვეკეთებინა კალკირება, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ქმნილებათა თარგმანების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური პრობლემების წინაშე ვდგავართ ქართული თარგმანების შესრულების დროსაც. რაც შესაძლოა წმინდა მამათა და მათ შორის განსაკუთრებით მაქსიმე აღმსარებლის სწავლა-მოძღვრებათა ერთგვარი გაფერმკთალების საფუძველიც გახდეს.

როდესაც წმ. მაქსიმეს ქართულ ტექსტებში ტერმინ „ლოგოსის“ პირდაპირ „სიტყვად“ ან „აზრად“ ხდება გადათარგმნა ამ დროს მოცემული შინაარსი გარკვეულწილად იმცრობა და მატულობს არაადეკვატური აღქმის ალბათობა. რადგან ღირს მოღვაწეს საკმაოდ მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მსოფლხედვა ლოგოსთა და ტროპოსთა შესახებ. უნდა ითქვას, რომ სწავლება ლოგოსთა შესახებ მკვლევართა აზრით არც მანამდე და არც შემდგომ იმგვარად ზედმიწევნით არ იყო განვითარებული და თანამიმდევრულად გამოყენებული ღვთისმეტყველების სხვადასხვა სფეროში, როგორც ეს არის მაქსიმე აღმსარებლის შრომებში. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი



სწავლება ლოგოსურია, რადგან ძალზედ ხშირად ვხვდებით ლოგოსთა მოხსენიებას მის თხზულებებში.

აქვე აუცილებელია მცირედ შევეხოთ იოანეს სახარებას, რომელშიც ლოგოსის შესახებ მოცემული სწავლება მიუთითებს სერიოზულ ცვლილებას ადამიანური აზროვნების ისტორიაში. სადაც ხდება ყოვლადწმიდა სამების მეორე პირის - ღვთის ძის ანუ ღმერთის გაცხადება. ამასთან მრავალჯერადი მცდელობები იოანეს სახარების ლოგოსთა შესახებ სწავლებასთან დაკავშირებაზე, როგორც აბსოლუტურ გონზე, მოკლებულნი არიან საკმარის საფუძვლებს, რაც არაერთგზის დადასტურებულა წმიდა წერილის მკვლევართაგან.

რაც შეეხება თავად წმიდა წერილს, მასში ასევე ხშირად ვხვდებით ტერმინ ლოგოსის ანუ სიტყვის მრავალ სინონიმს, მაგალითად პური, ცვარი, წყალი, წყარო, მდინარე, გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება, კარი, ნათელი, კლიტე, სიბრძნე, აღდგომა და ა.შ. [იოანე, 6,35-48; მსაჯულთა. 19-19; თორა 32-2; სირ.15-3, 24,28-29; იოანე 14,6; იოანე, 10-9; იოანე 8-12, 11-25, 14-6].

უშუალოდ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მოძღვრება ლოგოსთა შესახებ უჩვეულოდ ღრმა, სიმბოლიზირებული და მისტიურია. მისი მსოფლგანცდით მთელი სამყარო ლოგოსურია, იგი სრულიად მათით არის განმსჭვალული და ისინი განფენილნი არიან მთელ ქმნილ სამყაროში. „თუმცა მათში უნდა ვჭვრეტდეთ არა მარტო ყოფიერების მიზეზებს, არამედ აზრებსაც და საგანთა და მოვლენათა ყოფიერების გონივრულ საფუძვლებს“. [www.pravlib.ru]

ქმნილებათა ენის ანუ ლოგოსების მჭვრეტელობით მისტერიას, რომელიც გარკვეულ სულიერ საფეხურზე მყოფი ადამიანისათვის არის მისაწვდომი წმ. მაქსიმე შემდეგნაირად გვიცხადებს: „როგორც მზე თავისი ამოსვლით ანათებს სამყაროს და განაცხადებს თავის თავსაც და თავის მიერ განათებულ საგნებსაც, ასევე ჭეშმარიტების მზე (უფალი) გამობრწყინდება რა წმინდა გონებაში, განაცხადებს როგორც თავის თავს, ასევე ყოველივეს მისგან ქმნილსა და მისით არსებულს.“ [წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. ოთხი ასეული თავი სიყვარულის შესახებ, პირველი ასეული www.orthodoxy.ge].

ღირსი მამა გვიმჟღავნებს სულიერი აღმასვლის შემდგომ საფეხურებსაც იგი საუბრობს იმის შესახებ, რომ უფლის მცნებათა დაცვით გონება იწმინდება ვნებებისგან ხოლო ხილულის სულიერი განჭვრეტით - ქრება საგანთადმი ვნებიანი ზრახვები რა დროსაც ადამიანი. უხილავის შემეცნებით უარს ამბობს ამქვეყნიურ საგანთა ჭვრეტაზე და ბოლოს, ყოვლადწმინდა სამების შეცნობით - თვით უხილავ საგანთა ჭვრეტასაც განელტვის

ღირსი მამა დასძენს „გონება, რომელიც მართებულ ღვაწლმოსილ ცხოვრებას ეწევა, კეთილგონიერებაში აღწევს წარმატებას, ხოლო, როცა მართებულად ჭვრეტს, – ცოდნაში. პირველი, ამ კუთხით მოღვაწეს, სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარს ანიჭებს. მეორე, თავის თანაზიარს, უხორცო და ხორციელ არსებათა თვისებების შეცნობის უნარით აჯილდოებს. ღვთის მეტყველების მაღლს კი გონება მიშინ მოიპოვებს, როცა, სიყვარულით ფრთოვანქმნილი, ყოველივე ზემოაღწეულს გადაიფრენს და ღმერთთან ყოფნას მიწეული, ღვთის თვისებებს სულით განჭვრეტს, რამდენადაც ეს ადამიანის გონებას ძალუძს.“ [წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. ოთხი ასეული თავი სიყვარულის შესახებ მეორე ასეული www.orthodoxy.ge].

მსგავს მდგომარეობამდე მისვლა არ არის ადვილი ამდენად ადამიანები ღმერთს იცნობენ არა მისი არსებით, არამედ მისი ბრწყინვალე ქმნილებებითა და მათდამი მზრუნველობით. ქმნილებებში როგორც სარკეში, ჩვენ ღვთის უსასრულო სიკეთეს, სიბრძნესა და ძალმოსილებას ვჭვრეტთ მაქსიმე აღმსარებლის აზრით, ხილულ ქმნილებათა ჭვრეტის დროს გონება მათ ბუნებრივ თვისებებს იმეცნებს ან რაც მათი მეშვეობით განიდიდება, ანდა ეძიებს თავად მათ მიზეზს. „წმიდა ღმერთს, მის სიკეთესა და სიბრძნეს გონიერი და მოაზროვნე არსება თავისი არსებობით, სიკეთის უნართა და მარადიულობის მაღლით ეზიარება. ამ მაღლით იგი ღმერთს შეიმეცნებს, ღმერთის ქმნილებებს კი - როგორც ზემოთ



ითქვა, ქმნილებებში არსებული ყოვლისმომცველი სიბრძნით, რომელიც აზრების მეშვეობით დახვეწილად აისახება გონებაში.“ [წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. ოთხი ასეული თავი სიყვარულის შესახებ მესამე ასეული www.orthodoxy.ge]. ამ ბოლო ციტატაში გამოთქმა „აზრების მეშვეობით“ მართებული იქნებოდა თარგმნილიყო ლოგოსების მეშვეობით. ამასთან წმიდა მაქსიმეს თავისი მოძღვრება ლოგოსთა შესახებ გადმოცემული აქვს წმინდა წერილის გარკვეულ ადგილთა საოცრად ღრმა სიმბოლური განმარტებით. სახეელდობრ, სახარების ერთ-ერთი ცნობილი ეპიზოდი, როდესაც მაცხოვრის მოწაფეები შაბათ დღეს დათესილ ყანებს გამოივლიან და დაიწყებენ თავთავების წყვეტასა და ჭამას. რის გამოც ფარისევლები განკიცხავენ მათ. [ლუკა 6, 1.] მიანიშნებს იმას, რომ სულიერი ღვაწლის შედეგად უვნებოდ ქმნილნი აგროვებენ რა ლოგოსებს ქმნილ არსებათაგან, კეთილკრძალულებით საზრდობენ ღვთაებრივი ცოდნით.

ასევე ღირსი მამის მისტიური სიმბოლიზმის თანახმად ღვთის სიტყვა მსგავსია მდოგვის მარცვლისა. რომელიც დათესვამდე ყველაზე პატარაა, შემდეგ კი იმხელა იზრდება, რომ მგრძნობიარე და გონებით საწვდომ ქმნილებათა ამაღლებული ლოგოსები ზეციურ ფრინველთა დარად, მის რტოებში პოულობენ განსასვენებელს, რადგან საგანთა ლოგოსები ღვთის სიტყვაში მყოფობენ. [მათე 17-20].

მაქსიმე აღმსარებელი სახარებისეულ ფერიცვლელის ეპიზოდს და თაბორის მთაზე განვითარებულ მოვლენებს, ასევე წმ. წერილში სხვადასხვა აღწერილ სულიერ მოვლენებს, მსგავსი სიმბოლიზმით და ლოგოსური სწავლებებით გადმოგვცემს, თუმცა მათზე ამჯერად აღარ განვივრცობით.

დასასრულს შეიძლება დავძინოთ, რომ ვაჟა-ფშაველა ქრისტიანული ლიტერატურის კვალდაკვალ ზუსტი თანამიმდევრობით გადმოგვცემს ქმნილებათა ენის ანუ ლოგოსთა სამყაროს მისტერიას.

აღბათ ამ დამოკიდებულების გამო აღმოხდა გულიდან მგოსანს ბუნებაზე შემდეგი სიტყვები:

„იგი თვალხილულიც არის და ბრძაც ერთსა და იმავე დროს. ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რივი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება. . .“ [„წერილი სად არის პოეზია“, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ტომი X გვ. 395-396].

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურისა და თეოლოგიის სინთეზი არა ახალი, მაგრამ ფრიად დადებითი და საჭირო მოვლენაა, თუმცა ეს პროცესი ერთობ დიდ პასუხისმგებლობასა და ბეწვის ხიდზე სიარულს მოითხოვს. რადგან ორივე საგანი როგორც ცალკეულ ასევე ერთობლივ შემთხვევაში ადამიანთა აღზრდას ემსახურება. ასევე მწერლობის ნიჭი ღვთისგან ბოძებული ტალანტია, რომელსაც სახარებისეული იგავის თანახმად არა დაფვლა არამედ გამრავლება ესაჭიროება. არსებითი და დასაფასებელია, ფშაველი მგოსანიც ამ ღირებულებათა მქადაგებელი, რომ არის.

აღბათ ამ კუთხით ვაჟას შემოქმედება სამომავლოდ უფრო დიდი ინტერესისა და განხილვების საგანი გახდება, რაც კიდევ ერთი საუკეთესო საშუალებაა მწერლის სამყაროსა და მისი შემოქმედების უფრო უკეთ და სიღრმისეულად გაცნობისთვის. ერთი რამ უდაოდ ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა ენა და ბუნების მეტყველება მრავალი კუთხით ახერხებს ქრისტიანული ღვთისმეტყველების საფეხურებზე აღმასვლას.

რეზიუმე

სტატია „ქმნილებათა ენა, ლოგოსები“ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის: „ვაჟა-ფშაველას ქმნილებათა ენა (ბუნებისმეტყველების ღვთისმეტყველება)“-ს დამასრულებელ ნაწილს - ბოლო ქვეთავს. მასში საუბარია, ფშაველი მგოსნის მიერ ბუნების მსოფლ-განცდის ქრისტიანულ და საღვთისმეტყველო გააზრებაზე. განხილულია ვაჟას ის ძირეული ნაწარმოებები, რომლებშიც ვლინდება სამყაროსა და ბუნების ონტოლოგია, რა დროსაც ზოგჯერ ლატენტური და ზოგჯერ აშკარა ფორმით ადგილი აქვს



ინიციატივას თეოლოგიური კუთხით. ყოველივე ეს კი წარმოდგენილი და გასხვივოსნებულია საეკლესიო ლიტერატურისა და დიდ სასულიერო მოღვაწეთა სწავლებებითა და საღვთისმეტყველო მსოფლხედვით.

SUMMARY

The theme "The language of the creatures, logos" is the final part, last section of the Thesis "The language of creatures of Vazha-Pshavela (Natural Theology). It is about the Christian and Theological conceive of the world feeling of the nature by Pshavelian poet. This theme discusses the main writings of Vazha-Pshavela which reveal the ontology of the Universe and Nature, in which case it is in evidence sometimes latently and sometimes overt form initiations with theological point of view. All of this is represented and brightened by the worldview of the ecclesiastical literature and teachings of great religious figures and theology.

ბიბლიოგრაფია

[ბიბლია, დაბადება თავი III, მუხლი-19. თბილისი 1989წ.]

[ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“]

[გ.კიკნაძე, „ვაჟა ფშაველას შემოქმედება“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1989 წ.]
[www.patriarchate.ge]

[„მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან“ საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. VI. გამომცემლობა „ახალი ივერიონი“ , თბილისი 2008წ. გვ.24]

[ფსალმუნნი, გამოცემლობა „ალილო“]

[დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი ლექსები „შეტირილი,, მაკა ჯოხაძის წინათქმა “ალუბლის სიბრძნე“ თბილისი 2010წ.]

[იოანე დამასკელი „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ გვ.56-57]

[ნეტარი ავგუსტინე, წიგნი მეხუთე გვ.70. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი გამომცემლობა „ნეკერი,, 1995 წ.]

[მამა პაისი მთაწმინდელი, წიგნი V „ვნებები და სათნოებები“ თბილისი 2008წ. გამომცემლობა „ალილო“, გვ. 186].

[„თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა“ ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა; თბილისი 2009; გვ. 288].

[ახალი აღთქმა, გამომცემლობა ალილო, თბილისი 2011]

[www.orthodoxy.ge]

[www.pravlib.ru]



უფალმა წარუძარტოს ყოველი კეთილი საქმე ქურხალ
სვეტიცხოველის,, გამოცემის ერთგულ თანამდგომს, სააქციო
საზოგადოება, კომპანია „მედისერვის“ კოლექტივს



გამოსაცემი მასალის გაფორმების წესი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“ არის რეფერირებადი პერიოდული გამოცემა. ჟურნალის დანიშნულებაა საისტორიო და ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგების (საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ეთნოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, ენათმეცნიერების, მართვის პრობლემების, რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების) განვითარების ხელშეწყობა, სწავლულთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევებისა და უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა მასალების საზოგადოებისათვის გაცნობა.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ნაშრომი გამოქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესი:

1. ნაშრომის სრულდება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი ტექსტით (მინდვრები 2 სმ.), რუკების ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;
2. სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS -Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
3. ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnux შრიფტი, ზომა 11;
4. ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი კი უნდა იყოს: Times New Roman, ზომა 11;
5. სტატია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: uak-ს (UDC); ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
6. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში;
7. სტატიის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელია ავტორი.